წელიწადი პირველი.

№ 2.

გაზეთი

ყოველთვიური საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური, პოლიტიკური და ლიტერა-
ტურული ჟურნალი.

თებერვალი 1913 წ.

რედაქტორ-გამომცემელი:
მღ. ს. მჯედლიძე.

სტამბა „ძმობა“ ქუთაისში კაზაკოვის ქ. № 17.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. იესო ქრისტე საკვირველება ისტორიისა (გაგრძელება). პროფ. შაფფისა 1—25:
2. ქრისტე და ბუნებისმეტყველება, ფილოსოფიის დოქტორის ე. დენნერტისა თარგ. ფ. სირაძისა. 25—39.
3. ქრისტეს კვალზე (გაგრძელება) თარგ. მღ. ი. ლუკიანოვისა 39—66.
4. საშუალება სიმთვრალის წინააღმდეგ. მოთხრ. პოტაპენკოსი. თარგ. იათეოზისა 66—78.
5. მოკლე საუბარი ჰიგიენიდან (გაგრძელება) ექ. ე. ლოსაბერიძისა 78-92.
6. პონტოელ პილატეს რაპორტი რომის იმპერატორ ტიბერიოსისადმი შესახებ იესო ქრისტეს ჯვარცმისა 92—107.
7. პასუხი კანონისტ პროფესორებს, ალ. ცაგარელისა (დასასრული) 107—137
8. მეევნახეობა, გ. ჩივაძისა (გადმოღებულია გაზეთ „სასოფლო გაზეთიდან“ 138—180.
9. იმერეთი 1650 წ. (დასასრული) მღ. მ. კელენჯერიძისა 180—202.
10. ქართული ენისთვის ბრძოლა. თ. ჟორდანიასი. 202—236.
11. უცხოეთის მიმოხილვა. გულკეთილისა 236—253
12. კრიტიკა. აკაკი როგორც დიდი ეროვნული მგოსანი; ხომლელისა 253—270
13. განმარტება ხარებისა. ა. ბ. 17—32.

წელიწადი პირველი.

თებერვალი 1913 წ.

განთიადი,

ყოველთვიური საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური, პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი.

5249

წიგნი მეორე.

მღ. ს. მჭედლიძის რედაქტორობით.

საქ. ს. ეროვნული ბიბლიოთეკა
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა
Библиотека имени Акад. И. Гришашвили
Академия наук

ქუთაისი.
სტამბა „ძმობა“, კაზაკოვის ქუჩა № 17.
1913 წ.

იესო ქრისტე
საკვირველება ისტორიისა.

თავი მესუთე.

სრული საწმიდე იესესი.

უცოდველი მაცხოვარი ცოდვით სავსე ქვეყანაზე წარმოადგენს განსაცვიფრებელ ამბავს, მაღალ ზნეობითს საკვირველებას ისტორიაში. მაგრამ ეს თავისუფლება საყოველთაო ბრალისა და კაცთა ნათესავის ცოდვისგან წარმოადგენს მისი ხასიათის მხოლოდ უკუთქმითს მხარეს, რომელიც (ხასიათი) უფრო ამაღლდება, როდესაც ჩვენ განვიხილავთ, აგრეთვე, მისს დაბადებითს მხარესაც, სეხელდობრ მისს განთვისებითს ზნეობრივ და სარწმუნოებრივ სისრულეს.

საზოგადოდ ყველანი—დეისტები და სხვადასხვა ჯურის რაციონალისტები თანახმანი არიან, რომ ქრისტემ მოგვცა უწმიდესი და უალმატებულესი ზნეობრივი სწავლის სისტემა—სისტემა, რომელიც ბევრით უკან სტოვებს და ჩრდილავს ყველა ზნეობრივ კანონებს—ყველა ძველ საუკეთესო ბრძენთა. ერთი - მხოლოდ სწავლა ნეტარებაზე აღბეჭდილია გაცილებით უმეტესი ღირსებით, ვიდრე ყოველივე, რაც დასწერეს და სთქვეს მოვალეობაზე და სათნოებაზე კონფუციმ, სოკრატნა და სენეკამ.

მაგრამ განსხვავება უფრო ცხადი იქნება, როცა ჩვენ შეუდგებით საქმისა და ცხოვრების განხილვას. ზნეობითი ფილოსოფიის ყველა სისტემები ერთად ვერ შესძლებდენ ქვეყნის განახლებას. არაფერი მნიშვნელობა არა აქვთ სიტყვებს, თუ ისინი საქმითაც არ მტკიცდებიან და არ მართლდებიან. წმიდა ცხოვრება უფრო მიიზიდავს სიკეთისკენ, ვიდრე ზნეობრი-

ვი ახუზულებანი და წესები. ამ მხრივაც ქრისტეს განსხვავება შესანიშნავ ბრძენთა შორის ისეთი შესამჩნევია და რადიკალური, რომ ყოველივე შედარება წარმოუდგენელი ხდება. ციცერონი, მიუხედავად თავისი ულაზღვრო მედიდურობისა, მაინც ერთი უუკეთილშობილესი და უულირსესი რომაელ ხასიათებში, საქვეყნოთ აღიარებს, რომ არაოდეს, თავის სიცოცხლეში არ შეხვედრია სრულს ბრძენს და რომ ფილოსოფია მხოლოდ გვიჩვენებს, **როგორი უნდა იყოს** ბრძენი, თუ ოდესმე გამოჩნდა იგი ქვეყანაზე. ცნობილია, რომ საბერძნეთის და რომის უბრძენეს კაცებს მოსწონდათ მონობა, ძალმომრეობა, შურისძიება, შვილების მოკვლა, ბავშვების მიგდება, მრავალჯერ ქორწინება, ხასების ყოლა და კიდევ უფრო უგლახესი ბიწიერება, ან კიდევ, როგორც ანგარი და მექრთამე სენეკა, თვისი ცხოვრებითვე ამტყუნებდენ თვისგანვე ქადაგებულ წმიდა ზნეობას. ძველი აღთქმის უდიდესნი მართალნიც კი, რომლებიც არ იყვენ მოკლებულნი ღვთის მადლის დახმარებას, ვერ ასცდენ შეცთომას, და ზოგმა მათგანმა სახელი გაიფუჭა მრუშებითა და მკვლელობითა. გაბედვით შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანეთა შორისაც უუკეთილმსახურესმა და უკეთესმა ადამიანებმა თავისი არა სრული საზოგის სისრულესაც კი ვერ მიახწიეს.

ქრისტემ? მისი ცხოვრება და ყოფაქცევა სრული განხორციელებაა მისი სწავლისა. ის **იყო** იგი და **იქმოდა** მას, რასაც ასწავლიდა. ის ქადაგებდა თავის საკუთარ ცხოვრებას და ცხოვრობდა თავისი ქადაგების თანახმად. იგი არის ცოცხალი განხორციელება იდეალური სათნოების, სიწმიდის, სისრულის და ცნობილი უნდა იქმნას უმაღლეს ხატად და მაგალითად ყოველისა, რაც კი საზოგადოთ წმიდაა, კარგია და კეთილშობილი ღვთისა და კაცთა თვალში. ამაზე ურწმუნონიც კი უნდა დაგვეთანხმონ. განსვენებულმა თეოდორე პარკერმა, ამ ამერიკელმა მტრაუსმა, სთქვა: „ქრისტემ შეაერთა თავის პიროვნებაში უმაღლესი კანონები და დღიური ცხოვ-

რება და ამ რიგად ცხადჰყო წინასწარმეტყველთა და ბრძენთა სიზმრები, ამაზე უფრო მეტიც: ის თავისუფლად და გაცილებით მაღლა სდგას თავისი დროის ცრუმორწმუნეობაზე, ხალხზე და მის სექტებზე: თავის მკერდში იგი თავისუფალ გზას სტოებს ღვთის სულისთვის. წმიდა და ჭეშმარიტი, ის არა ზრუნავს სჯულზე; თვით პატივცემული, როგორც სჯული, იგი აროფრად აგდებს მის ფორმებს, მსხვერპლებს და მღვდლებს; იგი გზას აცლევინებს სწავლულ სჯულის მეცნიერებს მათი ცბიერობით და მითვისებული გავლენითურთ და ჰფენს თავის სწავლას, წმიდას, როგორც ნათელი, მაღალს, როგორც ზეცა და ჭეშმარიტს, როგორც ღმერთი". რენანიც კი, რომელმაც ასე კადნიერად წარყვნა ცხოვრება და ხასიათი იესოსი, გამოტეხით ამბობს, რომ საქმით და სიტყვით, ცხოვრებით და მოძღვრებით ნაზარეთელი გმირი „შეუდარებელია" და რომ ეს დიდება შერჩება მას საუკუნოდ და მუდამ ახალი იქნებაო.

ქრისტეს ჩვენ ვხედავთ ცხოვრების ყველა ჩვეულებრივ და არსებითს დამოკიდებულებაში, როგორც შვილს, ძმას, მეგობარს, მოქალაქეს, მოძღვარს, შინ და გარეთ, შეკრებილებაში. ჩვენ ვხედავთ, რომ ის მიმოიქცევა საზოგადოების ყოველ წოდებაში, ცოდვილებთან და კეთილმსახურებთან, ღარიბებთან და მდიდრებთან, ავათმყოფებთან და საღებთან, პატარა ბავშვებთან და დიდ კაცებთან და ქალებთან, უსწავლელ მეთევზურებთან და განსწავლილ მწიგნობრებთან, მოძულებულ მეზვერეებთან და ცნობილ და პატივცემულ სინედრიონის წევრებთან, მეგობრებთან და მტრებთან, სასტიკ მდევნელებთან და გაკვირვებულ მოწაფეებთან, ხან საუბარში იმისთანა კაცთან, როგორც ნიკოდიმოსი, ან სამარიტელი ქალი, ხან შინ ათორმეტთა შორის, ხან ხალხში: ჩვენ ვპოვებთ მას ყოველ მდგომარეობაში, შესაკრებელშიც და ტაძარშიც, ხახლში და მოგზაურობაში, სოფლებში და ქალაქ იერუსალიმში, მხიარულს ქორწილში და მწუხარე საფლავთანაც; ვხედავთ მას სასტიკ სულიერ ბრძოლაში გეთსამანიაში.

მსაჯულის სახლში, მღდელმთავრის წინაშე, მხედრებთან და ფანატიკოს ბრბოსთან და ბოლოს სასტიკ ტანჯვაში ჯვარზე, გოლგოთაზე.

ყველა იმ სხვადასხვა მდგომარეობაში, გარემოებაში და დამოკიდებულებაში, რომლებშიც კი იყო ქრისტე თვისი მსახურების სამი წლის განმავლობაში, ის ყველგან და ყოველთვის იჩენდა ერთსა და იმავე ხასიათს, რომელიც უცხოა ყმველივე ბიწიერებისაგან. ის ასრულებდა ყოველსავე ვალდებულებას ღვთისა, ხალხისა და თავისი თავის მიმართ, არ არღვევდა მათ არაფერში და ამიტომ ყოველთვის სჩანდა სჯულის აღმასრულებლად... ცხოვრება ქრისტესი არის განუწყვეტელი მსახურება ღვთის ნებისა—ერთად ერთი დიდი საქმე უსრულესი სიყვარულისა ღვთისა და კაცთადმი და პირადი თავგანწირვა ზეციური მამის დიდებისათვის და დაცემული კაცობრიობის ცხონებისათვის. რაც უფრო მომეტებულად ვეცნობით ქრისტეს ცხოვრებას, მით უმეტესად იძულებულნი ვხდებით გავიმეოროთ იესოს თანამედროვე ხალხის, რომელსაც აკვირვებდა მისი საქმეები, სიტყვები: „ყოველსავე კეთილსა იქმს“. დიდებულ მღვდელმთავრულ ლოცვაში ზეციერ მამის მიმართ ქვეყნიდან გასვლის ჟამს მას შეეძლო ეუწყებინა მთელი ქვეყნიერებისთვის, რომ მან ადიდა მამა თვისი და აღასრულა მისგან მინდობილი საქმე. (იოანე 17, 4, 22).

თავი მეექვსე.

ერთობა სათნოებისა და კეთილმსახურებისა იესოში.

რაც მხოლოდ ერთ, ჩვენ მიერ ცნობილ, ქრისტეს სრულ ხასიათში მყისვე ჩვენ ყურადღებას იპყრობს ეს სათნოების და კეთილმსახურების, ზნეობრიობის და რელიგიოზობის ან ღვთაებრივი და კაცობრივი სიყვარულის სრული ერთობაა. ქრისტე არა თუ მხოლოდ ზნეობრივია და კეთილმსახური, არამედ უმეტესიც,—იგი წმიდაა ამ სიტყვის პირდაპირი და

სრული აზრით. მის ხასიათში ცხადათ სჩანს ღვთაებრივი მშვენიერება და სისრულე, რომელთა უბრალო განხილვა წარმოადგენს სულის უმანკოებასა და სიწმიდეს, მშვიდობასა და ნეტარებას.

კეთილმსახურება იყო სული ქრისტეს ზნეობისა და მან დააყენა იგი ყველა კანონიერ მოქმედებათა მაღლა. ქრისტეს თითოეული ზნეობრივი საქციელის მიზეზი ღვთისადმი უსაზღვრო სიყვარულში იყო, და მიზნად ჰქონდა დროებითი და საუკუნო სიკეთე კაცთა. მისს ხასიათს საფუძვლათ ედვა შინაგანი, მჭიდრო, განუწყვეტელი შეერთება და ურთიერთობა ზეციერ მამასთან, რომლისაგანაც ყოველივე გამოჰყავდა და რომლისადმიც ყოველსავე მიაქცევდა. ჯერ კიდევ თავის სიცოცხლის ხანის მეთორმეტე წელიწადს იესო ქრისტე თავის სიცოცხლეს და თავის სიხარულს მასში ჰპოებდა, რაც მის მამას ეკუთვნოდა (ლუკ. 2, 42). თვისი მომავლინებელის საქმის ქმნა და მისი ნების ასრულება იყო მისი ყოველ დღიური ჭამადი (იოანე 4, 24, 5, 30). მისდამი აღაპრობდა იგი თვალს ლოცვის ჟამს, ყოველივე დიდი საქმის დაწყების წინ და თავის მოწაფეებს ასწავლა ის სამაგალითო ლოცვა, რომელიც სიმარტივით და ყოვლის შემცველი სიმოკლით გამოხატავს კაცის ყოველივე მოთხოვნილებას, სამუდამოდ უებრად დარჩება. ის ხშირად ადიოდა მთაზე ან განდგებოდა განმარტოებით სალოცავად და დღე-ღამეებს ანდომებდა ამ დიდ საქმეს. მისი ჩვეულება ღვთისადმი მიქცევისა იყო იმოდენად მტკიცე და უცვალებელი, რომ არ უღალატია ამ ჩვეულებისთვის ხალხში ყოფნის დროსაც კი. თვით ქალაქს მისი ხმაურობით და ყვირილით—ხდიდა სარწმუნოებრივ საადგურად. ი. ქრისტეს სიცოცხლეში არ ყოფილა ისეთი წუთი, როცა მას განშორებოდეს გონებიდან ღმერთი მაშინაც კი, როცა სულის და ხორცის აუწერელს ტანჯვაში და კაცთა ნათესავის გამომხსნელს წვალებაში მან ღაღადჰყო: „ღმერთო ჩემო, რისათვის დამიტევე მე“?—მაშინაც კი არ დარღვეულა

ერთობის კავშირი ღმერთთან და არამც თუ არ დარღვეულა, არც კი შესუსტებულა, თუმცა კი დაიბურა ერთი წამით, სმგავსად იმისა, როგორც დაიბურება ხოლმე მზე, როცა მას ღრუბელი გადაეფარება. არ შეწყვეტილა აგრეთვე ეს ერთობა და ამ ერთობის სიტკბოება არც ერთ წამს, რადგანაც მაშინვე, ზემოთ თქმული სიტყვების შემდეგ, მან წარმოსთქვა: „აღესრულა“ და მისცა სული თვისი მამასა. ეს ზნეობრივი ერთობა ქრისტესი ღმერთთან მისი ცხოვრების ყოველ წამს იყო ისე მტკიცე და სრული, რომ მან თავის პიროვნებაში ჭეშმარიტად განახორციელა აზრი სარწმუნოებისა, რომლის მიზანიც სწორეთ ეს ერთობაა. ამიტომ ის არის პირადი წარმომადგენელი და ცხოველი განხორციელება ქრისტიანობისა, რომელიც არის ჭეშმარიტი და სრული სარწმუნოება.

მაგრამ კეთილმსახურება იესოსი არ იყო უმოქმედო გონებითი განხილვა, და ყოველივე ქვეყნიერისგან განყენებული მისტიციზმი და თავმოყვარული საკუთარი თავის დატკბობა; იგი იყო საქმიანი, ყოველთვის მოქმედი, ყოველთვის მიმართული ქვეყნის გარდაქმნაზე ღვთის სასუფეველად. ის დადიოდა ყველგან და სთესდა სიკეთეს. თავის ცხოვრებაში ქრისტე წარმოადგენს კეთილ საქმეთა განუწყვეტელს წყებას, რომლებიც გამომდინარეობენ ღმერთთან ერთობისგან, გამსჭვალულნი არიან ერთი და იგივე სიყვარულით და აქვთ ერთი და იგივე მიზანი: ღვთის დიდება და კაცთა ბედნიერება.

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე.

იესოს ხასიათის საყოველთაობა.

ერთი სხვა ხაზთაგანი იესო ქრისტეს ხასიათისა, რომელზედაც შეგვიძლია შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება, არის მისი (ხასიათის) ზნეობრივი და სარწმუნოებრივი საყოველთაობა და ყოვლის შემცველი სისრულე.

მაშინ, როდესაც სხვა ადამიანები და მათ შორის უკეთესებიც კი ხელს უწყობენ ერთი რომელიმე და ისიც არა სრული სიწმიდისა და სიკეთის იდეის განვითარებას, ქრისტე აუმჯობესებს ყველაფერს, რასაც სათნო და დიადი შეიძლება ეწოდოს. მისი სული არის მშვენიერი ზნეობითი სამოთხე, სავსე მომხიბლავი ყვავილებით, რომლებიც ბრწყინავენ ყოველ გვარი ფერადებით ლაჟვარდ ცის ქვეშ, — ყვავილებით, რომლებიც იკვებებიან განმაახლებელი ზეგარდმო ნამით და მზის სხივებით, ჰფენენ გარშემო სანეტარო ტკბილ სუნნელებას და მაყურებლის გულს ავსებენ სიხარულის ნეტარებით.

ისტორია წარმოგვიდგენს ჩვენ ბევრს პირებს შესანიშნა და გავლენიანი გონებისას. რომლებიც სათავეში უდგნენ თავის დროს და ერს და იძლეოდენ მთელი თაობისთვის სამუშაო მასალას იმ დრომდე, ვიდრე მათ ნაცვალად გამოჩნდებოდენ სხვა დიდი პირები არ დაიწყებოდა ახალი ხანა განვითარებისა. როგორც წყაროები, ჩვეულებრივ, გადმოდიან მაღლობებიდან ისრე ცოდნაც და ზნეობრივი ძალაც იზდებიან და საზრდოობენ კაცობრიობის მწვერვალზე. აბრაამი, მამა მორწმუნეთა, მოსე სჯულის მდებელი ებრაელთა თეოკრატიისა, ილია წინასწარმეტყველებში, პეტრე, პავლე და იოანე მოციქულებში ათანასე და ოქროპირი ბერძენთა მამებში, აგვისტინე და იერონიმე ლათინებში, ანზელმი და თომა აქვინელი სხოლასტიკოსებში, და გრიგორი VII პაპებში, ლუთერი და კალვანი რეფორმატორებში და პროტესტანტების ღვთის მეტყველებში; სოკრატი, მამათ მთავარი ძველ ფილოსოფიურ სკოლათა, ჰომიროსი, დანტე, შექსპირი და მილტონი, გიოტე და შილლერი პოეზიში და ისტორიაში სხვადასხვა ერთა, რომლებსაც ისინი ეკუთნოდენ; რაფიელი მხატვრებში, კარლოს დიდი, პირველი და უდიდესი გერმანიის იმპერატორებში, ნაპოლეონი თავისი გენერლების სათავეში, ვაშინგტონი ჭკუით და ზნეობრივი ხასიათით პირველი ამერიკის პრეზიდენტებში, წმიდა და უკეთილშობილესი ნიმუში ამრიკული ხასიათისა, ყველა ესენი არიან პირები, რომლებიც შეიძლება

დავსახოთ, როგორც მაგალითები ისტორიის იმ გმირთა, რომლებიც არიან წარმომადგენელნი მთელი თაობის ძალისა და ძლიერებისა, არიან მისნი გამოსახველნი და შუაგულნი. მაგრამ ყველა ამ ხასიათებს აქვთ გავლენა კაცობრიობის ერთ რომელსამე ნაწილზე და არა მთელს კაცობრიობაზე. ისინი ეკუთვნიან ერთ რომელსამე ერსა და დროს და თანაზიარნი არიან თვისი ერის და დროის ცთომილებათა და ცრურწმენათა, ყოველთვის თითქმის იმვე ზომით რა ზომითაც წარმოდგენილი აქვთ მათი სათნოება-უპირატესობანი. მოსე, ღრმად პატივცემული სამი სჯულის აღმსარებელთაგან, იყო ებრაელი შეხედულობით, გრძნობით და ზნეჩვეულებით, აგრეთვე ჩამოსავლობითაც; სოკრატი არაოდეს არ ამაღლებულა ტიპიურ ბერძნულ ხასიათზე; ლუთერი იყო გერმანელი, წარმომადგენელი თვისი ყველა ღირსებით და ნაკლულევანებით გერმანელი ძალისა და უძლურებისა, მისი სწორედ გაგება და დაფასება შეიძლება მხოლოდ, როგორც გერმანელისა; კალვინი, სამშობლოდან გაძევებულიც კი ფრანციელად რჩება; შეუძლებელია, რომ ვაშინგტონი სხვა ერებისთვის ყოფილიყოს ის, რაც ამერიკელებისთვის იყო. ამ დიდ კაცთა გავლენა, როგორც ეს მოხდება ხოლმე, შეიძლება, გავრცელდეს მათ ეროვნებას გარეთაც; მაგრამ ისინი არაოდეს არ შეიქმნებიან საყოველთაო მისაბაძ მაგალითებად. ჩვენ მათ უყურებთ, როგორც არაჩვეულებრივ კაცებს, მაგრამ იმავე დროს ვხედავთ მათში ადამიანებს, რომლებიც ემორჩილებიან ცთომილებათა, ვხედავთ არა სრულს ადამიანებს, რომელთა ყველაფერში მიბაძვა სახიფათოც იქნებოდა. ძალიან ხშირად დიდ პირთა ნაკლულევანებანი და ბიწიერებანი ისეთს დამოკიდებულებაში არიან მათს ღირსებასა და ძლიერებასთან, როგორშიაც დიდი სხეულები თავის ჩრდილებთან. სამნი მოციქულთა თავნიც კი*) არიან მაგალითები კეთილმსახურებისა და სათნოებისა იმოდენად, რამდენადაც განახორციელებენ თავია-

*) ავტორი გულისხმობს პეტრეს, იოანეს და პავლეს,

ნთში ღვთაებრივ მოძღვრის ხატებას; მხოლოდ ამ განსაზღვრით პავლე მოციქული არწმუნებს სულიერ შვილებს; „მობაძავ ჩემდა იქმენით, ვითარცა მე ქრისტესა.“

რაც ეს დიდებული კაცები იყვნენ რომელიმე ერისა და დროისთვის, ის იყო ქრისტე მთელი კაცობრიობისათვის მისს ღმერთთან დამოკიდებულობაში, მას და მხოლოდ ერთს მას აქვს უფლება იწოდებოდეს ყველასთვის მისაბაძ მაგალითად ყველაფერში. ამიტომ მას სამართლიანად შეეძლო მიეწოდებია ხალხი სოფლის ამაობისგან და ებრძანებია მისთვის დაეტოვა ყველაფერი და შესდგომოდა მას. იგი არ შეზღუდულა არც დროით, არც სკოლით, არც ხალხისნობით, არც სექტით და არც ეროვნობით. მართალია იყო ებრაელი ხორციელად, ეცვა ებრაელ რაბინის სამოსელი და აკრა ბერძნის ფილოსოფოსისა, უეჭველია უფრო ებრაულ ჩვეულებებს ეწყობოდა; მაგრამ ეს წარმოადგენს მის გარეგან მხარეს. როცა ჩვენ განვიხილავთ მის შინაგან კაც — ქრისტეს, მის აზრებს და მოქმედებას, მაშინ ვპოვებთ, რომ მასში მათ აქვთ საყოველთაო მნიშვნელობა და ფასი. შეუძლებელია მასში ვპოვოთ რაიმე ურიული, რაიმე განსაკუთრებითი და რაიმე საძაგელი. განსაკუთრებული და ეროვნული რაიმე მასში ყოველთვის სრული წესიერებით ემორჩილებოდა საყოველთაოს და კაცობრივს. უფრო ნაკლები ნება გვაქვს მივაკუთნოთ იგი რომელსამე პარტიას ან სექტას. ერთნაირად შორს იდგა იგი ფარისეველთა სასტიკ ფორმალიზმისაგან, სადუკეველთა აღვირ წაყრილ ლიბერალიზმისაგან და ესენველთა კვიეტისტურ მისტიციზმისგან*). იგი მაღლა იდგა თავის ხალხის და ერის ცრუმორწმუნოებაზე, ამაღლებული იყო ყველა იმ ძალებზე, რომლებსაც ყველა სხვა შემთხვევაში გავლენა ჰქონდათ თვით თავისუფალ და ძლიერ კაცებზედაც კი.

გავიხსენოთ თავისუფლება ქრისტესი შაბათის დაცვის საქმეში, თავისუფლება, რომელმაც დიდად შეაშფოთა მეწ-

*) კვიეტიზმი — მოსვენება სულისა, უმოქმედობა.

ვრიცომანე მწიგნობრები, მაშინ როდესაც ის იყო უფალი შაბათისა, ასრულებდა სჯულის ჭეშმარიტ აზრს და სულს მისი საყოველთო და სამარადისო მნიშვნელობით. გავიხსენოთ პასუხი, რომელიც მან მისცა მოწაფეებს, რომლებმაც ბრმის უბედურობა მიაწერეს თვით ბრმის ან მის მშობლების სიცოდვეს. გავიხსენოთ გულახდილი და კეთილშობლიური მოქცევა მისი სამარიტელებთან და შევადაროთ ის ურიების სიძულილს და ეჭვიანობას მათ შესახებ, რისგანაც თვით მოციქულებიც კი არ იყვნენ თავისუფალნი. დასასრულ, გავიხსენოთ მისი სიყვარულით სავსე მსჯავრი იმ გალილველთა შესახებ, რომელთა სისხლი პილატემ შეურია მათს მსხვერპლებში და იმ თვრამეტ კაცზე, რომლებსაც დაეცა სილოამის გოდოლი და მოიყოლა ნანგრევებ ქვეშ (ლუკ. 13,1-4). „ეგრედ გგონიეს, ვითარმედ გალილეველნი ესე უფროს ყოველთა გალილეველთა იყვნეს ცოდვილ, რამეთუ ესე ვითარი ევნო მათ? გეტყვ თქვენ: არა; არამედ უკეთუ არა შეინანოთ, ეგრეთვე სახედ ყოველნი წარწყმდეთ; ანუ იგი რომელთა თვრამეტთა ზედა სილოამს გოდოლი დაეცა და მოსწყვიდნა იგინი, ჰგონებთ, ვითარმედ იგინი ხოლო თანამდებ იყვნეს უფროს ყოველთა კაცთა, რომელნი მკვიდრ არიან იერუსალიმს? გეტყვით თქვენ: არა; არამედ უკეთუ არა შეინანოთ ყოველნივე ეგრეთ წარწყმდეთ“. ქრისტე რომ ხალხური ცრუმორწმუნოებისაგან თავისუფალი არ ყოფილა, ამის დასამტკიცებლად რაციონალისტები შესაძლებლად სცნობენ წამოაყენონ ის გარემოება; რომ ქრისტეს სწამდა ეშმაკის და ბოროტი სულის არსებობა. ვთქვათ, რომ მათ სურთ ასეთი რწმენა უგუნურებად ჩათვალონ, მაგრამ ყოველდღიური დაკვირვება არღვევს მათს აზრს: მაშინ როცა ისინი თავისუფლდებიან ეშმაკისაგან, იმავე დროს მათ არ შეუძლიათ უარჰყონ არსებობა მრავალ ეშმაკთა ადამიანის სახით და უფრო უნდა დაიბნენ მსჯელობაში, მისთვის რომ უმეტესი უგუნურებაა გწამდეს არსებობა გამძლე არეულ-დარეულ ხალხთა ტრტვინვისა და დამამხობელ

პრინციპებისა, ვიდრე გწამდეს მოწყობილი სამეფო ბოროტ სულთა მათი უფროსის მეთაურობით.

როგორც პირამიდები ამაღლებული არიან ეგვიპტის ტრიალ მინდვრებზე, ისე ქრისტე ამაღლებულია ყველა კაცობრივ მოძღვრებზე, სულის მდებლებზე. იგი, რენანის სიტყვით, არის „კაცი ერთი უდიდესთაგანი.“ ჩვენ კი შეგვიძლია უფრო სწორედ ვთქვათ: „სრულიად—შეუდარებელი.“ იგი ჰპოებდა მოწაფეებს და თაყვანის მცემლებს ურიებში, თუმცა არ ეკუთვნოდა არც ერთს ურიათა სექტას და არ იყო გატაცებული ურული გარდმოცემით; ის ჰპოებდა თვის ღვთაებრიობის აღმსარებლებს ბერძენთა შორის, თუმცა არ უქადაგნია არავითარი ახალი ფილოსოფიური სისტემა, რომაელთა შორის, თუმცა არც ერთი ომი არ გადაუხდია და არავითარი სამეფო არ დაუარსებია, ინდოელებთა შორის, რომლებსაც სძულდათ ყველა დაბალი თეხუმის კაცები; აფრიკის ზანგ ველურთა შორის და ამერიკელ წითელ კანიანთა შორის—ისეთივე წარმატებით და ადვილად, როგორც ახალი დროის ყველა განათლებული ქვეყნების ერებში. ყველა მისი სიტყვები და საქმეები, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის რაიმე შემთხვევით იყვნენ გამოწვეულნი, შეიცავენ უცვალებელს, მოუკლებელს ძალას და შეეფერებიან ყველა დროს და ერს. ქრისტე—ეს ერთი და იგივე შეუდარებელი და უებრო ხატია ყოველივე სათნოსებისა, ყველა დროის ქრისტიანეთათვის, ყველა ნაირ ჰავისა, ყველა ეროვნებისა და ხალხისთვის.

თავი მეორე.

გარდასაულა ეკლესია ქრისტეში ყველა სათნოებათა.

დიდი შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ იმისთანა ხასიათს, რომლის განხილვასაც ჩვენ ვადგივართ, შეიძლებოდეს მიეცეს კმასაყოფელი სავსება მის სათნოებათა ჩამოთვლით.

ქრისტეს ხასიათში ჩვენ ვპოებთ არა მარტო სავსებას, არამედ უფრო მეტს: ჩვენ ვპოებთ იმაში ყველა სათნოებათა მშვენიერ შეზომილებას და სრულ გარმონიას, რითაც ქრისტე საკუთრად განირჩევა ყოველ სხვა კაცთაგან. ეს თვისება აგვირგვინებს სიწმიდის და დიდების მაღალს სურათს, რომელიც წარმოუდგება ჩვენს დაკვირვებას. ეს თვისება განსაკუთრებული ძალით აკვირვებდა ყველა შესანიშნავ ადამიანებს, რომლებსაც კი ოდესმე უწერიათ ამ საგანზე.

ქრისტე თავისუფალი იყო ყოველივე ცალმხრივობისგან, რომელიც გამოაჩენს ხოლმე ძლიერებას და სისუსტეს დიდი კაცებისას. იგი არ იყო კაცი რომელიმე **ერთი** გაბატონებული იდეისა, ან სათნოებისა. მისი ზნეობრივი ძალები ისე კარგა იყვნენ შეზომილ-შეწონილნი ერთმანეთთან, რომ არც ერთი მათგანი განსაკუთრებული ძალით არ აღემატებოდა მეორეს, არც ერთი არ ქცეულა უკიდურესობად, არც ერთი არ დასუსტებულა და არ დაუკლია სხვათა ნაკლებობის გამო. თითეული ძალა იზღუდებოდა წინააღმდეგის სიდიადით და ამიტომ ყოველი მათგანი თავისუფალი იყო უკიდურესობისგან. ქრისტეს ხასიათს არასოდეს არ დაუკარგავს ზომიერება და თანასწორობა და ამიტომ არასოდეს არ ყოფილა უთანასწორო: ის იყო სრულიად და მუდამ ერთი და იგივე, თავიდან ბოლომდე.

ქრისტეს ტემპერამენტზე არაფერი არ ითქმის კმასაყოფელად. ის არ იყო სისხლმოჭარბებული, როგორც პეტრე, არც მრისხანე, როგორც პავლე, არც სევდიანი, როგორც იოანე, არც გულ-გრილი, როგორადაც ხანდახან, თუმცა კი უსამართლოდ, სთვლიან იაკობს; არამედ ქრისტეს ტემპერამენტში შეერთებულიყვენ სიმკვირცხლე და შთაბეჭდილოვნება სისხლმოჭარბებულისა, მაგრამ მოკლებული კი მსუბუქ აზროვნებას, ძალა მრისხანისა (холерикъ), მაგრამ თავისუფალი ანჩხლობისგან, სიმტკიცე და დარბაისლობა, მოკლებული

სევდიანის ბნელს გულპილწობას, მყუდროება მოკლებული გულგრილობის მკონარეობას.

ქრისტე ერთნაირად შორს სდგას ლეგალისტის, პიეტისტის, ასკეტის და ენტუზიაზისტის უკიდურესობათაგან. თუმცა ის კანონს სასტიკად ემორჩილებოდა, მაგრამ თავისუფლებას კი არ ჰკარგავდა. აღტაცებაშიაც კი ის მუდამ იყო დარბაისელი, ფხიზელი, მოკრძალე და ყოველთვის თავდაჭერილი. თუმც ის სრულიად აღმატებული იყო ამ სოფლის საგნებზე, მაგრამ მაინც თავისუფლად, ძალა-დაუტანებლად და გულ-ღიად იქცეოდა ხალხთა შორის, დედაკაცთა შორის, მამა კაცთა შორის, სჭამდა მეზვერეთა და ცოდვილთა შორის, მონაწილეობას ღებულობდა მხიარულ ქორწილში, ცრემლებს ღვრიდა მეგობრის საფლავზე, სტკბებოდა ღვთის საქმეებით ბუნებაში, ეტრფოდა შროშანა ყვავილის სილამაზეს და სასოფლო მეურნეობიდან ამოღებულ მაგალითებით სარგებლობდა ღვთის სასუფევლის უმაღლეს ჭეშმარიტებათა განსამარტავად. მისი სათნოება ფხიზელია, მტკიცე და ძლიერი, და ამასთანავე, გულკეთილი, თავაზიანი და ჭეშმარიტად კაცობრივი; ის არასოდეს არ ყოფილა ბნელი და შესაზარი და ყოველთვის თანამგრძნობი იყო უმანკო სიხარულისა და მხიარულებისა. იგი, ყოვლად უბიწო და უწმიდესი, ქორწილში წყალს ღვინოდ ქმნის, უძღებ შვილს ნებას აძლევს შევიდეს მამის სახლში და მონაწილეობა მიიღოს მამის სიხარულში და მასთან ერთად სჭამოს ზვარაკი ჭამებული, და იწვევს თავის მოწინააღმდეგეთა შორის გულის მომწყვლელ საყვედურებს, რომ ის „მჭამელი“ და „მსმელია“.

მისი შური არასოდეს არ ქცეულა ვნებად ან განძვინებად, მისი სიმტკიცე არ გამხდარა ჯიუტობად, მისი შემწყნარებლობა არ ქცეულა ნამეტან სანტიმენტალობად, მისმა თავისუფალმა გრძნობამ არა იცოდა რა გულგრილობისა და უთვისობისა, მისმა ღირსებამ არ იცოდა ამაყობა და მზვაობრობა, მისი მოწყალება და გულ ახდილობა შორს იყვნენ უადგილო და უმართებულო ნდობისაგან, მისი თავდადებუ-

ლობა უცხო იყო დრტვინვისაგან, მის ზომიერებასა და მოკრძალებაში არ იყო თავის მოკვდინება. ის აერთებდა ყრმის უმანკოებას ვაჟკაცის ღირსებასთან, ყოვლის შემცველ ღვთიურ შურს კაცთა ბედნიერებაში დაუღალავ მონაწილეობასთან; იგი აერთებდა ნაზ სიყვარულს ცოდვილთადმი ულმობელ სისასტიკესთან ცოდვისადმი, ბრძანებითს ღირსებას მიმზიდველ სიმდაბლესთან და მიუდგომლობასთან, სულის შეუშინებელ მხნეობას ბრძნულ წინდახედულობასთან, მოუდრეკელ სიმტკიცეს განსაცვიფრებელ სირბილესთან და სიწყნარესთან.

სამართლიანად ადარებენ ქრისტეს ძალას ლომის ძალასთან და სიმშვიდეს კრავის სიმშვიდესთან; მას ჰქონდა ერთნაირად სიბრძნე გველისა და უმანკოება ტრედისა. მან აღამაღლა მახვილი ყოველნაირ ბოროტების წინააღმდეგ და მოიტანა ქვეყანაზე მშვიდობა, რომლის მიცემა არ შეეძლო ქვეყანას. ის იყო ფრიად მომქმედი, მაგრამ წყნარი და მომთმინე მამხილებელი კაცობრიობისა. ის მოვიდა ქვეყნად აღსასრულებლად სჯულის თითეული ასოისა, მაგრამ ყოველსავეს ახლად იქმოდა. იგივე ხელი, რომელი სდევნიდა ტაძრიდან ბრიყვ ვაჭრებს, კურთხევას აძლევდა ბრმებს, ჰკურნებდა კეთროვანებს, იცავდა დანთქმისაგან მოწაფეს. იგივე ყური, რომელსაც ესმოდა ზეციდან ხმა სათნოყოფისა, განხმული იყო ქანანელი ქალის გოდების მოსასმენად; იგივე ბაგენი, რომლებიც საშინელ „ვაის“ უქადიდენ ორგულებს, და ბინძურ გაუმაძღრობას და შეუბრალებელ აზრს განიკითხვიდენ, როგორც აშკარა დანაშაულს, აქებდენ სულის მაცხოვნებელ სიგლახაკეს, მეძავ დედაკაცს უცხადებდენ ცოდვათა მიტევებას და ლოცულობდენ თავის მკვლელთათვის; იგივე თვალები, რომლებიც იკვლევდენ ღვთის საიდუმლოებს და იხედებოდენ ადამიანთა გულში, აფრქვევდენ გულშემატკივრობის ცრემლებს იერუსალიმის უმადურობაზე და მეგობრულს ლაზარეს საფლავზე.

რასაკვირველია, ესყველა ერთმანეთის მოპირდაპირე ხაზებია ხასიათისა და არა მოწინააღმდეგე, მსგავსად ღვთის ძლიერებისა და სახიერებისა, რომლებიც თანაბარად მოსჩანან ქარიშხალშიაც

მზის სხივებშიაც, ცამდინ აზიდულს ალპებშიაც, მინდვრის ყვავილებშიაც, უსაზღვრო ოკეანეშიაც და დილის ნამის წვეთებშიაც. პირდაპირობანი გარკვევით შეიძლება განყოფილ იქმნენ ჩვეულებრივ ადამიანში, მაგრამ ქრისტეში, რომელიც საყოველთაო მაგალითია, ისინი გარმონიულად არიან შეერთებულნი.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე.

ცხოვრება ქრისტესსა.

როგორც ყველა მაღალი და მოქმედი სათნოებანი გვხვდებიან იესოში, აგრეთვე იგი იპყრობდა თვის შორის ხორციელ, პასსიურ სათნოებებსაც; მან დაგვიტოვა უდიდესი მაგალითი ჭეშმარიტი მოწამეობისა.

არც ერთს ხასიათს არ შეუძლია მიაღწიოს სისრულეს უბრძოლველად და კეთილშობილური სიკვდილი არის გვირგვინი კეთილშობილური ცხოვრებისა. ინგლისის პარლამენტში ერთხელ ედმონდ ბურკემ უთხრა ფოკუსს: „სიცბილი და შეურაცხება აუცილებელი საჭირო ნაწილები არიან ყოველი ჭეშმარიტი დიდებისა, ცილის წამება და ძვირის თქმა არსებითად ეკუთნიან გამარჯვებას“. ძველ ბერძნებს და რომაელებს აკვირვებდა პატიოსანი კაცის ბრძოლა უბედურებასა და განსაცდელთან, როგორც ღმერთების საკადრისი სანახაობა. პლატონი აღწერს მართალს, როგორც იმისთანა კაცს, რომელიც არ იქმს არაფერ უსამართლობას, მაგრამ აქვს შეხედულობა უდიდესი უსამართლობისა, რომელიც თავისს სიმართლეს ამტკიცებს სიკვდილამდე მტკიცე მოთმინებით, მიუხედავად ყველა ცილისწამებისა და ძვირის ხსენებისა; სახელდობრ მან თქვა: „როცა ამგვარი მართალი კაცი ოდესმე გამოჩნდება ქვეყანაზე, მას სცემენ, აწვალებენ, შებორკვენ მოუსპობენ მხედველობას და, შემდეგ ყოველგვარ ჭირდვა-დაცინვის დათმენისა, მას მიამსჭვალავენ სვეტზე“

არაა გასაკვირვალი, რომ წმ. მამანი და ახალი დროის ღვთის-მეტყველნი ამ შესანიშნავს სიტყვებში მსგავსებას ჰპოებენ ისაიას წინასწარმეტყველების 53 თავსა და წარმართთა ბრძენის წინასწარმეტყველების შორის ქრისტეს ვნებათა შესახებ.

მაგრამ ეს განყენებული იდეალი ფილოსოფოსისა, რავ-დენად დაშორებულია იმ სინამდვილეზე, რომელიც გამოჩნდა სამი საუკუნის შემდეგ! ამ ქვეყნის დიდი კაცები, რომლებიც ხელის შემწყობ და აღმაფრთოვანებელ გარემოებათა გამო თავის თავზე მეტად და ამაღლებულად სჩანან, რომ-ლებიც თვალს ამაყად უსწორებენ მათზე უდიდესად აღმატებულს ძალას, როგორ ხშირად ჰკარგვენ გამძლე-ობას ყოველდღიურ ცხოვრებაში და მოთმინებას ჰკარ-გავენ, შეხვდებიან თუ არა სულ მცირე დაბრკოლებას! გავიხსენოთ მხოლოდ ნაპოლეონი ძლევამოსილ ლეგიონთა სა-თავეში, მპყრობელი იმპერიის საჭისა და წარმოვიდგინოთ იგივე ნაპალეონი ვატერლოოსთან დამარცხების შემდეგ და წმ. ელე-ნეს კუნძულზე. უმაღლესი ფორმა პასიური სათნოებისა, რო-მელსაც მიაღწია უწინდელმა წარმათობამ ან ახალმა საერო გმირობამ, არის ფორმა სტოიციზმისა, რომელიც იბრძვის ცხოვრების წინააღმდეგ და უმაგრდება, მის გაჭირვება-უბედურო-ბას, მზვაობარი ზიზღით და უგრძნობელი გულგრილობით, რომელიც უარყოფს შთაბეჭდილებათა მიღებას; და ამ გვარად, სტოიციზმი წარმოადგენს მხოლოდ თავმოყვარეობის და ამა-ყობის სხვანაირს ფორმას.

სულ სხვა უსაზღვრო მაღალი მაგალითი მოგვცა ქრი-სტემ თავისი მოძღვრებით, მაგალითი, რომელიც უცხო იყო მისს მოსვლამდე და მისი მოსვლის შემდეგ, მაგალითი, რომელსაც სუსტად ბაძვენ თვით ქრისტეს მიმდევარნიც კი. ქრისტემ სრუ-ლიად დაამხო ძველი ზნეობითი ფილოსოფია და დაარწმუნა ქვეყანა, რომ ყოვლის მიმტევებლი სიყვარული, სიწმიდე და სიმშვიდე, წყნარი უდრტვინველი მოთმინება გაჭირვებაში და სიამოვნებით მორჩილება ღვთის წმიდა ნებისა არიან გვირგვი-

ნი ზნეობრივი სიდიადისა. „დაღათუ შვიდ გზის დღესა შინა შეგცოდოს ძმამან შენმან და შვიდ გზის მოაქციოს და გრქვას შენ, შევინანე: მიუტოვე მას.“ (ლუკა 17, 4.) „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი და აკურთხევდით მაწყევართა თქვენთა, და კეთილს უყოფდით მოძულეთა თქვენთა, ლოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობენ თქვენ“ (მათ 5, 44). ჭეშმარიტად მაღალია ეს მოძღვრება, მაგრამ უფრო მაღალია და კეთილმოქმედი ამ მოძღვრების საქმით განხორციელება ცხოვრებაში.

სათნოება ქრისტესი არ განისაზღვრება მხოლოდ მისი საზოგადო მსახურების უკანასკნელი ამბებით. როგორც საზოგადოდ კაცის ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე შეზღუდულია, განსაცდელით, ზრუნვით და დაბრკოლებებით რომლებიც, როგორც აღმზრდელი საშვალებანი ავითარებენ მისს ნიჭს და ავარჯიშებენ ძალას, ეგრეთვე იყო ქრისტეს ცხოვრებაშიაც. მთელ თავის დამცირებულ მდგომარეობაში ის იყო ტკივილსა და წყლულებასა შინა (ისაია 53, 4) და მრავალი დაითმინა ცოდვილთაგან (ებრ. 12, 3); იგი იყო ღარიბი, ითმენდა შიმშილს და დაღლილობას; იგი გამოიცადა ეშმაკისგან; მისი ცხოვრების გზა დაფენილი იყო საჩინო და უძლეველი დაბრკოლებებით სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. მისი სიტყვები და სასწაულები იწვევდნენ ცხადს სიძულილს ქვეყნისას,—სიძულილს, რომელიც დასრულდა მისი მოკვლით; ფარისეველნი და სადუკეველნი წინააღუდგნენ მას თავისი უნიადაგო შურით და გმობით: ისინი უარყოფდენ და ამახინჯებდენ მისს მოძღვრებას, აძლევდენ მას მზაკვრულ კითხვებს, უწოდებდენ მას „მჭამელად“ და „მსმელად“ რადგანაც იგი სჭამდა და სვამდა სხვებთან და არა მათთან; უწოდებდენ მას მეზვერთა და ცოდვილთა თანამოზიარედ მისი მათდამი მოწყალე სიყვარულის გამო, შაბათის შეურაცხმყოფელად, რადგანაც ის შაბათს კეთილ საქმეს იქმოდა, სწამებდენ მას სულელობას და ღვთის გმობას, რადგანაც იგი ამტკიცებდა თვის ერთობას მამასთან, მისს სასწაულებს ბოროტი სულების მთავრის ბელზემბულის

ᲫᲐᲚᲐᲡ ᲐᲬᲔᲠᲓᲜᲔᲜ. ᲑᲠᲑᲝ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲙᲘ ᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲪᲘᲪᲠᲫᲜᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ, ᲖᲘᲖᲚᲘᲗ ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲖᲔ. ᲛᲐᲛᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲣᲐᲠᲡ ᲧᲝᲤᲓᲔᲜ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ. ᲛᲘᲡᲡ ᲫᲛᲔᲑᲡᲐᲪ ᲙᲘ, ᲕᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲗ ᲩᲕᲔᲜ, ᲐᲠᲐ ᲡᲬᲐᲛᲓᲐᲗ ᲠᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲣᲠ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲣᲗᲛᲔᲜᲔᲚ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ ᲙᲘᲪᲮᲐᲕᲓᲔᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘᲡ ᲣᲐᲜᲒᲐᲠᲝᲑᲐᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲔᲑᲘ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲦᲠᲛᲐ ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲣᲛᲔᲪᲠᲔᲑᲘᲗ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲠᲣᲚᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲠᲝᲑᲘᲗ, ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲓᲔᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲦᲘᲠᲡᲡ ᲓᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲛᲐᲦᲐᲚᲡ ᲛᲝᲛᲫᲦᲕᲐᲠᲡ.

ᲐᲛᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲣᲛᲐᲢᲝᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲡ ᲢᲐᲜᲯᲕᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲦᲘᲫᲕᲠᲔᲑᲝᲓᲔᲜ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲘ ᲙᲐᲪᲗᲐ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲝᲓᲔᲜ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲜᲐᲑᲘᲯᲖᲔ ᲐᲗᲐᲡᲜᲐᲘᲠᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ. ᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲐᲪᲖᲔ ᲣᲤᲛᲘᲓᲔᲡᲘ, ᲣᲜᲐᲖᲔᲡᲘ ᲙᲔᲗᲘᲚ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲝᲪᲓᲐ ᲐᲗ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲔᲧᲜᲝᲡᲐ ᲓᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘ, ᲐᲔᲢᲐᲜᲐ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲮᲘᲚᲕᲐ ᲪᲝᲓᲕᲘᲡᲐ, ᲔᲡᲛᲘᲜᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲠᲐᲚᲘᲡᲘ ᲒᲝᲓᲔᲑᲐ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲝᲗᲮᲗᲐᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ ᲧᲝᲤᲜᲐ ᲑᲠᲛᲔᲑᲗᲐᲜ, ᲙᲝᲥᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲧᲠᲣᲔᲑᲗᲐᲜ, ᲒᲐᲜᲠᲦᲕᲔᲣᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲔᲨᲛᲐᲙᲔᲣᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲛᲝᲗᲗᲛᲘᲜᲐ ᲔᲡᲝᲓᲔᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ, ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲗᲐᲜ!

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲕᲬᲔᲠᲝᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲜᲔᲑᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲣᲗᲘᲪ ᲙᲘ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲔᲓᲠᲔᲑᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲢᲐᲜᲯᲕᲔᲑᲡ; ᲐᲛᲐᲨᲘᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲓᲘᲐᲓᲔ, ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ: **„ᲐᲚᲕᲘᲕᲡᲔ ᲛᲔ ᲜᲐᲒᲕᲔᲛᲗᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲡ ᲛᲐᲛᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲩᲔᲛᲗᲐᲜᲐ“** (ᲘᲡ. 63, 3). ᲗᲣ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲓᲒᲐᲜᲐᲜ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲤᲐᲕᲘᲡ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ, ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲗ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ

ქრისტე უნდა იდგეს განმარტოებულად თვისი ვნებების მიხედვით. რავდენადაც უფრო უახლოვდება კაცი ზნეობრივ სისრულეს, მით უფრო ღრმავდება მისი შთაბეჭდილება, მით უფრო ნაზდება მისი მგრძნობლობა ცოდვისა და ბოროტებისადმი და მით უმეტეს მწუხარებას გრძნობს ის ამ წამხდარ ქვეყანაზე. არასოდეს არც ერთი კაცი არ ტანჯულა ისე უდანაშაულოდ, უსამართლოდ და ღრმად, როგორც იესო ნაზარეველი. რამდენიმე საათის განმავლობაში ჩვენ წინ ვითარდება ტრაგედია, სავსე საყოველთაო მნიშვნელობით და სარგებლობით (важности), ტრაგედია, რომელშიც შეერთებული არიან ყოველი სახე კაცთა სისუსტისა და ეშმაკური სიბოროტისა, უმადურობისა, ღალატისა, გამცემლობისა, შეურაცხებისა, გინებისა და დაცინვისა, ხორციელი და სულიერი შიშისა და ტანჯვისა, რომელიც თავდება მეტისმეტი სამარცხვინო სიკვდილით, რომელიც კი ეხერხებოდათ ურიებს და წარმართებს, მონის და ბოროტმოქმედის სიკვდილით. ხალხი და მისი მთავრობა შეერთდენ მის წინააღმდეგ, რომელიც მოვიდა მათ ნეტარ საყოფელად. მისნი საკუთარნი მოწაფენი სტოვებენ მას; პეტრემ უარჰყო იგი; იუდამ ეშმაკის შთაგონებით გასცა იგი; ხალხის მმართველებმა სიკვდილი მიუსაჯეს; უკმეხი ჯარის კაცები დასცინიან მას, გამხეცებული ბრბო კი ყვირის: „ჯვარს აცვ, ჯვირს აცვ ეგე“! გათენებამდის აწუხებენ მას, აფრევენ სამსჯავროდან სამსჯავროში, თავზე ადგამენ, ეკლის გვირგვინს, აგინებენ, სცემენ, აფურთხებენ მას პირში და, როგორც დამნაშავეს და მონას, ჯვარზე აკრავენ ორთა ავაზაკთა შორის.

როგორ ეგებებოდა ქრისტე ცხოვრების დიდსა და მცირე განსაცდელს და სიკვდილს ჯვარზე?

გავიხსენოთ პირველად ყოვლისა, რომ ის არა გავდა გულ-ცივა სტოიკებს მათი არა ბუნებრივი და შესაზიზღარი სათნოების სახით, არამედ ჰქონდა უნაზესი გრძნობა და ულრმესი თანაგრძნობა კაცის ყოვლისავე გაჭირვებისა და უბე-

დურობისადმი; გავიხსენოთ მისი ცრემლები, დაღვრილნი მეგობრის საფლავზე და სულიერი ბრძოლის დროს გეთსამანიაში; გავიხსენოთ უკანასკნელად ისიც, თუ როგორ ზრუნავდა იგი უკანასკნელ ჟამს, სიკვდილის წინ თავის დედაზე და მოუმზადა მას თავშესაფარი. მაგრამ ამ კაცობრივ სინაზესთან და მგრძნობელობასთან ის ყოველთვის აერთებდა გამოუთქმელს ღირსებას და სიდიადეს, მაღალს თავდაჭერილობას და დაურღვეველს სულის სიმშვიდეს. მისი ვნებანი ისეთი სიდიადით არიან აღბეჭდილნი, რომ სძლევენ ყოველსავე ჩვენს სიბრალულს და შეწყალების გრძნობას და შეადგენენ მხოლოდ განცვიფრების და მოკრძალებითი თაყვანისცემის საგანს. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვიგრძნოთ ძალა უსამართლოდ ტანჯულის სიტყვებისა, რომლებითაც მან მიმართა იერუსალიმელ დედებს, რომლებიც მოსთქმიდენ მის მწუხარე სვლას გოლგოთაზე: „ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტირთ ჩემზედა, არამედ თავთა თქვენთათვის სტიროდეთ და შვილთა თქვენთა“. იგი სრულიად თავისუფალია სიანჩხლისა და სიფიცხისაგან, თუმცა ის განუწყვეტლად ებრძოდა უწმიდურ სოფელს. მას ცხადად და დაწვლილებით ჰქონდა წარმოდგენილი თავისი ტანჯვა და არა ერთხელ წინასწარ უთქვამს კიდეც მათზე მოციქულთათვის.

მაგრამ ქრისტეს არასოდეს არ უთქვამს საყვედური არასოდეს არ გამოუცხადებია სამდურავი, უკმაყოფილება ან სინანული. ერთ წამსაც არ დაღონებულა, ერთ წამსაც არ დაუკარგავს სულის მხნეობა. არამედ ყოველთვის უსაზღვროდ დარწმუნებული იყო, რომ მისი ზეციერი მამის განგებით ყველაფერი მიმართულია საკეთილოდ. მისი სიმშვიდე ზღვაში ღელვის დროს, როცა მისი მოწაფეები თრთოდენ და ძრწოდენ შიშისაგან, წარმოადგენს მისი სულის ზეციურ მდგომარეობის სახეს. ყოველივეს, რასაც იგი იქმოდა, იქმოდა ღირსებით და ზომიერებით და არა შთაბეჭდილების მოსახდენად; ის არ ეძებდა სოფლის სიამოვნებას, ყოველთვის უცხო რჩე-

ბოდა ამისი მოწონებისგან და უფრო ნაკლებად ეშინოდა მისი მუქარისა. როგორც მზე ლრუბლებს ზემოთ, ისე ის დადიოდა ღვთაებრივი სიწყნარით კაცთა ვნებათა, განსაცდელთა, მღელვარებათა მაღლა და სტოვებდა მათ შორს თავის ფეხქვეშ. ის ყოველთვის აღსავსე იყო სიმშვიდით, თვით სოფლისგან გაყრის ჟამსაც, იმ ბნელს და დიდებულს ღამეში, როცა ის ეუბნებოდა შეშინებულ მოწაფეებს: „მშვიდობასა დაგიტევებ თქვენ, მშვიდობასა ჩემსა მოგცემ თქვენ; ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი, ნუცა ეშინინ“ (იოანე 14, 27). იგი არ იყო ბოროტ-სვიანი, იგი სავსე იყო მუდამ იმ სიყვარულით, რომელიც დაუტოვა მოციქულებს ერთ უმაღლეს ლოცვაში მამისადმი: „ხოლო აწ შენდა მოვალ და ამას ვიტყვი სოფელსა შინა, რათა აქვნდეთ ამათ სიყვარული ჩემი სავსებით“ (იოანე 17, 13). თუმცა სასტიკად ჰკიცხავდა იგი ფარისევლებს, გარნა არაოდეს არ უჩვენებია რომელიმე ცნობილ პირებზე. იგი ყოველთვის ბოროტის ნაცვლად კეთილს მიაგებდა; მან შეუნდო პეტრეს უარყოფა, შეუნდობდა იუდასაც გამცემლობას წრფელი გულით რომ ეთხოვნა შენდობა; ჯვარზედაც კი მხოლოდ უბედურთა შეწყალების სიტყვა ამოდიოდა მისი პირიდან: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არ იციან, რასა იქმიან“. ის არ ეძებდა წამებას და არც აჩქარებდა მას, როგორც ამას შვრებოდენ ბევრი, ეგნატეს მაგალითის მიხედვით, რაც ადვილად გასაგებია კაცში, რომელსაც მოუთმენლად სურს მიიღოს მოწამეობის გვირგვინი, არამედ მშვიდად და მოთმინებით უცდიდა ჟამს, რომელიც იყო დანიშნული ზეციერი მამის ნებით.

ხოლო, როცა დადგა ეს ჟამი, როგორი თავდაჭერით, მოთმინებით, ძალით და სიმშვიდით, დიადობით და მორჩილებით განვლო მან წყვდიადი განსაცდელისა! ის, ტყვე პილატეს წინაშე, რომის მთავრობის წარმომადგენელისა, თავის თავს ჭეშმარიტების მეუფედ აცხადებს და შიშის ზარს სცემს თვით-

დამი რომის მოადგილეს (იონე 18, 37; მათე 27, 19-27). დანაშაულში ბრალდებული, მდგომარე მღვდელმთავრის ტახტის წინაშე, იგი ელაპარაკება მას იმ ღირსებით, რომელიც შეშვენის ქვეყნის გამკითხველს (მათე, 26, 64). სიკვდილთან ბრძოლის დროს ჯვარზე მონანულ ავაზაკს ადგილს აძლევს სამოთხეში (ლ. 23, 43). ყოველივე სიტყვა და აზრი ქრისტეს ვნებათა ისტორიაში აღბეჭდილია გამოუთქმელი მრავალმნიშვნელობით, დაწყებული სულიერი ბრძოლიდან გეთსამანიაში, ვიდრე ძლევამოსილ ღაღადებამდე ჯვარზე: „აღესრულა!“ მისი დუმილი სამსჯავროსა და ბრბოს წინაშე, როცა იგი“ ვითარცა ტარიგი წინაშე მრისველისა მისისა არა აღაღებდა პირსა თვისსა“, უფრო დამარწმუნებელია, ვიდრე სხვა რომელიმე თავის დასაცველად წარმოთქმული სიტყვა. ტყვილად დავიწყებთ ჩვენ ამისი მსგავსის რისამე ძიებას ძველ და ახალ ბრძენთა ისტორიაში. თვით რუსსო გამოტყდა, რომ „თუ სოკრატი ეწამა და მოკვდა, როგორც **ფილოსოფოსი**, ქრისტე ივნო და მოკვდა, როგორც **ღმერთი**.

რაც უფრო ახლოს ვაკვირდებით ჩვენ ქრისტეს ვნებას, მით უფრო ვგრძნობთ, რომ არ შეიძლება მივამსგავსოთ იგი რომელსამე სხვა ვნებას, უფრო ძლიერ ვრწმუნდებით, რომ მართალი მოკვდა უმართლოთათვის, წმიდა — ცოდვილთათვის და რომ ამ მართალმა თავისი სისხლით განწმინდა დაცემული ქვეყანა ცოდვისაგან. ჩვენ ვგრძნობთ და მოკრძალებით მუხლს ვიდრეკთ დაუსრულებელი სიყვარულის შემარიგებელი და შესაწყალებელი მსხვერპლის წინაშე. მხოლოდ მარტო ის აზრი, რომ ღმერთკაცი, მაცხოვარი სოფლისა თანაუგრძნობს კაცთა ნათესაობას, ცოდვის და სიკვდილის უღელ ქვეშ მოქანცულს, მხოლოდ მარტო ეს იდეა წარმოსდგება ჩვენ წინაშე გამოუთქმელ სიმაღლით და შეიცავს უძლეველ მიმზიდველ ძალას; რაღა უნდა ვთქვათ ახლა ფაქტიურ სინამდვილეზე? ჭეშმარიტად ეს არის

საიდუმლო, ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენი და გასაგები, რომელსაც უეჭველად აქვს ღვთიური და ზეციური ჩამომავლობა და თვისება, საიდუმლო იმოდენად კეთილის მყოფელი და ნაყოფიერი თავის შედეგებით, რომ თავი და გული მოკრძალებით იხრებიან მას წინაშე და იხრებიან მადლობით და სიხარულით. არა იპოვება რა მსგავსი ქრისტეს ვნებათა და ჯვარცმისა. ისინი განმარტოებით სდგანან თავისი დიდებით და ისეთნივე დარჩებიან, როგორიც იყვნენ თვრამეტი საუკუნის წინ: ეს არის საღვთო საგანი აზროვნებისა, უმაღლესი მაგალითი ტანჯული სათნოებისა. დიდებული საჭურველი ცოდვისა და ეშმაკის წინაღმდეგ, უღრმესი წყარო ნუგეშინისცემისა უკეთეს და უკეთილშობილეს კაცთათვის.

დოქტორი ფილოსოფიისა ე. დენნერტი.

ქრისტე და ბუნებისმეტყველება.

შესავალი.

„თანამედროვე ბუნებისმეტყველება, რაც უნდა პარადოქსალურად გვეჩვენოს ეს ამბავი, თვისი წარმოშობით ქრისტიანობას უნდა უმადლიდეს“.

დიუ-ბუა-რეიმონდი.

მთელი კაცობრიობის ხელები ზეცისაკენ აპყრობილია. მათ გულს სწყურია სინათლე, მშვიდობიანობა და სულიერი თანასწორობა, მაგრამ ვიკითხოთ: სად დაეძებენ ყველა ამათ ისინი? შეუძლია ასეთი მშვიდობიანობა მოგვცეს გრძნობითმა სიტკბოებამ, მეცნიერებამ და ხელოვნებამ? ოჰ, თქვენ, გულით ფიცხელნო, თქვენი მსგავსნი ყოველთვის იყვნენ; იყვნენ ადამიანე-

ბი, რომელნიც ბედნიერებას იქ დაეძებდენ, სადაც თქვენ, მაგრამ ვერ პოულობდენ მას. მაგრამ ისეთი ადამიანებიც იყვნენ, რომელნიც პოულობდენ სასურველ ბედნიერებას და სულიერ წიმშვიდეს. ვისგან მიიღეს მათ ეს? ასეთი ბედნიერება და მშვიდობიანობა მათ იმ გალილეველ ღმერთ-კაცისაგან მიიღეს, რომელმაც ისეთი დიდმნიშვნელოვანი სიტყვები წარმოსთქვა, რომლის მზგავსი არავის არასოდეს არ წარმოუთქვამს: „მე **ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება**“.

თქვენც მას მიმართეთ, მშიერნო და მწყურვალნო, და მასში ჰპოვებთ სულის ძალას.

როგორ?! ახლაც კიდევ?!.. თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ მეოცე საუკუნეში—მეცნიერების წინსვლის და მსოფლიოს შესწავლის საუკუნის შვილები—ბავშვურ ზღაპრებს ვერწმუნებით? ქრისტე ხომ ყურადღებას არ აქცევდა არავითარ ადამიანურ ლტოლვილებას და ზიზღით იხსენიებდა ბუნებასაც. ახლანდელ დროში ქრისტეს მოძღვრება ცოტად თუ ბევრად არა რაციონალურად გვეჩვენება, მეტადრე ისეთ დროს, როცა საბუნებისმეტყველო მეცნიერების და გონიერ აზროვნების გაფურჩქნა-აყვავების დროა. ჩვენი დროის მეცნიერება მსოფლიოს სულ სხვა სურათს გვიხატავს. რის გულისთვის უნდა შევიწუხოთ თავი ისეთი ადამიანის მოძღვრებით რომელიც გაჟღენთილია ძველებურ აზრებით, რომელსაც ბუნება უწმინდურად ეჩვენება და მუდამ ცოდვად მიაჩნია ის, რაიცა ნამდვილად კი ადამიანურ ცხოვრების ბუნებრივი მოვლენაა.

ახლანდელ დროში ყოველგან შეგიძლიათ გაიგონოთ მსგავსი მსჯელობა. ასეთ მსჯელობის ადამიანს თავი ჭკვიანად მიაჩნია. მაგრამ რამდენი შეცდომაა მაინც ასეთ მსჯელობაში! დიდათ საწყენია, რომ არიან ასეთი მსუბუქად მოაზრე ადამიანები. მაგრამ მათ ჭეშმარიტების სიყვარულით არასოდეს არ წაუკითხავთ ის ნაწერები, რომელნიც იმ ღმერთ-კაცზე მოწმობენ, ვის შესახებაც ასე მსუბუქად მსჯელობენ.

თანამედროვე ადამიანი რომ ქრისტეს დაუახლოვოთ, ამისთვის პირველ ყოვლისა საჭიროა თავიდან მოვიშოროთ ის უსაფუძვლო აზრები, რომლებსაც მაგრად გაუდგამთ ფესვები ჩვენს გულში.

მეცნიერების აყვავების ხანაში შეიძლება, თუ არა ქრისტეს პიროვნებას უარყოფით უცქიროთ, იმიტომ რომ მის სიტყვებში და იგავებში არ არის ლაპარაკი მისი ბუნებისმეტყველების ცოდნის შესახებ?

ქრისტეს ნამდვილ პიროვნების დასასურათებლად ასეთ კითხვას დიდი მნიშვნელობა აქვს. ქვევით ჩვენ ვეცდებით ამ კითხვას პასუხი გავსცეთ. ჯერ კი ასეთ კითხვას დავსვამთ: როგორი იყო ქრისტეს შეხედულება ბუნებასა და ბუნებისმეტყველებაზე?

I.

პირველ ყოვლისა საჭიროა ცოტა შესწორება შევიტანოთ ზემოთ დასმულ კითხვაში. ბუნებისმეტყველება მეცნიერების შვილია. ის სხვა მეცნიერებათა რიგში ჩაირიცხა საშუალო საუკუნოების დასასრულს, და ამიტომ მისი თქმა, რომ იესო ქრისტეს არ ესმოდა ბუნებისმეტყველება ან და მას ზიზღით იხსენიებდა, ყოვლად უსაფუძვლოა. შეუძლებელია ზიზღით მოხსენება მისი, რაც არ ყოფილა. თუ მეცნიერების შესახებ ვილაპარაკებთ, საკითხის ასე დასმას კიდევ აზრი აქვს. თუ ქრისტეს ბუნებაზე შეხედულება გვექნება სახეში, მაშინ ასეთი კითხვა შეიძლება დავსვათ: შესაძლებელია თუ არა თანამედროვე ადამიანმა, რომელიც თვის საუკუნის მოთხოვნილების თანახმად განათლების მაღალ წერტილზე სდგას, მიიღოს ქრისტეს ბუნებაზე შეხედულება? აგრეთვე შეიძლება დაისვას საკითხი: ქრისტეს მსოფლმხედველობა ისეთი იყო, რომ ხელი შეუწყო ბუნებისმეტყველების განვითარების დაბრკოლებას? თავის თავად ცხადია, რომ მეცნიერების რომელიმე საგანზე შეხედულებას, ამ შემთხვევაში ბუნების შესახებ, შეუძლია დროებით

შეაჩეროს მისი განვითარება. მსგავსი დებულება ყოველ ეჭვს გარეშეა და გამართლებას კი მეცნიერების განვითარების ისტორიაში ჰპოებს. ზოგიერთების შეხედულებით მეცნიერების წინსვლის შეჩერების მიზეზი საშუალო საუკუნოების ხანაში ქრისტიანობის და ქრისტიანულ მსოფლმხედველობის ბრალია, მაგრამ ეს განა ასეა?

ყოველ შემთხვევაში ის მართალია, რომ საშუალო საუკუნოები ხელს არ უწყობდა მეცნიერულ პროგრესს. მართალი რომ ვსთქვათ, საშუალო საუკუნოებს მეცნიერებისთვის მნიშვნელობა იმდენად ჰქონდა, რამდენადაც მან ახალ დროს ძველი ქვეყნის ცნებანი გადმოსცა. მისი საკუთარი შემოქმედებითი ძალა მეცნიერების განვითარების საქმეში ძლიერ მცირე იყო. და რადგანაც საშუალო საუკუნოებში ქრისტიანობას პირველი ალაგი ეჭირა, აქედან ზოგიერთებს ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ქრისტიანობა და მისი მიმდევარნი დამნაშავენი არიან მეცნიერების პროგრესის შეჩერებაში. ყველაზე უწინ გავარჩიოთ ეს დასკვნა, რადგანაც მას დიდი კავშირი აქვს ჩვენს თემასთან და მასთან ერთად მოვიგონოთ ბუნებისმეტყველების განვითარების ისტორია.

როგორც ზემოთ ვსთქვით, ქრისტიანობის დასაწყისამდე ბუნებისმეტყველებაზე ლაპარაკი არაფერს ემგვანება. ყოველივე, რაც კი შემუშავდა ამ დარგში არისტოტელის სახელის გარშემო ტრიალებდა. არისტოტელის გარდა სხვა მსწავლულნიც იყვნენ, რომელთაც სხვადასხვა თეორიები შეიმუშავეს ბუნების შესახებ; ზოგიერთმა მათგანმა ფიზიკური კანონები აღმოაჩინა (მაგ. არქიმედოსმა); **თალეს მილეთელმა** პირველად იწინასწარმეტყველა მზის დაბნელება; **არისტარქოს სამოსელი** ამტკიცებდა, რომ დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს. მაგრამ სისტემატიურ სწავლას ბუნების შესახებ ჩვენ ვპოულობთ არისტოტელის ფილოსოფიურ სისტემაში. ის მოკვდა 322 წ. ქრისტეს დაბადებამდე.

ქრისტეს დაბადებამდე კაცობრიობას 300 წელიწადი ჰქონდა თავის განკარგულებაში, რომ არისტოტელის თეორიით ესარგებლა და ჭეშმარიტი ბუნებისმეტყველება შეემუშავებია. ამისდა მიუხედავათ არისტოტელის სიკვდილის შემდეგი დრო ისეთი უნაყოფოა მეცნიერულ განვითარებისათვის, როგორც არისტოტელის დაბადებამდე იყო. ამაში, რა თქმა უნდა, ქრისტიანობას არ მიუძღვის არაფერი დანაშაულობა.

რაიცა შეეხება ქრისტეს დაბადების შემდეგ განვლილ საუკუნოებს, ვინც კი დაკვირვებია, უეჭველად შენიშნავდა, რომ არც ქრისტიანებს და არც წარმართებს საშუალო საუკუნოებში არ შეუქმნიათ არავითარი რამე ახალი და ორიგინალური. მათი მუშაობა, როგორც წინეთ, არისტოტელის გარშემო ტრიალებდა.

აქ ერთი პუნქტი დიდ ყურადღებას იპყრობს, ვინაიდგან ჩვენ საკითხთან მჭიდროთაა დაკავშირებული და ამიტომ მის შესახებ გაჩუმება ყოვლად შეუძლებელია. საშუალო საუკუნოებში ბუნებისმეტყველების ადეპტებად ხომ ბერები იყვნენ, ესე იგი ნამდვილი წარმომადგენელნი ახლანდელ გაკიცხულ ქრისტიანობისა.

პირველი საუკუნოები ქრისტეს შემდეგ იყო ხანა, თავგამოდებულ ბრძოლისა რელიგიოზურ და პოლიტიკურ ნიადაგზე აღმოცენებული. ძველი კლასსიკური ქვეყანა სამუდამოთ დაემხო და ისტორიის სამეფოში გადავიდა, დაჰკარგა ძალა და სრულიად გამოუსადეგარი გახდა ბუნებისმეტყველებისთვის ახალი რამე შეეძინა, შეემუშავებია რაიმე ახალი მსოფლმხედველობა.

ხალხთა გადასახლების შემდეგ ანტიური ქვეყანა ისტორიას ჩაბარდა და მათმა მემკვიდრეებმა კი — ბარბაროსებმა ძველი მეცნიერული გამოკვლევანი თავის სასარგებლოდ ვერ მოიხმარეს.

ამის შემდეგაც ქრისტიანული ქვეყანა ისევ ბავშვურ ხანაში იმყოფებოდა და ამიტომ თავისთვის უხდა ეზრუნა და

დროც არა ჰქონდა მეცნიერების და ხელოვნების შესახებ ეფიქრნა. ამ დროს გამოსჩნდებიან შრომის მოყვარე ბერები, რომელთაც იხსნეს ანტიური ქვეყანა საბოლოოდ დავიწყებისაგან. საშუალო საუკუნეების ბანაში ბუნების მეტყველების ჰორიზონტზე არ სჩანს არც ერთი ნათელი ალაგი. ამაში თანაბრად დანაშაულია, როგორც ქრისტიანობა, ისე წარმართობა. რატომ მაინცა და მაინც ქრისტიანობას უნდა მიუძღოდეს ამ საქმეში დანაშაულობა!

საშუალო საუკუნოების დასასრულს გამოსჩნდებიან ისეთი პირები, მაგ., ბაკო, რომელთაც კრიტიკული თვალსაზრისით შეხედეს არისტოტელის სწავლას, რომლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ანტიური ქვეყანა. ჭეშმარიტი ქრისტეს მიმდევარი იყო კოპერნიკი, რომელმაც დედამიწას თვისი ადგილი მიუჩინა სხვა პლანეტთა რიგში. აგრეთვე მორწმუნე ქრისტიანები იყვნენ გალილეი, პარაცელსი და რ. ბოილი.

აბა მიმითითონ მაინც ერთ წარმართის სახელზე, რომელსაც საშუალო საუკუნოებში რაიმე ღვაწლი მიუძღოდეს ბუნებისმეტყველების განვითარებაში.

ამის შემდეგ შეიძლება ვსთქვათ, რომ ქრისტიანობას საშუალო საუკუნოებში დანაშაულობა მიუძღოდეს? რომელი ისტორიკოსი თავს იდებს ასეთი აზრის დასაბუთებას?

ჩამოთვლილი ფაქტები ნათლად ამტკიცებენ მსგავსი ბრალდების უსაფუძვლობას. რასაკვირველია, იყო შემთხვევები, როცა საშუალო საუკუნოების ქრისტიანები ბუნების გამოკვლევას ყურადღების ღირსად არ სთვლიდენ, მაგრამ ეს საზოგადო მოვლენა კი არ ყოფილა. ამიტომ არ შეიძლება ქრისტიანობას ბრალი დავსდოთ მაშინ, როცა ზოგიერთი მისი წევრთაგანი ჭეშმარიტებას შორდებოდა და მრუდე გზით დადიოდა.

რომ საფუძვლიანად უპასუხოთ ქრისტიანობის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებაზე, საჭიროა დაუბრუნდეთ მისი (ქრისტიანობის) წარმოშობის დროს და მიუგოთ ზემოთ დასა-

მულ კითხვაზე, ესე იგი, როგორი იყო შეხედულება ქრისტესი ბუნებაზე? ამისთვის საჭიროა მოკლეთ წარმოვიდგინოთ ბუნებისმეტყველების განვითარების ისტორია. აგრეთვე ყურადღება უნდა მივაქციოთ ქრისტეს ხანამედროვე მსოფლიო ბრძენთა ბუნებაზე შეხედულებასაც, ვინაიდგან ასეთი განხილვა უფრო ნათლად წარმოგვიდგენს ქრისტეს ბუნების მიმართ დამოკიდებულებას.

პირველდაწყებითი ფილოსოფია ბუნების შესახებ სრულიად ბუნებრივი იყო. პირველ ადამიანთა წარმოდგენით ბუნება სიკეთის და ბოროტების მეზობი იყო. ამიტომ ბუნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანის გამოლვიძება-გამოფხიზლებაში. ბუნება და მისი შესწავლა უმთავრესი საგანი იყო პირველ ფილოსოფოსთა, ეგრეთ წოდებულ, იონიელ შკოლისა. უმთავრეს ინტერესს ამ შკოლის წარმომადგენელთათვის ბუნების საიდუმლოებანი შეადგენდენ, რომელთა ახსნას ისინი მიზნად ისახავდენ. მილეთელ თალესის აზრით ადამიანთა წინაპრების წარმოშობის მიზეზი წყალი არის. მისი აზრით წყალი არის საფუძველი ყოველივე არსებისა. მსგავსი შეხედულებისა არიან მსოფლიოზე ანაქსაგორასი და ანაქსიმენესი, ასეთ პირებს ბრძნის სახელწოდებით აჯილდოებდენ მიუხედავად იმისა, რომ მათ თეორიებში ცრუმორწმუნოება და ზღაპრები ერთმანეთში ირეოდენ. ყოველ შემთხვევაში შეიძლება ვსთქვათ, რომ ისინი დაინტერესებულნი იყვნენ ბუნებისმეტყველებით. მილეთელ თალესს მიაწერენ მზის დაბნელების დროს გამოანგარიშების, იმან უკვე იცოდა მაგნიტის მიმზიდველობითი თვისება; ანაქსიმანდროსს შეეძლო გეოგრაფიულ ქარტის დახატვა, ანაქსიმენესმა გამოიანგარიშა ეკლიპტიკის კუთხის დახრილობა: აგრეთვე ბუნებას დიდ ყურადღებას აქცევდენ იონიელ ფილოსოფოსთა მიმდევარნი; ამ მხრივ ყურადღების ღირსია პითაგორის შკოლის წარმომადგენელნი, რომლებიც თვის თეორიებს მათემათიკაზე ამყარებდენ. ასტრონომიის და მუსიკის შესწავლასაც ყურადღებას აქცევდნენ. მზგავსი სწავლით შემ-

დეგ დასკვნამდე მივიდნენ: „არსება არსისა რიცხვი არის". ეს დებულება მათი სწავლის საფუძველი იყო.

კლასიკურ ქვეყნის ფილოსოფოსთა ჩამოთვალა მგონია, რომ საჭირო არ არის, საკმარისია ვსთქვათ, რომ უმთავრეს როლს მათ გამოკვლევაში თამაშობს ბუნების შესწავლა, თუმცა, მართალი რო ვსთქვათ, ისინი ბუნებისმეტყველნი არ ყოფილან ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით; ასეთებია, მაგ., ქსენოფანესი, ჰერაკლიტოსი და სხვ.

თქვენ რო, ბერძნებს გარდა, აიღოთ სხვა რომელიმე ხალხი და მათ ბრძენ წარმომადგენელთა თეორიებს კრიტიკულ თვალით შეხედოთ, დარწმუნდებით, რომ იმათ სწავლაში ერთმანეთში დომხალივით არეულია ცრუმორწმუნოება და ზღაპრები.

ზემოთ ჩვენ ზოგიერთ ჩინებულ ადამიანთა და მათ სწავლათა შესახებ ვლაპარაკობდით. ახლა ურიგო და ინტერეს მოკლებული არ იქნება განვიხილოთ ანტიურ ქვეყნის ხალხთა შეხედულება ბუნებაზე.

პირველ ყოვლისა მივმართოთ ჩინეთის ხალხს. ეს ხალხი ისეთ კულტურას ჰფლობს, რომელიც ძალიან ადრე წარმოიშვა; ჩინელები ასტრონომიულ გამოკვლევებს ახდენდენ 1100 წ. წინეთ ქრისტეს დაბადებამდე, მაგრამ ამისდა მიუხედავათ მათი მეცნიერება ერთ წერტილზე სდგას. რისაგან წარმოსდგება მერე ეს? ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ბუნების გაღმერთების გამო მეცნიერებაში ფეხს იკიდებდა სხვადასხვა ცრუმორწმუნოება და წინდაწინ ყველა ბუნებისმეტყველს განსაზღვრულ ფარგლებში აგდებდა; ბუნებისმეტყველი ვერ ბედავდა მეცნიერულ კრიტიკით შეხებოდა ბუნების მოვლენებს.

ამასვე ვამჩნევთ ინდოელების და მეგიპტელების ისტორიაშიაც. უკანასკნელთ, მაგ., სწამდათ ღმერთების ცხოველებად გარდაქცევა. ცოტად თუ ბევრად შესამჩნევ ღმერთებს, მათი წარმოდგენით, თვითეულ მათგანს განსაკუთრებით,

ჰყავდა განსაზღვრული ცხოველები, რომელთაც მეგიპტელები ისე აღმერთებდენ, როგორც თითონ ღმერთებსა. ასეთი ცხოველების შოკვლა, გინა შეურაცხყოფა საშინელ ბოროტებას უდრიდა.

ამნაირად მეგვიპტელები ჩამოშორდენ ბუნებას. მსგავსი შეხედულების შემდეგ განა მათ შეეძლოთ სისტემატიურად შეესწავლათ ბუნება?

ბაბილონელები, რომელთა კულტურა დღეს განვითარების უმაღლეს წერტილზე ყოფილად მიღებულია, ასტრონომიულ გამოკვლევებს ახდენდენ. მაგრამ ისინი აღმოჩენილ ვარსკლავებს აღმერთებდენ და ამიტომ იმ ცრუმორწმუნოების მამათმთავრად ითვლებიან, რომელიც ასწავლის, რომ ადამიანის ბედ-იღბალი დამოკიდებულია ამ ვარსკვლავთა მსვლელობისაგან. მსგავსი სწავლით ბაბილონელებმა ულალატეს ჭეშმარიტ მეცნიერებას. მაღალი ნიჭით დაჯილდოვებულნი მსოფლიო ცივილიზაციის მატარებელნი — რომაელები და ბერძნები აღმერთებდენ ბუნებას; მათი წარმოდგენით ტყეები და მინდვრები სხვადასხვა ღმერთებით იყო დასახელებული. ზღვაში მეფობდა პოსსეიდონი, მზე ითვლებოდა ჰესტის სასახლედ, ქუხილი — ზევსის ხმად და სხვ...

თავის თავად ცხადია, რომ ასეთი რელიგიის გავლენით დიდათ ბრკოლდებოდა მეცნიერული გამოკვლევა. როგორც კი ბერძენთა შორის გამოჩნდენ პირები, რომელთა მიზანი ბუნებისმეტყველების მეცნიერულად გამოკვლევა იყო, გაბატონებულ რელიგიის — პოლიტეიზმის წარმომადგენელნი ათეისტებად მონათლავდენენ მათ. ნამდვილად კი ისინი თეისტები იყვნენ. მათ იგრძენეს მონოთეისტურ რელიგიის მოახლოვება. მაგ., სოკრატი იძულებული იყო თვისი რელიგიის დასაცავად საწამლავი დაელია. არისტოტელი, მამა ბუნების-მეტყველებისა, სამშობლოს გარეშე მოკვდა, ვინაიდგან მას ღმერთების უარის ყოფა დააბრალეს. არისტარქოსს, რომელიც დედამიწის მზის გარშემო ტრიალს ამტკიცებდა, ბრალი დასდვეს,

რადგანაც მისი სწავლით დედა მიწა მსოფლიო ცენტრს შორდებოდა და მით ჰესტის მშვიდობიანობას არღვევდა.

ასეთ რელიგიოზურ რწმენის, ბუნების მოვლენათა ზერელე დაკვირვების და არევ-დარევის შედეგი ის იყო, რომ რომაელები თვის მოსაზრებებს შეწირულ ცხოველთა და ფრინველთა დაკვირვებაზე ასაფუძვლებდნენ. ამ ნაირად რომაელების რელიგია ცრუმორწმუნოებისაგან შესდგებოდა. ამ ცრუმორწმუნოებისაგან განთავისუფლება ვერც იმ დროის ბრძენმა ადამიანებმა შესძლეს. ერთად ერთი ქრისტეს თანამედროვე, რომელიც შეიძლება ბუნებისმეტყველად აღვიაროთ, სახელდობრ პლინი, შეეცადა შეეგროვებია სხვადასხვა პირთა დაკვირვება და გამოკვლევანი ბუნების მოვლენათა შესახებ; მაგრამ იმანაც ვერ შესძლო ცრუმოწმუნოებისაგან სავსებით განთავისუფლება. დადგა დრო პოლითეიზმი უნდა მოსპობილიყო და მის ალაგას მონოთეიზმი გამეფებულიყო.

როცა ბერძენთა რელიგია საბოლოოდ ეცემოდა, საბერძნეთის გამოჩენილმა შვილებმა ყოველივე ღონე იხმარეს მის დასაცავად, მაგრამ მათი ცდა უსარგებლო გამოდგა. ამის მიზეზი ის იყო, რომ რელიგია და ბუნება ერთმანეთში აურიეს და მით მათი თავისუფლად განვითარება შეზღუდეს.

როგორი დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ ყველა ზემონათქვამიდან? ჩვენ ვხედავთ, რომ ძველი ადამიანები მსოფლიოზე ისეთი წარმოდგენისა იყვნენ, რომელიც თავისთავად უარყოფდა ყოველივე მეცნიერულ გამოკვლევას. უეჭველია, რომ ძირითადი მიზეზი ძველ წარმართ ხალხთა შორის ბუნებისმეტყველების სუსტი განვითარებისა ნატურალურ რელიგიაში იმალება. მათი შეხედულებით ბუნება ღმერთებით იყო დასახლებული. ცხადია, რომ ასეთი რწმენა შიშის ზარსა სცემდა ადამიანს. „წადი, წადი, აქაც ღმერთვბია“—ასეთი ხმები ესმოდა ბუნებისმეტყველებს ყოველ ფეხის გადადგმაზე. მათი წარმოდგენით ყოვლად შეუძლებელი იყო ცოდვილ ხელებით მოქმედება იქ, სადაც ღმერთები იმყოფებოდენ.

საჭირო იყო უკანასკნელად თავიდან მოეშორებიათ ბუნების გალმერთება და მხოლოდ მაშინ შესაძლებელი იქნებოდა თავისუფალ მეცნიერების ხანა დამდგარიყო.

როდის დადგა ასეთი დრო?

II.

ამ კითხვაზე რო მიუგოთ, საჭიროა ვიცოდეთ, როგორი არის ქრისტეს ბუნებაზე შეხედულება.

მიზანი, რომელიც ქრისტემ დაისახა განსახორციელებლად სრულიად არ ემსგავსება ბერძნების ფილოსოფოსთა სწავლას. ქრისტეს მიზანი არ იყო მსოფლიოს საიდუმლოებათა, მათი წარმოშობის და განვითარების, ისტორიის ახსნა. ის სრულიად არაფერს არ ამბობს მეცნიერებასა და პოლიტიკურ კანონებზე. ერთად ერთი — რომელიც მან წარმოსთქვა ამ უკანასკნელ საკითხის შესახებ—ეს მისი ფარისეველთა მიმართ პასუხია: „მიეცით კეისრისა კეისარსა, და ღმრთისა ღმერთისა“.

ქრისტიანულ მოძღვრების საგანი განსაკუთრებით ადამიანის რელიგიოზური და ეთიკური მხარეა. საჭიროა განსაკუთრებით აღვნიშნოთ, რომ ის ყოველთვის ცდილობდა გავლენა მოეხდინა ადამიანის გულზე და არა მისს ჭკუაზე. ქრისტეს სწავლა ცოდნის წყურვილს კი არ აკმაყოფილებს, მისი სწავლა ცდილობს დააკმაყოფილოს ადამიანთა სურვილნი, დააცხრის მათი ვნებანი და კეთილი გზით სულიერ მშვიდობისაკენ მიმართოს.

ნათქვამიდან ჩვენ სამი პუნქტი შეგვიძლია გამოვჭყოთ. მაშინ ნათლად წარმოგვიდგება ქრისტეს პიროვნების უპირატესობა სხვა რელიგიის დამფუძნებელთა შორის. უპირველესად ყოვლისა საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ქრისტე პარტიულ ბრძოლას ერიდებოდა. აიღეთ, რომელიც გინდათ, ძველებური ბრძენი. დაიწყებდა თუ არა პოლიტიკაზე ლაპარაკს, ის მაშინვე პარტიულ ბრძოლაში ჩაემბოდა. ქრისტე კი, წინაუკმოდ, აუცილებლად პარტიის ზემო სდგას. ის სულ არ ფი-

ქრობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში რომელიმე განსაზღრულ ალაგის დაჭერას.

ქრისტეს ასეთი მოქმედება ადამიანთაგან ჯერ-ჯეროობით ლირსეულად არ არის დაფასებული. საკმარისია მხოლოდ ვიფიქროთ, თუ რა მოხდებოდა ახლა, რომ ქრისტეს ზერძენთა ფილოსოფოსების მსგავსი მეცნიერული, გინდა პოლიტიკური თეორია შეემუშავებია და მორწმუნეთაგან მისი მიღება მოეთხოვა. დიდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა თანამედროვე ქრისტიანობა. ნამდვილად კი იესო ქრისტეს სიტყვებში ჩვენ ვერაფერს ვერ ვიპოვით ისეთ რამეს, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს ბუნებისმეტყველების დებულებებს. ვერც ერთი მსწავლული, როგორც წარსულისა, ისე აწმყოის და მომავლისა, ვერ იპოვის დაბრკოლებას ქრისტეს მოძღვრებაში. ფრიად საჭიროა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ თანამედროვე ნატურალისტს არ აქვს არავითარი უფლება უარჰყოს რომელიმე ქრისტეს სწავლა, ვინაიდგან მის სწავლაში არ არის არც ერთი ნატურალისტური თეორია.

იესო ქრისტეს მოძღვრება თავისუფალია ყოველივე მეცნიერულ დებულებათაგან

ასეთ დასკვნას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების მომავალი განვითარებისთვის. ეს მნიშვნელობა შემდეგი ფორმულით გამოიხატება: ქრისტე არის მამათმთავარი და მფარველი თავისუფალ მეცნიერებისა.

ქრისტემ გვიჩვენა თავისუფალი გზა მეცნიერულ გამოკვლევისაკენ. აღმოაჩინა კი ეს გზა არა რომელიმე თეორიის საშვალებით, არამედ მით, რომ არასოდეს არ წარმოუთქვამს ისეთი რამე, რომელიც შემდეგში ბუნების მეტყველთა შორის უთანხმოებას გამოიწვევდა.

— მოითმინეთ, მოითმინეთ! მეტყვიან მე,—თქვენ გავიწყდებით, რომ ქრისტიანობა სიმდაბლეს და დამცირებას ჰქადაგებს. ასეთი ქადაგების გავლენით ქვეყანამ დიდი გაჭირვება განიცადა. საკმარისია გავიხსენოთ გალილეი!..

— აი რაში ყოფილა საქმე? მაშ თქვენი აზრით ქრისტიანობა გალილეის უბედურებაში დანაშაულია, როცა მან ასეთი აზრი გამოსთქვა: „სამლრთო სჯული უცთომელია". მისი ცხოვრების ტრაგედიის მიზეზი ყოვლად შეუძლებელია ვეძიოთ დაბადებაში, გინდა ქრისტეს სიტყვებში. გალილეის უბედურებაში დამნაშავეა ადამიანთა უმეცრება, გულფიცხელობა და შურიანობა. ასეთი პირობები უნდა მივიღოთ მხედველობაში, სანამ გალილეის უბედურობაზე ვილაპარაკებდეთ. აქ კი გამოდის, რომ ადამიანთა შეცდომებში ქრისტე და მისი სწავლაა დამნაშავე!

ქრისტე თავისუფალ მეცნიერების მფარველია. თუმცა ასეთი მტკიცება პირადოქსალურად გვეჩვენება, მაგრამ მაინც მართალია. ასეთი აზრის სიმართლე ნათლად წარმოგვიდგება, თუ ჩვენ მოვიგონებთ ძველ ხალხთა მსჯელობას რელიგიის შესახებ. ქრისტეს ბუნებაზე შეხედულება სრულიად არ ჰგავს მათ გულუბრყვილო რწმენას. ქრისტეს სწავლა ნათლად შეგვიძლია გამოვჰყოთ ცრუ მორწმუნოებათა რიგიდამ. რასაკვარველია, ქრისტეს მოძღვრებას პირველ ყოვლისა მიზნად ჰქონდა ქვეყნის გამშვენიერება-რელიგიოზურ-ზნეობრივი მხრით, მიუხედავად ამისა, მის სწავლაში შესაძლებელია ვიპოვოთ ჩანასახი თავისუფალ მეცნიერებისა. და ეს იმიტომ, რომ ქრისტეს სწავლაში მეცნიერებაზე სრულიად არაა ლაპარაკი. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ მეცნიერება ქრისტიანულ ნიადაგზე ასე წარმატებით გაიფურჩქნა და გაიშალა.

ქრისტიანული მონოთეიზმის შნიშვნელობა ბუნებისმეტყველების განვითარებაში მით გამოიხატება, რომ მან დაამხო ოლიმპის დიდი და პატარა ღმერთები და აგრეთვე ნეოპლატონიზმის დემონები. ქრისტეს მოსვლამდე ბუნება ადამიანთა წარმოდგენაში გალმერთებული იყო, მხოლოდ ქრისტიანულ მოძღვრების მეოხებით ბუნება გალმერთებისაგან განთავისუფლდა. ქრისტეს მოსვლამდე ყოვლად შეუძლებელი იყო ბუნების ნამდვილი მეცნიერული გამოკვლევა, რადგან საშიში

იყო ღმერთების და დემონების (ეშმაკების) მშვიდობიანობის დარღვევა. ქრისტიანობის შემდეგ კი მსგავს შეხედულებას ყოველივე საფუძველი დაეკარგა.

თუმცა დასავლეთ ევროპაში, საშვალო საუკუნოებში ბუნებისმეტყველებამ ცოტათი წაიწია წინ, მაგრამ ეს ქრისტეს სწავლის წინააღმდეგ არაფერს არ ამბობს. ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ზემოდ ლაპარაკი. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ აფასებდენ მეცნიერებას და ცოდნას საშუალო საუკუნოებში; მაგრამ, ამისდა მიუხედავად, იყვნენ ბერები და თეოლოგები, რომელთა მოქმედებამ ხელი შეუწყო მეცნიერების განვითარებას. სხვა ბუნებისმეტყველნი ამ დროს არ იყვნენ.

თუ რამდენიმე საუკუნოების განმავლობაში ბუნებისმეტყველება ერთ ალაგას მიჯაჭული იყო და ბორკილებისაგან განთავისუფლება ვერ შესძლო, ამის მიზეზი დაბადება, გინა ქრისტეს სიტყვები კი არ ყოფილა. ამაში არისტოტელი არის დამნაშავე, რომელიც იმ დროს მეცნიერებაში დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა. ამის დასამტკიცებლად საკმარისია გავიხსენოთ შემდეგი ანეკდოტი: იეზუიტ შეინერმა აღმოაჩინა მზეზე წინწკლები. ამის შესახებ მან შეატყობინა ორდენის უფროსს. უფროსმა უბრძანა შეინერს, რომ მეორე დღეს მასთან მისულიყო, როცა ის ეტყოდა მას, თუ რამდენათ ჭეშმარიტებას ეთანხმება მისი აღმოჩენა. მეორე დღეს უფროსმა უთხრა შეინერს: „შეგიძლია დამშვიდდე, რადგანაც მზე სრულიად წმინდა არისო“. უფროსმა არისტოტელის ყველა ნაწერები გადაათვალიერა და ვერსად ვერ იპოვა შეინერის აზრის დამამტკიცებელი საბუთები. ცხადია, რომ არისტოტელი ითვლებოდა მეცნიერულ ავტორიტეტად, და არა დაბადება.

ბევრი ნატურალისტები გვეთანხმებიან, რომ ქრისტიანობას მეცნიერულ პროგრესისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგ. დიუ-ბუა-რეიმონდი ამბობს: „საბუნების-მეტყველო მეცნიერება, რაც უნდა პარადოქსალურად გვეჩვენოს ეს, თვისი წარმოშობით ქრისტიანობას უნდა უმადლოდეს“.

როგორ დიდებულად გვეჩვენება ახლა ქრისტეს კეთილშობილი პიროვნება. მასში ხსენებაც არ არის რომელიმე უილაჯო ფანატიკობისა, არ არის ზიზღი ბუნების და რეალურ ფაქტთა მიმართ. მან გაანთავისუფლა ბუნება ნატურალურ რელიგიის საშინელ ბატონობისაგან და ადამიანს საშუალება მისცა მეცნიერულად გამოეკვლია იგი.

ფ. სირაძე.

ქრისტეს კვალზე.

თავი მესამე.

ძნელი არჩევანი.

დადგა ახალი კვირა დღე. გენრი მექსუელის ეკლესიაში წინანდელზე მომეტებული მლოცველები მოსულიყვნენ და უფრო მეტი დაფიქრებაც ეტყობოდათ. ღვთის მსახურება სრულდებოდა განსაკუთრებითი მოწიწებით. პასტორი მექსუელი მთლად შეპყრობილი იყო გულმოდგინე ლოცვით და ეს გარემოება განსაკუთრებით მოქმედებდა და ხიბლავდა მლოცველებს.

წირვის შემდეგ, გენრი მექსუელმა სთხოვა დაარსებული წრის წევრებს დარჩენილიყვნენ მოსალაპარაკებლად; აგრეთვე მოიწვია ისინიც, ვისაც სურდა ახლად ჩაწერილიყვნენ ამ წრეში.

როდესაც მექსუელი სამკითხველოში შევიდა, დაინახა რომ ხალხით გავსებულიყო; განსაკუთრებით ეხლა ბევრი მოსულიყო ახალგაზდობა. მექსუელი დიდი სიყვარულით მიეგება ამ ახალ სტუმრებს.

-- ჩემო ახალგაზდა მეგობრებო, —უთხრა მექსუელმა მათ, —გულითა და სულით მოხარული ვარ რომ გხედავთ თქვენ აქ. განსაკუთრებით ძვირფასია თქვენი შემოერთება ჩვენ ალთქმასთან. თქვენ ხართ ცხოვრების მომავალნი მუშაკნი. რასაც შეიტანთ ეხლა თქვენს ცხოვრებაში, შემდეგშიაც ისე წავა საქმე. ეცადეთ, რომ მომეტებულად არ აამღვრიოთ ისედაც მღვრია ცხოვრების მდინარე... თქვენი ხასიათი ჯერ დამჯდარი არ არის; თქვენი ახალგაზდა გული დუღს, როგორც გამდნარი ლითონი. ყური უგდეთ თქვენ თავს. როდესაც ზარას ჩამოასხამენ, გამდნარ მასალაში გაურევენ ხოლმე ვერცხლს; და რამდენსაც მეტს გაურევენ ვერცხლს, მით უფრო სუფთა, მაღალი და სასიამოვნო ხმა ექნება ზარას. ეცადეთ თქვენც, რომ თქვენი სულის ხმებიც ცხოვრებაში იყვნენ სუფთა და სასიამოვნო, გაურიეთ მას ვერცხლი, ესე იგი, წმინდა სინათლე სახარების სიმართლისა და სიყვარულისა. მეტად სამძიმოა, როცა სიბერის დროს ადამიანი მიხვდება, რომ იგი ცხოვრებაში არა კარგი ხმიანი ზარა იყო, არამედ ჟღრიალა ქოთანი. სამწუხაროა მოგონება ახალგაზდობის დაღუპული ბრწყინვალე ოცნებებისა... არის ერთი შესანიშნავი ნახატი. დახატულია დიდი მინდორი, სადაც ხშირ ბალახში ჩაწყობილია მიცვალებულთა აუარებელი გვამები, განკიცხული და შეურაცხყოფილი გამარჯვებული მტრის ტლანქი ხელისაგან. ზოგი სხეული თავ-მოჭრილია, ზოგი ცხვირ მოჭრილი, ზოგი ტუჩებ მოჭრილი, ზოგი ყურებ მოჭრილი, ზოგი მთლად გატიტვლებული, ზოგი გატყავებული. მე ეს მინდორი მაგონებს ბევრ ჩვენგანთა გარდავლილ წლებს: რაც უფრო უკან სიყმაწვილისკენ იხედები, მით უფრო მეტს ხედავ* დაღუპულ ოცნებებს, გაუბედურებულ ბრწყინვალე მისწრაფებებს. რანაირათ დაამახინჯა ისინი ცხოვრებამ თვისი ტლანქი, სასტიკი ხელით! ოდესღაც ისინი უქადოდენ ადამიანს ნათელ ცხოვრებას, ეხლა კი დაიღუპენ. იგონებ მათ, და გრძნობ შენ თავს თითქოს სასაფლაოზე, სადაც, საითაც კი მიიხედავ,

ყველგან ხედავ ჯვრებს და საფლავებს და მათ ქვეშ დამარხულ: „წმინდა აზრებს და ბრწყინვალე ოცნებებს“... თრთის, ეშინია, სწუხს მოხუცი ასეთ სასაფლაოზე. რომ შესაძლებელი იყოს ამის წინდაწინ წარმოდგენა, კაცი შეუშინდებოდა, გაექცეოდა წინა-მდებარე გზას. ერთი შესანიშნავი მწერალი თავის თხუზულებაში ჯერ იძლევა ადამიანის უკიდურეს გარყვნილების მაგალითების მთელ რიგს და შემდეგ კითხვას აძლევს თავის თავს: „და ნუ თუ შესაძლოა ასეთ არარაობამდის, წვრილმანობამდის, სისაძაგლემდის დაცემულიყო ადამიანი?. ასე გამოცვლილიყო? ნუ თუ ყველა ეს მართალია?“ და თვითონვე უპასუხებს;

—„ყველა სიმართლესა ჰგავს, ყველაფერი შეიძლება შეემთხვეს ადამიანს. დღევანდელი აღტყინებული ჭაბუკი ზიზღით ზურგს შეაქცევდა თავის სიბერის სურათს, რომ წინათვე შესაძლებელი იყოს მისი ჩვენება. მაშ, თან გაიყოლე, ახალგაზდობიდანვე დაწყებული ცხოვრების გზაზე ყოველივე ადამიანური მოძრაობა, სიკეთე, ნუ დაფანტავთ მათ გზაზე, თორემ მერე ველარ მოეწევით, ველარ მობოჭავთ. საშინელია, ულმობელია მომავალი სიბერე, რომელიც აღარაფერს იძლევა უკან, აღარაფერს გვიბრუნებს! საფლავი უფრო მოწყალე და გულშემატკივარია სიბერეზე. საფლავზე ის მაინც დაიწერება, „აქ დამარხულია ადამიანი“ო; მაგრამ ვერაფერს ვერ ამოიკითხავ „შეუბრალებელ სიბერის“ ცივ უგრძნობელ სახეში. ნეტარება თქვენ, თუ ივლით ქრისტეს კვალზე, ამ გზაზე თქვენ არ დაგეკარგებათ არც ერთი კეთილი მარცვალი.“ პასტორის სიტყვამ ღრმად შეანგრია ახალგაზდა მსმენელების გული. დანარჩენი წევრები ულოცავდენ მათ და უსურვებდენ შეძლებას აღთქმის კეთილად შესრულებისათვის.

დაიწყო აზრების გაცვლა-გამოცვლა; ლაპარაკობდენ იმ ამბებზე, რაც წასულ კვირაში მოხდა, ბჭობდენ მომავალზე. ყველასთვის ბევრი რამ რჩებოდა გამოურკვეველი.

თუმცა ეს გასაკვირვალია, შაგრამ სჩანდა, რომ ქრისტიანად ყოფნა ქრისტიანულ საზოგადოებაში, ქრისტეს კვალზე სიარული, ხელმძღვანელობა ცხოვრებაში მხოლოდ ქრისტეს მოძღვრებით, ყოფილა მეტად ძნელი, აღსავსე მრავალ-გვარი მოუხერხებლობით, ტანჯვა-წვალებით, დევნით იმათაგან, ვინც სხვა აზრისანი არიან. ყველანი თანახმანი იყვნენ იმაში, რომ ყოვლად საჭიროა ქრასტეს სწავლის გატარება ყოველ-დღიურ ცხოვრებაში, შაგრამ ეს მოითხოვს სახარების კარგად ცოდნას; რაიცა არა ჰქონდა მრავალ მათგანს.

ჩამოლოცვის შემდეგ, როცა იშლებოდენ, ერთმანეთის თავის ეჭვებს უზიარებდენ და ურთიერთშორის ეძებდენ დახმარებას. იქ დარჩენ მხოლოდ პასტორი მექსუელი და ალექსანდრე პაუერი, დირექტორი რკინის გზების დეპოებისა.

— მე თქვენთან სათხოვნელი მაქვს, ძვირფასო პასტორო, უთხრა პაუერმა, რკინის გზის დეპოებში ასობით მუშაობენ ხელოსნები. ყველა ახალგაზდა, რომლებსაც ცოტა-ოდენი რამ უკითხავთ და უსწავლიათ, შაგრამ იმათ თითქმის სრულებით არ იციან დიადი წიგნი ცხოვრებისა, სახარება. გააცანით ეს წიგნი იმათ, დააინტერესეთ ისინი ქრისტეს სახარების ტკბილი სიტყვით. მე ვფიქრობ, რომ ქარხნების პატრონების მოვალეობას, გარდა მსახურთა საკმაო დღიური ქირისა და კარგი ბინისა, შეადგენს იზრუნონ პირველ ყოვლისა მათი სულიერი გაუმჯობესებისათვის. მე დიდი პლანი მაქვს ამის შესახებ. საყვარელო მექსუელო, თქვენ სხვაზე უფრო შეგიძლიათ დახმარება გამიწიოთ. მე თქვენ გთხოვთ, ხვალ ჩემთან მობძანდეთ დეპოში და დეპოს მუშებს საუბარი გაუმართოთ. სწორეთ ახლა თქვენ უფრო, ვიდრე ვინმე სხვას, შეგიძლიათ დაუახლოვდეთ მათ.

— კარგი, მე მოვალ, უპასუხა მექსუელმა. მეორე დღეს საღამოთი მექსუელი მივიდა პაუერის კანტორაში.

— წამომყეთ, მე გაჩვენებ თქვენ, რაც მინდა გავაკეთო, უთხრა დირექტორმა.

მათ გაიარეს სამანქანო განყოფილება, ჩაიარეს გვარიანი გრძელი კიბე და შევიდნენ ერთ ფრიად დიდ ოთახში. ამ ოთახს ოდესღაც საკუჭნაოთ ხმარობენ.

— იმ აღთქმის შემდეგ, რომელიც მე დავდევი წასრულ კვირას, ბევრ რამეზე ვიფიქრე, სთქვა პაუერმა. მე, აქ დავდგამ მაგიდებს, კუნჭულში, სადაც სდგანან საორთქლე მილები, მოვათავსებ პლიტას ყავისთვის; მე მინდა, რომ მუშებმა აქ ისაუზმონ ხოლმე; კვირაში ორჯელ-სამჯერ გავათავისუფლებ ხოლმე ნახევარი საათით ადრე, რომ ურთიერთშორის იმუსაიფონ. ეს გარემოება ცოტათი მაინც გააფერადებს იმათ ცხოსრებას, შეიტანს მასში სიახლეს, სიფხიზლეს სულისას. გარდა ამისა, მე შესახებ მუშებისა მაქვს სხვა რამე, რაზედაც შემწეობას თქვენა გთხოვთ, როგორც გითხარით გუშინ. ჩვენი მუშები, შედარებით, განათლებული ხალხია, მაგრამ იყინი მომეტებულ ნაწილად მოშორებულნი არიან ეკლესიის გავლენას. ქრისტეს კვალზე სიარული მოითხოვს ჩვენგან მათი ცხოვრების გაუმჯობესებას, როგორც ფიზიკურათ, ისე სულიერათაც. მართალი რომ ვთქვათ, ჩვენ ძალიან ცოტას ვფიქრობთ ჩვენს მუშებზე. ჩვენ მიგვაჩნია ისინი მარტოოდენ სამუშაო ძალად; თვალყურს ვადევნებთ, რომ ბეჯითად შეასრულონ თავიანთი საქმე; ხოლო როგორ სცხოვრობენ ისინი ფაბრიკებს და დეპოებს გარეთ, აქვთ თუ არა მათ სიხარულის წუთები ცხოვრებაში, ეს ჩვენ ნაკლებათ გვეხება. ჩვენი ურთიერთობა მათთან განისაზღვრება მხოლოდ ფულების ანგარიშით, ყიდვითა და გაყიდვით; ვართმევთ იმათ დროს, შრომას, ვაძლევთ ფულს და ამას ზევით აღარ მივდივართ, არ გვინდა ვიცოდეთ, რომ ისინი ჩვენი თანამშრომლები არიან, ჩვენთან ერთად აკეთებენ საერთო საქმეს. ცოდვაა მათი დივიწყება. ამასთანავე, მე ვფიქრობ, თითონ პატრონებისთვის იქნება სარგებელი, რომ მუშების ცხოვრებაში სინათლე შეიტანონ. კეთილი, გონივრული სიტყვა, გულწრფელი ძმური მოწოდება სიფხიზლისადმი, სიმართლისადმი, ღვთისა და მოყვასის სიყვა-

რულისადმი — გააკეთილშობილებს მსახურთა გულს, გახდის მათ საქმეზე უფრო ერთგულად, დაუახლოვებს მათ, დაანათესავებს თავიანთ უფროსებთან. უფროსები და მუშები გახდებიან ძმები, და არა მტრები, როგორც ეხლა ხშირათ არის. შემდეგში მე მინდა ჩემი დაწყებული საქმე გავაფართოვო. ეხლა კი იმას გთხოვთ საუბარი, გაუმართოთ მუშებს, როცა ისინი სამუშაოდან დაბრუნდებიან. მე დავიბარებ მათ ნახევარი საათით.

დაჭკრა თუ არა საყვირმა, მუშები გამოსკდენ სახელოსნო სახლებიდან. ისინი სამას კაცამდი იყვნენ.

პაუერმა გააცნო მათ თავის პლანები, და შემდეგ წარუდგინა პასტორი, რომელსაც უნდა ელაპარაკნა მათთან.

გენრი მექსუელმა დაახლოვებით შემდეგი სიტყვით მიმართა მათ:

— „ძვირფასნო მეგობარნო, თქვენ მუშაობთ მანქანებზე და დაზგებზე. იმ მეცნიერებას, რომელიც ჰქმნის და მართავს მათ, ჰქვია მექანიკა. იგი მოითხოვს დიდ ცოდნას, დიდ ჭკუას და დიდ მიხვედრილობას. მაგრამ არის კიდევ უფრო სერიოზული მექანიკა, რომელიც მოითხოვს ჩვენგან უფრო მომეტებულ ჩაფიქრებას, მომეტებულ ცოდნას და გამოკვლევას.

ეს არის მეცნიერება ჩვენს ცხოვრებაზე, ჩვენს მოქმედებაზე, ყოფა-ქცევაზე, კაცის გულზე. კაცი არის თვით საუკეთესო მექანიზმი დედამიწაზე. იგი მოითხოვს გულდადებით მოვლას და მზრუნველობას თავის შენახვისათვის, როგორც გარედან — სხეულზე, — აგრეთვე შიგნით — სულზე; სულზე უფრო მომეტებულს, ვიდრე სხეულზე. გაუფთხილდით ამ მექანიზმს. ნუ დააჟანგებთ მას, ნუ გააჭუჭყიანებთ, ნუ დააყენებთ.

დაზგებთან მუშაობაში თქვენ ხელმძღვანელობთ განსაზღვრული წესებით, საქმეს საზრავთ პლანებისა და მოხაზულობის თანახმად. ნუ დაგავიწყდებათ აგრეთვე, რომ ყურადღება

მიაქციოთ თქვენ სულიერ მუშაობას, ეთანხმება თუ არა ეს მუშაობა იმ პლანს, რომელიც დასახული გვაქს ზეგარდმო. ასეთი პლანი არის სიტყვა საუკუნო და უმაღლესის სიყვარულისა და სიმართლისა, ქრისტე მაცხოვრის მოძღვრება. ჩაუკვირდით მას, შეისწავლეთ, მოაწყვეთ თქვენი ცხოვრება იმის თანახმად, — და მაშინ თქვენ შეიქმნებით სხვა, ახალ, საუკეთესო ადამიანებად, მაშინ იპოვნით ბედნიერებას, რომელსაც ეხლა ამაოთ ეძებთ, იქნებით საუკეთესო მექანიკები, მცოდნენი ცხოვრების რთულ მექანიზმისა და რიგზე მისი დამყენებელნი".

მსმენელნი კმაყოფილნი დარჩენ. იმათ პატივისცემით თაყვანი სცეს პასტორს და წავიდნენ.

ჰაუერი აღტაცებაში მოვიდა. ის ოცნებობდა, რომ თანდათან გარდაჰქმნიდა მუშების მთელ ცხოვრებას, იმათ გარეგნულ მდგომარეობას და შინაგან ცხოვრებას. მას ეჩვენებოდა, რომ პასტორის მექსუელის და მისი თანაძმების საუბარს გარდა, მუშებს ემართება კიდევ ლექციები სხვადასხვა სამეცნიერო და საზოგადოებრივ საკითხებზე; რომ საუკეთესო პროფესორები და საზოგადო მოღვაწენი უზიარებენ მუშებს თავიანთ აზრებს და ცოდნას; რომ მსმენელნი გულმოდგინეთ ყურს უგდებენ და ხარბათ იჭერენ ბრძნულ სიტყვებს; რომ ამათი აზრიც მუშაობას იწყებს და თანდათან მწიფდება; იზრდება სურვილი კარგი წიგნების შეძენისა, ბევრს ეღვიძება ინტერესი ხელოვნებისა, იწყებენ გალობის შესწავლას, თითონ ჰქმნიან მგალობელთა გუნდებს; მართავენ საკუთარ საოჯახო კონცერტებს; ზნეობა მუშებისა შესამჩნევად უმჯობესდება, კეთილშობილდება; აღარ არის ჩხუბი, უმზვავსი გინება, ლოთობას ივიწყებენ, სახლში, ოჯახში აღარ არის სიღარიბე; შვილები იზდებიან ჯანმრთელნი, მაძღარნი, სუფთად; იმათთვის გამართულია მშვენიერი შკოლები, სადაც არ დაიკარგება არავითარი ნიჭი, არ დაიხშობა არავითარი გულის-ყური.

ამ ფიქრებში გართული პაუერი დიდ სიამოვნებას გრძნობდა გულში. სიხარულის ღიმილი არ შორდებოდა მის პირი-სახეს.

— რა სამწუხაროა,—რომ ხალხს ვერც კი უგრძვნია თუ რა მარტივი და ყველასათვის მისაწვდომია თვით უმაღლესი და უბრწყინვალესი სიხარულის საიდუმლოება. საკმარისია, რომ სულ ცოტათი გულით დაუახლოვდე ხალხს. სხვებსაც და შენც მაშინვე გაგითბებათ გული. აი, მე ჯერ მხოლოდ ვემზადები რამე გავუკეთო ჩემს მუშებს, და გული უკვე მთლად სიხარულით ამევსო. თუ რომ შემდეგშიაც ყველაფერი ასე წავა, ველარ გამიგია, რაღაში მდგომარეობს ჩემი ჯვარი, რომლის ქრისტეს კვალზე ტვირთვა მე სხვებთან ერთად თავს ვიდევი.

მექსუელი გამოეთხოვა, პაუერი კი წავიდა თავის სამუშაო კაბინეტში. მას სტოლზე დახვდა კონვერტი, რომელზედაც ეწერა: „კანტორის დირექტორს“ პაუერმა გახსნა და დაიწყო კითხვა. გამოდგა შეცდომა: თურმე ეს კონვერტი გაგზავნილი იყო საანგარიშო კანტორის დირექტორის სახელზე და პაუერს კი შეცთომით მიუვიდა. ამ ქაღალდში რკინის გზის ამხანაგობის დირექტორს დარიგებას აძლევდენ, თუ როგორ უნდა აწარმოვოს მან ანგარიში, რომ დამალოს შემოსავლის ნამდვილი რაოდენობა და ამით შემოსავალზე დადებული გადასახადი ნაკლები გადაიხადონ. ამნაირათ ხაზინას მოპარავდენ ყოველ დღე ასი ათას დოლლარამდი.

პაუერს გაუვარდა ქაღალდი ხელიდგან. ის დიდ საგონებელში ჩავარდა. როგორ მოიქცეს? განუცხადოს პროკურორს, გაამხილოს აღმოჩენილი დანაშაული, თუ არა? მაგრამ მაშინ ხომ თითონაც ადგილი უნდა დაკარგოს. კამპანია, რა თქმა უნდა, დაითხოვს მას დირექტორობიდგან. საეჭვოა, რომ სხვა კამპანიებში მიიღონ იგი სამსახურში, რადგანაც იმათაც უთუოდ ანგარიშის შესახებ ექნებათ რამე დანაშაული: და ამიტომ შიში ექნებათ, რომ იმათშიაც არ გაანმეორდეს რაიმონდის ისტორია. მაშ როგორ მოიქცეს? ის ხომ მარტო ერთი

არ არის. მას ცოლი ჰყავს, სამი ქალიშვილი ჰყავს. ესენი კარგ ცხოვრებას დაჩვეულები არიან, საზოგადოებაში ვამოსულები არიან. ყველა ეს ერთბაშათ დაიკარგება? რისთვის, რის გულისთვის? იმისთვის მხოლოდ, რომ მან სრულიად შემთხვევით, ვილაცას გაუფრთხილებლობით, შეიტყო თავის რკინის გზის ამხანაგობის სამმართველოს ავაზაკური საქმეები. ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა დიდ აკციონერულ საქმეებში! მაშ რატომ უნდა გამოვიდეს ის ბრალმდებლად, მით უმეტეს, რომ ეს შეეხება არა კერძო პირებს, არამედ ხაზინას? მას აქვს აზრათ მშვენიერი საქმე, დეპოების მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესება. იმან მთელი გული დაუდო ამ საქმეს, ხოლო დანარჩენი მას არ ეხება.

— ჩავდებ ამ წყეულ ქაღალდს ახალ კონვერტში,—გაიფიქრა პაუერმა,—დავაწერ ზედ: „შეცდომით იქმნა გახსნილი“ და გავგზავნი დანიშნულებისამებრ.

— შენ ჰფიქრობ, რომ ქრისტეს მოეწონებოდა და აკურთხებდა შენს ეგრეთ განზრახვას?—დაილაპარაკა რაღაცა ხმამ პაუერის გულში.—სად არის შენი აღთქმა ქრისტეს კვალზე სიარულისა? მისი ჯვარის ტარებისა? შენ რომ ღამე სახლის ფანჯარა გაგელო და შემთხვევით დაგენახა, რომ ქურდები სცარცვავენ შენი მეზობლის სახლს; განა გაჩუმდებოდი და დასტოვებდი, რომ ქურდებს თავისი საქმე შეესრულებიათ, იმის შიშით, რომ ისინი არ გადაგემტერებინა? არა, შენ მაშინვე დაიწყებდი ხმა-მაღლა ყვირილს: „არიქა! ქურდები! ყაჩაღები! დაიჭირეთ ეგენი!“ მაშ როგორ გაჩუმდები, როცა მთელი აკციონერული საზოგადოება სცარცვავს ხაზინას ყოველ წლივ ასი ათასობით? ნუ თუ ხაზინის ქონებას ნაკლები ფასი აქვს, ვიდრე კერძოს? ხომ იცი, რომ ხაზანის მილიონები შესდგებიან შრომითა და დაბეგებული ხელებით ნაშოვნ გროშებიდან, რომელიც უნდა მოხმარდეს ხალხს გონივრულ საჭიროებათათვის. ლიუდოვიკ მეთექვსმეტეს დროის საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის ნეკკერის ბიოგრაფიაში არის

მოთხრობა, თუ როგორ სთხოვა მას ერთმა არისტოკრატმა ქალმა მიეცა მისთვის შემწეობის სახით სახელმწიფო ხაზინიდან ათასი ოქრო. მაშინდელ დროს ასეთი შემწეობა ჩვეულებრივი იყო, და ამისთვის, როცა ნეკკერმა უარი უთხრა, ქალმა გაკვირვებით ჰკითხა:

— რატომ არ მაძლევთ?—ათასი ოქრო ხაზინისთვის ხომ არაფერია!

ნეკკერმა უპასუხა:

— ქალბატონო! ათასი ოქრო შეადგენს მთელი ოლქის წლიურ გადასახადს.

— აქ კი ჰფიქრობდა თავისთვის პაუერი,—არის ლაპარაკი ოქროზე ასი ათასობით; რომელსაც რკინის გზის ამხანაგობა ყოველ წლივ ჰპარავს ხაზინას, ხალხს. ამ მოპარული ფულით ხალხს შეეძლო აეშენებია ყოველ წლივ ახალ-ახალი საავათმყოფოები, მრავალი შკოლები, სამკითხველოები, მუზეუმები. ეხლა კი ყველა ეს იწყობა მილიარდერების რკინის გზის აკციონერების უძირო ჯიბეებში. განა ეს სამართლიანია? განა შეიძლება გაჩუმება ხალის ქონების ასეთ გაფლანგვაზე იმ საბუთით, რომ მიფრომ „ეს მე არ შემეხება; მე გავიგე ეს შემთხვევით. ჩემს განყოფილებაში ყველაფერი კარგათაა“.

პაუერი ყოყმანობდა, როგორ უნდა მოქცეულიყო? რა უნდა გაეკეთებია, რომ ამ შემთხვევაში ქრისტეს კვალისათვის არ ეღალატნა? ის გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო: ერთი მხრით, აღმოჩენა ავაზაკური საქმეებისა, ბოდლოგებისა და მათი დაფარვა; მეორე მხრით,—შიში ადგილის დაკარგვის და ცოლშვილის დაღუპვისა, მწუხარება იმის გამო, რომ ვეღარ შეასრულებდა თავის მშვენიერ მოფიქრებულ საქმეს.

საყვირმა დაუსტვინა. მუშაობა შეჩერდა; მუშები თავთავიანთ სახლებში წავიდენ. პაუერი კი მაინც იჯდა თავის-

თვის კაბინეტში. იმან გაისტუმრა თავის თანაშემწეები და მწერლები ამ სიტყვებით:

— თქვენ შეგიძლიანთ წახვიდეთ. მე მარტო დავრჩები, საჭირო საქმე მაქვს.

გვიან ღამე მის კაბინეტში რომ ვისმეს შეეხედა, დაინახავდა არაჩვეულებრივ სურათს. პაუერი დაჩოქილი იყო, თვალებზე ხელი მიეფარებია და ლოცულობდა. ისმოდა მძიმე კვნესა. ბოლოს მან სთქვა:

— ჩემთან გამოგზავნილია, სჩანს, ასე უნდა. ასრულდეს ნება ღვთისა!

პაუერის პირი-სახე დამშვიდდა. თვალებიდან გამოკრთოდა გადაწყვეტილება. ის ადგა და მტკიცე გადაწყვეტილებით წავიდა სახლში. მან ამოირჩია თავის გზა. მან უნდა იაროს ქრისტეს კვალზე.

თავი ექვსი.

დანიშნულება ტალანტისა.

ერთხელ რახიელ ვინსლოუ მივიდა თავის დობილთან ვირჯინია პეჯთან მის მშვენიერ სასახლეში უმთავრეს ქუჩაზე.

— მე თქვენთან მოვედი, ძვირფასო ვირჯინია, რჩევისათვის, — უთხრა რახიელმა. — არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

— რაშია საქმე?

რახიელმა ამოიღო ჯიბიდგან წერილი და მისცა დობილს. წერილი იყო გამოგზავნილი კომიკურ ოპერის დირექტორისაგან. დირექტორი გატაცებული იყო რახიელის ხმით, პირდებოდა მას ბრწყინვალე მომავალს სცენაზე და იწვევდა საზაფხულოთ თავის მომღერალთა გუნდში მონაწილეობის მისაღებად. საჩუქარს ბევრს პირდებოდა და კიდევ, სხვათა შორის, ათას მანეთს თვეში.

ვირჯინიამ წაიკითხა წერილი და დაფიქრდა.

— რას იტყვით? ჰკითხა რახიელმა.

— მაგას არ უნდა მთხოვდე, რომ თქვენ მაგივრათ მე გადავწყვიტო, — უპასუხა ვირჯინიამ.—ჩემთვის უფრო საძნელოა ამის გადაწყვეტა, ვიდრე თქვენთვის. მაინც მე მგონია, რომ ეგ საზოგადოება, რომელშიაც გიწვევენ რიგიანია, სიაში ჩამოთვლილ არტისტებს ყველას კარგი რეპუტაცია აქვს; საქმეც აგრეთვე პატიოსნურია, და, გარდა ამისა, თქვენ მოგელით ქება-დიდება, ხალხის აღტაცება, გამოძახება, ტაშის ცემა და მოწონება. აქ, სამრეველო ტაძარში ნაკლები ხალხი ისმენს თქვენ გალობას; მაგრამ მეორე მხრით...

ვირჯინია შებორჯდა. რახიელმა განაგრძო.

— მეორე მხრით, გინდათ თქვენ სთქვათ, ეს მოქმედება არ შეეფერება ჩვენი ახალი წრის წევრს? მეც თითონ ეგრე ვფიქრობ. მე არა მგონია, რომ ქრისტეს ეკურთხებია ჩემი საქციელი, სცენაზე რომ შევსულიყავი, გაყიდვა ხმისა და ტალანტისა, ძვირფასათ მორთვა, ქება-დიდებით გატაცება, ყველა ეს, მე მგონია, არ შეესაბამება ჩემ მიერ დადებულ აღთქმას. ჩემი გამოსვლა სცენაზე პირადათ ჩემთვის იქნება სასარგებლო და საინტერესო. მე მივიღებ ბევრ ფულს, შევიძენ ქება-დიდებას, მაგრამ ყველა ეს მარტო პირადად ჩემთვის იქნება. სხვას რალა მივცე? ჩვენ ხომ პირობა დავდეთ ვემსახურათ მოყვასს? ჩემი გალობა? სიამოვნება მისგან?.. ვის? ხალხს, რომელსაც შეუძლია გადახდა ჩვენი დიდი ჯამაგირებისა? იმათთვის ჩვენი სიმღერა ჟინის დასაკმაყოფილებელია, თუ სულის მოთხოვნილება? მე მგონია, რომ ოპერა და კონცერტები ხალხის მომეტებული ნაწილისთვის არის მხოლოდ სიამოვნება და გართობა. ხოლო, ადამიანი რომ მთელი სიცოცხლე მარტო ხალხის სიამოვნებას და გართობას ემსახუროს—ეს დამცირებაა. მე მინდოდა უფრო მომეტებული, მაგრამ რა? რა შემიძლიან მე ჩემი ხმით? ვის და რა შემიძლია ვარგო?

ამ დროს მსახურმა ქალები საუზმეთ მიიწვია. ისინიც ლაპარაკ დაუსრულებელი გავიდნენ საუზმეზე. პური-საჭმელ ოთახში იყვნენ დიდედა ვირჯინიასი და ძმა,— როლლინი, დიდი მოყვარილი კლუბისა, თეატრისა და სხვადასხვა გასართობებისა. მამისაგან დატოვებული დიდ-ძალი ქონება შეძლებას აძლევდა მას უქმად ეტარებია თავის სიცოცხლე ახალგაზდა ამხანაგებთან ერთად, და ის მართლაც სარგებლობდა ამ გარემოებით.

როლლინს ძალიან მოსწონდა თავის დის მეგობარი ქალი და ამიტომ დღეს ის დარჩა სახლში სასაუზმოთ, რადგან იცოდა, რომ ის დღეს იმათსა იქნებოდა. საუზმის დროს როლლინმა პირველმა დაიწყო ლაპარაკი და მიმართა რახიელს:

—მგონია, შეგვიძლია მოგილოცოთ! თქვენი საუცხოვო ტალანტი ღირსეულ დაფასებას პოულობს. ჩვენ ყველასთვის ეს სასიამოვნოა. მე წინათვე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ქება-დიდებას მოიხვეჭთ.

— რახიელი აენთო, ოდნავ შეხარა წყრბები და ჰკითხა:

— რის შესახებ ლაპარაკობთ თქვენ?

— როგორ რის შესახებ?—განცვიფრდა როლლინი. მთელი ქალაქი მოუთმეილად მოელის თქვენ პასუხს. ოპერის დირექტორი ბედნიერი იქნება, რომ თქვენ მონაწილეობა მიიღოთ მის მომღერალთა გუნდში.

— თქვენ შემცდარხართ, — დამშვიდებით უპასუხა რახიელმა,—მე არ გამოვდივარ სცენაზე.

— რატომ?—ჩაერია ვირჯინიას დიდედა, გამოცდილი დედაკაცი. დირექტორის წინადადება, როგორც მე გადმომცეს, ძალიან კარგია. იქნება თქვენ სხვა რამ უფრო სასარგებლო საქმე გაქვთ?

— არა მაქვს და, თუნდაც მქონდეს, მაინც უარს ვიტყოდი.

— რათა?—გაკვირვებით ჰკითხა დიდედამ. იმედი მაქვს, ძველი ნაცნობობის უფლების გამო, გვაპატიებთ ჩვენზ დაჟინებით სურვილს, ღა აგვიხსნით თქვენს უარს.

— მე ეს არის ეხლა ველაპარაკებოდი ამაზე ვირჯინიას, — უპასუხა რახიელმა. მე მგონია, რომ ღვთისგან მოცემული ტალანტი მე უნდა მოვიხმარო ღირსეულ საქმეზე. სცენაზე რომ გამოვიდე, იქ უნდა ვიმღერო ბედნიერთა სასიამოვნებლად (უბედურნი თეატრში ხომ არ დაიარებიან); მე კი მინდა, რომ ჩემი ხმით დავატკბო ტანჯულთა სიმწარე; შევამსუბუქო, რამდენათაც შესაძლებელია, ძნელი ცხოვრება ღარიბ-ღატაკთა. მე ვფიქრობ, ამას უფრო აკურთხებდა ქრისტე.

უკაცრავად, ჩემო ძვირფასო რახიელ, — გააწყვეტინა დიდედამ, მე როგორღაც ვერ გავიგე თქვენი ლაპარაკი.

— რატომ ვერ გაიგეთ? — ჩაერია ვირჯინია. თქვენ ხომ იცით, დიდედა, როგორი აღთქმა დავდეთ პასტორ მექსუელთან. აი სწორეთ ამ აღთქმის თანახმად უნდა მოქცევა რახიელს. ეხლა თითოეული ახალი მოქმედება უნდა აიწონ-დაიწონოს, კარგად მოიაზროს და მერე შესრულდეს; ამისთვის მე კარგად მესმის რახიელის მდგომარეობა; თითონ მეც ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამის გადაკეთება მინდა.

— შენ? — სასტიკად ჰკითხა დიდედამ. ეს რა აზრებია? იმედი მაქვს, არაფერ სისულელეს ჩაიდენთ. შენ მაინც არ შეგშვენის ოცნებობა.

— მე ბევრი სხვადასხვანაირი აზრები მაქვს, — დამშვიდებით უთხრა ვირჯინიამ; — სულელური არიან ისინი, თუ არა, მე ამის განკითხვაში არ შევდივარ. მე ჯერ კიდევ ვერა მაქვს წარმოდგენილი ნათლად, როგორ უნდა მოვაწყო ჩემი მოქმედება იესო ქრისტეს მოძღვრების თანახმად. როგორც კი ნათლად დავინახავ და გადავწყვიტავ, მაშინვე მივყოფ საქმეს ხელს.

დიდედა გაჯავრდა:

— ყველაფერი ეს სისულელეა, მხოლოდ გატაცებაა ახალგაზდობისა. მე მგონია, რომ თქვენ ორივეზე მეტი მიცხოვრია ქვეყანაზე, მეტიც მესმის, და აი თქვენ ჩემი რჩევა: „არაფერი გზიან-კვლიანი თქვენი საქციელიდან არ გამოდნება“.

— როგორ თუ სისულელეა? — გაცხარებით უთხრა ვირჯინიამ. მაშ, თქვენი აზრით, ქრისტეს სწავლის თანახმად ცხოვრება უბრალო ჟინიანობაა. მაშ რაღათ გვქვიან ქრისტიანები? მაშ ქრისტეს რჯული გასართობად არის მოცემული? ან იქნება, ყველა ეს სწავლა სიყვარულისა და საუკუნო სიმართლისა სხვებისთვისაა? ჩვენ კი ჩვენი კანონები გვაქვს, ჩვენი ზნე-ჩვეულობა გვაქვს, ცხოვრების საკუთარი საფუძველი გვაქვს? მე არ მესმის, დიდედა, რატომ ეძახით ჩვენს განზრახვას უბრალო ოცნებას. მე მგონია, რომ თქვენ, უფროსები, უფრო უნდა გვიჭერდეთ, მხარს გონივრულ დარიგებას გვაძლევდეთ, გვამხნევებდეთ, და ამის მაგივრათ კი...

— ამის მაგივრათ არ მინდა მე შენთან ვილაპარაკო, — გააწყვეტინა დიდედამ, — ადგა და მოშორდა სტოლს.

— უკაცრავად, ძვირფასო რახიელ, — უთხრა მან სტუმარს, — თქვენ ნუ აყვებით ჩემს „გონიერ“ შვილი-შვილს. იმას ეს აზრები მალე გაუვლის. თქვენ დასთანხმდით წინადადებაზე და ჩვენ მალე გავიგონებთ თქვენს წარმატებას.

ამ საუბრიდან რახიელი მიხვდა, რომ ვირჯინიასთვის ადვილი არ არის თავის აღთქმის შესრულება, და შეშფოთებით ფიქრობდა, რომ ამის მზგავს დაბრკოლებას ნახავდა ისიც თავის ოჯახში დედის მხრივ.

როდესაც რახიელი წავიდა თავის სახლში, ის გააცილა როლლინმა. გზაზე როლლინმა გაუბედავად ჰკითხა რახიელს:

— მისს ვინსლოუ! ამ ბოლო დროს რათა ხართ თქვენ ჩემთან ასე თითქოს გაჯავრებით? წინათ მე და თქვენ დიდი მეგობრები ვიყავით; ეხლა კი ნებას აღარ მაძლევთ თქვენ დაგიძახოთ სახელი, რახიელ; მოითხოვთ, რომ მე თქვენ მისს ვინსლოუთ გიხსენიოთ.

— ჩვენ ბავშები აღარ ვართ, — მკვახეთ უპასუხა რახიელმა. — წინათ კარგი იყო, როცა თქვენ პატარა ბიჭი იყავით და მე პატარა გოგო. ეხლა ჩვენ გავიზარდეთ და გამოვიცვალეთ.

— არ ვიცი, თქვენ როგორი ხართ,—განაგრძო როლლინმა,—მაგრამ მე-კი იგივე დავრჩი, რაც ვიყავი. ესეც ცოტაა, ჩემთან ერთად გაიზარდა ჩემში გრძნობა თქვენდამი ერთგულობისა, და მე ძალიან გულით მინდოდა, რომ ჩვენი ადრინდელი კეთილი ურთიერთობა არ შეცვლილიყო, არამედ უფრო მეტად განმტკიცებულიყო.

რახიელმა უნებლიეთ გაიცინა და სთქვა: ტყუილი სურვილია, თქვენ ხომ იცით თქმულება: ,,დრონი იცვლებიან და მასთან ვივცლებით ჩვენც''.

როლლინს ეწყინა.

— თქვენ ტყვილათ ხუმრობთ მისს ვინსლოუ! ჩემი გრძნობა თქვენდამი სრული სერიოზულია. მე მინდოდა გამეგო, რას იტყოდით თქვენ, მე რომ მომეცა თქვენთვის წინადადება ჩემ ცოლად გახდომისა.

— მე გიპასუხებთ თქვენ, რომ ტყვილ-უბრალოთ აღძრავთ მაგ კითხვას. ჩვენ არა ვართ ერთმანეთის შესაფერისები.

— რატომ?

რახიელი გაჩუმდა. იმას ეშინოდა, რომ ლაპარაკში მეტი არა ეთქვა რა. როლლინი დაჟინებით ითხოვდა პასუხს:

— მითხარით, რატომ? დარწმუნდით, ამაზე მეტათ მე ველარ მაწყენიებთ, და რომ მითხრათ, მიზეზი მაინც მეცოდინება, და, ვინ იცის, იქნებ შეიძლება ამ მიზეზის მოშორებაც.

— არა, მოშორება არ შეიძლება, რადგანაც ეს მიზეზი თითონ თქვენშივეა. თქვენ არა გაქვთ ცხოვრების სერიოზული მიზანი, მე არ შემიძლია თქვენ პატივი გცეთ ისე, როგორც მინდოდა პატივი მეცა საყვარელი ადამიანისთვის. მითხარით, აბა რისთვისა სცხოვრობთ თქვენ? რა გააკეთეთ თქვენ ცხოვრებისთვის? რის გაკეთებას ფიქრობთ? თქვენ ხართ კარგი ოჯახიდგან, გისწავლიათ საუკეთესო შკოლაში, მოგისმენიათ საუკეთესო პროფესორების ლექციები, თქვენ გქონიათ საუკეთესო წიგნები და სახელმძღვანელოები, თქვენ გინახავთ საუკეთესო ნაწარმოები ხელოვნებისა,

მოგისმენიათ საუკეთესო მუზიკა, გინახავთ საუკეთესო პიესები და საუკეთესო არტისტები სცენაზე, თქვენზე არის დახარჯული დიდძალი ქონებრივი, გონებრივი და ზნეობრივი საშუალებანი. და ყველა ეს რისთვის? რა გამოვიდა თქვენგან?— მფლანგავი მამისაგან დატოვებულ მილიონებისა, და ღვთისგან მოცემული სიცოცხლისა. გარშემო ყველგან ასე ბევრი ბოროტებაა, ასე ბევრი სისაძაგლეა, სისულელეა, ამდენი ყოველნაირი სიბნელეა! ყველგან საჭირონი არიან მუშაკნი, ახალგაზდა ენერგიით სავსე ნათელი ძალები; თქვენ კი ასე სამარცხვინოთ უქმათ ატარებთ დროს! ნუ თუ თქვენ არ შეგიძლიათ უფრო მაღალ და ძვირფას საქმეს ემსახუროთ, ვიდრე თქვენი საჯინიბო, საბილიარდო და კლუბი? აბა რამ უნდა მიიზიდოს თქვენში დარბაისელი ქალიშვილი?

რახიელი ისე იყო გართული ლაპარაკში, რომ ვერც კი შენიშნა, როგორ მივიდენ თავის სახლის კარებზე და რომ როლლინი იდგა საცოდავი, გაფანტული, სახით. თვითოეული სიტყვა რახიელისა თითქოს მათრახივით სცემდა მას და დაბნეულად ძლივს გასაგონათ ჩურჩულებდა:

— დიახ, თქვენ მართალი ხართ... ყველაფერი სამწუხარო... სასირცხო... თქვენ მართალი ხართ... ჩემი პატივისცემა არ შეიძლება.

რახიელი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო. მან იგრძნო, რომ შორს წავიდა, რომ ბევრი რამ ზედმეტი სთქვა. მან თავი დაუკრა როლლინს. და გულწრფელი ბოდიში მოთხოვა: „შემინდევით,“ —უთხრა და მიიმალა კარებში. როცა ზევით, თავის ოთახში ავიდა, რახიელი შესდგა ფანჯარასთან და დაფიქრდა.

— ვინ მომცა მე უფლება,—ეუბნებოდა ის თავის თავს, რომ ასე სასტიკად გავსაჯო როლლინ პეჯი? იმას არა აქვს ცხოვრების გარკვეული მაღალი მიზანი? განა მე თითონ კი მაქვს იგი? განა მე თითონ რამე საკეთილო გავუკეთე ხალხს? რას ვაკეთებდი აქამდის? როგორც როლლინს, ეგრეთვე მეც მისწავლია საუკეთესო პანსიონებში, ჩემ აღზრდაშიაც ბევრი

ფული დახარჯულა. ჩემ თავზე ბევრი ამიღია, ხოლო სხვისთვის რა მიმიცია? ეკლესიაში ვგალობ? სცენისთვის მოვმზადებულვარ? მაგრამ ყველაფერი ეს ჩემი თავისთვის, ჩემი დიდებისთვის, ჩემი სიამოვნებისთვის, სხვას კი აღარაფერი, როლლინს ქეიფი, ბანქო, ცხენები; მე — მორთულობა, გასვლა-გამოსვლა, მიღება, ერთი და იგივეა: იგივე ფუქსავატობა ცხოვრებისა, უშინაარსობა, სერიოზული იდეების არ ქონა. და ესეც საუკეთესო დრო ქვეყნის საუკეთესო ახალგაზდობისა! რა სიბინძურე და სიუბადრუკეა! არა, ამნაირათ ცხოვრება მე კვლავ აღარ შემიძლია. მე ტყუილათ არ მივეცი აღთქმა. ქრისტე იტანჯა ჩვენთვის. მე უნდა მსხვერპლი შევწირო, უნდა რამე გავაკეთო მისთვის, მისი საქმის გულისთვის.

რახიელმა საჩქაროთ გაიხადა ხელთათმანები, კოვთა, მოიხადა შლიაპა და მტკიცე ნაბიჯით შევიდა დედის ოთახში. დედამისი იყო კარგი წარმოსადეგი დედაკაცი, საზოგადოებაში მას კარგი ადგილი ეჭირა და ამას დიდად უფთხილდებოდა. შვილებს ყურადღებით ეკიდებოდა. ეხლა ჯერ-ჯეროობით კმაყოფილი იყო შვილებით, და კიდევაც ამით ამპარტავნობდა. ვაჟი-შვილი ჩინებულად ათავებდა ეხლა სამხედრო აკადემიას, ქალი ემზადებოდა სცენაზე გამოსვლას. რახიელი არ უმალავდა დედას თავის მიცემულ აღთქმას, მაგრამ იგი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა ამას და უბრალო გატაცებათ მიაჩნდა, რომელსაც მისი აზრით არაფერი გავლენა არ ექნებოდა ცხოვრების ჩვეულებრივ მიმდინარეობაზე.

სწორეთ ეხლა იგი იჯდა და ოცნებობდა თავის ქალის სცენაზე გამოსვლის შესახებ, წინათვე დარწმუნებული მის გამარჯვებაში. მას ელანდებოდა აღტაცებული ტაში, ყვავილები, საჩუქრები, ბრილიანტები, ქება-დიდება, ფული, ბევრ ფული, ძალიან ბევრი... ამ ფიქრში იყო, როდესაც მისი ქალი შემოვიდა და უთხრა:

— დედა! მე უკვე დავამზადე დირექტორისთვის პასუხი, უარი უნდა შეუთვალო.

როგორ? რაო? უარი? რატომ?

— მე არ შემიძლია მის აქტიორთა ჯგუფში შევიდე. მე არასოდეს არ ვიმღერებ თეატრში.

— რას ლაპარაკობ? — გაკვირვებით ჰკითხა დედამ. — როგორ თუ არ იმღერებ? ჭკვაზე ხომ არ შემცდარხარ, მაშ რა გნებავს ჰქნა?

— რას გავაკეთებ, მე თითონ ჯერ არ მაქვს გათვალისწინებული. ამას კარგი მოსაზრება უნდა. ვიცი მხოლოდ ერთი: სცენაზე არ გამოვალ.

— რაშია საქმე, მითხარი? რა გაგიზეპირებია ერთი და იგივე: „არ მინდა, და არ მინდა სცენა!“ რით არ მოგწონს სცენა?

— არა, მე იმას არ ვამბობ, რომ სცენა არ მომწონს, მე არ მიმაჩნია ის ცუდ რამედ; მე მხოლოდ იმასა ვფიქრობ, რომ ღვთისგან მოცემული ტალანტით უფრო მეტი ღირსეული მსახურება უნდა შევასრულო, რამე უმაღლესი და უკეთესი უნდა გავაკეთო.

დედამ გაკვირვებით შეაშტერა თვალი ქალს, რახიელი-კი განაგრძობდა:

— შენ კარგათ იცი, დედაჩემო, რომ ჩვენ მივეცით აღთქმა, ჩვენი ცხოვრება ისე მოვაწყოთ, ჩვენ მოქმედებას ისეთი მიმართულება მივცეთ ერთი წლის განმავლობაში, რომ თამამად შეიძლებოდეს თქმა: „ამას აკურთხევდა ქრისტე“. მე დარწმუნებული ვარ, არ მაკურთხევდა ქრისტე, რომ ჩემი მართლა საუცხოო, ხმა და მუსიკალური ნიჭი თეატრისათვის დამეთმო. თეატრში ხალხი მიდის დასასვენებლად, სასიამოვნოდ, დროების გასატარებლად. მე მინდოდა ჩემი ძალ-დონე მომეხმარებია უფრო მაღალ და საჭირო საქმიხთვის: არა ხალხის სიამოვნებისთვის, არამედ კაცობრიობის ხსნისათვის, საზოგადოების სულიერ გაუმჯობესებისათვის.

— დედა! დედა! ხელების მტვრევით უთხრა რახიელმა, — დაფიქრდი, რამდენი საშინელებაა ცხოვრებაში. მე ამ ცოტა

ხანში წავიკითხე ორი წიგნი: „აფრიკის ღელეტეხილებში“ სტენლისა; მეორე: „ლონდონის მივარდნილ ადგილებში“, თხზულება ბუტსისა. მე ჟრუანტელმა დამიარა ტანში. სტენლი ასწერს იმ ბარბაროსულ საშინელებებს, რომლებიც ხდება შუაგულ აფრიკაში. მთელი ტომების ამოჟლეტა, საშინელი მონობა და საზიზღარი კაცის-მჭამლობა. მეორე წიგნში ბუტსი ამბობს: „არ არის საჭირო აფრიკის მივარდნილ ადგილებში წასვლა, რომ კაცი შეძრწუნდეს საშინელებისაგან ადამიანის ველურობისა, ინგლისელებს ლონდონში აქვთ მთელი უბნები, სადაც ბარბაროსობის უფრო მეტი მოღალადე საშინელება ხდება, სადაც ხალხი მხეცობამდე კი არა, კიდევ უფრო დაბლა დაცემულა“. შემდეგ ის ნათლად და ცოცხალ სურათებში აგვიწერს რამოდენიმე ასი ათასი ადამიანების მივარდნილობას, იმათ ისეთ სიღარიბეს, ისეთ ზნეობრივ გაველურებას, რომ არ გინდა დაიჯერო, თუ ყოვყლივე ამას ადგილი ექნებოდა ქრისტიანულ ქალაქებში, ლორდების და პერების დიდმშვენიერ პალატების ახლოს, სახელოვნო გალერეის ბროლის სასახლეების გვერდზე, მშვენივრათ განათებულ თეატრების გვერდზე, დიდ-საუცხოვო ტაძრების გვერდზე. ამ უბედურ და საბრალო ღარიბების ადგილებში ისეთი საშინელებანი ხდებიან, რომ დანტეს ჯოჯოხეთის სურათები იმათთან შედარებით მკრთალია. ეს მთელი ასი ათასი გაველურებული ხალხი ხომ ადამიანები არიან, ხატად და მზგავსად ღვთისა გაჩენილნი. სათქმელათაც ძნელია, თუ როგორ ჩვენს მრავალ-მილიონ რიცხოვან ქალაქების განაპირა ადგილებში, ბნელ ხვრელებში, იბადებიან, სცხოვრობენ, ცოცხლადვე ლპებიან ლოთობაში და გარყვნილობაში ჩვენი მოყვასნი, ჩვენი მზრუნველობისადმი რწმუნებულნი, ჩვენი ძმები და დები; ჩვენ-კი, გვავიწყდება, ისინი, არასოდეს არ ვფიქრობთ მათზე, ვიკრიბებით ბრწყინვალედ განათებულ დარბაზებში, ვტკბებით მუსიკითა და გალობის სმენით, ვხარობთ დეკორაციების მომხიბლავი სიმშვენიერით. ჩვენ გვესმის ჩვენი შინაური ბულბულების პატ-

ტის, არნოლდსონის, მაზინის საუცხოვო ჰანგები; ჩვენ გვერ-
დით, ორი-სამი ქუჩის გადაღმა, გაისმის დაუცხრომელი ჯო-
ჯოხეთური ტირილი და ღრჭენა კბილთა. საშინელი მღაღ-
დებელი ცად მიმართ ცოცხალი სურათია სახარების იგავისა
„მდიდარზე და ღარიბ ლაზარეზე“! პირველი იმოსებოდა პორ-
ფირითა და ბისონითა, ყოველ დღე ნადიმებს ჰმართავდა ბრწყინ-
ვალედ; მეორე-კი ძონძებში გახვეული, მუწუკებით სავსე, იწვა
კარებთან და ნამცეცებიც-კი ენატრებოდა, მდიდრის დიდე-
ბული სადილიდან გადმოყრილი. მხოლოდ ძაღლები მოდიო-
დნენ იმ საწყალთან, ულოშნიდენ წყლულებს და სწმენდავდენ
ჩირქისაგან მის მუწუკებს. მე მინდა საწყალ გლახას იმ ძაღლე-
ბის მაგიერობა გავუწიო, მე მინდა, როგორმე მოვწმინდო ამ
უბედურ და მივიწყებულ ჩვენ ძმებს ჩირქი სულისა. ხოლო
მისვლა მაძღარ და კმაყოფილ პორფიროსან და ბისონოსან
მდიდრისას, მღერა მის გასართობად და შესაქცევად, ლაზა-
რეს დავიწყებით, აღება ამაში ფულებისა, მიღება ყვავილებისა
და ბრილიანტებისა მე არ შემიძლია, არ შემიძლია!..

— მე მაინცა და მაინც ვერ გამიგია, რატომ არ შეგი-
ძლია სცენაზე გამოსვლა, — უთხრა დედამ. — ნუ თუ თეატრი,
მუსიკა და სიმღერა ცოდვითი საქმედ მიგაჩნია? განა შეგიძლია
ჰკიცხო ისინი, ვინც მღერის, სთქვა, რომ ისინი ქრისტეს
მოძღვრების წინააღმდეგ იქცევიან?

— ოხ, დედა! შენ არ გინდა გაიგო ჩემი ლაპარაკი. მე
არავის არა ვსჯი, არავის არ ვამტყუნებ. მე ვლაპარაკობ
მხოლოდ ჩემ შესახებ, ჩემი ტალანტის არჩევანს ვაკეთებ.
დაე, იყონ თეატრები, და კონცერტები; დაე, ხალხმა დაი-
სვენოს იქ სულით, ისიამოვნოს; ვისაც სურს, ემსახუროს მათ
თავის ტალანტებით. მე ამას დიდად ვაფასებ. ხელოვნება ზე-
ცის ბრწყინვალე სხივია, ქვეყნად ჩამოშვებული; იგი აღვი-
ძებს ხალხში წმინდა, უმანკო გრძნობებს, თან მოაქვს იშვი-
ათი ბედნიერი წუთები, ნეტავი ღმერთმა ბევრი ქმნას ესენი
ქვეყნად! ბედნიერნი არიან ისინი, ვისაც წილად ხდომია ხე-

ლოვნების მსახურება. მე თითონ არ ვამბობ უარს ხელოვნებაზე; მე მხოლოდ მინდა ვემსახურო მას არა კონცერტის ესტრადაზე და არა თეატრის სცენაზე. ამ სამსახურისთვის ჩემს გარდა კიდევ ბევრი ტალანტები მოიპოვებიან. მე ჩემ ხმას და ნიჭიერებას სხვა დანიშნულება უნდა მივცე. მაცხოვარმა თავის მოწაფეებს, მათი მოციქულების პირველ ხანაში, ასე უთხრა: „მიდით პირველად თქვენი მშობელი ხალხის წარწყმენდულ შვილებთან, სნეულნი განკურნეთ, კეთროვანნი გასწმინდეთ და მკვდარნი აღადგინეთ; უსასყიდლოთ მიგიღიათ, უსასყიდლოთვე მიეცით“. მე ეს სიტყვები ჩემ თავზე გადამაქვს. ეგრეთვე მინდა უანგაროთ ვემსახურო ხალხს; მე ვფიქრობ, ჩავიდე ჩემი გალობით მიყრუებულ სოროებში ჩვენ უბედურ ძმებთან, ავათმყოფებთან, კეთროვანებთან და სულიერათ მკვდარებთან, შეიძლება ვინმე ერთი მაინც გავაცოცხლო, გავწმიდო, დავაბრუნო ფხიზელ, გონივრულ და ღვთისნიერ ცხოვრებისადმი. ძველი ბერძნული მითოლოგია ამბობს, რომ ორფეი მუსიკით აცხრობდა ზღვის ღელვას, ამშვიდებდა ველურ მხეცებს. მე მინდა ვეცადო ჩემი ტალანტით მოვალბო და გავაკეთილშობილო გამხეცებული ხალხი. აი ჩემი მიზანი და მტკიცე გადაწყვეტილება. მაცხოვარმა თავის თავი მთლად მისცა ხალხისთვის; მე მინდა, ღვთის შეწევით, გავაკეთო რამე ჩვენი უნაროსი ძმების გამოსახსნელად.

— ესე იგი, სახელდებრ, რისი გაკეთება გინდა?— ჰკითხა ხელმეორეთ დედამ.—შენ ბევრი ილაპარაკე, მაგრამ არ გითქვამს კი, რას გააკეთებ.

— მე თითონ გარკვევით ჯერ არ ვიცი, რას გავაკეთებ. მე მინდოდა, წავსულიყავ ჩემი ხმით **სწორი კუთხის** უბანში და იქ მემღერა...

— სადა?—გაეწყვეტინა თავზარ დაცემულმა დედამ.— სწორი კუთხის უბანში? და მერე შენ იცი, იქ რა ხალხია? იქ ხომ მხეცებია და არა ადამიანები; იქ ხომ რაღაც უბედური ადგილია, ჯოჯოხეთია. იქ ხომ ბუდე გაუკეთებია

ყოველგვარ გარყვნილობისა და ლოთობის თავშესაფარს.

— აი სწორეთ იმიტომ უნდა წავიდე, რომ იქ ჯოჯოხეთია, რომ იქ ადამიანები კი არა, მხეცებია. ეს დიდი სირცხვილია ჩვენთვის. ჩვენ ათასობით ვხარჯავთ მისსიონერობაზე წარმართთა შორის, ჩვენს გვერდით-კი, მეზობელ უბნებში ათასობით იღუპებიან სულიერ სიბნელეში სულით ველურები.

— ეს სიგიჟეა!—სასტიკად შეაწყვეტინა დედამ, ადგა და გავიდა ოთახიდგან. —მე შენ ამ გზას არასოდეს არ დაგილოცავ.

— ჩემთვის ეხლა უმთავრესი ის არის,—მშვიდობიანათ უპასუხა რახიელმა,—რომ მე დამლოცოს ქრისტემ; ის-კი, მე მწამს, დალოცავს ჩემს განზრახვას; და შენც, დედა, დარწმუნებული ვარ, ბოლოს მოგეწონება იგი.

დედამ არ მოუსმინა ბოლომდის, გაიჯახუნა კარები და გავიდა. რახიელმა მძიმეთ ამოიოხრა, დაფიქრებული ცოტა ხანს გაჩერდა, და შემდეგ იქვე ოთახში დაიჩოქა:

— ღმერთო! განმამტკიცე და მასწავლე მე!

როცა ის ზეზე ადგა, მისი პირი-სახე ცრემლებით იყო დასველებული. ის შევიდა თავის ოთახში, აიღო სტოლიდან სახარება, გამოარჩია მათეს სახარების მეათე თავი და წაიკითხა: „ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა, და რომელმან უარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უარ-ვჰყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ მე მიფენად მშვიდობისა ქვეყანასა ზედა; არა მოვედ მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა. რამეთუ მოვედ განყოფად კაცისა მამისაგან თვისისა, და ასული დედისაგან თვისისა, და სძალი დედამთილისაგან თვისისა. და მტერ იყვნენ კაცისა სახლეულნი მისნი. რომელსა უყვარდეს მამა ანუ დედა უფროს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსა უყვარდეს ძე ანუ ასული უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს. და რომელმან არა აღიღოს ჯვარი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღიოს''.

რახიელმა წაიკითხა ეს სიტყვები, დახურა წიგნი და ღრმად ჩაფიქრდა:

— დიახ, კაცის მტერნი არიან სახლეულნი მისნი. ქრისტე გიწოდებს შენ აქეთ მხარეს, მახლობელნი შენნი-კი — მეორე მხარეს, შენ გინდა მაღლა ახვიდე, ისინი-კი ძირს გეწევიან. იძულებული ხარ არჩევანი გააკეთო: ან უარ-ჰყო ქრისტე და დაემორჩილო შინაურებს, მათ ანგარულ ქვეყნიურ ანგარიშებს, ან ყველაზე მაღლა დააყენო ქრისტეს საქმე და ამითი დიდათ აწყენინო ახლო ნათესავებს. მე ვდებ სიტყვას, რომ გავყვები ქრისტეს და ვივლი მის კვალზე. რახიელი ხელ-ახლა დაემხო პირ-ქვე: ,,უფალო, მომეცი მე ძალა. განმაძლიერე მე, შემეწიე მე, რომ ღირსი გავხდე შენი დიდ- მსახურებისა''!

უნდა აღინიშნოს, რომ იმის შემდეგ, რაც მექსუელის სამრევლოში ეკლესიის კათედრასთან გამოჩნდა მუშის საბრალო გაწეწილი სახე, ამ ორი კვირის განმავლობაში უფრო მეტი ხალხი ლოცულობდა სახლში, ვიდრე წინეთ, მთელი წლის განმავლობაში. მექსუელმა იცოდა ეს, და შემდეგ კვირეს იქადაგა იოანეს სახარების მეცხრე თავზე, სადაც ნაამბობია განკურნება შობიდგან ბრმისა.

— შეხვდენ რა ამ უბედურ ბრმას, იერუსალიმის ქუჩაზე, — დაიწყო მექსუელმა, — მოწაფეებმა ჰკითხეს იესოს: „რაბი! ვინ სცოდა, ამან ანუ მშობელთა ამისთა, რამეთუ ბრმა იშვა?“ იესომ უპასუხა: „არცა ამან სცოდა, არცა მშობელთა ამისთა, არამედ რათა გამოსცხადნეს საქმე ღვთისა მაგას ზედა“. (იოან. 9, 2-3). ჩვენ, საყვარელნო ძმანო, უფალმა ცხოვრების გზაზე მოგვივლინა, ბრმის მაგივრათ, ღარიბი ჩვენი ძმა. საცოდავი ბევრი იტანჯა, ბევრი ითმინა თავის სისაწყლე და ბოლოს მოკვდა, დაუძლურებული გაჭირვებით. ამაში ის თითონ იყო თუ არა დამნაშავე, — ჩვენ არ ვიცით. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ: „ყოველივე ეს მოხდა იმისთვის, რომ მაზედ და მის-მიერ გამოსცხადდეს საქმე ღვთისა;

რათა როგორც ნათქვამია სახარებაში, რომელნი არა ჰხედვიდენ, დაინახონ". და ეს ასრულდა. ჩვენ წინათ ვიყავით ბრმები, ვერ ვხედავდით, ეხლა დავინახეთ. ჩვენი ძმა მოკვდა ჩვენ შორის არა ამაოდ. ჩვენ ამით ბევრი რამე ვისწავლეთ. მისი სიკვდილი ჩვენთვის მადლიანი მსხვერპლი შეიქნა. ჩვენ დაგვრჩენია ჩვენის მსხვერპლით ქრისტეს სახელისთვის გავაკეთოთ რამე საკეთილო ჩვენი ძმების გულისთვის. მაცხოვარი შეგვეწიოს ჩვენ ყველას!

წირვის შემდეგ წრის წევრები ჩვეულებრივ შეგროვდენ საეკლესიო ბიბლიოთეკის ოთახში. სახლი მთლათ აივსო ხალხით. მოემატა რამდენიმე ახალი პირი. წევრები იშვიათის გულსმოდგინებით უზიარებდენ ერთმანეთს თავიანთ აზრებს. ყველა გრძნობდა რაღაცა სულის სიმაღლეს, ახალ ძალ-ღონეს ქრისტეს საქმის გასაკეთებლად. ყველას გულზე თითქოს გაზაფხულის ნიავმა დაჰბერა, გულში სითბო ჩაესახა; ყველას უნდოდა რაიმე სიკეთე, სიკეთე არა თავისთვის, არამედ სხვისთვის. ჰფიქრობდენ რაიმე საზოგადო საქმე დაეარსებიათ, თავიანთ მოყვასთა, უნკროს დაბნელებულ ძმათა სასარგებლოდ.

იქ მყოფმა მისტერ გრეიმ მისცა წინადადება წევრებს მიეღოთ მონაწილეობა „თეთრი ჯვრის" საზოგადოების მუშაობაში.

— თქვენ მოგეხსენებათ, — ამბობდა გრეი, — მე ვარ ამ საზოგადოების წევრი. იგი არის დაარსებული წითელი ჯვრის მზგავსად; მხოლოდ წითელ ჯვარს აქვს მიზნათ ომში დაჭრილთა და დაზარალებულთა დახმარება; თეთრი ჯვარი კი სახავს თავის მოვალეობად მშვიდობიან დროს ებრძოლოს საზოგადოების ყოველგვარ სენს — სიღარიბეს, მივარდნილობას, დაბალი ხალხის სიბნელეს, მის სიბრიყვეს, ლოთობას და სხვა. ბიწიერებას. ჯერ-ჯეროობით ეს საზოგადოება ცოტას აკეთებს; იმას არა აქვს არც საკმაო საშუალება, არც საკმაო წევრები ყავს. მაგრამ შემდეგში შეიძლება გაიზარდოს; ეს ჩვენი ახალი წრე,

რომელიც ამ ჟამად შეგროვილია ამ დარბაზში, მეტად სასარგებლო იქნებოდა თეთრი ჯვრისთვის. აქ, ჩვენში, არიან ექიმები, იურისტები, მომღერლები, არიან, რომელთაც შეუძლიათ ხალხს რაიმე სასარგებლო წაუკითხონ, არის კიდევ, და ეს ყველაზე უმთავრესია, საუკეთესო, გამოჩენილი მქადაგებელი. ასეთ მუშაკებს ბევრი რამეს გაკეთება შეუძლიათ. და აი მე გირჩევთ ყველამ ერთათ მიიღოთ მონაწილეობა თეთრი ჯვრის საზოგადოებაში. მუშაობა მართლა გულსმოდგინე იქნება. თეთრი ჯვრის საზოგადოებამ გადასწყვიტა იმოქმედოს „სწორი კუთხის უბანში“. თქვენ, რა თქმა უნდა, გეცოდინებათ, რა არის „სწორი კუთხის უბანი“. ეს ქალაქის განაპირა ადგილია, ქალაქის მთელი ვეებერთელა ნაწილია. იქ მეფობს საშინელი სიღარიბე და მისი თანამგზავრები ლოთობა და ყოველგვარი სიბილწე. გავეშუროთ იქით! ძე კაცისა მოვიდა მოძიებად და ცხოვნებად წარწყმენდულისა. წავიდეთ მის კვალზე, წავიღოთ თან ნათელი ქრისტესი და შევიტანოთ ბნელ სოროებში! პასტორი მექსუელი უქადაგებს იქ, იმ უბედურ, მივიწყებულ, გაფუჭებულ „სწორი კუთხის უბნის“ მცხოვრებლებს ღმერთზე და ღვთის სიმართლეზე. მისს ვინსლოუ თავის საუკეთესო ხმით კეთილად იმოქმედებს იმათ გაქვავებულ, გაბოროტებულ გულზე, ექიმები და კეთილი ქალები შეეწევიან ავათმყოფებს წამლით და ნაზი მოვლით, როგორც მოწყალების დები. მეცნიერების მცოდნენი წაუკითხავენ ხალხს სხვადასხვა საკითხების შესახებ, რომელიც ეინტერესებათ აქაურ საუკეთესო მცხოვრებთ. იურისტები უფასოთ მისცემენ რჩევას, ვისაც ესაჭიროება ვექილის დახმარება. ჩვენ ვიქონიებთ იქ შკოლასაც ბავშვებისთვის, ადგილსაც გონივრული დასასვენებლად და გასართობად მოზრდილთათვის, თავშესაფარსაც მაშვრალთა და ცხოვრების დაუდგრომელობისაგან შეწუხებულთათვის. ერთი სიტყვით, იმ უბნის ბიწიერების და გაჭირვების გაუვალ ზღვაში ჩვენ ავანთოთ ბრწყინვალე „მაიაკი“.

— მე ვფიქრობ, — დააბოლოვა გრეიმ, — ეს განზრახული „მაიაკი“ არის ისეთი საქმე, რომელსაც შეეძლება ყველა ჩვენ შეგვაერთოს ქრისტეს ცხოველი საქმის გასაკეთებლად.

ყველამ აღტაცებით მოიწონა ეს განზრახვა:

— დიახ! დიახ! მაიაკი! სახელდობრ, ,,მაიაკი''! ეს იქნება სწორეთ შესაფერისი. იესო ქრისტე ბიდიოდა თვით დაღუპულ ცოდვილებთან, და იმათ მოუწოდდა ღვთისადმი, ზეციურ მამისადმი, მოუწოდდა სასუფეველისადმი სიმართლისა და სიყვარულისა. ჩვენც გავყვეთ მის კვალს, წავიდეთ მივიწყებულ, სწორი კუთხის'' მცხოვრებლებთან.

მექსუელს მეტად უხაროდა. მისი პირი-სახიდან გამოკრთოდა თვით წმიდა სიხარული. ის ამბობდა:

— ეს ღვთიური ცვცხლი ენთება აქ. ამასთან მაიაკი ბრწყინვალეთ გაუნათებს სიბნელეში მცხოვრებლებს: იქონიეთ მხოლოდ ბლომათ ზეთი, ზეთი სიყვარულისა თქვენს გულში. ეს განზრახული საქმე დიდია, იგი დიდ ძალას მოითხოვს. მოიფიქრეთ, ვის რით შეუძლია. სასარგებლო გახდეს „მაიაკში“, და გადასწყვიტეთ შემდეგი კვირისთვის. ჩვენ ერთი კვირის შემდეგ ხელ-ახლა შევგროვდებით აქ, და საბოლოოდ გადავწყვეტთ, ვინ რა უნდა გააკეთოს, ან როგორ. ეხლა კი ვილოცოთ, რომ უფალმა განამტკიცოს ჩვენი ახალი კეთილი განზრახვა და მოგვცეს ჩვენ ძალა მის შესასრულებლად.

ლოცვის შემდეგ ყველა გახარებული და გაცოცხლებული წავიდ-წამოვიდნენ სახლებში.

ვირჯინია პეჯი გზაზე ელაპარაკებოდა რახიელს:

— მე ვგრძნობ სიხარულს ისე, როგორც ქრისტოფორე კოლუმბი გრძნობდა, როდესაც უდაბურ, თვალგაუწვდენელ ზღვაზე დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ, უცებ გაიგონა: „ნაპირი! ნაპირი!“ ეგრეთვე მეც ბევრი წლების ფუქსავატ და უმიზნო ცხოვრების შემდეგ, უცებ მესმის: „საქმე! ცოცხალი, კეთილი, წმინდა საქმე!“

— მეც, — ამბობდა ღიმილით რახიელი, — მე შორიდან უკვე შევხარი ამ უეცრათ გამოჩენილ დედა-მიწის სილამაზეს, ვგრძნობ ყვავილების კეთილ-სუნნელებას, წინათვე ვტკბები საქმის სიმშვენიერით. მე ასე კარგათ არასოდეს არ მიგრძვნია თავი.

ასეთსავე გრძნობებს განიცდიდნენ ამ საზოგადოების სხვა წევრებიც. ყველამ ნათლად შეიგნო ცხოვრების უმაღლესი მიზანი. ყველამ იგრძნო წყურვილი შრომისა, ყველას მიეცა რწმენა ამ საქმის წარმეტებისა. ,,მაიაკმა'' შეიპყრო ყველანი და განაცისკროვნა საგანგებო სიხარულის სინათლით, სინათლით ცხოველის და ნამდვილის სიყვარულისა.

საშუალება სიმთვრალის წინააღმდეგ.

მოთხრობა პოტაპენკოსი.

I.

ბლაღოჩინი მამა ვიტალი მუდროსტინი, გამხდარი საშუალი ტანის, დაღვრემილი და ბრძენი გამომეტყველი სახის, ხუჭუჭი და ქერა თმის მექონი, ლოყებზედ ჩარჩოსავით შემოყოლებული წვერით, აღელვებული ჩქარი ნაბიჯით დადიოდა თავის კაბინეტში.

კარი, კაბინეტიდგან სასტუმროში გამავალი, ნახევრად ღია იყო, საიდგანაც მოისმოდა მწუხარებით მოლაპარაკე ხმა მათი ნათესავი ქალისა, რომელიც ეს იყო სწვეოდა მათ.

ეს იყო მისი რძალი, ცოლი მისი ტანის ძმის ფლორენტისა, რომელიც ქალაქის ახლოს მსახურებდა მედავითნეთ და აი ნამდვილ ამ რძლის მოსვლა იყო მამა ვიტალის აღელვებული მდგომარეობის მიზეზი.

ძმა ფლორენტი თითქო რაღაც ცოდვებისათვის დასასჯელად იყო მამა ვიტალიასათვის მოვლენილი. მართალია მამა ვიტალი წმინდანი არ იყო, ეს კეთილი და უბრალო მუყაითი კაცი იყო, მაგრამ ის თავის თავზედ არც იმდენს ცოდვებს გრძნობდა, რომლისათვისაც ასე სასტიკათ უნდა დასჯილიყო, სხვაფრივ მისი ცხოვრება კარგათ მოეწყო; სემენარია პირველ შეგირდათ გაათავა, მართალია აკადემიაში შესვლა არ ხვდა წილათ, მაგრამ ეს არც მას ენატრებოდა, ცოტა ხანს სასულიერო სასწავლებელში იყო მასწავლებლად, შეერთო ლამაზი ახალგაზდა ქალი და ეხლა სარგებლობდა და სტკბებოდა მშვიდი იჯახური ცხოვრებით, არქიელმაც შეიყვარა და მისცა საკრებულო ტაძარში მღვდლის ადგილი. ხოლო სამი წლის შემდეგ ბლაღოჩინათაც დანიშნა.

მეტი რა უნდა ისურვოს მღვდელმა? სულ რაღაც რვა წელიწადია სწავლა დაამთავრა და ასე წინ წაიწია, მაგრამ ძმა ფლორენტი... ეს მისი მუდმივი სატანჯველი და საგონებელი!

ფლორენტი სამი წლით უმფროსი იყო მამა ვიტალიზე, ისიც მასავით გამხთარი და მოუხეშავი ქერა წვერებით, რომელიც ჩარჩოსავით ჰქონდა მასაც ლოყებზე შემოვლებული. ფლორენტი სწავლაში უნიჭო გამოდგა, რისთვისაც სამაზრო სასწავლებლის მესამე კლასიდან დაითხოვეს. დიდხანს იყო ის მედავითნეთ ერთ მიყრუებულ მრევლში, სადაც ძლივ-ძლივობით გაქონდა თავი, აქ მან შეირთო ცოლი, ცოლის შერთვას თან მოყვნენ შვილები. მაგრამ ყველაზე უბედურება ის იყო, რომ მას დაჩემდა ერთი ცუდი ჩვეულება, ეს ჩვეულება გახდათ მთვრალობა, ძნელად ნახავდით ფლორენტის ფხიზელს.

ჩვეულებრივ წყნარი და გულკეთილი, ღვინის გავლენის ქვეშ შეიქნებოდა ჭირვეული მოუშორებელი და უზრდელი. ყველასთვის უნდოდა ეწყენინებია, მაგრამ ნამეტნავათ წყენება უყვარდა თავის პირდაპირ უფროსებისა. გაუთავებელი საჩივრები მიდიოდა ფლორენტიზე მისი წინამძღვრებისაგან კან-

სისტორიაში, რისთვისაც იგი ერთი მრევლიდან მეორე უფრო მცირე და შემოუსავლო მრევლში გადაჰყავდათ. ცოლი პატიოსანი და ყოველივე გაჭირვების უსაყვედურო ამტანი შეხვდა, თუმცა იგი ფლორენტის ოჯახში კვირაობით ნახევრად მშიერი იყო, მაგრამ ამაზედ მისგან საყვედურს ვერ ვაიგონებდით, სიმთვრალის შესახებაც რომ რაიმე შენიშვნა მიეცა ქრმისათვის ისიც კი ვერ გაებედნა.

როდესაც მამა ვიტალიმ თვისი მდგომარეობა გაიმაგრა და ბლაღოჩინი გახდა, მას გულში ფლორენტის სიბრალული უფრო გაუორკეცდა, იმაცადინა კონსისტორიაში და ქალაქის მახლობლად გადაიყვანა მედავითნესავე ადგილზედ. ჰფიქრობდა: იქ ახლოს იქნება, თვალ-ყურს ვადევნებ და თანაც ხალხისაც იქნებ შერცხვესო. მართლაც, ფლორენტი ამ ახალ ადგილზე მთელი კვირაობით იკავებდა თავს ფხიზლად, ვიტალის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, შეიძლება ცოტა თუ გაძლო კიდევაც გადაეჩვიოსო, ჰფიქრობდა იგი, მაგრამ ესეს იყო, რომ ფლორენტის ცოლი მისულიყო მასთან და უყვებოდა მამა ვიტალის შეუღლეს თუ როგორ დაიწყო ფლორენტიმ ისევ მთვრალობა და მრევლში ყველას ეჩხუბებოდა, თვით წინამძღვარს მამა თადეოზს ძლიერ აწყენინა, მაგრამ იმან მამა ვიტალის ხათრით არც კი შეიმჩნია წყენინება. მართალია ბევრს ნიშნავს, რომ ძმა ბლაღოჩინი ჰყავს, მაგრამ მოთმინებასაც ხომ საზღვარი აქვს.

მოისმინა თუ არა ეს ამბავი მამა ვიტალიმ, ძლიერ შეწუხდა, გავიდა თავის კაბინეტში და აღელვებული წინ და უკან მოარული ამბობდა: „ძლიერ შევცდი, რომ ფლორენტი ახლო გადმოვიყვანე, როგორც სჩანს, ამითი მას არაფერი სიკეთე შომატებია, წინააღმდეგ მისი მოქმედება ყოველივე ჩემს გვერდით ხდება და შესაძლოა არქიელის ყურამდისაც მიაღწიოს, მართალია არქიელმა იცის, მე რომ უბედური ძმა მყავს, მაგრამ ყოველ წუთში ამის შოგონება და გახსენებაც არ არის ჩემთვის კარგი“.

დიდ ხანს ჰფიქრობდა მამა ვიტალი, თუ როგორ მოექცია და გონს მოეყვანა ძმა; ერთი-ღა დარჩენოდა და ბოლოს კიდეეაც ამ ერთ აზრს დაადგა; ერთი კარგად შევსუსხავ და შევაშინებ შორს მიყრუებულ ადგილზედ გადაყვანის მუქარით, ფლორენტის ამის ძლიერ ეშინოდა; შეიძლება ამან იმოქმედოს. გადაწყვიტა თუ არა ვიტალიმ ამ გვარად ფლორენტის შეშინება, შეეიდა სასტუმრო ოთახში და უთხრა რძალს: დარია სტეპანოვნა! თქვენ ფლორენტის უთხარით, რომ ჩემთან შემოვიდეს ხვალ, ძლიერ საჭირო საქმე არისთქო, მე მას მოველაპარაკები. ადრე მოვიდეს სანამდი დასალევს იშოვნიდეს რამეს.

II.

ბლაღოჩინი დილით ადრე იღვიძებდა. განსაკუთრებით გაზაფხულსა და ზაფხულის დღეებში და ეხლაც, ვინაიდგან ზაფხული იყო, შვიდ საათზე ჩაის სვამდა, ხსნიდა წერილებს და კითხულობდა თავის ხელქვეით სამღვდელოების მოხსენებებს, სწორეთ ამ მაცადინობის დროს მოუსწრო ფლორენტიმაც.

როდესაც მამა ვიტალიმ ასწია თავი და შეხედა ძმას, გულნატკენმა იმ წამსვე შენიშნა, რომ ფლორენტის თვალებში რაღაც უკრთოდა, სჩანდა, რომ გადაკრული იყო.

— მიწოდებდით ბლაღოჩინო? — ბოხი ხმით ჰკითხა ფლორენტიმ და დაუპატიჟებლად გამოსწია სკამი და დაჯდა. ეს უკანასკნელი მისი ქცევა ნამდვილი დამამტკიცებელი საბუთი იყო ვიტალის შენიშვნისა: ფხიზელი ფლორენტი თავაზიანი და ზრდილობით სავსე ვაჟკაცი იყო და არასოდეს არ მისცემდა თავს ნებას ამ გვარი რამ ჩაედინა, ეხლა კი ჩვეულებრივადაც არ მისალმებია.

— სჩანს შენ ადრე მოგისწრია ფლორენტი, საყვედურით უთხრა ვიტალიმ, ჯერ ხომ რვა საათიც არ არის და შენ უკვე...

— არა, „უკვე“ კი არა, ნახევარი ქიქა გადავკარ სითა-
მამისათვის. უბრალო ვინმესთან ხომ არ მექნებოდა საქმე და
სალაპარაკო, ბლალოჩინთან... საშიშოა... სთქვა ბოხი ხმით.

— რას ჰგავს, ფლორენტი, დაანებე თავი მაგ კილოთი
ლაპარაკს. მე მინდა შენთან სერიოზულად მოვილაპარაკო.
ფლორენტიმ თავი გააქნია და რალაც უცნაურ-მზაკვრულად
გაიცინა.

— შენ სერიოზულ ლაპარაკს, თუ გინდა, ძმაო, წინდა-
წინ მოგიყვები სიტყვა სიტყვით.

— მერე რაფერ შეგიძლია შენ ეს შეიტყვე. ან საიდან
იცი, მე რა უნდა გითხრა?

— აი თუ არა: „ძმაო ფლორენტი, დაანებე თავი სმას,
ნუ არცხვენ ჩვენ საერთო გვარს მუდროსტინებისას. შენ ცო-
ლი გყავს, ცოლი კარგი ადამიანია, აგრეთვე გყავს შვილები,
რომელთაც მოვლა უნდა, რა მაგალითს აძლევ მათ? ყოვლად
ცუდს“.

— და განა ყველა ეგ ასე არ არის? თავის ქნევით შეე-
კითხა ვიტალი.

— შენ ჯერ დამაცადე, მე ყველა არ მითქვამს, — „ძმაო
ფლორენტი, შეიგნე, რომ შენ ქალაქის ახლოს ჩემი ხათრით
გადმოგიყვანეს და შენს საქმეებსაც ითმენენ. მაგრამ ჩემი
მოთმინებაც ტაილევა და იცოდე, რომ ვეცდები ისევ სადმე
მივარდნილ ადგილზე გადაგიყვანონ, ხა? განა ასე არ ჰფიქ-
რობ? აი ეხლა ხომ ხედავ, ძმაო, რომ მე მთლად „უკვე“ არ
ვარ, ესე იგი მთვრალი არ ვარ, ჩემი აზრები კიდევ მუშაობენ.

— დიახ! ვხედავ. მაგრამ რა გინდა ყველა ამით რომ
სთქვა? თუ შენ ეს ყველა იცი და შენზე აღარაფერი მოქმე-
დებს, მაშ ხელებს უნდა დავიკრიბოთ და აღარ ვიმოქმედოთ,
არა?

— დიახაც ეს ასეა, თუ ხელები აწეულია ეს მაშინ ვის-
მე გასალახავად-დასაჩაგრავად არის მოწყობილი, უკეთესია
ხელები დავიკრიბოთ. დაიკრიბე ხელები ბლალოჩინო...

— დღეს შენ ფლორენტი, რაღაც უცნაური კილოთი ლაპარაკობ, არასოდეს არ მსმენია შენგან ამგვარი სიტყვები...

— კიდევაც იმისათვის გადავკარ ცოტაოდენი, რომ ენას მეტი მიხვრა-მოხვრის გაბედულობა მისცემოდა შენთან ლაპარაკის დროს. შენ, ძმაო, ძლიერ კარგი კაცი ხარ, დამსახურებითაც მალე დაემსახურე, გულიც კეთილი გაქვს და განსაკუთრებით ჩემთვის ხომ კეთილი გსურს. მაგრამ მერე რა? სურვილი კი არ იცი,

— მაშ მასწავლე, ფლორენტი, მასწავლე! აღელვებით წარმოსთქვა ვიტალიმ.

— ჰე, არა მაგის სწავლება არ შეიძლება. შენ არ ყოველთვის ერთსა და იმავეს გაიძახი: „ფლორენტი ლოთია, ფლორენტი გაუსწორებელი ცოდვილია, ცოლს შეურაცყოფას აყენებს, შვილებს არ უვლის, ფლორენტი უნდა დაისაჯოს მიყრუებულ სამრევლოში გადაყვანით.“ აბა ერთი მაინც გეკითხა, ან და მოგვიყვა კი როდისმე ამგვარი აზრი თავში: რატომ შეიქნა ფლორენტი ამისთანა? ხომ იყო დრო, როდესაც ის არ სვამდა, მერე კი დაიწყო, ალბათ რაღაც შიზეზია. გინდა კი, რომ იცოდე შიზეზი? არა, გელაპარაკები, გინდა იცოდე? ამპარტავნება! ეგრე რათ მიყურებ? ამპარტავნება! როგორ, შენ კი არ გაქვს ამპარტავნება თუ? შენ მაგალითად დაემსახურე, სჩანს დაგაფასეს, ერთი სიტყვით დაკმაყოფილება მიიღე. მე კი რა ვარ? — ყველაზე პატარა კაცი ქვეყანაზე: მედავითნე, დიაჩოკი... ამაზედ მცირე აღარ შეიძლება. ძველად პონომრები მაინც იყვნენ, ეხლა ისინიც აღარ არიან.., გრძნობ, რომ ყველას შეუძლია ფეხი დაგიბაკუნოს, გაგრისხოს, გაგაჩუმოს. რა ვარ მე? რა წოდების კაცი ვარ? მე სასულიერო წოდების კაციც არ ვარ. ვითომც ხარისხიაო. მედავითნეს რა ხარისხი აქვს? ტანისამოსითაც კი ან განირჩევა იგი სხვა უბრალო კაცთაგან. მაშასადამე სჩანს, ძმაო, შენ ამაზე არაფერი იცოდი და მე კი ამპარტავნება მილრლნის გულს, ამპარტავნების ეშმაკი მიღლინებს. რისთვის ვარ მე ყველაზე მცირე? რისთვის? განა მთავარდიაკვნები ჩვენში ყველა ნასწავლნი არიან? არიან ისეთებიც, ქარაგმა რომ შეხვდებათ წიგნში, ვერ კითხულობენ. მე კი შემიძლია, მე კით-

ხვა მაინც ვიცი... ყველაზე მცირე კი ვარ. ჩემი ცოლიც კი, შენ ამბობ, კარგი ადამიანიაო, მართალს ამბობ, მაგრამ ისიც მედავითნის ცოლია, ისიც ყველაზე უმცირესია. აი რა მილრ-ლნის გულს. მოდი და დარდებს ნუ მოიქარვებ რითიმე! შენ გიფიქრია როდისმე ამაზე? კიდეეაც ეგ არის, ძმაო... მორჩა, მე ჩემი ვსთქვი. ეხლა შენი რიგია, ვნახოთ შენი ბაასი რაფერია, ყურს გიგდებ. მამა ვიტალის ცოტა ხნის წინეთ სათქმელიც ბევრი ჰქონდა. მაგრამ ეხლა გრძნობდა, რომ მის ბაასს და დარიგებას ყოველივე საფუძვლის ძაფები დააწყდა და ეხლა მას არავითარი დამაჯერებელი და დაწყობილი ბაასი აღარ შეეძლო. ფლორენტი... ნუ თუ ეს ის არის? სჩანს ფლორენტისაც მთელი განსაკუთრებული თავისებური სულის კვეთება ჰქონია, მთელი თავისებური ფსიხოლოგია. მართლაც, მამა ვიტალის არასოდეს არ ჩაუხედნია იქ. ის მიჩერებოდა და ხედავდა ფლორენტის გარეგნულ ყოფა-ქცევას, და უწესო მოქმედებას, ხოლო თუ რისათვის ჩადიოდა ამას, ვიტალის ეს აზრათაც არ დაბადებია. ეს იყო ახალი ამბავი და თითქმის დაუჯერებელიც. მაგრამ ფლორენტის ენამ აიშვა, ძლიერ გრძნობა-დაკარგული სიმთვრალისაგან არ ყოფილა, მაშ უნდა ვერწმუნოთ მას.

— არა ძმაო, თავი დამანებე, ცოტა დარცხვენით უთხრა მ. ვიტალიმ, მე არაფერს აღარ გეტყვი. შენ მე შენში რალაც ახალი აღმომიჩინე. არ ვიცი ამას რა უყო. ყოველ შემთხვევაში დაფიქრებაა საჭირო, ყოველივე ეს თავმა უნდა გადახარშოს.., ჩაი არ გინდა ფლორენტი?

— ჩაი არა და ის რომ იყოს...

— არაყი? არა, არაყს არ მოგიტან.

— მაშ მშვიდობით. ცოტა კიდეც მოვილაპარაკეთ. ფლორენტი წავიდა, მამა ვიტალი კი გუშინდელზე უფრო აღელვებული ჩქარი ნაბიჯით დადიოდა კაბინეტში.

III.

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც ფლორენტის ბაასმა გამოიწვია მასში, იყო ნამეტანი ღრმა და ძლიერი.

„კაცს თურმე ჰქონია სათქმელი, სთქვა და ისიც ისე გაზვიადებულათ, მსუქანი სიტყვებით, გაგებულათ, რომ არ შეიძლება—ისეც არ იყოს. გამოდის, რომ მე მის სულიერ მდგომარეობისათვის ყურადღება არ მიმიქცევია. ეხლა კი თვით მისი სულის კვეთება დავინახე. მართლაც, მე მას მხოლოდ და მხოლოდ ვამხილებდი, ვარცხვენდი და კითხვა, თუ რათ მოგდის ყველა ეს, ერთხელაც არ მიმიცია. ვიცით და გავიგეთ—ლოთობა ბიწიერებაა, მაგრამ საიდგან გაჩნდა ეს ბიწიერება? ხომ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს და, თუ ეს ასეა, მიზეზის აცილება = ააცილებს მისგან წარმოშობილ ბიწიერებასაც. სხვანაირი სიტყვით: ფლორენტის მოლიტინე ამპარტავნებამ რომ მიიღოს დაკმაყოფილება, შეიძლება მან სიმთვრალესაც ხელი უშვას.

ამ ხანად მამა ვიტალი შეჩერდა. აქ, ფლორენტის ნათქვამში დარწმუნება იყო საჭირო, რადგან ყოველივე ეს ჯერ კიდევ რაღაც მოჩვენებათ ეჩვენებოდა ფლორენტის. რომ მთავარდიაკვანად კურთხევის შემდეგ სიმთვრალისათვის თავი დაენებებია, ეს მას ვერ წარმოედგინა. კაცმა უნდა მოინანოს, გასწორდეს, თავს ძალა დარიოს—აი ჭეშმარიტი და ნამდვილი გზა.

ამ გვარი შეხედულობის მეოხებით, მამა ვიტალიმ ძალე მოიკრიბა გაფანტული აზრები და ამ დილის ძმისაგან ნაამბობს დაუწყო ყურება, როგორც ლოთის ნალაპარაკებს, მაგრამ თვით ფლორენტი მას მაინც ძლიერ აწუხებდა. დღემდის ფლორენტი შიგნივ, მრევლში ჩაიდენდა ხოლმე რამე ცუდს, იქ მას კიდევაც იცნობდნენ და ყველაფერი ბოლად ჩაუვლიდა ხოლმე, მაგრამ ეხლა ქალაქის სიახლოვის გამო, ხშირად ქალაქშიც შემოიჭრებოდა ხოლმე და ერთხელ, სხვათა შორის, მთვრალმა ვიღაცა დიდ პირს შეახვედრა საწყენი და მანაც კონსისტორიას აცნობა: „ჩემი პირადი შეურაცყოფა ისე არ მწყენია, როგორც ის, რომ ამას ყოველივეს ჩადის სასულიერო პირი,“ ამბობდა იგი საჩივარში. კონსისტორი-

აში, რასაკვირველია, შეეცადენ ამ საქმის მიჩუმებას, მამა ვიტალის პატივისცემისათვის, რომელიც სამღვდელოებაში ცოტა რამეს მაინც კი ნიშნავდა, მაგრამ ვიტალის მაინც აცნობეს ეს საქმე, რამაც იგი ძლიერ დააღონა. ამისთვის იგი იმ წამსვე წავიდა ფლორენტისთან და ერთხელ კიდევ დატუქსა თავისებურად, რის გამო ფლორენტის რამდენიმე დღე აღარ დაულევია.

სამწუხაროდ, არქიელის სიყვარულის და ყურადღების დამსახურება არც ისე ადვილია. ყოველ მღვდელს ჰგონია, რომ ამის ღირსი, სხვაზედ უფრო, — ის არის და ამისთვისაც არც გასაკვირია, რომ მამა ვიტალის მტრები ჰყვანდნენ, რომელთაც, არ ვიცი, როგორ მოახერხეს, და არქიელის ყურამდე მიაღწევინეს ფლორენტის უწესო მოქმედების ამბავს. ამას, რასაკვირველია, ვიტალისათვის პირადი რაიმე შედეგი არ ჰქონია, ვინაიდგან არქიელი ძმის ცოდვას, ვიტალის არასოდეს არ გადაახდევინებდა, მაგრამ მისთვის ესეც სამწუხარო იყო, რომ მაზედ არქიელმა იცოდა. ერთხელ ამბად, არქიელმა ბაასის დროს, კიდევაც გაახსენა, თუმცა არა საწყენად, — როგორც იტყვიან, სხვათაშორის.

ერთხელ არქიელმა მამა ვიტალის რაღაც მოხსენება შოუსმინა და მერმე ამ საგანზედ არსებითად მოილაპარაკეს. როდესაც ვიტალი ემშვიდობებოდა, ყოველადსამღვდელომ შეაჩერა.

— მ. ვიტალი, გაიგე რამე შენ ძმა ფროლენტიზე? მე ძლიერ ვსწუხვარ, რომ ის სწამლავს შენს წყნარ ცხოვრებას.

მ. ვიტალის ვერმა გადაჰკრა, მაგრამ, შეხედა რა, რომ არქიელი შედის მის მდგომარე ბაში, ცოტა გამბედაობა მოუვიდა. — არ ვიცი, რა მოვახერხო, თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ? ჩემს ქკუას ვერ მოუფიქრებია, რა სახით მოვაქცევ და გავასწორო ის, წაიბუტეუტა ვიტალიმ. ბუნებით კეთილი და პატიოსანია. ფხიზლათ როდესაც არის, იმა-

ზე უკეთეს ვის ნახავთ, მაგრამ ეს ბიწიერება მასში ამოუფხვრელი და მოუშორებელია.

— განა ასეა ეს მ. ვიტალი? ჩვენ ხშირად ამოუფხვრელს და მოუშორებელს უწოდებთ მას, რის ამოყრა და მოშორებაც ჩვენ ვერ შეგვძელით. რა არის მიზეზი მისი ამ გვარი ქცევისა?

— მისივე ახსნით: ამპარტავნებაა.

— ამპარტავნება? რა ნაირათ?

— აი რანაირათ: შე ჩემს დღეში მედავითნეთ ვარ, ყველაზე მცირე მოსამსახურე. ჩემზე მცირე სასულიერო წოდებაში არავინ არ მოიპოებაო, და ეს მიღრღნის გულს და ამპარტავნების ეშმაკი მილიტინებსო.

— ჰხედავ! და შენ როგორ ჰფიქრობ, განა ეგ მართალი არ იქნება?

— მე არ ვიცი, ამაზე როგორ ვიფიქრო, როდესაც ეს სინამდვილეც არ მგონია.

— მე კი, ყოველ შემთხვევაში მგონია. რომ შესაძლოც არის. განა, მამა ბლაღოჩინო, ჩემს ეპარქიაში ცოტა მთავარდიაკვნებია ლოთები? ჩემს ფიქრით ათამდისაც იქნება.

ვერ მოგატყუებთ, თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, არ/ან სწორედ.

— მაშ თუ გინდ შენი ძმა კიდევაც სტყუოდეს, ამით რა მოხდება? ამ ათეულ ლოთ მთავარდიაკვნებს მიემატება შენი ძმაც. ეს არც ისე დიდი საშიში ნაბიჯია და თან შეიძლება აქედგან სიკეთეც გამოვიდეს. აა? შენ როგორ ჰფიქრობ?

— მოგახსენეთ, ფიქრსაც ვერ ვბედავ. თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ! და კიდევაც არ მეხერხება ამაზე რაიმე ვსთქვა; ნამდვილი გულახდილობით მოახსენა ბლაღოჩინმა.

— რა უყოთ, ვხედავ, რომ ამ საქმეს მე ვღებულობ ჩემს თავზე, შეიძლება აქ შეცდომაც მომივიდეს, მაგრამ რადგან ის კაცი ასე ამბობს და ხსნის თავის ლოთობის მიზეზს, ჩვენ რომ გვერდი აუაროთ და ყურადღება არ მივაქციოთ,

მაშინ ყოველთვის სინდისი დაგვიწყებს ქენჯნას, საყვედურს: თქვენ რომ მისი სურვილი დაგეკმაყოფილებიათ, ის ამ ბიწიერებას გადაეჩვეოდაო, შეიძლება კიდევაც ნამდვილ გამოიცვალოს ხასიათი. აი რას გეტყვი: მე ეს ასე მწადია, მხოლოდ შენ მომეხმარე, შენ არაფერში არ დაგიწყებ საყვედურს, მხოლოდ შენ ის მოამზადე. ამას შენ კი შესძლებ.

არქიელის სახლიდგან მ. ვიტალი აუწერელი აღელვებით გამოვიდა. მას სურდა გახალისებულიყო ძმის ასეთი ბედნიერებით, მაგრამ უნდობლობა მის გასწორებაზე უშხამავდა მას ამ გრძნობას. და მერმე როგორი გამოცანა იდგა მის წინაშე: ფლორენტის მომზადება! რა ნაირათ ჰქნას ეს? რომელი მხრიდგან მიუდგეს მას?

IV

ყოველთვის ასე ხდება: როდესაც კაცი დიდი ხნით აშენებს თავის მოქმედების გეგმას, მოფიქრებულად აწყობს ყოველივე წვრილმანამდის საქმეს, ამ დროს მას ცხოვრება თავის თავად აყენებს იმ მდგომარეობაში, რომ ამ საქმის აღარა იცის რა. ასე დაემართა მ. ვიტალისაც. ოთხი დღე გავიდა არქიელთან ბაასის შემდეგ და ის კიდევ ფიქრში იყო გართული. ამ დროს მასთან შემოვიდა რაღაც შემთხვევით ფლორენტი, ალბათ ბოღიშის მოსახდელათ, იმ ნაწყენობისათვის, რომელიც მან შეახვედრა ვიტალის თვისი ყოფაქცევით ამ მოკლე ხანში. ამ შემთხვევაში ვიტალის ფლორენტი ძლიერ შეებრალა და შეეჩერებლივ უთხრა: — გესმის ძმაო! შენ ამას კარგათ დაუკვირდი, მერწმუნე, რომ მე ამაზედ არა მიმაცადინია რა, მაგრამ თვით ეპისკოპოსმა ინება შენი მთავარდიაკვნად კურთხევა. მე გამოტეხილი უნდა გითხრა, არც კი მჯეროდა, მაგრამ ეს ნამდვილია. ფლორენტიმ ცოტა უკან დაიწია. — რას დამცინი ძმაო? ეგ როგორ მოხდება?

— არა, ნამდვილ ასეა, შენ მე მიცნობ, რომ ხუმრობა არ მიყვარს, არქიელმა მიბძანა რომ შენ მე მოგამზადო.

— მერე რას ნიშნავს მომზადება?

— ეს მას არ აუხსნია. მე ვფიქრობ, რომ ფხიზლად უნდა შეხვდე ამ ახალ ღირსებას.

— ღმერთმა დამიფაროს! თუ შენ, ძმაო, მაგას მართალს ამბობ, ფიქრი ნუ გაქვს ყოვლადსამღვდელოსთან ფხიზელი ვიქნები და მერე რანაირი, ჩემისთანა ფხიზელი ქვეყანაზედაც არავინ იყოს. ღმერთო ჩემო! რანაირად იქნება ეს? ეკითხებოდა თავს ცოტა ღიმილით ფლორენტი და თან პირჯვარს იწერდა.

— მაშ მართალია?

— ნამდვილი მართალი გახლავს. აბა შენ იცი, იყავი მზად.

— თუმც, ამბობ, ეს შენ არ გიმაცდინია, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ, ძმაო. შენ არ გითხოვნია, მაგრამ შენი ხათრით შენი ძმური სიყვარულით არის ეს წყალობა ჩემს თავზედ. დიდი მადლობელი ვარ და ვიქნები.

ფლორენტი შინისაკენ აღფრთოვანებული წავიდა. ვიტალიკ ამ დროიდგან ეჭვს ფლორენტის მოუქცევლობაზე ძლიერ ნანობდა. ეპისკოპოზი, ვიტალის გაუგებლად მოქმედობდა და მოჰყავდა სისრულეში თავისი შენაპირები. მან უბრძანა მდივანს, რომ მოემზადებია მოხსენება ფლორენტი მოუდროსტინის მთავარ დიაკვნად კურთხევაზე. ყოველივე მზათ იყო. ყოველად სამღვდელომ თავისი რეზოლიუციაც წააწერა. ასე რომ ფლორენტი უნდა ეკურთხებიათ მთავარდიაკვნად მედავითნისვე ადგილზე, ხოლო თუ თავის ყოფაქცევით ამის ღირსი შეიქნებოდა, გადაეყვანათ იგი მთავარდიაკვნის შტატის ადგილზედაც. ყოველივე ეს ჩვეულებრივათ სრულდებოდა. ბევრი ლაპარაკი გამოიწვია ამ ამბავმა ეპარქიის სამღვდელოებაში, რასაკვირველია, ლაპარაკი ჩუმი და შინაური, ვინაიდგან კარგის თქმა, ამ საგანზე, არავის არ შეეძლო, ვინაიდგან თავზედ ხელადებული ლოთი, პატივსადები პირის შეურაცყოფელი, დასჯის მაგიერ მთავარდიაკვნის ხარისხზე აიყვანეს. რომ ეს აშკარა მიდგომილობა იყო, ეს ყვე-

ლასათვის ცხადი იყო და ამის მიხედვითვე გაიგონებდით ლა-პარაკსაც.

მ. ვიტალი, იმ წირვის დროს, როდესაც ფლორენტი აკურთხეს, ფერწასული იყო და დარცხვენილივით ხმა უკანკალობდა. თავისგან წარმოთქმული ასამაღლებელი მას არ ესმოდა, მაგრამ გრძნობდა, გრძნობდა იმასაც, თუ რა მძიმე მოვალეობა და პასუხისმგებლობა აწვებოდა მას თავზე დღევანდელი მღვდელმოქმედებით...

მას აქეთ წელიწადზე მეტი გავიდა, რაც ფლორენტი გადაიყვანეს მთავარდიაკვნის შტატის ადგილზე, ვინაიდგან სიმთვრალეს თავი მიანება. როდესაც არქიელი მ. ვიტალის სხვადასხვა მოხსენების დროს, კარგ გუნებაზედ იყო ხოლმე, სიცილით გაუხუმრებდა:

— რას შვრები, მამაო ბლაღოჩინო, როდის გამოაცხადებ გაზეთებში არქიელისაგან ახლად გამოგონებულს „სიმთვრალის წინააღმდეგ საშუალებას“? მაგრამ სამწუხაროდ ეს საშუალება ყველასათვის არ ვარგა, და ყოველთვის ვერც მას ვგებულობთ, თუ რომელს რომელი ეშმაკი უღრღნის გულს, თორემ ჩემი საშუალება საქვეყნო და საზოგადო შეიქნებოდა. და მართლაც როგორ ფხიზელ მთავარ დიაკვნად გავხადეთ, თავზე ხელაღებული ლოთი? ფლორენტიც მართალი იყო, როდესაც სთქვა: ოღონდ მაკურთხონ და ჩემზედ ფხიზელი, ქვეყანაზედ არავინ შეიქნებაო, ვინაიდგან დღეიდან კურთხევისა ის სამუდამოთ ფხიზელი დარჩა.

იათეოზი.

მოკლე საუბარი ჰიგიენიდან.

წ ყ ა ლ ი.

„წყალი გზა არის ქრისტეს სჯულისა,
წყალი-განმწმენდი ჩვენი სულისა,
წყალი-წამალი სნეულებისა,
წყალი-წყაროა უკვდავებისა!“

რ. ერისთავი.

„უპირველესი საჭირონი ცხოვრებისათვის კაცისა წყალი და პური, და სახლი და სამოსელი, დამფარველი სიტიტვლისა“. ისუ ზირაქი.

(თავი კთ. მუხ. კდ.).

ჰაერის არ იყოს, წყალიც აუცილებელი საჭიროა ადამიანის ქვეყნათ არსებობისათვის, უმისოთ არც ერთ-ცხოველს სიცოცხლე არ შეუძლია, არც ერთ მცენარეს, თუნდა პატარა ბალახსაც, გახარება. წყალი რომ არ იყოს მთელი ქვეყანა უდაბნოთ და უსიცოცხლო ხრიოკ რამეთ გადაიქცეოდა. თუ დღეს ქვეყნათ სიცოცხლეა გაჩაღებული, თუ სხვადასხვა მცენარე, ტყე და ველი თვალს ატკბობს და გულს ახარებს, ეს ყოველივე წყლის წყალობა და უნარია. ფიქრობენ, ქვეყანაზე სიცოცხლე თავდაპირველად უსათუოთ წყლის საშვალებით და წყალში დაიწყო*).

წყლის წარმომშობ წყაროთ ითვლებიან ზღვები, ტბები და მდინარეები. მზის სხივების ზედ მოქმედებისა გამო, ორთქლათ ქცეული წყალი აქიდან, მაღლა მაღლა მიდის და ცის სივრცეში ეფინება. მაგრამ იქ არსებული სიგრილისა გამო, ეს ორთქლი იკუმშება, სქელდება და ჩნდება ღრუბლები და ნისლი. კიდევ მეტი გაცივებისა გამო ღრუბლებში მოქცეული ორთქლი გარდაიქმნება წვიმათ, სეტყვათ, თოვლად. ყოველი-

*) ასე ფიქრობენ და ამტკიცებენ ატეისტები, რომლებიც ქვეყნის გაჩენას ბედნიერ შემთხვევას აწერენ, თუმცა ამაოდ კი. რედ.

ვე ეს დედა მიწაზედ ეშვება, ეფინება. აქ ნაწილი ისევ ორთ-ქლად იქცევა და ჰაერს უბრუნდება, ნაწილი კი მიწაში ჩადის, მეს ფენებს გაუჯდება, პატარ პატარა ნაკადულებათ იქ-ცევა და სულ თავქვე ეშვება, სანამ დედამიწის სიღრმეში ისეთ ადგილს არ მიაწყდება, რომლის გავლაც მას აღარ შეუ-ძლია, მაგ. თიხას, კლდეებს და სხვას აქ წყალი გუბდება, გროვდება და მერმე მიწის ზედა პირზედ ამოხეთქს და ვლე-ბულობთ წყაროებს. ან და ხელოვნურათ გაჭრილ ორმოებში ჭაში იყრის თავს. ზოგჯერაც წყლის გამტარებელი მიწის ფენების საშვალებით მიეშურება მდინარეებისკენ, რომლებიც თავის წყალს ისევ ზღვებს უბრუნებენ. აქ ხელახლა წყალი ორთქლად იქცევა, ჰაერში ადის, იქ ცივდება, ღრუბლები კეთდება, იქიდგან წვიმა, ან თოვლი მოდის და ასე განუწყვეტ-ლად ერთი და იგივე მეორდება.

როგორც ზემო თქმულიდან დავინახეთ ყველა ქვეყნათ არსებული წყალი ჰაერიდან მოდის და წმინდაა, მაგრამ ჯერ ამ ჰაერის ფენების და მერმე დედამიწის ზეადაგის გავლის დროს იერთებს მრავალ მტვერს და მიკროოგანიზმებს და სუფ-თა და ანკარას მაგივრათ გაბინძურებული ხდება.

ადამიანისათვის წყალი ბევრნაირათ არის საჭირო. უპირველეს ყოვლისა მას ეჭირვება წყალი სასმელად და საჭ-მლის შესამზადებლად. გამოანგარიშებულია რომ ამისთვის დღიურათ 20-25 ჩაის სტაქნამდე წყალი უნდება. ამის შემ-დეგ მას წყალი ჯამ-ჭურჭლის სარეცხათ ეჭირვება. ამასაც 60-80 ჩაის სტაქნამდე უნდება. ამას გარდა ადამიანს სისუფ-თავის დასაცავათ: სარეცხისთვის, ტანის საბანათ, ოჯახის სი-სუფთავისთვის 100-125 ჩაის სტაქნამდე ჭირდება დღიურათ. ახლა თუ ამას განათლებული ქვეყნების და ქალაქებში არსე-ბულ წყლის მოთხოვნილებას დავუმატებთ, მაგ. ქუჩების მოსარ-წყავათ, ზარულების ჩასარეცხათ და სხვა, მაშინ ხომ კიდევ მეტი ზომა იქნება საჭირო. უამისოთ კი საშვალო რიცხვით ასე 4 კასრი იხარჯება დღეში, რა თქმა უნდა რომ ზოგჯერ ამაზედ მეტი დაიხარჯება წყალი და ზოგჯერაც ნაკლები.

სასმელად, წყურვილის დასაკმაყოფილებლად ყველა წყალი კი არ არგია ადამიანს. ამისთვის ვარგა მხოლოდ ისეთი წყალი, რომელიც ბროლივით გამჭვირვალეა და უფერული. არავითარი გარეშე ნაწილაკები არ ურევია, გემო და სუნი არა აქვს, გრილია და მარგიელი. წყალში რომელშიაც ბლომათ ურევია კირი, მძიმეა დასალევათ. მაგარი წყალი ქვიან ისეთ წყალს, რომელშიდაც ბოსტნეული ცუდათ იხარშება, რეცხვა გაძნელებულია-საპონი იჭრება, დუღილის დროს ქაფს და ნალექს იყენებს, რაც ჭურჭელს ძირში და გვერდებზედ დაეკვრის ხოლმე. სამაგიეროთ რომელ წყალშიაც ასეთი ნაწილები არ არის მას მსუბუქი წყალი ქვიან და ყოვლის მხრით კარგია სახმარებლად. თავი და თავი მოთხოვნილება, რომელიც სასმელ და საჭმლის საკეთებელ წყალს უნდა წამოვუყენოთ მდგომარეობს მასში, რომ მას არაფერი მავნებელი რამე ნაწილები ერიოს. თითქმის ყოველ წყალში მუდამ დასცურავენ უბრალო თვალით უხილავი, მაგრამ მიკროსკოპით კარგათ დასანახავი პაწაწკინტელა ცხოველები-მიკროორგანიზმები.

ბევრი მათგანი ან სრულებით უმნიშვნელოა ჩვენი ჯანმრთელობისათვის, ან ცოტათი სასარგებლოა. მაგრამ უფრო ბევრი კი ძლიერ მავნებელი და საშიშარი. შენიშნულია და ახლა უკვე დამტკიცებულია, რომ წყალში დრო გამოშვებით მაინც მოიძებნებიან ისეთი მავნებელი მიკროორგანიზმები, რომელიც არის ხოლერის, ტიფის, მუცელასი და სხვა მრავალი. ხშირათ ოჯახში სახმარებელი წყლის ასეთი მიკროორგანიზმებით გაბინძურებაა მიზეზი, რომ ზოგიერთ ქალაქების უბნებში, ან და სოფელში ავადმყოფობა უცბათ იფეთქს და კარგა ბლომა მანძილსაც მოედება ხოლმე. წყალი კი მიტომ ბინძურდება, რომ ასეთ წყალში ან ავადმყოფის დასვრილ საცვლებს რეცხვენ, ან ნარეცხ წყალს მდინარეში უშვებენ, ან და გაბინძურებული ჭურჭლით წყაროდან, ან ჭიდან წყალს იღებენ. მაგრამ თუ კი ვიცით საიდგან წარმოსდგება წყალი, ადრევე შეგვიძლია ვთქვათ ივარგებს ის სასმელად და ოჯახში სახმარათ თუ არა.

ბუნებაში წყალს შემდეგი სახით ვპოულობთ: 1) არის წვიმის ან თოვლის წყალი, 2) ზღვის წყალი, 3) ნიადაგის და ტბის წყალი და 4) ნიადაგის წყალი, რომელსაც წყაროები და ჭებიც ეკუთვნიან. განვიხილოთ თვითეული ცალ-ცალკე.

წვიმის წყალი

ეს წყალი ძალიან სუფთაა. მასში მეტათ ცოტა მინერალური ნაწილები ურევია, მაგრამ ჰაერის ფენებში გავლის დროს წალეკავს და შეიერთებს მტვერს და მიკროორგანიზმებს. კიდევ უფრო მეტ რამეს იერთებს სახურავებიდან და სახურავების ღარებიდგან და ბინძურდება. ასეთი გაბინძურებული ნაწილები ურევია თოვლის წყალშიაც. ეს იმიტომ, რომ თოვლი დიდხანს დევს მიწაზედ და ეყრება მტვერი და ბაქტერიები. ამიტომ წვიმის წყალიც მაინც და მაინც სახმარებლად უვნებელი არ არის და უკეთესი იქნება სასმელ-საჭმელისათვის მას სრულებით თუ არ იხმარენ. მაგრამ თუ უამისობა არ შეიძლება, მაშინ პირველად წამოსული წვიმის წყალი არ უნდა შეაგროვოთ, უნდა აცალოთ მტვერი ჩამორეცხოს ჰაერიდან, და სახლის სახურავებიდან და მხოლოდ მერმე შეაგროვოთ. იმ ადგილებში, სადაც არც მდინარეებია და არც წყაროები ერთათ ერთი საშვალება წყლის შესაგროვებლათ ისევ წვიმაა. ამისთვის ადრევე დამზადებული აქვთ აუზები, ცისტერნები (მაგ. პალესტინაში) ჯან და ჭურები (ქართლ-ქახეთის მონასტრებში), სადაც ამ წყალს აგროვებენ და მერმე მთელი წლის განმავლობაში ხმარობენ. აქაც თქმა არ უნდა, რომ იმას უნდა ეცადონ, რომ წყალი არ გაბინძურდეს და ავადმყოფობის წყაროთ და დასაბამათ არ გახდეს. წვიმის წყალი კარგია სარეცხისათვის. ეს იმიტომ, რომ იგი მარილსაა მოკლებული და მსუბუქია. საპონი ამ წყალში კარგათ იქაფება და მწვირეც ადვილად შორდება სარეცხს. არა უშავს რა წვიმის წყალით გაკეთებულ ჩაისაც.

ზღვის წყალი.

ზღვის წყალში მრავლად ურევია სხვადასხვა მარილები, რომლებშიაც პირველი ადგილი ჩვეულებრივ სუფრის მარილს უკავია. ამიტომ ამ წყალს მლაშე გემო აქვს და სასმელად ისე არ ვარგია თუ არ გამოხადა. ხალასი ზღვის წყლის ხმარების შემდეგ ადამიანს ეწყება გულყრა, და პირის ღებინება. მარილებს გარდა მასში (წყალში) ბლომათ არის სხვადასხვა ნივთიერება და მკვდარი ზღვის პაწაწკინტელა ცხოველები და მცენარეულობა, რომლებიც ლპებიან და აფუჭებენ წყალს. არის აგრეთვე ბაკტერიებიც. ამიტომ ზღვის წყალი უვარგისია სასმელად.

წყაროები.

წყაროებიც, როგორც უკვე ვთქვით თავის დასაბამს წვიმისა და თოვლის წყლისაგან ღებულობენ. წვიმა და თოვლი მიწას ეფინება. მიწა ყველგან გვარიანათ გაბინძურებულია, მასში ბლომად მოიძებნება ნეხვი, განავლის სხვადასხვა დამპალი და გახრწნილი ნივთიერების ნაწილებიც, არის ბაკტერიებიც. წვიმისა და თოვლის წყალი წალეკავს ხოლმე ყოველივე ამას და ხავისთან მიაქანებს მიწის სიღრმეში. რაც უფრო ძირ ძირს ეშვება ეს წყალი, მით უფრო თანდათან ჰკარგავს ამათ, უტოვებს დედამიწას და თანდათან იწმინდება, ასე რომ 4-6 არშინის მიწის სიღრმიდგან ამოღებული წყალი სრულებით გამჭვირვალე და სუფთაა. ბაკტერიები და სხვადასხვა ნივთიერებანი მასში აღარ ურევია. მიწის ნასვოეტები, მისი ფოსფორები, იტოვებენ მისგან იმ ნივთიერებასაც კი, რომელიც მას სხვა ფერს, სუნს და გემოს აძლევს. ამის გამო მიწის სიღრმეში დაშვებული წყალი სრულებით წმინდა და უვნებელი ხდება. ამავე დროს მიწისგან ღებულობს ნახშირის სიმჟავეს და სხვადასხვა მარილებს, რითაც მას გემო უკეთდება, სასიამო და მომაღონიერებელ დასალევათ იქცევა, მაგრამ

ესეც კიდევ არაფერი. ახლა უკვე ცნობილია, რომ ნიადაგს, დედამიწას 7-10 არშინის სიმაღლეზედ 7—10 გრადუსი სითბო აქვს. და ამ სითბოს მთელი წლის განმავლობაში ინახავს. წყალიც ამ ადგილებიდან წამოსული ნამდვილი სუფთა, გემრიელი და ცივია. სწორეთ ეს თვისება აქვს წყაროს წყალს. რომელიც მიწის სიღრმიდგან მის ზედაპირისკენ თვითონვე იკვლევს გზას.

მაგრამ ასეთ წყალსაც შეიძლება თან დაყოლილი ჰქონდეს ისეთი თვისება, რაც მის ღირსებებს აქარწყლებს და სახმარებლად უვარგისათ ხდის, მაგ. თუ მიწაში ბლომათ არის კირი ან ოკინა, წყალი გამორეცხავს მათ და მივიღებთ წყალს გაჟღენთილს კირით და რკინის ნაწილებით. როცა წყალში ბევრი კირი ურევია, როგორც ზევითაც ვთქვით, ის მაგარია, მძიმე და სახმარებლად უვარგისი. იმას გარდა, რომ სარეცხისა და საჭმლის შესამზადებლად არ ვარგა, ბევრს მისი ხმარება კუჭ-ნაწლევების აშლილობასა სძენს.

რკინა წყალში მხოლოდ იმ შემთხვევაში იხსნება თუ წყალს ჰაერი თან არ ახლავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც კი ჰაერი მოხვდება წყალს. მას რკინის ნაწილები მყისვე გასცილდებიან და ჭურჭლის ძირში დაილეკება. რკინა ნარევ წყალს სასმელად უვარგისი გემო აქვს. სარეცხს ეს წყალი მოწითალო ფერს აძლევს და აფუჭებს. თუ სხვა გზა არ არის, რკინა ნარევი წყალი შეიძლება იხმაროს კაცმა, მხოლოდ ადრევე უნდა განთავისუფლდეს რკინის ნაწილებისაგან. ამისთვის წყალში ჰაერი უნდა გაერიოს. ეს შეიძლება ასე მოეწყოს. უნდა აიღოთ ორი კასრი, ბოჭკა, გინდა კოდი. ერთში უნდა ჩაყაროთ სუფთა ხრეში. ასე 4—6 გოჯამდე კასრს ძირში მილი ექნება დატანებული. ხრეშიანი კასრი მეორე კასრზე უნდა დაიდგას. ამის შემდეგ გამოუშვებენ წყალს ცხრილში ან სხვა რაიმე ასეთში, რომ წყალი ხრეშზედ ცვარა ცვარა დაედინოს. ამით წყალი ჰაერს მშვენივრათ ერევა. რკინაში ქიმიური ცვლილება ხდება და მოწითალო ფხვნილად

ქცეული ძირს დაილეკება. ეს ლექი ხრეშზე რჩება პირველ კასრში და სრულებით გასუფთავებული წყალი მეორე კასრისაკენ ძირს ეშვება, სადაც გროვდება და საიდანაც საჭიროების დროს ხმარობენ.

ჩვენ უკვე ვთქვით რომ მიწაში წყალი მანამ მინოჟავს, სანამ მისთვის გაუვალ ფენებს არ მიადგება. აქ კი ჩერდება და გროვდება. ამისგამო ყოველი მხრით ძალუკნათ აწვება. ამ მიწოლის გამო წყალი ბევრჯერ მიწის წედა პირზე ამოხეთქს, შადრევანივით ასხამს, ან ჩუხჩუხით ამოდის.

რაც უფრო მეტი სიღრმიდგან ამოდის წყალი, მით უფრო თბილი ან ცხელია იგი. ბუნებაში ხშირია ცხელი წყალი. მასში ხშირად რკინა და გოგირდი ურევია. ლაყე კვერცხის სუნი აქვს და სამკურნალოდ იხმარება. ეს ის არის, რასაც ჩვენში აბანოს წყლები ეწოდება. მაგ. თბილისის გოგირდის აბანოები ცხელი, ხრესილის, კურსევის ცივი და სხვა მრავალი.

როცა წყაროები ამოშენებულია, შესაძლებელია შიგ შეგროვილი წყალი გაბინძურებდეს, ამიტომ თვითონ წყაროს ამოსაშენებელი მასალა რაც შეიძლება ისეთი ნივთიერებისაგან უნდა იყოს აღებული, რომ ლპობა არ მოეკიდოს, არ გაბინძურდეს. დრო გამოშვებით წყაროც უნდა ამოირეცხოს.

ჭის წყალი.

ჭის წყალიც თავის თავად ნიადაგის წყალია, მაგრამ მიწიდან ხელოვნურად ამოტანილი ჭის ამოთხრისა გამო. მიუხედავათ ამისა იგი ბევრით განირჩევა წყაროს წყლისგან. ჩვეულებრივათ ჭას თხრიან სოფლის შუა გულში, სადაც მოსახლეობა ხშირია და ნიადაგიც ძალზე გაბინძურებული. ახლოა სანეხვეები, სანაგვეები და სხვა, რისთვისაც ჭის წყალი უმეტეს შემთხვევაში გაბინძურებულია. რა თქმა უნდა, რომ მნიშვნელობა აქვს იმასაც თუ როგორ აკეთებენ ჭას, რა ნაირათ არის იგი მოწყობილი. ჭა შეიძლება იყოს მაღალი,

ღრმა და დაბალი, დაბალი ჭები უფრო ადვილად ბინძურდებიან, ვინემ ღრმა და მაღალი, რადგან ამ უკანასკნელში ისეთი სიღრმიდან მიედინება წყალი, სადაც ნიადაგში მოქცეული სიბინძურე ვერ უწევს. როცა ჭისთვის ადგილს ვძებნით, უნდა მივაქციოთ ყურადღება ამას, რომ ახლობლად საცხოვრებელი ბინები და განსაკუთრებით ზარულები არ იყოს. აგრეთვე თავლა, საჯინიბო, სანეხვე და სხვა მრავალი ამისთანები ჭების კედლები ამოყავთ ან ქვით ან ხით, ეს იმიტომ, რომ იგინი არ ჩაინგრენ და ჭაც არ გაბინძურდეს. ხის მასალა ამ მხრით მაინც და მაინც სასურველი არ არის. უკეთესია ქვა ან ანგური ცემენტით შეკრული. ჭის თავი ამაღლებული და კარგათ დატკეპნილი უნდა იქნეს. კასრებით ჭიდან წყლის ამოღება სასურველი არ არის. საუკეთესოა თუ ჭა სრულებით დახურული იქნება და წყალს იქიდან საქაჩავი მილით ამოიღებენ. ჭა თუ ძალიან ფართე იქნა, შიგ წყალი ბლომათ დაგროვდება და წახდება. ჭებიც დრო გამოშვებით უნდა ამოირეცხოს.

მდინარის წყალი

მდინარეები დედამიწის სიღრმეში შეგროვილ წვიმის წყლისაგან იღებენ დასაწყისს. ამას ემატება ის წყალიც თოვლის და წვიმის, რომელსაც მიწა ველარ შეისვამს და მის ზედაპირზე რჩება, ღელეების, ნაჯახულების სახეს ღებულობს და მდინარისკენ მიემართება. წყაროს და ჭის წყლისაგან მდინარის წყალი იმით განსხვავდება, რომ მასში ცოტაა მარილები გახსნილი და უფრო მსუბუქათაც ითვლება. მაგრამ მდინარის წყალს თავისი ნაკლულევანებაცა აქვს. მისი გაბინძურება ადვილად ხდება, რადგან მდინარის კალაპოტი თავაღდილია და მტვერი, მიკროორგანიზმები და სხვა არა სასურველი ნივთიერება შიგ ბლომათ ცვივა. რაც უფრო გრძელია მდინარე, რაც უფრო მეტ სოფლებს და ქალაქებს ჩაუვლის იგი, მით უფრო ძლიერ ბინძურდება. სოფელში ან ქა-

ლაქში შესვლამდე უფრო სუფთაა მდინარის წყალი, ვინემ მერმე. ამასთან ჯიდეებზე უფრო მეტი გაბინძურებულია, ვინემ შუა გულში. მაგრამ მდინარეს ერთი კაი თვისებაცა აქვს- გაბინძურების შემდეგ იგი თავისთავად იწმინდება, სუფთავდება. მდინარის მოძრაობის დროს მასში გარეული სიბინძურის ნაწილები ძირს იწევს და მდინარის ძირში ილექება, ნაწილს კიდევ თევზები და ხეცვის ცხოველები და მცენარენი ანადგურებენ და ნაწილიც ქიმიურ ცვალებადობას განიცდის და ისიც ძირს ილექება. ამას მდინარის თვითდაწმენდის თვისება ეწოდება. თუმცა ეს თვითდაწმენდა უსაზღვრო როდია. მდინარეს შეუძლია სიბინძურისაგან განთავისუფლდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში გარეული ნაწილები ნამეტანი ბევრი არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ველარ მოერევა მას. რადგან მდინარეს ყოველთვის დიდი გზა აქვს გასავლელი, ამიტომ მისი წყალი უმეტეს შემთხვევაში თბილია და მოკლებული ჩვეულებრივ გამახალისებელ თვისებას.

ტბის წყალი. ტბებიც წყაროების და ნიაღვრის წყლიდგან გროვდება—ჩნდება. ეს მაშინ, როდესაც წყალს კალაპოტი ვერ გაუკეთებია და დასაქანებელი გზა აღარა აქვს. ტბის წყალის თვისება მასში ჩამავალ წყლების თვისებაზეა დამოკიდებული. რადგან ტბის წყალი სულ უმოძრაოთ არის, მალე ბინძურდება, ნაგვით და მიკროორგანიზმებით ივსება და სახმარებლად გამოსადეგი არ არის. შეიძლება მხოლოდ იმ ტბის წყლით სარგებლობა, რომელიც მაღალ მთაშია მოთავსებული და აგრე რიგად არ ბინძურდება.

ჭაობების და რუების წყალი უვარგისათ და მავნებლად არის ცნობილი.

ამ რიგათ ჩვენ ვნახეთ რომ წყალი, ეს მთელი ქვეყნიერობისათვის აუცილებლად საჭირო ნივთიერება, რა ნაირათ ჩნდება ბუნებაში, გავიგეთ რაც ერომ მას ძალიან ადვილად შეუძლია გაბინძურდეს და ჩვენი ჯანმრთელობისათვის მავნებელი გახდეს.

ახლა ურიგო არ იქნება ისიც შევისწავლოთ, თუ როგორ შეიძლება გაბინძურებული წ ყ ლ ი ს გაწმენდა, გასუფთავება და ჩვენი სისაღისა, და სიცოცხლისთვის უვნებლათ ყოფა. რა თქმა უნდა რომ იმ ადგილების მცხოვრებლთათვის, სადაც წყაროები ბლომათაა, ან თვითეულ მოსახლეს შეუძლია თავისი საკუთარი ჭა იქონიოს, მაგ. სოფლებში და მთა გორიან ადგილებში, ამ საკითხს ისე დიდი მნიშვნოლობა არა აქვს, მაგრამ იმ ადგილებში კი სადაც ესეთი არაფერია, სადაც ათასს და ათი ათასს მცხოვრებელს უხდება ერთი და იმავე წყლით ისარგებლონ, ეს ძლიერ მწვავე საკითხია. უკვე ზევითაც ვთქვით, რომ ხშირად ასეთი წყლის გაბინძურებაა მიზეზი, რომ რაიმე გადამდები სნეულება, მოარული, მთელ სოფლებს და ქალაქებს უცებ მოედება ხოლმე, და მრავალ მსხვრეპლს იწირავს. ამიტომ თვითეულმა მოქალაქემ უნდა იცოდეს თუ რა ნაირ წყალს ღებულობს და დარწმუნებული უნდა იყოს მის უვნებლობაში. წყლის დასაწმენდათ, გასასუფთავებლად სხვადასხვა ნაირი საშვალებებია ხმარებაში.

პირველ ყოვლისა ცდილობენ რომ გასაწმენდი წყალი ცალკე აუზებში მოაგროვონ. აქ ნახევარი დღის, ან დღე-ნახევრის განმავლობაში წყალი, მასში გარეულ ნაწილებს დაილექს და გაიწმინდება. სასურველია რომ აუზი რაც შეიძლება დიდი იქნეს, რომ ერთი კვირა მაინც შეიძლებოდეს მასში წყლის გაჩერება. მაშინ იგი იშორებს არა თუ სიბინძურეს, არამედ მიკროორგანიზმებსაც და ხდება სასიამო და უვნებელი სასმელი. როგორც ეს არის მაგ. ინგლისის დედაქალაქში — ლონდონში. ამ საშვალებას ფილტრაცია, გაწურვა ეწოდება. ფილტრაცია შეიძლება იყოს ცენტრალური და ოჯახური. პირველის დროს, წყალი სანამ მცხოვრებლებს დაურიგდებოდეს ოჯახში სახმარებლად, მდინარიდან ან ღელიდან მილებით ფილტრებისაკენ მიედინება. ფილტრები ქვით ამოშენებული ღრმა და ვრცელ ქვის გალავანს წარმოადგენენ.

ამ გალავანის ძირში გაწმედილი წყლის თავმოსაყარი მილებია. წყლის აუზში აწყვია რიყის ქვები, ამ ქვებზე მომსხო ხრეშია დაყრილი, ამაზე ცოტა უფრო წვრილი ხრეები, მაზედ მომსხო სილა და დაბოლოს კი სულ წმინდა სილა-სისქით ასე 60-120 სანტიმეტრამდე, ან $^3/_4$ — $1^3/_4$ არშინამდე. ქვეშიდან, როგორც ვთქვით დაწმენდილი წყლის მილებია გაკეთებული. ახლად მოწყობილი ფილტრი მაშინვე კარგათ ვერ წმენდავს წყალს. წყალი უნდა გაჩერდეს მასში რამოდენიმე დღე. ამ ხნის განმავლობაში სილას თხელი აპკივით გადაეკვრის მისი ნალექი, აღარ უშვებს, იჭერს, აკავებს სხვადასხვა მიკროორგანიზმებს და ორგანიულ ნაწილებს. ამიტომ წყალი იწმინდება და შედარებით უვნებელი ხდება. ვამბობთ შედარებით, იმიტომ რომ ზოგზოგიერთი ბაკტერიები ასეთ ფილტრებსაც ეპარება, გაწმენდილ წყალში გადადის და მკბოვრებლებს ავადმყოფობას უჩენს. ამიტომ აუცილებლად საჭიროა რომ ფილტრები და მისი წყალი ხშირ ხშირად გაისინჯოს მცოდნე პირისაგან და შემთხვევის დროს საჭირო ზომებიც მიიღოს. ცენტრალურ ფილტრზე უფრო ნაკლები ღირსებისაა ოჯახური ფილტრები, მას უფრო ბევრი ეპარება ბაკტერიები და სხვადასხვა მავნებელი ნივთიერებანი, დიდი სანდო არ არის, და ისედაც ბევრ შრომას და მზრუნველობას ითხოვს ოჯახის პატრონისაგან.

ამიტომ, წყალი რომ მიკროორგანიზმებისაგან განთავისუფლდეს და უვნებელი გახდეს, საუკეთესო საშვალებათ მისი დუღილია მიჩნეული. დიდი ტემპერატურა დუღილის დროს სპობს წყალში ყოველივე ნარევებს და უვნებელად ხდიან მას სასმელად და სხვადასხვა გვარ სახმარებლად. მაგრამ ნადუღ წყალს ერთი ნაკლულევანება აქვს, მას ცოტა გემო უფუჭდება, ეს იმიტომ რომ დუღილის დროს, კარგავს მასში გახსნილ იმ მარილებს, რომლებიც მას ჩვეულებრივ სასიამოვნო და გამახალისებელ გემოს აძლევენ.

ნადულარი წყალი რაც შეიძლება სუფთა ჭურჭელში უნდა ჩაისხას, თავი დაეცოს და ისე გაცივდეს, თორემ უდულარზე კიდევ უფრო სუფთა და მავნებელი შეიძლება გახდეს ჩვენი ჯანმრთელობისათვის. ეს კი ამ გზით შეიძლება მოხდეს: ჩვეულებრივად ყოველ წყალში ცხოვრობენ ჩვენთვის სრულებით უვნებელი ბაკტერიები, თუ ვინიცობაა მასში (წყალში) ისეთი ბაკტერიები ჩაცვივდენ, რომლის საცხოვრებელ ნიადაგს წყალი წარმოადგენს, ეგინი იქ ძალე ილუპებიან, რადგან ახალ პირობებს მაგრე რიგად ვერ ეგუებიან და იხოცებიან. ეს ხდება უმთავრესად მის გამო, რომ ბევრიერებშიაც მტერმ არსებობისათვის ბრძოლაა გაჩაღებული. ამ ბრძოლიდან ხშირად გამარჯვებული გამოდიან ჩვენთვის უვნებელი ბაკტერიები, როგორც დამხვდური და ყოველივე პირობებს კარგად შეგუებული მხედრობა. მაგრამ დულილი სპობს ამ ბაკტერიებსაც. მაშ ნადულარ წყალში ჩაცვენილ მიკროორგანიზმებს მოპირდაპირე ალარავინ ხვდება, გამრავლებას იწყებს და წყალს აფუჭებს. დულილი წყალში სპობს იქ გახსნილ ჰაერ-გვარებსაც. მეაბადონ, ნახშირის სიმჟავეს და ამიტომაც არის, რომ ნადული წყალი გამახალისებელ გემოს კარგავს.

წყლის დულილს გარდა შეიძლება მისი გამოხდაც. დულილის დროს ადუნილი წყლის ორთქლი გაცივების გამო იკუმშება, წყლად იქცევა და წმინდა ჭურჭელში გროვდება. ასე შვრებიან, მაგ. აფთიქებში და ზღვაზე. მაგრამ ეს წყალი ვერ არის ნოყიერი და სახალისო სასმელი.

ასე, ჩემო მეგობარო, უპირველესად ყოველისა წყალი წყურვილის მოსაკლავად, სასმელად და საჭმლის შესამზადებლადაა საჭირო. ამას გარდა ადამიანისთვის სხვაფრივაც აუცილებელია. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ სარეცხისთვის ტანის საბანათ და საზოგადოთ სისუფთავისთვის კაი ძალი წყალი იხარჯებოდაქვა. ხმაში უმთავრესი ადგილი წვირის, ჭუჭყის, მოშორებას უკავია. ყოველივე წვრილ ტანზე გვექნებ ისეთ ნაცვ

ლებზე, ტანისამოსზე, გინდა ოჯახში ძლიერ ვნებს ჩვენს სი-
ცოცხლეს, ჩვენს ჯანმრთელობას და გვიფახლოვებს სხვადასხვა ჭირ-
სა და უბედურებას. უმეტესს შემთხვევაში ეს წვრილ მინერა-
ლური ნაწილებისაგან შესდგება. მაგრამ ამასთანავე მასში ორ-
ვიდ ნაწილები ცხოველთა და მცენარეთაგან, და ბირველთა
განავალისა, წვრილ ადვილად იხრწნება და ცუდ სუნს უშვებს.
ამ წვრილში ზოგჯერ ნაფურთხის და განავალის ნაწილებიც
ურევია, მაშასადამე შესაძლებელია რომ ავადმყოფობის დასა-
წყისიც თან ჰქონდეს. ასეთი ნაწილები, მტვერი ეყრება ჩვენს
სასმელ საჭმელს, და ჩაგვაქვს ის პუჭში, გაფანტულია ჰაერში
და სუნთქვის დროს ჰაერთან ერთად ჩაედინება ფილტვებში.
ტანზე წვრილ დიდხანის ყოფნის შემდეგ სხვადასხვა არა სასურ-
ველ ცვლილებებს იწვევს. კანის ნასვრეტებიდან, ეგ. ნაწაწკინ-
ტელა ჯირკვლებში ჩადის, გაკაწრულებით კან ქვემ, იქ სის-
ხლში ერევა, და ყოველ უფრო შორს მიდის, და იწვევს სხვა,
დასხვა ავადმყოფობას: სატკბურს, მუწუკებს, ძირმაგარას, სირ-
სვილს, იარებს წითელ ქარს და სხვა მრავალს. წყალი კი ყო-
ველივე ამას ფეხზარებს. ეგ. საუკეთესო საშუალებაა. წვრილის
თავიდან ასაცილებლად, წყლით ვისუფთავებთ ხელს,
ვირეცხავთ საცვლებს, ტანისამოსს, ოჯახს, ჯამ-ჭურ-
ჭელს, და ვრწყავთ ქუჩებს. მაგრამ ამავე დროს ყურადღება
უნდა მივაქციოთ, რომ წყალი წმინდა იქნეს, თუ წყალი გა-
ბინძურებულია, მისგან მიღებული სისუფთავე რაღა იქნება.
განსაკუთრებით, უნდა ვუფრთხილდეთ ისეთ ადგილებიდან
ამოღებულ წყალს, სადაც ავადმყოფების დასვრილ საცვლებს
და სხვა ნივთებს რეცხამენ. ადვილად შესაძლებელია ამისთანა
წყალმა სიყვითის მაგივრად სნეულება და ჭირი შეგძინოს.

მაშ ამ საუბრის დაბოლოს შეიძლება ასეთი დასკვნა გა-
მოვიყვანოთ, 1) ადამიანისათვის საჭიროა, რაც შეიძლება კარ-
გი თვისების წყალი ყოველის მხრით სუფთა და უვნებელი მი-
სი ჯანმრთელობისათვის. 2) სადაც საჭიროება მოითხოვს ეს
წყალი ფილტრების საშუალებით კიდევაც უნდა გაიწმინდოს.

3) ზოგჯერ ნადული წყლის ხმარებაც აუცილებელია და 4) ნადული წყალი რაც შეიძლება ძალიან წმინდა ჭურჭელში უნდა ჩაისხას, თავი დაეხუროს და ისთე გაცივდეს. იმ დაწესებულებებში, სადაც ბევრი ხალხი იკრიბება ნადული წყალი მაგრათ თავდახურული და დაკლეტილი ჭურჭელში უნდა ინახებოდეს. ამ ჭურჭლიდან წყალი მილით უნდა ჩამოდიოდეს და მსურველთ ისთე ეძლეოდეს, რადგან ნადულარი წყლის გაბინძურება ძლიერ საშიშარი და შავნებელია.

ექიმი ევსევი გ. ლოსაბერიძე.

პონტიელ პილატეს რაპორტი

რომის იმპერატორ ტიბერიოსისადმი შესახებ იესო ქრისტეს ჯვარცმისა.

პირი წიგნისა წარვლინებულისა იერუსალიმით ტიბერიოს იმპერატორისადმი პუბლიო-ლეტულლო მთავრისაგან ჰურიასტანისა იესო ქრისტესთვის.

წიგნი ესე დამარხულ არს რომს მონასტერსა შინა ბატონთა კესარინელთა წიგნისა. საცავსა შინა, ხოლო თარგმნილ არს წიგნი ესე ფილიპეს ვისამე ლათინთა ხუცისაგან.

სათნო ყოფად შენდა, ჰოი კეისარო, ნატვრისა შენისათვის მოგახსენებ; ვითარმედ არის ჩვენსა ჩემდა რწმუნებულსა სამთავროსა ადგილსა შინა კაცი ვინმე, რომელსა ჰრქვიან იესო ქრისტე, და ცხოვრებს იგი დიდისა ღვაწლითა; ესე ერისაგან წოდებულ არს წინასწარმეტყველად ჭეშმარიტებისა, გარნა მოწაფენი მისნი იტყვიან, ვითარმედ ესე არს ძე ღვთისა, შემოქმედი ცისა და ქვეყანისა, და ყოველი რაიცა არს მას შინა, ყოველივე ჭეშმარიტ არს. ჰოი კეისარო, დღითი დღე საკვირველნი საქმენი ისმიან იესოს ქრისტესთვის, რამეთუ

მკვდართა აღადგინებს, სნეულთა განკურნებს მხოლოდ სიტ-
ყვითა; ეს არს კაცი წრფელი, მოქმედი სიმართლისა და ფრი-
ად შვენიერისა შეხედულობისა, და მისის პირისაგან ესო-
დენ დიდ შვენიერება გამობრწყინვალებს, ვიდრე მხილველნი
იიძულებიან მისის სიყვარულისა და შიშისათვის; მას ასხენ
თმები სრულიად დამწიფებული თხილისა ფერისა, მაგრამ უფ-
რო ბრწყინვალე არიან, თავზე შუაში შუბლის თმები აქვს ჩვე-
ულებისამებრ ნაზარეველისა, შუბლი მისი გაშლილი არის და
მოწმედილი; მისი პირისსახე არის უნაოჭო და უბიწო და სა-
კადრელი ფერი, ცხვირი და პირი მისი კეთილად გასაღებელ
არიან, წვერი ხშირი აქვს და მსგავსი თმათა, არცა მეტად
გრძელი, მაგრამ შუაზე განყოფილის, მისი ხილვა ფრიად სა-
პატიო და მძიმე არს. მას ასხენ თვალნი ფრიად შვენიერნი
და ბრწყინვალენი და ფრიად გასაშტერებელნი, მისი პირის
სახე ბრწყინავს ვითარცა შუქი მზისა, და არავის შეუძლიან
ხილვა მისი ბრწყინვალებისა გამო, ხოლო ოდეს დასტუქსავს
ვისმე, შეაძრწუნებს და რაჟამს წვრთის, სტირნ, თავსა ყვე-
ლას შეაყვარებს და მხიარულად არის. მაგრამ სიმძიმით მოგახ-
სენებთ, რომ არავის უხილავს იგი მცინარედ, გარნა ჰე მტი-
რალედ. მას ასხენ მკლავნი და ხელნი ფრიად შვენიერნი, ხო-
ლო კაცისა შექცევაში ფრიად საყვარელ არს, გარნა ძვირად
გამოჩნდების, ხოლო ოდეს გამოჩნდება, დიდი ნამუსიანი არის
საქციელითა, მოკლედ მოგახსენებ, ვითარმედ არს კაცი უფრო-
სად შვენიერი, ვიდრე ვის მოგონება შეუძლიან, და სრული-
ად ჰგავს თავის დედას, რომელი არს უფროსად ყოვლად შვე-
ნიერი ქალი რომ იქნება და ოდესმე ამ კერძოზე გამოჩნდება.

„უკეთუ უმაღლესობა შენი ნატრობს, კეისარო, ხილვა-
სა მისსა, ვითარცა უწინარეს მოგწერე მტკიცე სიტყვა, მი-
ბრძანე და მალე გაახლებ, ხოლო წიგნისა საქმე განკვირვებს
იერუსალიმის ქალაქსა, რამეთუ მან იცის ყოველი მეცნიერე-
ბა, და არა ოდეს რაი უსწავლია, იგი დადის თავ შიშველი
და ფეხშიშველი, და ამისთვის მრავალნი ხილვითა მისთა გან-

სკინებენ მას, ვითარცა გარდარეულსა, გარნა მასთან შყოფთა და თან მოლაპარაკეთა კაცთა ათრთოლებს და აშტერებს, ჭეშმარიტად მისი მსგავსი კაცი არასოდეს გამოჩენილა ამ კერძოზედ, და ებრაელნი მოგახსენებენ, ვითარმედ არასოდეს ესმათ განზრახვა, გინა რჩევა ესოდენი ჰსწავლისა, ვიდრე რჩევა, გინა განზრახვა ქრისტესი, რომელნიმე ებრაელთაგანი ჰგონებენ მას ღმერთად და ღვთიურად ჰსწამსთ. გარნა მრავალნი დრტვინვენ მისთვის და იტყვიან, ვითარმედ იგი წინააღმდეგობს უმაღლესობასა შენსა, ხოლო მე მძიმედ შეძრუწუნებულ ვარ ამ უკეთურთ ებრაელთაგან; მოგახსენებენ; ვითარმედ მას არასოდეს საწყენი ვისთვისმე უქმნია., გარნა ყოველნი მცნობელნი მისნი ძალ მისთანა ქცეულნი იტყვიან, ვითარმედ დიდნი ქებანი და კურნებანი მიიღეს, ხოლო მე ფრიად მზა ვარ თქვენის მორჩილებისათვის, და რასაც მიბრძანებთ ამა იესო ქრისტესთვის ის აღსრულებელ იქმნების, და მშვიდობით იყავ.

აღიწერა მეშვიდესა საურისა კრებასა შინა მეორეს მოწვარეს უმაღლესობისასა.

წინასიტყვაობა მთარგმნელისა.

ძველი და იგჯვთა ისტორია რაპორტით მოგხსენდებათ, ხოლო წინასიტყვაობა რაპორტისა ამისა მთარგმნელისა მიერ მოიხსენეთ, რამეთუ რაპორტი ესე ქვემორე თარგმნილ არს წიგნისაგან, ქმნილისა იაკობ უფლისამიერ დაბეჭდილ არს კოსტანოპოლესა შინა; გონებითა დაბრულმან ჭკუით მსგბუქმან და ჭეშმარიტებისა ზედა იქვნეულმან პონტოელმან პილატემან, ისილა რა ფიცხელნი და სიკრუით აღსავსენი შესასმენანი ღვთის მკვლელთა ჰურიათანი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიმართ, ჟამსა შინა საცნაურებითმან გრძნობამან განაღვიძა მის შორის კაცი, გარნა გარეგანმან კაცმან წინააღმდეგ სულისა ხორცმან არა ნება სცა მათ, არამედ

ეთახმავა ჰურიათა, სიკვდილსა ზედა მისსა, რომელმანცა მის-
ცა მათ იესო მხსნელი ყოველთა ჯვარცმად და სიკვდილად;
შემდგომად ამისა რაიცა გამოხდა ამისგან იგი პირსა
ზედა ყოველსა ქვეყანასა განთქმულ არს, და რასათვის გან-
ვაგრძელო. მაშა სთქვით იგი, რომელ ოდესმე კერპთ-მსახურ-
მან და ბოროტთა უბოროტესმან პილატემან ჰსცნო შეცდო-
მილება თვისი, მამისა ზეციურისა თანაარსისა კაცად ქმნილისა
ნაზარეველისა, და იხილა განსაცოცხელნი სასწაულნი, მისგან
ქმნილნი, მაშინ შეახდა არა წმინდა გონებასა თვისსა და
სთქვა: რა ვჰყო მე უბადრუკთ უბადრუკმან და უბადრუკე-
ბითა სავსემან, რამეთუ ნაზარეველი იგი იესო შემწე და სა-
სარგებლო ქვეყნისა მოვაკდინე, ჰსცნობს უკვე ამას კეისარი
ჩემი და დამსჯის უსასტიკესად, რომლისათვისცა მოიხმო იმან
ჩინებულთაგანნი, და არჩია მათთანა და სთქვა: ესე ვიხარი
უგვანი საქმე შეგვემთხვა და მოვკალით კაცი მართალი, მე
უწყი, რამეთუ კეისარსა ესე არა მიეფარების, არამედ მეშურ-
ნეთა ჩვენთა მიერ უმეტეს ქმნილთაგან მოეხსენების და მე
ვხედავ უმჯობესად, რათა უპირველეს ყოველთა მე მოვახსენო
და თქვენ რასა არჩევთ; მიუგეს მათ: უმჯობესი შენ იცი და
ჩვენცა მოხსენებასა ვარჩევთ.

რაპორტი პილატესაგან:

მოხსენდეს თქვენს თვით-მპყრობელობითს დიდებულებასა
საქმე იგი საოცარი, რომელიცა იქმნა ამ ჟამად ქვეყანასა ში-
ნა ჩვენსა, და საშინელი სასწაული, დროსა მეფობისა თქვენი-
სასა. რამეთუ კაცი ვინმე გამოცხადდა ქვეყანასა შინა გალი-
ლეველთასა გვარისაგან ჰურიათა: ქალაქსა შინა ნაზარეთსა,
ნათესავისა იუდასი, იესოდ წოდებული, რომლისათვის ჰსწამე-
ბენ ყოველნი ჰსჯულნი და მცნებანი მისნი და აღიარებენ მას
ღმერთად და ძედ ღვთისად, რომელიცა შობილ არს ბეთლემს
ქალაქსა შინა დავითისასა, ჟამსა მეფობისასა ჰურიასტანით
ეროდესა, ოდეს მოგვნი აღმოსავალით მოვიდეს და რქვეს:

სადა არს მეუფე ჰურიათა, რომელი იშვა, რამეთუ ვიხილეთ ვარსკლავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყვანის ცემად. ესმა რა ესე ჰეროდეს, შეძრწუნდა და ყოველი იერუსალიმი მისთანა და შეკრიბნა მღვდელნი და მწიგნობარნი და რქვა მათ: სადა მართებს ქრისტესა შობად, მიუგეს მათ: ბეთლემს ჰურიასტანისასა.

ოდეს ესე ყოველივე ჰსცნო ჰეროდემ, მოსრნა ყოველნი ყრმანი; ამისა შემდგომად განვლო რა იაც და ათმან წელმან, მოვიდა და ნათელ იღო, და იწყო ქმნად სასწაულთა და სასკვირველებათა, რომელი გვესმა ჩვენ მრავალთაგან, და ვსცანით, რომელ მხოლოდ ძლიერებითა და სიტყვითა ჰყოფდა ესე ვითართა: მკვდართა აღადგენდა, მკელობელთა აროინინებდა, კეთროვანთა განსწმედდა, ეშმაკთა განასხმიდა, ბრმათა-ხილვას მიანიჭებდა, და ყოველსა ამას, რასაც იქმოდა, სიტყვით ოდენ და არა სხვითა, რომელ ესე ვითართა ყოფად ღმერთთა ჩვენთა არა ძალუძსთ, და თავადი ესრეთ ვიდოდა ქვეყანასა შინა ჩვენსა, ვითარცა ერთი კაცთაგანი არცა აქვნდა სახლი, არცა ადგილი, არცა ქალაქი სამკვიდრებელი. არცა ქონება, არცა დიდება და არცა საჭიროება კაცობრივი, არამედ თვინიერ სასყიდლისა განკურნებდა ყოველთა და განაახლებდა სიკვდილისაგან ცხოვრებად, არა ეგრეთ მოქმედებდა იგი, ვითარცა მკურნალი, და არცა ეძიებდა რასმე არამედ რასაც იქმოდა სიტყვით მხოლოდ, რაიცა ენება არა ჰყოფდა იდუმალ, არამედ ცხადად მხილველთათანა, ვიდრე იტყოდიან. ნამდვილვე ძე ღვთისა არს ესე, და მეც მესმა და ვსცან, რომელ მართალნი და ჭეშმარიტნი იყვნენ საქმენი, რომელთა იგი იქმოდა, ხოლო უსჯულომან და უღმრთომან გვარმან ჰურიათამან, იხილეს რა ესოდენი კეთილ-მოქმედება და წყალობის მომნიჭებლობა მისი, შური იძიეს მისთვის მღვდელთ მთავართა-მწიგნობართა თანა და სწამებენ მისთვის, ვითარმედ შეურაცხის-მყოფელი ჰსჯულისა არს იგი წინაალმდეგ კეისრისა, და იტყვის თავსა თვისსა ძედ ღვთისად და ესრეთითა მზაკვარებითა მო-

ვიდნენ და მომცეს-იგი ხელთა დასდვეს მას ზედა ბრალი სიკ-
ვდილისა, ვითარმედ თვალ მაქცი არს, მაცთური მაბრკოლე-
ბელი ჰსჯულისა, ხოლო მე პირველ ჰვსცან, ვითარმედ ვინა-
არს, შემდგომად ნამდვილ მითხრეს მე, რომელ ჰსულსა შინა
მათსა წერილ არს, რამეთუ ღმერთი ცათა შინა, რომელსა შეუქმ-
ნიეს ყოველნი ქმნილნი, ჩვენთა ღმერთთა ესენი არა მსახურე-
ბენ, არამედ ესრეთ იტყოდიან:

ღმერთმან უფალმან წარმოგზავნოს ძე თვისი ქვეყანად და
განხორციელდეს წმიდისა ქალწულისაგან და ვიდოდეს ქვეყა-
ნასა ზედა ვითარცა კაცი, რომელიცა ვიხილე თვალითა ჩემი-
თ სამთავროსა შინა ჩემსა. და თვით მას მრავალ გზის გამო-
ცდითხე და მესმა მიერ სიტყვანი ბრძნულნი, ხოლო გვარი
ჰურიათა ეწინამღდეგებოდა მას. გარნა იგი ჰსჯულთაგან მათ-
თა და წინასწარმეტყველთა აყვედრიდა მათ და იგინი ვერას
მიუგებდიან, რამეთუ ყოველი მესმა და ვიხილე: მიზეზი სიკვდი-
ლისა ვერა რა ვჰპოვე მას შინა, თუმცა იგინი იტყოდიან შა-
ფათისა დაუმარხველობასა, რომელიცა ჰსჯულისა მათისა წი-
ნაამღდეგი იყო; რაოდენსაცა განკურნებდა მარადის შაფათსა
იქმოდა, და ამისთვის უწოდებენ წინაამღდეგსა და მტერსა,
ვიდრე დიდი. სიმრავლე ქალაქისა აღსდგენ მას ზე-
და, ეგრეთვე მთავარნი და პატივცემულნი მის ქალაქისანი,
რომელთა სახელ ედვათ ფილიპე და მღვდელთ მთავარნი: ან-
ნა და კაიაფა, შეიპყრეს იგი ღამესა და შეკრეს და ყვანდათ
განთენებადმდე; შემდგომად სიმრავლე ქალაქისა შეკრბა მას
ზედა, მოიყვანეს კრული და მომცეს მე მრავლითა სხვისა და
სხვისა მიზეზებით, მითანხმეს და მივეც იგი მათ ტანჯვად.
შეიპყრეს და გვარად გვარადისა ვნებითა და წყლულებითა
სტანჯეს იგი, მეცა აღვწერე თვითოეულად რაოდენი რა ჰუ-
ყვეს, და ჟამსა ჯვარცმისასა რაოდენი სასწაულნი იქმნებიან
და მცირედ მოვახსენე თქვენს დიდებულებასა, რათა შურითა
სხვა არ მოეხსენებიათ თქვენთვის. უფალნი ესე იპათნი და ყი-
პატი, მრთელ-იყავი.

წერილი ესე მიწევნილ იქმნა რომს შინა კეისართან და აღმოიკითხეს და განისმა ესე ქნბავი; სიმრავლე ქალაქისა განკვირდა, და დიდებულთა და მთავართა მოახსენეს კეისარსა: თვით პყრობელო კეისარო! ვფიცავთ თავსა დიდებულების შენისასა, რომელ ფრიადი დიდი ბოროტი უქმნიეს კერძოთა მთავარსა პილატეს, რომელსა ეგე ვითარი კაცი მართალი მიუცემიეს სიკვდილად, და ესოდენი წარცემულობა და განსაცდელი მოვიდა ქვეყანასა ზედა თქვენსა, „უსამართლოებითა გამო მსაჯულისა, ნუ თუ ქრთამითა და ანგარებითა უპატიო ჰყო, პატივი ფლობელობისა თქვენისა, და ჰყო წინააღმდეგ ყოველთა ბრძანებათა თქვენთა. ოდეს ესმა ესე მეფესა რომაელთასა, აღვსილ იქმნა მწუხარებითა და ბრძანა გუნდისა ერთისა სამხედროისა განმზადება დიდითა მუქარითა და წარავლინა მსაჯული ვინმე ძალითა თვისითა იერუსალიმად, რათა მსწრაფად ჰსცნას ჭეშმარიტება საქმისა ამის იერუსალიმს შინა.

ხოლო მივიდა რა იერუსალიმად მსაჯული ესე და სჯდა სამსჯავროსა შინა და ბრძანა მოწოდება ქალაქისა მის სიმრავლისა მცირიდგან დიდამდე, და მათ თანა პილატეცა მოიხმო წინაშე თვისსა და რქვა მსაჯულმან:

ჰოი პილატე! რაი იგი მიზეზი რაპორტისა შენისა მარქვი მე, რაისათვის მოახსენე შენ იგი მეფესა და ვინ გაიძულა უსამართლოებისა ქმნად თვინიერ ბრძანებისა კეისრისა ჩვენისა?

მიუგო პილატე: არა თავით თვისით მიქმნიეს ესე, არამედ იძულებითა და უსამართლოებითა და არა ნებით ჩემითა. ჰრქვა მსაჯულმან: ვინა იქმნა მიზეზი მაგისა და ანუ ვითარ?

მიუგო პილატე: მე უწინარესვე მრავალთაგან, რომელ კაცი იგი მართალი და უცოდავი იყო, გარნა ამაოდ აღმაშფოთეს ერთა მათ.

ჰრქვა მსაჯულმან: უკეთუ ესრედ იყო ვითა შენ იტყვი, რასათვის დასაჯე ეგე ვითარი კაცი მართალი, რომელსა შენ ჰსცნობდი ქვეყანისა მაშენებლად და სიცოცხლისა მიმნიჭებელად?

მიუგო პილატე: მე არა თავით თვისით მიქმნიეს ეგე. ჰკითხე ერსა ამას, ვინა მათგანი იქმნა პირველი მიზეზი კაცისა მის წარწყმედისა, რომელთაცა აღიღეს სისხლი მისი თავთა მათთა და ძეთა მათთა ზედა.

ბრძანა მსაჯულმან: მარქვთ მე ჭეშმარიტი, ვინა იმოქმედა ბოროტი ესე და მათ ყოველთა დუმნეს?

მაშინ ჰრქვა მსაჯულმან: ვფუცავ ღმერთთა და თავსა კეისრისასა, უკეთუ არა გამოჩენით მიჩვენოთ თქვენ, კაცთა მათ თვის მოვავლენ თქვენ ზედა დიდსა ბოროტსა და აოხრებასა. და გყოფთ თქვენ ყოველთა ტყვედ და ერთბაშად აღგფხვრით სამკვიდრებელით.

მიუგო პილატე: ჰოი, მსაჯულო! გეტყვი: მრავალ გზის გამოვიძიე კაცი ესი და ვერა რაი შეცოდება სასიკვდინე ვჰპოე მის შორის, ეეეედრე ერსა ამას და ვარქვ: ვერა ვხედავ კაცსა ამას ღირსად სიკვდილისა, განვწვრთი ამას და განუტევებ დატუქსითისა სიტყვითა, და ვერა რაი მოვაწონე ამათ. აწ წინაშე თქვენსა არიან და უკეთუ სიკვდილისა მიზეზი ჩემ მიერ არს, უბრძანე ერსა ამას ქვა დამკრიბონ მე.

ჰრქვა მსაჯულმან: სიმრავლენო ერისანო! რასათვის არა რას მიუგებთ?

მაშინ სიმრავლემან ქალაქისამან აღამაღლნა ხმა ღაღადებისა და სთქვა: მსაჯულო! გეუწყოსთ ესე თქვენ და თქვენთანა მყოფთა, ჩვენ დღემდე არა რაი ნაკლულევანება შეგვრჩენია, გვიძლევია ხარჯი. და წინააღმდეგ მართებლობისა არა რაი გვიქმნია. ყოველი სამართალი და გამოსაღები განგვიღია და ჩვენ, მხოლოდ ამისთვის ვმსახურებთ ხორციელთა ყოველთა, რათა ჩვეულება და საქმე სარწმუნოებისა და ღვთისმსახურებისა დავიცვათ ცხადად და არა ფარულად თვინიერ შიშისა და კრძალვისა. და ესე ჩვენ ნამდვილად უწყით და აღმოგვიკითხავს ჰსჯულთა და წინასწარმეტყველთა შინა, რომელიცა გვამცნებს ჩვენ მამათა ჩვენთა ძის ძემდის, რამეთუ მოსამავალ არს სიტყვა ღვთისა ზეცით, და მართებს განხორციე-

ლება წმიდისა ქალწულისაგან და განკაცებად ჩვენდა მსგავსად ქვეყანასა ზედა ვითარცა კაცი ვიდოდეს, და ესე ყოველი კანონიერად ჰსწერია და გვიპყრიეს მტკიცედ და აღმოგვიკითხავს. რომელი გვაუწყეს წინასწარმეტყველთა და ვისმინეთ, რამეთუ დროსა მეექვსესა თავსა წლისასა მომავალ არს ქრისტე, გარნა მიზეზი მისი ვერა ვსცანით და ვერა გავიგეთ დღე და ჟამი მოსლვისა მისისა, არამედ ვართ და მოველით მას, რაცა წინასწარმეტყველთა აღგვითქვეს, რომელსაცა მარადეებს სრულ ჰყოფა, ოდეს მოვალს მაცხოვარი ჩვენი. გარნა ამას ვერა ვსცნობთ სით მოვალს, დედასა და მამასა მისსა ვსცნობთ, ჩვენ შორის და ესე აღმოჩნდა ფარულად და შემდგომად მისსა არღარა გამოჩნდა ჟამსა მრავალსა. ოდეს შეიქმნა ოცდა ათისა წლისა მოვიდა და ნათელ იღო და ვიხილეთ იგი მსწრაფლ ფლახაკად და სახითა გონჯითა და შეურაცხითა ქვეყანასა შინა ჩვენსა, რომელმანცა კაცნი ათორმეტნი აღირჩივნა გალილიით მოწაფედ, და მათით ყოველნივე დაიმორჩილნა, რომელ მოგვი იყო და მაცთურ და მატყუარებითა სძლევდა და ულონოთა გვამთა და შტაცობითა სრულ ყოფდა კაცთა მაშენებელთა და ტკბილისა სიტყვითა აწონებდა მათ, ნუ უკვე ბოროტი იყო საქმე მისი, რომელსა მოქმედებდა თვალთა წინაშე კაცთა, არამედ წინააღმდეგ და მტერ იყო ნათესავისა ჩვენისა. და რაოდენსა რას აღასრულებდა მარადის შაბათსა შინა, და იყო ყოველთა მაყვედრებელ და შეურაცხის მყოფელ ვიდრე ვერღარა დავითმინეთ; სიმრავლე კრებულისა აღვადგინეთ მას ზედა და მივეცით ხელთა მსაჯულისათა. მაგას არა რაი შეცოდება აქვდა, ჩვენ ფიცით ვარწმუნეთ და სიყვარულით ვითანხმეთ მსაჯული ესე, და ამან რაიცა გვიბრძანა იგი ვჰყავით, და არა რაი თავით ჩვენით გვიქმნიეს, არამედ ბრძანებითა მსაჯულისათა.

მაშინ ჰმსაჯული განრისხდა პილატესა ზედა და ჰრქუა: განემგზავრე კეისრისად რომს შინა, შემდგომად ბრძანა მსაჯულმან. და შთასვეს საპყრობილესა დიდებულნი თავადნი და

მთავარნი მის ქალაქისანი, მღვდელნი, მწიგნობარნი და მოხუ-
ცებულნი ერისანი, რომელთაცა ჰსტანჯავდიან გვარად გვარა-
დისა ტანჯვითა; რამეთუ განპარსეს წვერნი და თმანი თავი-
სანი, აღიღეს სიმდიდრე განძისა მათისა და ჭერი ტაძრისა
სიწმინდისა და ბომონისაცა მათისა წარტაცებულ იქმნა; და
პილატე შეკრეს შესაკრავითა რკინისათა, შთაუგდეს კისერს
რგოლი რკინისა და მარჩობლისა ჯაჭვითა შებეჭდეს და გაამ-
გზავრეს რომის კერძოდ, და ბრძანებითა მის მსაჯულისთა
შთასვეს ხომალდსა. მეხომალდეთა რომ მიყვანდათ რომს, ეს-
პილატე შთახდა გონებისა და თქვა შეშინებულმან კეისრისა
მიერ, რამეთუ ვითარ წარსწყმედს მას. აღსდგა ღამე და შთა-
იგდო თავი თვისი ზღვასა შინა; ეს რა ჰცნეს მეხომალდეთა,
შთაცვინდნენ ზღვასა შინა მოკრეს ჯაჭვსა ხელნი და კრული
პილატე აღმოათრიეს ზღვით და შთასვეს ხომალდსავე და დი-
დის დაკრძალვით მიიყვანეს [illegible]ომს.

მაშინ შევიდა კეისარი და დასჯდა საყდარსა კერპთასა
ტაძარსა შინა დიდებულთა თვისთა თანა, დადება, რათა შეს-
წიროს არა ღმერთთა თავთა ასყიფას და გყიფოს სადაცა წარ-
სდგა მსაჯული, წინაშე მათსა. და რაოდენი რა ესმა
და იხილნა სასწაულნი და საკვირველებანი, რომელიცა იქმნა
იერუსალიმსა შინა, შემდგომად ქრისტეს ვნებისა ჯვარსა ზედა.
აღდგომა მისი და ამაღლება და სხვანი ამის მსგავსნი, ესმა
და იხილა განკარგვით მიუთხრა კეისარსა მას. ხოლო ოდეს
ესმა კეისარსა აღდგომა იესოსი, ფრიად განიხარა და ბრძანა
წინაშე თვისსა მოყვანა პილატესი.

მოვიდა პილატე ჰრქვა მეფემან: ჰოი ყოვლად ბოროტ-
ო უბადრუკო! ესრეთ განგაწესე ქვეყანასა ჩემსა ზედა.
რომელმან ჰყავ ეგე ვითარი უსამართლო სამართალი, და
ეგრეთი კაცი მართალი წმინდა და ყოველთათვის სახმარი მი-
ეც—სასიკვდინედ უსჯულოსა შეკრებილებასა?

მიუგო პილატე: ჰოი მეფეო არა ეგრეთ არს, ვითარ
ბქვენ გსმენიესთ, ვითარმე თავით თვისით მემოქმედოს ესე?

ჰრქვა მას კეისარმან: არა შენ უწინარეს ამისა თვით მაუწყე წერილითა მტკიცითა?

მიუგო პილატე: ჰე მოგახსენეთ მე წიგნითა სიმტკიცე მისი, რომელ არა არს კაცსა მას შინა სიცრუე, რათა სხვათა ჩემთვის ბოროტი ეარა რას მოგახსენონ.

ჰრქვა კეისარმან: არა რას ვისგანმე შსმენიეს თვინიერ მოწერილობისა შენისა და რაიცა შენ მოგიწერიეს, თვით სიტყვითა შენითა დასჯილ ხარ.

მიუგო პილატე: ჰე მეფეო ვიმყოფები წინაშე თქვენსა მე და ესე შეკრებულება, მყოფი სამსახურსა ღმერთთათა, აცადე სთქვან იკიან უკვე საქმე ბოროტი ჩემ მიერი ღირსი სიკვდილისა?

მიუგო მეფემან და ჰრქვა: და რაიღა დაგირჩა შენ უქმნელი ბოროტი, რომელმან მოაკვდინე კაცი ეგრეთი, რომელი სიტყვითა თვისითა სიცოცხლესა მიანიჭებდა კაცთა და ქვეყანისა ჩვენისა მაშენებელ იყო, და შენ ნებითა შენითა ქვეყანა ჩემი მოოხრებულ ჰყავ?

ჰრქვა პილატემან: ჰე მეფეო, უწყოდეს სიბრძემან შენმან, რომელ მე თვით ჩემით არა რა მიყოფია, არამედ დიდებული და ქალაქისა მის სიმრავლე აღდგეს ჩემზედა და ენებათ სიკვდილი ჩემი, შემეშინა მათ მიერ, რომელთაცა შეახეს მას ხელი, შეიპყრეს ღამე და მე არა უწყოდი განთენებამდე, და მათ საჯეს იგი სიკვდილად და მე უბრალო ვარ სისხლისაგან მართლისა.

მიუგო მეფემან და ჰრქვა: მაშ ვინ იყვნენ წინაღმდეგ შენდა და ხელმწიფებისა ჩემისა?

ჰრქვა პილატემან: დიდებულნი და მთავარნი ქალაქისანი იქმნენ წინამძღოლად ერისა.

უბრძანა კეისარმან: ვინა იყვნენ იგინი, რომელნი არა ემორჩილებოდენ ნებასა შენსა და გყვეს იძულებულ ცემითა ანუ ვნებითა!

მიუგო პილატე: არა მეფეო! არა ცხადად უყოფიეს ესე ჩემდა, არამედ წარმოადგინეს წინააღმდეგნი და ბოროტ-მეტყველნი, რომელნიცა იტყოდენ მისთვის: წინააღმდეგ არსო კეისრისა და დიდებულებისა და მთავრობისა, და თავსა თვისსა ჰსწორ ღვთისა ჰყოფს და ამით მითანხმეს მე, ნებასა ზედა თავთასა.

ჰრქვა კეისარმან: და სითა წინა აღუდგებოდა დიდებულებასა და მთავრობასა ჩემსა, ანუ ჰყვანდა სპანი მრავალნი და მით გითანხმეს?

მიუგო პილატე: არა მეფეო არამედ შემეშინა მე მეუფებისა და ბრძანებისა თქვენისა მიერ და ჰვყავ იგი, რასაცა მათ მომითხრეს მე.

ჰკითხა მეფემან: ვინა იყვნენ პირველთა თანა განმზრახველნი და მნებელნი საქმისა ამის?

მიუგო პილატემან: სახელდობ ესე, **სიმონ, დოვდაელ, ლევი, ნეფთალიმ, გაად, ალექსანდრე. ჰაროს**, და **მღვდელთ-მთავარნი ანნა** და **კაიაფა**, და სხვანი აღრეულთა ერთა სიმრავლენი:

უბრძანა მეფემან: მე შენ დაგადგინე მთავრად და მსაჯულად ქვეყანასა მას ზედა და ბრძანებისა ჩემისა, რა ღენიცა გესმა ჩემ მიერ.

მოახსენა პილატემან: კეთილად იტყვი მეფეო, გარნა მრავალსა ბოროტსა სწამებდეს მისთვის და ბოროტ მეტყველება მათი არა იყო მსგავს, და მე ნამდვილ იგი არა უწყოდი.

ჰრქვა მეფემან: ოდეს იგინი გეტყოდეს შენ შეპყრობასა საპყრობილესა შინა, გმართებდა კრძალვით დაცვა მისი, ვიდრე მეპოვნა მისთვის მიზეზი სიკვდილისა და შემდგომად დაგესაჯა მსგავსად მსაჯულისა, გმართებდა შენცა სიკვდილი მისთანა.

მიუგო პილატე: ჰოი მეფეო! ვერა ვსცანი პირველ ზაკვლება მისი ხოლო ოდეს მესმა და ვიხილენ საქმენი მათნი, რომელნი იყვნეს, მაშინ მივხდი.

ჰრქვა მეფემან: ვინ უწყის, ნუ თუ ქრთამითა ჰსაჯე სამართალსა ანუ თუ ნივთითა ფარისეულ იქმნენ?

მიუგო პილატე: არა ეგრეთ მეფეო, თუმცა მრავალ-გზის წარმოსდგეს მოწამენი და სწამებდენ მისთვის ბოროტსა, გარნა მე არა უსმინე მათ. ხოლო ოდეს მამჩინებენ მე, ითარმედ მოწაფემან მისმან მისცა იგი მათ და თვით იგი არსო მოწაფე ბოროტისა მისისა მაშინ დავრთე ნება მათ.

ჰრქვა მეფემან: და სადა არს აწ მოწაფე იგი, რომელ მანცა მისცა იგი?

მიუგო პილატე: მე არა უწყი, ხოლო მათ მომითხრეს მე ვითარმედ შემდგომად მიცემისა შეინანა, იგლოვა მწარედ, ვეცხლი, რომელი მას მისცეს განაბნივა წინაშე მღვდელთა, თვით წარვიდა და თავი დაიხრჩო.

მიუგო მეფემან: უმჯობეს მსაჯულმცა იყავ დაირჩობოდი უკვე მისთანა, არა ხელითა ჩემითა უბრალოესად. წარწყმდებოდი?

მიუგო პილატემან: იყავნ ნება შენი, გარნა უწყი მე ესე, რომელ არა ნებითა ჩემითა და სამართლითა მიქმნეს ესე.

ჰრქვა კეისარმან: ჰოი უბადუკო! უკეთუ შეგეშინა ეროსაგან, ოდეს იგი მოგცეს შენ, და მას შინა ქერა ჰხოქ შეცოდება სასიკვდინე, უმჯობეს ჰყოფდი შთაგესვა იგი საპყრობილესა შინა და აღგესრულებინა გულის წადილი მათი. უკეთუ ჰპოებდი ღირსად სიკვდილისა, მოკლეულ, უკეთუ არა, მაშინ ზაკვით როგორმე შეიპყრობდი შთავარსა ქალაქისასა, სიკვდილსა ზედა ითხმებდი ერსა ქალაქისასა და შემდგომად ბრძანებისა შენისა არა ვითარიმე წინააღმდეგობა შეეძლებოდათ, გარნა შენ-ესე არა ჰყავ; ოდეს მათ იხილეს ცრემლებულ-ქმ გონებისა შენისა და შემუსრვილება გულისა შენისა, მსოფლიო ნივთით თხოვანი მოგაწონნეს და შენცა ნებისამებრ მათისა აღასრულე.

ჰრქვა პილატე: ჰოი მეფეო, გევედრები მისმინო მე, ოდეს იგი მომცეს მე და წარმოადგინეს წინაშე ჩემსა, მე

მყისვე გარეცებით შემეშინა, მაშინ ჰურიანი მრავალსა ბოროტსა ბრალსა ჰსდებდენ მას ზედა, და მან ჰსდუმნა და არა რასა მიუგებდა, და იმან უმეტეს ძალნეულ მო-

ჰრქვა მეფემან: ჰე, უგუნურო მსაჯულო! მრავალ-ნამ-დვილ ნებითა თუსითა განმზადებულ იყო სიკვდილად, რომელსაც აქვნდა ხელმწიფება ქმნა. რაიცა მხოლოდ ენება რომელსა ეწყრებდა იესო, მე ღვთისა, მეუფე ჰურიათა.

ჰოი საკვირველებავ! რაჟამს ოდეს ასენა კეისარმან სახელი იესო, მეუსეულად სიმრავლე მმერთთა და ხატნი კერპთანი გადმოკვივდნენ ძირსა და მტიმუსრნეს. ეგ აღსდგა მსწრაფლ კეისარი და გამოვიდა, და ბრძანა პილატესი სიფრთხილით დაცვა განთენებადმდე.

ხოლო დღესა მეორესა დასჯდა კეისარი საქმარსა ზედა სამსჯავროსა და დიდად განრისხებულმან ბრძანა მოყვანა პილატესი წინაშე თვისსა. და ოდეს წარსდგა პილატე, ეუბრძანა კეისარმან: უბადრუკო მარქვ მე, ვინა იყო ჯვარცმული ესო, რომლისა ერთ გზის ხსენებითა ერბა ამად წარსწყმდენ ყოველნი მსახურებანი ჩემნი?

ჰრქუა პილატემან: უწინარესვე მოვახსენე დიდებულებასა თქვენსა და ვითარმედ გეტყვი, რათდენი წეოილითა გიწყუე თქვენ უწინარეს, ყოველივე ჰეშმარიტ არს.

ჰრქვა კეისარმან. სით იყო იგი ზეცით ანუ კაცთაგან?

მიუგო პილატემან: ვიცი ქვეყანაზე ალმოჩნდა, კაცთანა ვიდოდა, მხილველთა ცხად ეჩვენებოდა, ზოგნი იტყოდენ კეთილი ვინმე არსო, და სხვანი ეტყოდენ, მაცთური არსო, და ბავადი იტყოდა ძე ღვთისა ვარო და ზეცით გარდამოვ-ხედო.

ჰრქუა კეისარმან: უკეთუ ეგრეთ არს, მაშასადამე ხელმწიფე ვინმე იყო იგი, რომელ ხელმწიფებით იქმოდა ყოველსა რაი იგი ენება მას, და შენ წინააღმდეგ ხელმწიფობისა ჩემისა ჰყავ ესე და ქვეყანა ჩემი მოაოხრე?

მიუგო პილატე: ვფუცავ ღმერთსა და თავსა შენსა ფიცით მპყრობელო კეისარო, რომელ არცა მტერობით, არცა წინააღმდეგობით მექმნას ეგე. არცა მისედვითა ქრთამისათა ვითარცა ბრძანებს მეფობა თქვენი.

უბრძანა კეისარმან: ყოვლად უბოროტესო—ხედავ უკეთურისა და უსამართლოსა სამართლისა შენისაგან. რომელ ჰყავ აღმოჩნდა უსჯულოება შენი და ღმერთნი ჩვენნი წარსწყმიდენ, მაშა თანამდებსარ შენცა მათ ბინა წარწყმდე. მაშინ კეისარი აღივსო გულის წყრომითა და მრისხანებითა და უბრძანა მსახურთა ტანჯვა მისი და შეყენება საპყრობილესა შინა, ვიდრე საჯოს ფრიად ვითარისა სიკვდილისა ძალით მოკლას იგი; და შემდგომად ბრძანა რათა როვატიანი (?) მიუწეროს სასომხეთოს მეფესა ავგაროზს, რომელი მეფობდა ედესიასა შინა და დედანი წერილისა მის იყო ესრეთ:

მეფეთ მეფე აგვისტოსებრ კეისარი რომაელთა სამფლობელოსი, შენ საყვარელსა ძმასა ჩემსა, მეფესა დიდისა სასომხეთოისა და აღმოსავლეთისა მთავარსა ავგაროზს გიხარიდენითა მოგიკითხავ.

ეუწყოს თქვენ მპყრობელსა მეფობასა თქვენსა უმეტესი სიყვარული ძმობისა და ურთიერთა მიმართ ერთ სიტყვაობა და თანხმობა.

და ამასთან მოხსენდეს მეფობასა თქვენსა ესეცა: კაცი ვინმე იყო, რომელსა ეწოდებოდა იესო, რომელიც გამოჩნდა ქვეყანასა გალილეველთასა, ქალაქსა შინა ნაზარეთს. და აღიზარდა ეგრეთ, ვითარცა ესაკი კაცთა. რომლისათვისცა ვიეთნიმე იტყოდიან ძე ღვთისა არს მეუფე ჰურიათა. შური იძიეს ჰურიათა და მისცეს იგი პილატეს, და ვითარცა მოგვა და თანამდები სიკვდილისა ჯვარს აცვეს, და, მრავალთაგან გვესმა, ვითარმედ აღსდგა მკვდრეთით და მეც ზედ მიწევნით. გამოვიძიე და ვსცან, რამეთუ ყოვლადვე ჭეშმარიტი იყო. და პილატემან უსამართლოებით დასაჯა იგი—და აწ იგი ბმულმყავს რკინისა ჯაჭვთა საპყრობილესა შინა, ვბრძანებ ბოროტისა სიკვდილითა ჩაკვდომასა მისსა.

აწ ვევედრები მხსნეობასა თქვენსა, რათა განემგზავროთ იერუსალიმად და უსჯულონი და ულმრთონი გვარნი ჰური-ათანი უწყალოდ და მწარითა შეიწროებითა სტანჯოთ იგინი და წარსტყვნით ყოველნი და იძიოთ შური მათგან იესოს სიმხლისა და დაატყვევოთ დედანნი და ყრმანი მათნი, და ცეცხლითა მოსწვით სახლნი და სადგურნი მათნი და განაბნიოთ იგინი მრისხანებითა თქვენითა და წარსწყმიდოთ, და ყოველი ესე ბრძანებული ჰყოთ თვინიერ ხბაგვიანებისა და დაყოვნებისა მრთელ იყავ!

ხოლო ოდეს მიიღო ავგაროზ მეფემან როვატაგი კეისრისა, განვიდა ლაშკრითა თჳისითა და მიიწია რა იერუსალიმად, იავარ ჰყო ყოველი ქვეყანა ერთბამად, და აღაფრხვნა ყველანი მცხოვრებნი მის ქვეყანისანი და განაბნივნა იგინი პირსა ზედა ოვლისა ქვეყანისა, და მისცნა მახვილსა და ტყვეობასა დედანნი და ყრმანი მათნი. და ეგრეთ განქექილნი ფერხთა ქვეშე, განიბნივნენ სხვადასხვასა ადგილსა, სადაცა დღესაც იმყოფებიან. ხოლო რაოდენთამე ჟამთა ვესპიანე კეისარი სამასის ბევრის სამხედროთი მოვიდა და საძირკველნი ზე მოაქცივნა, სახლნი და საყოფნი მათნი დაარღვივნა და იგინი განაბნივნა სადაც დღესაც არიან. გაფანტულნი!

ხოლო უსჯულოსა პილატესი ბრძანა კეისარმან ქვით დაკრებად, განიყვანეს გარეეან ქალაქისა და ერმან ქალაქისამან ქვა დაკრიბეს და გარდააგდეს მძორი მისი საჴმელად მხეცთა და ფრინველთა ცისათა, ესრეთითა სიკვდილითა ჩაკვდა ულმრთო იგი პილატე თანა გამნზრახველთა თვისთა და მეორლანოებითურთ; მიიღეს აქა და მიიღებენ დროსა განმზადებულსა ცეცხლსა გეენიასა, რომელიცა განუმზადებიეს უფალსა ჩვენსა დღესა უკანასკნელსა ზედა. სახელი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი დიდებულ-არს სადიდებლად წადისა სამებისა ერთ არსებისა ან და უკუნისამდე*).

*) ეს წერილი მოგვაწოდა მარტვილიდან მღვდელმა მამა ბართლომე ოსიძემ ძველი ხელნაწერიდან გადმოწერილი. საიდგან ჩაიგდო ხელში მ. ოსიძემ ეს ხელნაწერი, რომელ საუკუნის ეკუთვნის იგი, არ ვიცით.

რედ.

პ ა ს უ ხ ი

კანონისტ-პროფესორებს ბერდნიკოვს და ალმაზოვს

ეხლა შეუდგეთ მეორე კანონისტ პროფ. ბერდნიკოვის მოხსენების განხილვას, რომელსაც ალბათ ხელი შეუშალა სხვათა შორის პროფ. ალმაზოვის და მ. ვოსტორგოვის მეზობლობამ, რომ ობიექტიურად და მიუდგომლად მოკიდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს.

პროფ. ბერდნიკოვის მოხსენება შესდგება ორი განყოფილებისაგან: პირველში ის პასუხს აძლევს ეპ. კირიონს სტატიაზე „ნაციონალური პრინციპი ეკლესიაში", მეორეში კი მიუთითებს ისტორიულ საბუთებზე რუსეთის და საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობიდან, რომელიც ვითომც ამართლებს საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დაქვემდებარებას რუსეთის ეკლესიის უწ. სინოდისადმი. ჩვენც განვიხილოთ ეს ორი დებულება პროფ. ბერდნიკოვის „პასუხისა", რამდენათ დასაბუთებული და სამართლიანია იგინი.

ქრისტიანობა არსებითად რომ მსოფლიო საერწმუნოებაა, საზოგადო და კოსმოპოლიტურია, ამას ბევრი მტკიცება არ ესაჭიროება; მაგრამ ამავე დროს ის რომ შესდგება სხვადასხვა ეროვნულ და ტერიტორიალურ ეკლესიებისაგან და რომ ეს მოვლენა არ ეწინააღმდეგება ქრისტიანობის საერწმუნოების კათოლიკობის — საზოგადოებრივობის აზრს, არც ეს მოითხოვს დიდ მტკიცებას. პროფ. ბერდნიკოვი ამბობს, მართმადიდებელი ეკლესია „ნებას იძლევა თითოეულ ერს ქონდეს თავისი ეკლესია ეროვნული იერარქიით სათავეში", მაგრამ ვითომც მხოლოდ ნებას აძლევს და არ „აკანონებს" კი. მაგრამ ბრალი არა თუ ნებას აძლევს, აკანონებს კიდეც ამ უფლებას. ქრისტიანობას აუცილებლივ სწამს და პატივსა სცემს თითოეულ ეროვნების

უფლებას და მის თავისებურობას იმდენად, რამდენადაც ყველა ეს ისტორია მათ ენაში, ზნე-ჩვეულებაში, გადმოცემებში, ისტორიაში და ეთნოგრაფიაში და სხვა და სხვა. შესანიშნავი სიტყვები მოც. პავლესი, რომ საქრისტიანო ეკლესიაში არა არს წარმართ, და ურია, წინადაცვეთილება და წინა-დაუცვეთელობა, ბარბარეს სკვითელ, მონებან, აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა არცა დედაკაცისა (გალატ. 3, 28.; კოლოს. 3, 11.) იმას ნიშნავს, რომ რა-კი ირწმუნეს ქრისტე, ყველას ერთნაირი ფასი აქვთ და ერთნაირად წარსდგებიან ღვთის და საქრისტიანო ეკლესიის წინაშე, და არა იმას, რომ რაკი მათ მიიღეს ქრისტიანობა უნდა უარყონ თავისი ეროვნება და შეადგინონ კრება უთვისტომო ხალხისა უეროვნოთ, უსქესოთ, უნდა უარყონ სამშობლო და სამშობლო ენა და სხვ. და სხვ. პავლემ ეს სიტყვები უმთავრესად ებრაელების საწინააღმდეგოთ სთქვა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ თავის თავს თვლიდენ „რჩეულ ხალხად“ და დანარჩენებს კი ზიზღით უყურებდენ, უწოდებდენ მათ „გოიებად“*); აგრეთვე ბერძნების საწინააღმდეგოდ, რომლებსაც თავი მოქონდათ თავისი კულტურით და სხვებს, — არა ბერძნებს „ბარბაროსებად“, ველურებად ნათვლიდენ. ის მიმართავს მაგ., ებრაელებს: „ნუ თუ ღმერთი, მხოლოდ ებრაელების ღმერთია და არა წარმართების? რასაკვირველია წარმართებისაც“ (რომაელ. III. 9; X, 12). ეგვი არ არის, რომ „ცეკხლის ენები“ (საქ. წმიდ. მოციქულთა II, 3 და 4) „სხვადასხვა ენების ლაპარაკი და განმარტება“ (კორინ. XIV, 4-14) მოწმობენ ნაციონალურ ეკლესიების სასარგებლოდ. ეს სავსებით გამოიხატა ალმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიების ფედერაციაში, **კათოლიკების ცენტრალიზაციის საწინააღმდეგოთ.**

თვით ქრისტიანობის შემქნელს უნდოდა შეექმნა თავისი ეკლესია, პირველად ყოვლისა, თავის ხალხში. რაც არ უნდა ილაპარაკონ ჩემბერლენებმა გალილეველის არიქლთა ჩამომავ-

*) გოიებად ებრაელები უწოდებდენ ყველა არა ებრაელებს.

ლობაზე — იგი „სისხლით და ხორცით მაინც ისრაელია“ (რომაელ. IX, 5). მისი ტირილი იერუსალიმის ბედისწერის შესახებ, რომელიც ჟლეტს წინასწარმეტყველებს და მოციქულებს, გოდება ამ გველთა და იქედნეთა ნაშობებზე, ამ მოუხეშელ ხალხზე და მის მომავალ ბედისწერაზე, ეს მისი ენაა, რომელიც თვისთათანა მოვიდა და თვისთა იგი ვერ იცვნეს (მტ. 23, 33—37; ი. 1, 10) უკანასკნელ, ქრისტემ, როდესაც წარგზავნა თვისი მოციქულები საქადაგებლათ, რქვა მათ: „გზასა წარმართთასა ნუ მიხვალთ, და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შეხვალთ, არამედ მივედით **უფროს ხოლო ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაილისათა**“ (მათე X, 5, 6). მოციქულ პავლეზედაც ნათქვამია: „იგი არის ჭური რჩეული, რათა აუწყოს სახელი ჩემი წინაშე ყოველთა წარმართთა და მეფეთა და მთავართა ძეთა ისრაილისათა (საქ. წმ. მოც. IX, 15). ერთი სიტყვით, მოციქულები პირველად შედიოდენ სინაგოგაში ებრაელებთან, ხოლო როდესაც მათ იქიდგან გააძევებდენ, იგინი მიმართავდენ ხოლმე წარმართებს. ამით აიხსნება რამოდენიმეთ ქრისტიანობის მქადაგებლების ადრე შემოსვლა საქართველოში, სადაც ჯერ კიდე ქრისტეს მოსვლამდისაც ცხოვრობდენ ებრაელი კალონისტები.

უკანასკნელად, საეკლესიო კანონები დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ საეკლესიო იერარქია და საეკლესიო თვითმართველობა თითოეულ ხალხს თავისი ქონდეს, ხალხური: „ჯერარს რათა ყოველი ხალხის (Ethnous) ეპისკოპოსთა იცოდენ პირველი თვისა შორის და მიაჩნდეთ იგი, ვითარცა თავი“ (მოც. ს. 34), და შემდეგ: „რომ თითეულ საეკლესიო ოლქის საქმეები უნდა გაარჩიოს იმავე საეკლესიო ოლქის კრებამ (2 მს. კრ. დ. მუხ. 2). ეჭვი არ არის, რომ მოციქულთა კანონების შედგენის დროს Ethnous-სის სახელით (როგორც სხვა კრების კანონებში, რომლებშიდაც ხშირად ლაპარაკობენ სხვა ტომის ერებზე, ე. ი. არა ბერძნებზე და სხვა და სხვა) უნდა ვიგულისხმოთ „ხალხი“ და არა ტერიტორია ან ეპარქია, როგორც ზოგიერთებს

ვგონიათ, მაგ., პროფ. გალუბოკოვსკის, რომელსაც საბუთიანად შენიშნა პროფ. ზაოზერსკიმ („Богосл. Вѣст“., ივლ. აგვისტო, დეკემბერი 1907). შემდეგ დროში მომხდარ კრებებს თავისი დადგენილებებით კი არ **შეუცვლიათ** ეს 34 მუხლი მოციქულთა კანონისა, არამედ დაამტკიცეს. თუ რომელიმე ადმინისტრატიულ ან ტერიტორიალურ ერთეულს, როგორც, მაგ., საეკლესიო ოლქია ან და ეპარქია, მასში მოსახლე ხალხს ტოპოგრაფიულ ან ეტნოგრაფიულ თავისებურობის მიხედვით, უნდა ქონდეს თავისი კრება (соборъ) და ადგილობრივი საეკლესიო თვითმართველობა, მით უმეტეს მთელ **ხალხს** აქვს ამის უფლება. ერთი სიტყვით 34 მუხლი გულისხმობს ხალხს — და არა ტერიტორიას, ეტნოგრაფიულ პრინციპს — და არა ტოპოგრაფიულს; და ამასთან არა მარტო მოქალაქობრივ ადმინისტრატიულ ერთეულს (პროვინციას). ამნაირად საეკლესიო კანონები არა თუ ითმენენ თავის ფარგლებში, ეროვნულ და ხალხურ ეკლესიას, არამედ აკანონებენ მას. მით უმეტეს, რომ ივერიის ეკლესიური ოლქი და მისი ტერიტორია, ძველთაგანვე დასახლებული ქართველი ტომის ხალხით სავსებით ეთანხმება ძველ ქართულ საეკლესიო ოლქს ტერიტორიალური მხრივაც.

სანამ შეუდგებოდეთ პროფ. ბერდნიკოვის მეორე მუხლის არგუმენტების განხილვას, სახელდობრ, **პოლიტიკურს**, უნდა შევნიშნო, რომ მე არა ერთხელ განმიცხადებია კრების მეორე განყოფილებაში, როგორც ამას მოწმობენ ოქმები, და სხვა შემთხვევაშიდაც, რომ საქართველოს ეკლესიის საკითხი შეიძლება განხილულ იქმნეს და გადაწყდეს საეკლესიო კანონების შეურყეველ დებულებების მიხედვით. ხოლო ამ საქმეში რაიმე პოლიტიკანობის შერევა არ არის სასურველი, როგორც უნიადაგო და გარდამავალ ელემენტებისა. ესეც რომ არ იყოს სრულიად უადგილოა საეკლესიო საქმეების გადაწყვეტაში მისი გარევა. მაგრამ თუ მაინც და მაინც სურთ კანონიკურ უფლებების საბუთებს შეუერთონ პორიტიკური და

ისტორიული უფლებების მოსაზრებანი, ეს უფრო მეტად დაგვარწმუნებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებების აღდგენის საჭიროებაში. მხოლოდ ამისთვის საჭიროა დაახლოებითი და დეტალური გაცნობა იმ პოლიტიკურ და ისტორიულ ორიგინალურ საბუთებისა, რომლებიც შეეხებიან ამ საგანს. სამწუხაროთ უმეტესი ნაწილი იმ პირთა, რომლებიც კი საქართველოზე სწერენ, დღემდის ცნობებს კრებენ „ქრონიკომატიებიდან" რომლებიც შედგენილია იმ ოთხ Delphini ან „Путеводитель по Кавказу"-დან, რომლებიც ტურისტებისთვის არის დანიშნული, ან არა და, უკანასკნელად, მეორე-მესამე პირიდან გაგონილ ამბებიდან, თუმცა მეოცე წლების დასაწყისში უმეტესი ნაწილი არხიული საბუთებისა ოფიციალურის და არა ოფიციალურების გამოიცა. ესეც რომ არ იყოს, გავიდა აგერ 100 წელი საქართველოს შეერთებიდან, ხოლო მიმდინარე წელს შესრულდება 100 წელი, რაც საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა დაექვემდებარა უწ. სინოდის უწყებას, ასე, რომ ხაისტორიო მეცნიერება, უკანასკნელად, უნდა შევიდეს თავის უფლებაში და განმარტოს მთელი ისტორიული სიმართლე. სანამ ზემოხსენებულ საბუთებს არავინ იცნობდა, ან არა და ზერელეთ მოიხსენიებდნ ხოლმე ლიტერატურაში და მეცნიერებაში, ამ გვარი საბუთებით ყალიბდებოდა ერთგვარი მოარული აზრი, პრაქტიკულ ცხოვრებისთვის კიდევ არ წარმოადგენდა დიდ საფრთხეს, მაგრამ ეხლა, როდესაც აღმოცენდა სახელმწიფო სათათბირო, რომლის წევრები თავისი სიტყვებისათვის პასუხის მგებელი არ არიან არც სამსჯავროს და არც ცენზურის წინაშე, როდესაც მოსალოდნელი საეკლესიო კრება, რომლის წევრები აღჭურვილნი იქნებიან საკანონმდებლო უფლებებით რომლებსაც შეძლებენ მიეცემათ გაატარონ ცხოვრებაში თვისი დადგენილებანი და განაგონ ეკლესიის და ხალხის ბედი-ბალი. ამ მემთხვევაში ასეთი უმნიშვნელო და ნაკლებად საიმედო პოლიტიკური და ისტორიული ცნობებით სარგებლობას იმ

ხალხისა და ეკლესიისთვის რომლებიც შედიან რუსეთის იმპერიაში ცუდი შედეგი მოყვება როგორც ეკლესიისათვის აგრეთვე თვით სახელმწიფოსათვის, საჭიროდ ვთვლი შევეხო ამ საკითხს უფრო ვრცლად. სანამ მაგალითად Новое Время-ს თანამშრომელნი ბ. ბ. პროკოფიევი, კრივენკო, ან � და მისიონერები ბ. ბ. ვოსტროგოვი და ბუტკევიჩი, პსიხიატრი პრ. კოვალევსკი და სხვანი მათთანა ამახინჯებენ აზრს და მიზანს საქართველოს ავტოკეფალიისას, და ურთიერთ დამოკიდებულებას რუსეთისა და საქართველოს აწმყოსა და წარსულში, ეს კიდე იმდენათ დიდი უბედურება არ არის, მაგრამ, როდესაც მეცნიერი კანონისტები და „დობროვოლცები", რომლებიც არ არიან გაცნობილნი ნამდვილ პირველ წყაროებს და სჯიან უკულმართად ამ დამოკიდებულებაზე და გამოყავთ შემცდარი დასკვნა, ამას ბოლო უნდა მოეღოს, რადგან Volksgeschichte ist volksgericht, როგორადაც სთქვა პოეტმა.

პროფ. ბერდნიკოვი ამბობს (გვერ. 273 და შემდეგ): „ქართველ ხალხს უნდა მიიღოს (?) ავტოკეფალია (ის დიდი ხანია, რაც მიღებული აქვს, მას სურს მხოლოდ ხელს არ უშლიდენ მის განხორციელებაში), სანამ პოლიტიკურად დამოუკიდებელი შეიქნებოდეს, რომელსაც შორეულ მომავალშიაც არ ეტანება.

ქართველი ხალხი, აღნიშნული სურვილით წინ ესწრობს თავის პოლიტიკურ არსებობის აწინდელ მდგომარეობას... ამბობენ ქართველებს არ განუცხადებიათ თავისი თანხმობა (სრული ჭეშმარიტებაა), რომ მათი ეკლესია შეერთებოდა რუსეთისას, რომ ქათალიკოსობა მოსპობილიყო; ამბობენ, რომ ყოველივე ეს ჩაიდინა რუსეთის საერო და სასულიერო მთავრობამ თვითნებობით და ძალადატანებით... ფაქტები გვიჩვენებენ (ფაქტები ამას არ გვიჩვენებენ), რომ რაც კი მოლაპარაკება და დამოკიდებულება ქონდა საქართველოს მთავრობას რუსეთის მთავრობასთან, ყველა ამაში მონაწილეობას ღებულობდა სასულიერო წოდების წარმომადგენლები და ზოგჯერაც თვით კათალიკო-

სის მონაწილეობით. ქართველმა ხალხმა ძალიან კარგად იცოდა (?!) რუსეთის მთავრობის მიზანი და განზრახვა ქართველ ხალხისადმი საქართველოს შეერთების დროს გამოუცლებლად ეკლესიის საქმეებისა*).

საქართველოს იერარქიის დაქვემდებარება უწ. სინოდის გამგეობის ქვეშ განოიხატა მხოლოდ იმაში, რომ ერეკლე მეფის შვილი ანტონი ხელდასხმულ იქმნა არქიეპისკოპოზათ და კათალიკოსათ „ცარსკოე სელოში“ (ამას წინეთ პეტერბურგში ხელდასხმულ იქმნა არქიეპისკოპოსათ თავ. ნიკოლოზის სურვილისამებრ, ჩერნოგორიის არხიმანდრიტი; აქედან არ შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ვითომც ჩერნიგორიის იერარქია უნდა ექვემდებარებოდეს რუსეთის უწ. სინოდს)... ქართველი ხალხის დაქვემდებარების შესახებ ტრაქტატის **პროექტში** (1800 წ.) ნათქვამია: „ქართველ დიდებულებს, სამღვდელოებას და ხალხს, ერთი სიტყვით, ყველას ერთხელ და სამუდამოთ სურთ დაემორჩილონ რუსეთის დიდსახელოვან იმპერიას“... ამ დროიდან (**დაუმტკიცებელი ხელშეკრულების**

*) კნორრინგი მაინც შიშობდა გამოეცხადებია საქართველოში, რომ ის შეუერთეს რუსეთს როგორც „გუბერნია“, რადგან, სწერს ის იმპ. პავლეს 5 იანვ. 1801 წ. „ქართველი ხალხი არ არის **გაფრთხილებული** (კურსივი ჩვენია) მასში, რომ თქვენ, თქვენო იმპერატორ. უდიდებულესობავ, ეგრე გადაჭრით მოისურვეთ დაუქვემდებაროთ ისინი რუსეთის იმპერიის კანონებს... გარემოებიდანაც აშკარათ სჩანს, რომ განსვენებულ მეფის (გიორგის) სურვილი არ იცოდენ არც ერთმა მისმა ძმებმა და თითქმის მემკვიდრე დავითმაც-კი“... 28 ივლისიდან კი 1801 წ. კნორრინგი სწერს ალექსანდრე I, რომ იგი „ვერ ბედავს იმის თქმას, რომ ვითომც ყველა წოდება გულგრილად უყურებდეს საქართველოს რუსეთთან შეერთებას (Акты Кавк. Арх. коммисіи, т. I, стр. 192, 428—431). კნორრინგი არ ურჩევს ალექსანდრეს, ვითომ და „საღი პოლიტიკის“ საფუძვლით დანიშნოს თვის მოადგილეთ საქართველოში ერთ ერთი ტახტის მემკვიდრე „მეფის“ სახელწოდებით, როგორც ეს უნდოდათ ქართველ ელჩებს, არამედ ურჩევს გადააქციოს საქართველო „გუბერნიათ“, რისთვისაც იგი ადგენს მართვა-გამგეობის პროექტს, რომელიც შემდეგ განმარტეს ბუტკოვმა და ზუბოვმა (ibid).

პროექტიდან?!) ქართველმა ხალხმა და მასთან ერთად ქართველმა სამღვდელოებამ სავალდებულოდ გაიხადა (**დაუმტკიცებელ პროექტის ტრაქტატის ძალით?**) დაემორჩილოს რუსეთის იმპერიის კანონებს არა შიშის გამო, არამედ სინდისით (კი, მიგრამ **იმ პირობით**, რომ დაცული იქნება საქართველოს მეფობა და ეკლესია, თანახმად 1783 წ. ხელშეკრულობისა და 1800 წლის ხელშეკრულების მეორე მუხლისა). საქართველოს ეკლესიას არ განუცდია თავის თავზე არავითარი უკანონო (?) ძალმომრეობა. საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარების საქმეში ისე მცირე იყო ძალმომრეობა, როგორც მის პოლიტიკურ დაქვემდებარებაში. უწ. სინოდის ან რუსეთის მთავრობის გაკიცხვა იმაში, რომ მათ ვითომც ძალით მოუსპეს საქართველოს ეკლესიას თვითმართველობა, უსაფუძვლოა... საზოგადოთ საქართველოს ეკლესიის შეერთება რუსეთის ეკლესიასთან, შეიძლება ჩაითვალოს **ნებითად (?) იმდენათვე, რამდენად ნებითი** იყო ქართველების მიერ რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება... **ეკატერინე II მთავრობის შეხედულება ამ შემთხვევაში სრული ჭეშმარიტებაა და მასთან წინდახედული**"...

1783 წლიდგან ყველა ჭეშმარიტ ქართველ პატრიოტებს, რომელთაც დღეს „სეპარატისტებათ", ნათლავენ, მეტი არა უნდოდათ რა, რომ მტკიცეთ იქნეს დაცული ეკატერინე II-ის „შეხედულობა" საქართველოს და რუსეთის ურთიერთ შორის საეკლესიო და სამოქალაქო დამოკიდებულებაში. ეკატერინე დიდი, არასოდეს წინააღმდეგი არ ყოფილა საქართველოს ავტონომიის და მისი ეკლესიის ავტოკეფალიის.

საქმე იმაშია, რომ როგორადაც არ უნდა ჩავთვალოთ საქართველოს რუსეთთან შეერთება — პირობის ან იარაღის ძალით ან არა და ძალმომრეობითი უფლებით, ყოველ შემთხვევაში ეკლესიაზე ეს შეერთება არ შეიძლება გავრცელებულ იქმნეს, რადგან საერთაშორისო უფლებათა და ეკლე-

სიას უფლებათა შორის მთელი უფსკრული ძევს, რაც კარგად უნდა იცოდენ **კანონისტებმა**.

ამ გამოურკვევლობის თავიდან ასაცილებლად ჩვენ მოგვიხდება ამოვკრიფოთ ისტორიული ცნობები ოფიციალური საბუთებიდან, რომლებიც კი შეეხებიან რუსეთ-საქართველოს ურთიერთ შორის დამოკიდებულებას და დავიწყოთ ჩვენი მოთხრობა, ასე რომ ვთქვათ, ab ovo (თავიდგან).

დიპლომატიური მიმოსვლა საქართველოს და მოსკოვის სახელმწიფოთა შორის დაიწყო მე XV საუკ. ბოლოში, კოსტანტინეპოლის (1453 წ.) და ტრაპიზონის (1462 წ.) დაცემის შემდეგ, როდესაც აზიაში ერთად ერთი საქრისტიანო სახელმწიფო დარჩა საქართველო, სადაც 340 (1462-1802წ.) წლის განმავლობაში მთვარემ ვერ დასძლია ჯვარს და სადაც სახელმწიფო და ეკლესია განაგრძობდენ თავის არსებობას მეფის და კათალიკოზის მეთაურობით. „ბიზანტიის დაპყრობა თურქების მიერ, ვამბობ მე ჩემ სიტყვაში, დიდი საყურადღებო მოვლენა იყო საზოგადოთ ყველა აღმოსავლეთის ქრისტიანებისთვის, რომლებიც ბიზანტიაში ერთგვარ თავშესაფარს და მფარველს ხედავდენ აღმოსავლეთის საქრისტიანო ეკლესიისა და ხალხისათვის. მაგრამ ამ იმპერიის დაცემა უფრო საგრძნობელი იყო საქართველოსთვის, რომელიც ათასი წლის განმავლობაში მოკავშირე და თანამოღვაწე იყო ბიზანტიასთან რომელთანაც შეერთებული იყო ერთი სარწმუნოებით, სამეფო გვარეულობის ნათესაობით, ქრისტიანული კულტურით, პოლიტიკური და სამხედრო ინტერესებით“*.) ქრისტიანობისთვის ამ მძიმე ხანაში კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ მთელ ქვეყნიერებაზე გაბნეული ბერძნების შუამავლობით დაიწყო მოსკოვსა და საქართველოს შორის პოლიტიკური მიმოსვლა.

*) სიტყვა, რომელიც წაკითხულ იქმნა ჩემ მიერ წლიურ აქტზე ს. პეტერ. საიმპ. უნივერსიტეტში 8 თებერ, 1891 წ. „Сношенія Россіи съ Кавказомъ въ XVI-XVIII საუკ. Спб. 1894 г. стр. 4 и слѣд.

როგორც ბერძნებმა, ისე ქართველებმაც მიაპყრეს თავისი ყურადღება ჩრდილოეთში აღმოკენებულ მართმადიდებელ სახელმწიფოს, რომელსაც უნდა დაეჭირა ბიზანტიის ადგილი. აღმოსავლეთმა საქართველომ, კახეთმა, როგორც ახლობელმა მხარემ რუსეთის სამფლობელოსთან, პირველმა დაიწყო რუსეთთან მიმოსვლა. კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ გავიდა ასი წელიწადი და დაემხო ორი დედა-ბოძი აღმოსავლეთის მუსულმანობისა — კაზანი 1552 წ. და ასტრახანი 1556 წ. ამის შემდეგ 1557 წ. ქართველი დესპანები ეახლენ მეფე იოანე მეოთხეს, შემდეგ მე-XVII საუკ. თეოდორეს, ბორისს, ალექსი მიხეილის ძეს, მე-XVIII საუკ. პეტრეს, ელისაბედს, ეკატერინეს, პავლეს. და ამავე დროს ამდენივე რუსის ელჩები მოდიოდენ საქართველოს მეფეებთან, პირველად კახეთში, შემდეგ ქართლში, იმერეთში და სამეგრელოში. მიზანი და აზრი ამ მისიისა (ქართველების და ბერძნების აზრით მაინც) თავდაპირველად იყო რელიგიურ-მესიანური, ე. ი. რომ აღმოსავლეთის საქრისტიანო მეფეების და ერების შეერთებული ძალით გამოერეკათ ურწმუნოები კონსტანტინეპოლიდან და იერუსალიმიდან — ამ ქრისტიანების პირველ წმიდა ადგილებიდან, სადაც ქართველებს და ბერძნებს ჯიდევ ბევრი დარჩათ ნაშთები, მათი სარწმუნოებრივი მოღვაწეობის მაჩვენებელი. მრავალ საუკუნოებით როგორც სჩანს, რუსეთი სულ სხვა უფრო რეალურ სახელმწიფო ინტერესებს მისდევდა, სახელდობრ, უნდოდა გაეფართოვებია თავისი საზღვრები კავკასიამდე და იქითაც. იწერებოდა სხვა და სხვა ჯვარ-მთხვევითი ქაღალდები (ფიცის ფურცლები) შესახებ იმისა, რომ ქართველი მეფეები აღიარებდენ მოსკოვის მეფეების მფარველობას, ხოლო ეს უკანასკნელები პიროპას იძლეოდენ, რომ „დაიფარვიდენ მათ იარაღით ყოველ მტერთა და ურწმუნოთაგან. ქართველი მეფე კი პირდებოდა ომის დროს არ მიეცა ჯარი რუსეთის მტრებისთვის. მოსკოვის სახელმწიფოს არა თუ ემძიმებოდა ეს მიმოსვლა, პირიქით

თითონ ეძებდა ასეთ შემთხვევას და ავალებდა თავის ელჩებს დაერწმუნებიათ ქართველი მეფეები და მთავრები, რომ „მოსკოვის მეფეების ხელქვეითები ყოფილიყვენ*). — თუ ვინიცობაა ისინი უარს იტყოდენ, რომ „ჯამაგირის მიღებაზე“ მოსკოვის მეფეებიდან, მაშინ კაბარდოელები და სხვა ლეკები, ერთგვარი ხელშეკრულობის ძალით, ვალდებულად იხდიდენ თავს მოხმარებოდენ რუსეთის ჯარს არა მხოლოდ შევკალის, ტიუმენის თავადის, ყირიმის ხანის, ოსმალეთის სულთანის ლიტველების და გერმანელების წინააღ-

*) ბევრი მსხვერპლი მოითხოვა საქართველოს მისწრაფებამ რუსეთისაკენ. საქართველო გახდა იმ დრამის შუაგულ ადგილად, რომელიც დატრიალდა მე-XVI-XVIII საუკ. სპარსეთსა, ოსმალეთსა და რუსეთს შორის. მას აოხრებდენ მუსულმანები, რომ ჩამოეშორებიათ რუსეთისთვის ქრისტიანი მოკავშირე, ე. ი. რომ მოესპოთ რუსეთისთვის ჩარეულიყო გადმოღმა კავკასიის საქმეებში. ყველაზე უკეთ საქართველოს ტრაღიკულ მდგომარეობის გამომხატველი ზემოაღნიშნულ ხანაში არის კახეთის მეფის ალექსანდრეს ხვედრი, რომელიც 20 წლის განმავლობაში მხარს უჭერდა მოსკოვის მეფეებთან მსვლელობას და რომელიც, რუსეთის ელჩების თანდასწრებით მოკლულ იქმნა შახ აბაზ პირველის მიერ მოგზავნილ მკვლელებისაგან. ოსმალები აგრეთვე სთხოვდენ ალექსანდრეს, გაეტარებია კახეთით დარუბანდში და ბაქოში მათი სურსათი, მაგრამ უარით გაისტუმრა. მაშინ ოსმალეთის ელჩი დაემუქრა და უთხრა, რომ მისი სამეფო (კახეთი) ახლოა ოსმალეთთან და რომ მოსკოვის მეფე ვერ უშველის მას“. ასეთი სიტყვის თქმისთვის ალექსანდრეს უნდოდა ოსმალეთის ელჩი „შეურაცხეყო“ (безчестить) და უთხრა, რომ „ასტრახანი და თერგი აქედან არც ისე შორსაა და მასთან მრავალ რიცხოვანია ხალხით, ქრისტიანების მეფე კი არავის ნებას არ მისცემს, რომ მე შემავიწროონ“. ქართველი ელჩები ალექსანდრედან პირველად მოიყვანეს მოსკოვში 1586 წ. რუსის ელჩებმა, რომლებიც მოვიდენ კახეთში, რათა „დაეთვალიერებინთ გზები საქართველოსი და საქართველოს მიწა—როგორი მიწაა“. ალექსანდრემ გაგზავნა მოსკოვში „ფეშკაშები“ 50 თოფი აბრეშუმი და 10 ნოხი, ხოლო მოსკოვის მეფე უგზავნიდა მას „ჯამაგირს“ სიასამურის (соболь), მელის, ყარყუმის (горностай) ბეწვეულობას, თევზის კბილებს და სხვ. და სხ. სულ 270 მანეთის საღირალს. (Бѣлокуровъ. Сношенія и т. д. стр. 10-45). „ფეშკაშები“ და „ჯამაგირი“ თითქმის თანასწორი ღირებულების იყო.

შდეგ ომებში, არამედ გალაშკრებულიყვნენ ივერიის მეფეებზედაც*). მე XVIII საუკუნემდი „რუსეთს არ შეეძლო რაიმე არსებითი სამხედრო დახმარება გაეწია საქართველოსთვის საშიშარ მტრების-სპარსელების და ოსმალების წინააღმდეგ. არა ერთხელ ყოფილა რუსეთი იძულებული უარი ეთქვა ქართველი მეფეებისათვის მაშველ ჯარზე,—ამას ხელს უშლიდა სიშორეც, გზების უვარგისობაც, ჯარის შენახვის სიძნელეც შორეულ მხარეში, რომელიც-გარე შეზღუდული იყო მძლავრი მოქიშპე სამეფოებით ასე რომ ქართველი მეფეების ფიცი ერთგულებაზე და მორჩილებაზე, და იმავე დროს მოსკოვის მეფეების პირობას, რომ მფარველობას გაუწევენ და დაიცავენ საქართველოს „ყველა მტრებიდან“ ძალა—უნებურად უნდა მიეღო მხოლოდ და მხოლოდ ზნეობრივი მხარის დაჭერის, და ორი ერთმორწმუნე ხალხის ურთიერთ შორის კეთილგანწყობილების ხასიათი, რომლებსაც საერთო მტერი ყავდათ. ამიტომ რუსეთის დახმარება იხატებოდა მხოლოდ დიპლომატიურ ზეგავლენაში სპარსეთზე და ოსმალეთზე, მაგრამ ეს მფარველობა ქრისტიან სახელმწიფოსი, რომელიც ახლად იზრდებოდა და უახლოვდებოდა მათ, უფრო აღიზიანებდა მტრებს და უორკეცებდა ნაღველს და შურისძიების სურვილს ქართველების წინააღმდეგ (ჩემი „სიტყვა“ გვ. 27).

მე 18 საუკ. რუსეთსა და საქართველოს შორის დამოკიდებულება უფრო ღრმავდება, რის გამოც რუსეთის ჯარი 1722 წ. პირველად გაჩნდა გადმოლმა კავკასიაში, შემდეგ 1770 და 1796 წლებშიდაც. როდესაც პეტრემ გადაწყვიტა ომი სპარსეთის წინააღმდეგ წინდაწინ გაგზავნა საქართველოში მეფე ვახტანგ 6-თან თბილისში, ცნობილი დიპლომატი ივანე ტოლსტოი. ტოლსტოის დავალებული ქონდა ვახ-

*) 1783 წ. მეფე ერეკლე თხოვდა რუსეთის მთავრობას გამოეშვა კაბარდოელები კავკასიონის მთებით საქართველოში, სამეფოს საზღვრების დასაცველად, მაგრამ მისი თხოვნა არ იქმნა პატივდებული (Грамоты, II т. II вып., стр. XXXV).

ტანგისთვისაც მიეღებინებია მონაწილეობა ამ ურწმუნოების საწინააღმდეგო ბრძოლაში იმ იმედით, რომ შემდეგში ეს მისი სამეფოსთვის ხელსაყრელი იქნებოდა. ვახტანგი დათანხმდა და 30 ათასი ქართველი ჯარით გაჩნდა შემახაში, იმ იმედით რომ, როგორც მოლაპარაკებული იყვენ, იქ დახვდებოდა პეტრე, რომელიც იძულებული შეიქნა რუსეთშივე დაბრუნებულიყო, ოსმალების შეშინებული, რომელთაც დაიჭირეს თბილისი, შემახა, თეირანი და სხვა ადგილები გადმოლმა კავკასიისა და ადერბეიჯანისა. რუსის მხედრობა, რომელიც კასპის ზღვის ნაპირზე დარჩა, ნადირ შახის მოთხოვნით, 12 წლის შემდეგ იძულებული შეიქნა დაბრუნებულიყო ჩრდილოეთ კავკასიაში, საქართველოკი რუსეთ-ოსმალეთის 1724 წ. ტრაქტატით, ვახტანგის დაუკითხავად და ნებადაურთველად ოსმალეთის განკარგულების ქვეშ დარჩა, რის გამო ვახტანგს, პეტრეს მოკავშირეს, უნდა მიეტოვებია თავისი სამეფო და პეტრეს მიპატიჟებით გადასახლებულიყო მოსკოვში აუარებელი ამალით, რომელიც მისი ერთგული დარჩა. ამნაირად ეს საქართველოსთვის უბედური ლაშქრობა ქართველმა მეფემ მიიღო პეტრეს მოწოდებით და ინიციატივით. მეორე ლაშქრობა, რომელიც თუმცა არც ასე საუბედუროთ დასრულებულა საქართველოსთვის, მაგრამ არც ისე დიდი სარგებლობა მოუტანია მისთვის, მოხდა ეკატერინე 2-თან შეთანხმებით 1767 წელს ოსმალეთის წინააღმდეგ.

ეი ამ დროს ეკუთვნის დასაწყისი პირველის და ერთად ერთი ფორმალური საკავშირო ხელშეკრულობის რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სამეფოს შორის, რომელიც დამტკიცებულ იქმნა დედოფალ ეკატერინე II მიერ ივლისში 1783 წ. ეს პირობა შეტანილია რუსეთის იმპერიის სრულ კანონების კრებულში,

რუსეთ-ოსმალეთის შუა გაცხარებულ ომის დროს 1771 წ. ერეკლემ განსაკუთრებულ ელჩის ხელით გაგზავნა პეტერბურგს საქართველო-რუსეთის საკავშირო ხელშეკრულობის

პროექტი (Грамоты, т. I стр. XXVIII), ხოლო ამის წინ დედოფალს გაუგზავნა ტროფეები იმ ბრწყინვალე გამარჯვებისა, რომელიც მოხდა 1770 წ. 21 აპრილს ახპინძის ომში, ოსმალების ბაირალები და რამოდენიმე ტყვე სმხედრო პირები (Грамоты т. I. стр. 227) და სხ. ეს „კავშირი“ რომელიც ითავა ერეკლემ, შეიძლება ჩაითვალოს „ნება ყოფლობით“ კავშირათ იმდენათ, რამდენადაც საზოგადოთ იკვრება ყოველ გვარს პოლიტიკური კავშირი იმ მოსაზრებით და მოფიქრებით, რომ ის სასარგებლო იქნება სახელმწიფოსა და ხალხისათვის, როგორც ინგლისელები ამბობენ: do ut des. ეს პროექტი პროტექტორატის შესახებ იმდენად „ნებაყოფლობითი“ და „მოულოდნელი“ იყო, დამოუკიდებელ საქართველოს მხრივ, რომ პირველმა მინისტრმა გრაფმა ნ. ი. პანინმა მას „გასაოცარი“-ც კი უწოდა.

ერთი სიტყვით, ერეკლეს მიერ 1771 წ. შეძლეული „ხელშეკრულობა“ და ამ ნიადაგზე განმტკიცებული რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულობა 1783 წ. შეიძლება ჩაითვალოს ნებაყოფლობითად—იმ აზრით, რომ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სამეფოს, შეეძლო კავშირი შეეკრა ოსმალეთთან, სპარსეთთან ან ფრადა ავსტრიასთან, რადგან ეს სრული მისი ნება იყო, მაგრამ მან ეს არ ქნა და ამჯობინა მათ „მართმადიდებელი“ სახელმწიფო, მაგრამ საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ „გუბერნიად“, პავლე I სურვილის თანახმად, რომელიც მან გამოსთქვა ასტრახანის გენერალ-გუბერნატორ კნორრინგთან მიწერილ წერილში, არ შეიძლება ჩაითვალოს „**ნებაყოფლობითად**“ როგორადაც მოწმობენ საერთოდ გავრცელებული ხმები. რამ აიძულა ერეკლე, ეძია რუსეთის მფარველობა, როდესაც ის იმყოფებოდა დიდების უმაღლეს წერტილზე და სარგებლობდა სრული დამოუკიდებლობით? უახლოეს მიზეზათ შეიძლება ჩაითვალოს შიში ერეკლესი, მომავალზე, რომ ხა-

ქართველოს. არ განმეორებოდა ვახტანგ მეექვსეს ბედი, რადგან ცნობილ ავანტიურისტ გენ. გრაფ ტოტლებენის*) ქვეშუდანობით, რუსი ჯარის რაზმი 3 ათასი კაცისაგან შემდგარი, სამი წლის ღაყოფის შემდეგ საქართველოში, შუაგულ ომის დროს, გაწვეულ იქნა უკან რუსეთში, ხოლო რუსეთ-ოსმალეთის ომს ჯერ ბოლო არ უჩნდა; და ადვილად შესაძლებელია საქართველოს ის ბედი წეოდა, რომელიც მას ეწია 1772 წ. 21 აპრილიდან, ერეკლე სწერს გრაფს ნ. ი. პანინს, რომ 1750 წლიდან შეაერთა რა ქართლი და კახეთი და დაიპყრო რა განჯის და ერევნის სახანოები, კარგი განწყობილება ჰქონდა ოსმალეთთან, სპარსეთთან და ლეკებთან, მაგრამ 1768 წ. ეკატირინე II მოწვევით, მიიღო რა მონაწილეობა რუსეთ-ოსმალეთის ომში, გაატარა რუსეთის ჯარი თვის სამფლობელოზე და ებრძოდა

*) გენერალი გრაფი ტოტლებენი, საკსონიელი მკვიდრი, მე XVIII საუკუნის ცნობილი ავანტიურისტი, რომელსაც აურაცხელი შემთხვეულება ჰქონდა საკსონიაში, გოლანდიაში, პრუსიაში, რომელსაც განსვენებული სენასტორი რუპინსკი ფრიდრიხ დიდის ჯაშუშს უწოდებდა; მონაწილეობა მიიღო 7 წლიან ომში. რამოდენიმე დღით დაიჭირა ბერლინი, აიღო კონტრიბუცია, მაგრამ მალე იქნა დატყვევებული მისვე შტაბის აფიცრების მიერ „ღალატისათვის", გაასამართლეს „კრიგს-ტერიხტით", მიუსაჯეს „სიკმდილით დასჯა," დიდხანს იწვალა პეტრე პავლეს ციხეში, უკანასკნელად მიუტევა ეკატირინე II და განაძევეს რუსეთიდან, მაგრამ 7 წლის შემდეგ დაბრუნდა რუსეთში რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების წინ და დანიშნულ-იქნა რუსის 3 ათასიან რაზმის უფროსათ, რომელიც (რაზმი, გაგზავნილ იქმნა საქათველოში ოსმალეთის წინააღმდეგ. საქართველოში ყოფნის დროს ის ცდილობდა სამუდამოდ გადაემტერებია ერთმანეთისთვის რუსეთი და საქართველო. შეიჭრა რა საქართველოში, როგორც „ტროიადის ცხენი", განიზრახა თფილისის დაპყრობა, და ერეკლეს ჩამოგდება ტახტიდან. აარცვავდა მცხოვრებლებს, ერთ ბრძოლაშიდაც არ გაუმარჯვია, ბილწავდა ტაძრებს, რომლებშიდაც აბინავებდა ოსმალელ ქალებს, გაფლანგა სახაზინო ფულები და სხ. და სხ. შემდეგ ეკატერინე II გაიწვია იგი 1770 წ. ერეკლეს ეშინოდა, ვაი თუ ტოტლებენს რუსეთშიდაც არ დაენებებია თავი ინტრიგობისათვის და ამიტომ ეს გარემოება შეიძლება ჩაითვალოს ერთ ერთ მიზეზათ „საკვშირო ხელშეკრულობისა".

5 წლის განმავლობაში, რომლის დროსაც დახარჯა 430 ათასი მანეთი, აამხედრა თვის წინააღმდეგ ხსენებული მუსულმანი მეზობლები, „რომლებიც ულრჭენენ მას კბილებს, ვითარცა მგლები და აფთრები“ (грамоты, т. 1, стр. 343, 344, 376, 407 2 т. 2 вып., стр. 24). აი დაახლოებით ის მოტივები, რომლებმაც აიძულეს ერეკლე „საკავშირო ხელშეკრულება“ დაედო რუსეთთან, რომლებიც (მოტივები), გრ. ნ. ი. პანინს, პეტერბურგში მყოფს, კარგად ვერ წარმოედგინა და დამოუკიდებელ მონარქის აზრს პროტექტორატის შესახებ „გასაოცარი“ უწოდა (грамоты, т. 1, стр. 373). სიტყვაში, რომლითაც მიმართეს ქართველ ელჩს თავ. ჭავჭავაძეს 1784 წ. 10 ენკ. ეკატერინეს მიერ გამართულ ზეიმზე ნათქვამია: „მათი იმპერატორებითი უდიდებულესობისთვის განსაკუთრებული პატივისცემა არის **მსხვერპლის შეწირვა** (ე. ი. ერეკლემ რომ მიიღო რუსეთის მფარველობა. კურსივი ჩვენია) მისი უმაღლესობის ქართლი-კახეთის მეფის და ყველა მის მფარველობის ქვეშ მყოფი ხალხის“ და სხ. და სხ. (грамоты, т. 2, вып. 2 стр. 50). დიდი ხნის ბჭობის შემდეგ ორივე მხრით ხელშეკრულობის ტრაქტატი დადებულ იქმნა საქართველოს და რუსეთის შორის 1783 წ. ეს ტრაქტატი დაწვრილებით არკვევს უფლებებს და უპირატესობას მეფისას, მეფის შვილებისას, სამღვდელოებისას, თავად-აზნაურობისას და ვაჭრებისას; აგრეთვე ერთმანეთის დახმარებას ზავის და ომიანობის დროს. ქათალიკოზის შესახებ ერეკლეს მიერ დადებულ პირობებში ნათქვამია, „რომ კათალიკოზი, როგორც მეფე, ძველებურად შეუცვლელად რჩება ყველა თავისი უფლებებით და უპირატესობით. ვინაიდან ტრაქტატში ჩამოთვლილია სახელმწიფოში მყოფი ყველა წოდება, თავისთავად საგულისხმოა, რომ უნდა ყოფილიყო ლაპარაკი იმ უფლებებზე და მდგომარეობაზე, რომელიც უნდა დაეჭირა საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელს რუსეთის საეკლესიო მთავრობასთან შედარებით, მაგრამ ეს არ არის „კონკორდატი“ ეკლესიასა და სახელმწიფოს შო-

რის, ან არა-და ორ სხვადასხვა სახელმწიფოში მყოფ ეკლესიების შეთანხმება ერთმანეთშორის, ამიტომ საჭიროთ დაინახეს შედგენა „ცალკე არტიკულისა საქართველოს ეკლესიის გამგეობისათვის და იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება უნდა დაეჭირა მას რუსეთის ეკლესიასთან". ეკატერინეს*) სურდა „დაეკავშირებია" (привить) რუსეთის გარეშე მყოფი საქართველოს ეკლესია, გარეგნობით ბაინა უწ. სინოდის უწყებისადმი და როდესაც ის ეს იქ�,

*) ხელშეკრულობის პროექტი, ერეკლეს მიერ გამოგზავნილი პეტერბურგში 1772 წ. უმოძრაოდ იდვა. ამავე დროს ოსმალეთი, სპარსეთი და ლეკები ძველებურზე მეტათ ემუქრებოდენ საქართველოს. მაშინ ერეკლემ გადასწყვიტა 1781 წ. გაეგზავნა კათოლიკების მისიონერები ავსტრიის (რომის) იმპერატორთან და სხვა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან, რომლებსაც წინადადებას აძლევდა ოსმალთა, როგორც ქრისტიანობის მტერთა, წინააღმდეგ გალაშქრებაზე, პირი ამ წინადადებისა კი გაგზავნა პეტერბურგის სასახლეში. ამის გამო ეკატერინე II ბრძანა დაუყონებლივ დაემზადებინათ ერეკლესთან ხელშეკრულობის პროექტი. დედოფლის მიერ მიცემულ ინსტრუქციაში ვიცე-კანცლერ ბეზბოროდკოზე და თავ. პატიომკინზე სხვათა შორის ნათქვამია: „საქართველოს მეფეებთან (ერეკლესთან და სოლომონთან) შევკრათ კავშირი, ნუ მოვიხსენიებთ მათ, როგორც **ქვეშევრდომთ**, არამედ როგორც **მოკავშირეები** რუსეთის იმპერიის **მფარველობის ქვეშ მყოფები**. უარყავით ყოველგვარი მათი ნაცნობობა იმპერატორთან (რომის) სხვა საქრისტიანო სახელმწიფოებთან და მასთან ყოველგვარი მწერ-მოწერა შეწყვეტილ იქმნას იმპერატორთან (რომის). რომ ეს ხალხი (ქართველი) უფრო დაუახლოვოდ რუსეთს, ამისთვის დიდათ საჭარგებლოა მათ იერარქიას ახლო კავშირი ქონდეს სინოდთან. არქიეპისკოპოზი კი-კათალიკოზი რუსეთის ეკლესიაში დავაყენოთ პირველთა შორის. როდესაც საღვდელოებით ისინი დაკავშირებული იქნებიან სინოდთან, მაშინ ამის დაგვარად რომის სამღვდელოება (საქართველოში), რუსეთიდან მიიღებს შესაფერ პასუხს, ამით კი მოისპობა ყოველგვარი მიმოსვლა (საქართველოსი) იმპერატორთან (რომის), რომლის მიზეზი მისიონერებია (Грамоты. II т., II вып., стр. 24-31, 13-16; V-IX) ველური მთის ხალხი (კავკასიის) ორივე მხრიდან (ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან) შევიწროებულნი იქნებიან: ეს ძლიერ საჭიროა, რადგან მათი (ქართველი მეფეების) ყაბული (კავშირზე) გააძლიერებს ჩვენი დაცვის საქმეს იმ ნაწილში" (ibid).

მას ამოქმედებდა არა ეკლესიური, არამედ **პოლიტიკური მოსაზრებანი**—რომ ჩამოეშორებიათ საქართველო ავსტრიიდან (რომის იმპერატორიდან), და კათოლიკების სამღვდელოებიდან; თავ. პატიომკინი კი რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულობის 1783 წ. დასრულებულ რედაქციაში უფრო ნაკლებათ ხელმძღვანელობდა **ეკლესიური** მოსაზრებით, როდესაც საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელს, კათალიკოზს, რომელიც(ეკლესია) მეოთხე საუკუნიდან მომდინარეობს, დაბლა აყენებს ტობოლის ეფისკოპოსზე, რომლის კათედრა დაარსებულ იქმნა „მეჩვიდმეტე საუკუნეში. საჭირო არ არის კანონისტობა, რომ ასეთ საქციელში სრული უკანონობა და ეკლესიურ მოსაზრებათა უარყოფა დაინახო. დაბოლოს, 1795 წ. დადგა დრო, როდესაც საქმით უნდა დამტკიცებულიყო რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულობის ძალა და სიმტკიცე. 1783 წ. სპარსეთის შახმა აღა-მახმად-ხანმა პროტესტი გამოაცხადა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა ომის გამოცხადებით. ერეკლემ არ უარყო რუსეთთან „კავშირი". სპარსეთის შახი შეუდგა საომრად მზადებას საქართველოსთან. ჯერ კიდევ 1788 წ. ქართველი ელჩები თავ. ჭავჭავაძე და თავ. თუმანოვი ახსენებდენ პეტერბურგში, რომ სპარსელები ემზადებიან საქართველოში შემოსევისათვის, და თხოვდენ დახმარებას ჯარით 1783 წ. ხელშეკრულობის 2 და 3 სეპარატულ არტიკულის ძალით*).

*) სპარსეთის შახის აღა-მახმად-ხანის შემოსევის, 6 წლის წინ ელჩები, თითონ მეფე ერეკლე და ღენ. გუდოვიჩიც კი აფრთხილებდენ რუსეთის მთავრობას, იმ საფრთხის შესახებ, რომელიც მოელოდა საქართველოს, მოითხოვდენ ხელშეკრულობის პირობების შესრულებას და ჯარის გაგზავნას საქართველოს დასაცავად. ამ ომის მიზეზათ შახი აღა-მახმედ-ხანი სთვლიდა რუსეთსა და საქართველოს შორის „კავშირს", რომლის გათიშვასაც ის მოითხოვდა: „თუ ის, რასაც ჩვენ ამით ვითხოვთ, არ იქნება შესრულებული, თქვენ იცით, რაც ამას მოყვება". სწერდა ის ერეკლეს 1797 წ., სანამ მეორეჯერ ამსედრდებოდა საქართველოს ასაოხრებლად (Грамоты, т. II, вып. II, стр. 146 и 164, 181—форматы Ага-Магометь-Хана и Баба-Хана къ Ираклію. ibid, стр. 18-26).

მაგრამ სამხედრო დახმარება არ გაუწიეს საქართველოს. თუმცა შემდეგ (1796 წელს) ეკატერინემ გაიღაშკრა სპარსეთის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ დაესაჯა იგი საქართველოს აოხრებისათვის, როგორც რუსეთის მოკავშირისა და მასთან ზარალის ასანაზღაურებლათ, მაგრამ ამ გამოქომაგებით post factum საქართველომ, რასაკვირველია, ვერაფერი მოიგო. საქართველოს აოხრებას სპარსეთის მიერ, ორი საგულისხმო შედეგი მოყვა: პირველად საქართველო ამით დაუძლურდა და იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო ყველა პირობებზე და მეორეთ რუსეთმა იშოვა მიზეზი, სპარსეთთან ომის გამოცხადებისა, რომელზედაც დიდი ხანია ფიქრობდა. მაგრამ **ეკატერინეს არ სურდა არც მეგობრული დამოკიდებულების შეწყვეტა საქართველოს სამეფოსთან, და არც ჩამორთმევა ავტონომიისა და ავტოკეფალიის*).**

ეს უეჭველათ გამომდინარეობს ყველა იმისაგან, რაც ჩვენ ვიცით ეკატერინეს პლანებისა და შეხედულების შესახებ; ყველა ეს საწინააღმდეგო იქნებოდა მისი აღმოსავლეთის პოლიტიკისა და მისი სურვილისა, რომ ბიზანტიის ტახტზე დაესვა თვისი შვილიშვილი კოსტანტინე.

*) ეკატერინეს არ კი უფიქრია ესარგებლა საქართველოს შედარებითი სისუსტით და შეეერთებია ის თავისი იმპერიისათვის: მაგალითად გრაფ ტოტლებენის მემკვიდრეს, ღენ. სუხოტინს უბრძანებს „ინსტუქციაში“, რომ ნუ დააფიცებს ქართველებს რუსეთის ერთგულებაზე, ,,ნუ ჩავთვლით საქართველოს ჩვენი იმპერიის სრულ საკუთრებათ... მაგრამ ყველაზე უფრო საჭიროა ეხლა, რომ ქართველები ჩვენ გვეხმარებოდენ ომში (ოსმალეთთან)“... ეკატერინეს შეურყეველი სურვილის გამო დადებულ იქნა მოგერებითი და თავდასხმითი ომის პირობები ერეკლესა და სოლომონს შორის 1773 წ., და ყველა მეფეებსა და საქართველოს მთავრებთა შორის 1790 წ. Грамоты- II т. II вып.. стр. 67, 270, 378). მაგრამ განსაკუთრებით ნათლათ და დაბეჯითებით გამოიხატა დედოფლის „შეხედულება“ თავ, პ. ა. ზუბოვის მიერ შედგენილ და ეკატერინეს მიერ დამტკიცებულ („быть по сему)“ მოხსენებაში, რომელიც გაეგზავნა მეფე ერეკლეს 30 აპრილს 1796 წ., მაშასადამე, მთელი თვით ადრე იმპერატრიცას გადაცვალებამდი. ამ ვრცელ „მოხსენებაში“ თავ. ზუბოვი

პავლე, ავიდა თუ არა ტახტზე ნოემბერში 1796 წ., მისი დიდებული დედის პოლიტიკის წინააღმდეგ, დაუყონებლივ მოახდინა განკარგულება, გამოეხმოთ უკანვე რუსის ჯარი, რომელიც გრაფ ვალერინ ზუბოვის უფროსობით მიადგა კიდეც სპარსეთის საზღვრებს, ამასთანავე პავლემ ბრძანა „შეედგინათ ქართველი ხალხიდან, მეფეებიდან და მთავრებიდან, **ფედერატიული სახელმწიფო**, რომელიც დამოკიდებული იქნებოდა ჩვენგან (პავლედან). როგორც მათი უმაღლესი ხელმწიფისა და მფარველისა... და გარდა ჩვენი ერთგულებისა მათგან ჩვენ არაფრის მომთხოვი არა ვართ“ (И. Дубровинъ, Георгій 12, послѣдній царь Грузіи. Спб. 1897 г. стр. 41, пунктъ 3. Рескриптъ гр. Гудовичу 1797 წ. 5 იანვრიდან), შემდეგ დასთანხმდა საქართველოს სამეფოსთან შეეკრა ახალი ტრაქტატი, შეავსო და გააფართოვა 1783 წ. ტრაქტატი. პავლეს რესკრიპტი გიორგი მეფისადმი და ახალი ხელშეკრულობის პროექტი გადასინჯული ყველა მუხლებში და „ყველა პუნქტები მოწონებული“ პავლეს მიერ და გარე'შე საქმეთა-კოლეგიის თავმჯდომარის გრაფ როსტოპჩინის

დაწვრილებით მარტავს დედოფლის და მისი მთავრობის შეხედულებას საქართველოს მდგომარეობაზე. სპარსელების შემოსევის შემდეგ რუსეთის მიერ სპარსეთის საწინააღმდეგოდ დაწყებულ ომს ის მიზანი ჰქონდა, რომ დაესაჯა ის, გადაეხდევინებია ზარალი, გაემაგრებია და გაეფართოვებია საქართველო და რომ მეფე ერეკლეს ესარგებლა ამ ომით „თავის სადიდებლათ და თქვენ (ირაკლის) გვარეულობის, ქვეშვრდომ ხალხის და სამეფოს საკეთილდღეოთ, და საქრისტიანოსთვის საზოგადოთ, შესაერთებლათ და სამარადისოთ **განსამტკიცებლათ განუყოფელი მეფობისა და გასავრცელებლად მფლობელობისა თქვენისა არაქსამდე და ოსმალთა პორტამდე**“. (Грамоты. т. II. вып. II стр. 140-142). ამასთანავე ეკატერინეს მოყავს წმ. მარკოზის სიტყვები, რომ სამეფო დაყოფილი თავსა შორის თვისსა ვერ გამაგრდება, უნდა მოისპოს სამთავროები სამეფოში მისივე ძლიერებისა და მთლიანობისათვის. აქედან ისა სჩანს რომ ეკატერინეს სრულებით არ ქონია აზრათ გადაექცია საქართველო „გუბერნიათ“, და მისი ეკლესია კი რუსულ „ეპარქიათ“ საეგზარხოსოს სახით.

შიერ ხელმოწერილი, რომელიც შესდგებოდა 16 სტატიისაგან ან მუხლისაგან, 1800 წ. ნოემბერში, ქართველ ელჩების ხელით გაგზავნილ იქმნა პეტერბურგიდან თბილისში ქართველების მეფე გიორგისთან ხელმოსაწერათ — „თუ იგი დღევანდლამდი თავის გადაწვეტილებაში შეურყეველი რჩებაო“, და მხოლოდ ელჩების რუსეთში დაბრუნების შემდეგ, ,,ორივეს მხრივ შეკრული იქნება საიმპერატორო აქტი‘‘, ნათქვამია ხელშეკრულობის პროექტში. ელჩებმა, რომლებმაც ჩამოიტანეს თბილისში ეს პროექტი, ვერ მოუსწრეს გიორგის ცოცხალს († 23 დეკ. 1800 წ.), მაგრამ უფროსმა შვილმა დავითმა, რომელიც გიორგის მიერ ადრევე იქმნა მემკვიდრეთ აღიარებული და შემდეგ იმპერატორ პავლეს მიერაც 1799 წ. (грамоты 2 т., 2 вып. стр. 204), და რომელიც შეუდგა საქართველოს სამეფოს მართვას მამის სიკვდილის შემდეგ, შეავსო ეს პროექტი ახალი „მუხლებით“ (грамоты т. 2, вып. 2, стр. 300), და გაგზავნა ისევ უკან პეტერბურგში სამღვდელოების და თავად-აზნაურობის განცხადებით, რომ ისინი თანახმანი არიან იმ პირობების, რომლებიც გატარებულია ამ რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულობის პროექტში (грамоты, т. 2, вып. 2, стр. 287—295). მაგრამ ამ პროექტის პეტერბურგში მიღებამდი გარდიცვალა იმპერატორი პავლე. პროექტის მეორე არტიკულის ძალით საქართველო უნდა დარჩენილიყო ისევ „სამეფოთ“*).

*) გიორგი მეფე აცხადებს, რომ ,,ის, და მის შემდეგ მისი მემკვიდრეები დატოვებულ იქმნან ტახტზე (საქართველოის) მეფის ტიტულით‘‘ (пунктъ 2-ой проектъ договора 1800 г., см. Акты Кавк. Арх. коммиссіи, т. 1, стр. 179). ამასვე აცხადებენ ქართველი ელჩები, რომლებიც პეტერბურგში მოვიდენ, თავის ვრცელ ,,ნოტაში‘‘, რომელიც მიართვეს ,,სამინისტროს‘‘ აპრილში 1801 წ. (грамоты т. 2, вып. 2, стр. 227, второй пунктъ „ноты“) და რომელიც შეიცავდა საქართველოს სამეფოს მართვა-გამგეობის ყველა მხარეს. მემკვიდრე დავითის მიერ მიცემულ ,,ნაკაზში‘‘ ელჩებისადმი, რომელნიც აღჭურვილნი იყვნენ სრული უფლებით, ნათქვამია, „და რასაც თქვენ მოიმოქმედებთ,

ცნობილია, რომ იმპერ. პავლეს გადაცვლებმა რამოდენიმე თვის წინ, მისი სულიერი ცდგომარეობის შეუზომელობამ და ხასიათმა მიიღეს საშიშარი სახე. ამ დროს ეკუთვნის მის მიერ გატაცება „საქართველოს საკითხით". ეს აზრი მოსვენებას არ აძლევდა, არ მოუცადა თბილისიდან ხელშეკრულობის პროექტის მიღებას, რომელიც მისგან იყო **მოწონებული** და მის მიერ ხელმოწერილი; 18 იანვარს 1801 წ. მან გამოსცა „მანიფესტი" საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ, იძლეოდა ერთმანეთის საწინააღმდეგო განკარგულებებს საქართველოს ეკლესიის შესახებ (ხელი არ ეხლოს საქართველოს ეკლესიის უფლებებს და პრივილეგიებს", „საქართველო სამოქალაქო მხრივ დამორჩილებულ იქმნას ხენატისადმი და სასულიერო მხრივ—სინოდისადმი" და სხ. და სხ.); ემზადებოდა ქართველ ელჩების შესახვედრათ აღმოსავლეთის (დალმატია) ან არა და ბიზანტიის სამეფო ტანსაცმელში, რომელიც მან შეუკვეთა თავისი სიკვდილის წინა დღეებში. არჩევდა შესაფერი ფერის და სახის ფართალს. შემდეგ შედგენილ იქმნა ბრწყინვალებით აღსავსე დახვედრის ცერემონიალი, აგრეთვე შედგენილ იქმნა „სიტყვების" პროექტი, რომლითაც მეფეს უნდა მიემართნა იმ ელჩებისთვის და

დამტკიცებთ და ხელს მოაწერთ ჩვენი სამუდამო მეფობისათვის, ჩვენი და ჩვენი სემეფოს საკეთილდღეოთ... ჩვენ გაძლევთ პირობას კეთილათ მივიღოთ და მტკიცეთ შევასრულოთ" (Грамоты, т. II, вып. II, стр. 220), ესეც არის გაცხადებული პავლესადმი მირთმეულ წერილში ქართველ მთავრობიდან, სამღვდელოებიდან, თავად-აზნაურობიდან, ვაჭრებიდან და სხვებიდან" (ibid стр. 219), ე. ი. რუსეთის მიერ მიღება ხელშეკრულობის პროექტის პირობების და ქართველი ელჩების ხელის მოწერა ითვლებოდა სავალდებულოთ, რომ ქართველები შესულიყვენ რუსეთის მონარხის „მფარველობის და მორჩილების ქვეშ". უფრო ნათლად მიუთითებს ამ გარემოებაზე მემკვიდრე დავითი თავ. ბ. ა. ზუბოვის მიმართ წერილში, 30 ივლისიდან 1801 წ.: „ჩემს მშობელს, მეფე გიორგის, არ დაუქვემდებარებია თავისი სამეფო ნეტარხსენებულ იმპერატორ პავლესთვის, რომ მოსპობილიყო მისი ოჯახიდან მემკვიდრეობა

დეპუტატებისათვის, რომლებსაც მოელოდენ პეტერბურგში საქართველოდან; დაბოლოს, ეს ზეიმი უნდა დათავებულიყო საუცხოვო ,,ილიუმინაციით'' და ,,მასკარადით''. (Грамоты, т. 2 вып. 2, стр. 221-223; Н. Дубровинъ, Георгій 12, стр. 184). ღენ. კნორინგს კი ამის წინ (20 იანვ. 1801 წ.) სწერდა: ,,მე მინდა რომ საქართველო გუბერნია იყოს, მაშასადამე ეხლავე დაუქვემდებარეთ ის სენატს, სასულიერო ნაწილში კი—სინოდს, ისე კი, რომ მათ პრივილეგიას ხელს ნუ ახლებთ'' (Н. Дубровинъ, Георгій 12, стр. 185). მაგრამ რაღაც ბოროტი სული ხელს უშლიდა ამ ორ ,,მართლმადიდებელ'' სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულობას: ახალმა რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულობის პროექტმა ცოცხალს ვერ მოუსწრო თბილისში გიორგისა და უკან დაბრუნებისას პეტერბურგში ქართველმა ელჩმა და დეპუტატებმა, რომლებსაც მიქონდათ ხელმოწერილი ხელშეკრულობის პროექტი, მოსკოვში გაიგეს იმპ. პავლეს გადაცვალება! ამნაირად ახალი ხელშეკრულობის პროექტი პროექტათ დარჩა ისევ, რადგან არ იქნა უმაღლესად დამტკიცებული, არ მიუღია კანონიერი ძალა, როგორიც ქონდა 1783 წ. ხელშეკრულობას, რომელიც არ შეცვლილა, მაშასადამე, ამ 1800 წ. პროექტით.

ტახტისა. ამას მოწმობენ უკანასკნელად გამოგზავნილი უმაღლესი სამინისტროდან პუნქტები, რომლებიც მაახლეს და მომართვეს მე, როგორც მემკვიდრეს, თავ. ავალოვის და ფალავანდოვის ხელით, რომ შემევსო ის, რაც ჩემი მშობლის მოთხოვნაში აკლდა; რაც მე შევასრულე, 16 პუნქტის დამატებით. მაგრამ დღეს მოსალოდნელ დაკმაყოფილების მაგიერ გადამაყენეს ჩემი ხარისხიდან და ღირსებიდან... გთხოვთ მიშუამდგომლოთ, ყოვლად მოწყალე იმპერატორის წინაშე. რომ ჩემი საქმე გადაწყდეს ნეტარხსენებულ ხელმწიფე იმპერატრიცა ეკატერინეს წმიდა ტრაქტატის მიხედვით (1783 წ.) და ან ნეტარხსენებულ ხელმწიფე იმპერატორის პავლე პეტრეს ძის უმაღლესი გრამატის მიხედვით, რომ მე შევეხო ჩემ ტახტს'' (idip стр. 300).

ამ შდგომარეობაში დახვდა ,,საქართველოს საკითხი'' ალექსანდრე I-ს ტახტზე ასვლის დროს. რუსის მაღალ წრეში ერთნი იმის მომხრე იყვენ, რომ დარჩენილიყო ძალაში 1783 წ. ხელშეკრულობა, ან არა და—1800 წ. ხელშეკრულობის პროექტის რატიფიკაციის; მეორენი კი, როგორც მაგალითად: კნორინგი, ენგელი და სხვა მოხელეები—პავლეს სურვილის განხორციელების მომხრე იყვენ, ,,რომ საქართველო გუბერნიათ გადაეკეთებიათ.'' თითონ ალექსანდრე I და მისი მრჩეველები: ვორონცოვი (ს. რ.), კოჩუბეი, ნოვოსელცევი, ჩარტორიჟსკი და სხვები 1783 წ. ხელშეკრულობის ძალაში დარჩენის მომხრე იყვენ, რადგან მათი თქმით, ეს უფრო შეეფერებოდა საგგებლობას და ღირსებას ორი ერთმორწმუნე მოკავშირე სახელმწიფოებისას (Н. Дубровинъ, груз. царь Георгій 12, стр. 242 и слѣд.). როგორც ვიცით, ალექსანდრემ ორჯერ დააბრუნა ეს საკითხი საბჭოში ახლად განსახილველად, რადგან ამბობდა, რომ არ უნდა მიითვისოს სხვისი მხარე. *)

*) 1801 წ. 15 აპრილს პავლეს გარდაცვალების ერთი თვის შემდეგ, მეორეთ ირჩეოდა საბჭოში საქართველოს ანექსიის საკითხი, ამ სხდომაზე მოწვეულმა დასასწრებლათ ტ. სოვეტნიკმა ლაშკარევმა ვიცე კანცლერს ა. ბ. კურაკინს მოახსენა წერილობით, რომ; „ბ. ბ. საბჭოს წევრები მოსვლის და შეკრების შემდეგ ერთმანეთ შორის ამბობდენ, რომ ხელმწიფე იმპერატორი სულ სხვა აზრისაა, საქართველოს საკითხის შესახებ: არ სურს ამ გვარი შემოერთება'' (Грамоты, II т., II вып., стр. 224; Н. Дубровинъ, Георгій XII, стр. 47). ერთი სიტყვით, არც ეკატერინეს, არც ალექსანდრე I არ სურდთ გადაექციათ საქართველო ,, გუბერნიით,''—ეს მოხდა არა სავსებით დასაბუთებულ პავლეს განწყობილების წყალობით. გამოქვეყნებული მემუარები პავლეს თანამედროვე პირთა, ისტორიკოსები და პსიხიატრები (პროფ. ჩიჟი, კოვასევსკი) ან არა და პსიხოლოგები საკმარისად მარტავენ საიდუმლოებით მოცულ მონარხის ბუნებას: კეთილშობილური აღტყინება და მისწრაფება მისი კეთილი გულისა, სამწუხაროთ, ხშირათ კვდებოდენ გულშივე და მათ ფარავდა წყვდიადი მისი ხასიათის და სულის შეუზომელობისა, მოქმედებაში ერთ მტკიცე გზას არ ადგა, შეპყრობილი იყო დიდების და დევნის მანიით და სცდილობდა დედის განკარგულების წინააღმდეგ მოქცეულიყო.

მაგრამ, უკანასკნელად, დასთანხმდა გავლენიან საბჭოს წევრების აზრზე, რომ დაეარსებინა... საქართველოში „გუბერნია“ და შემოეღოთ რუსული სამოქალაქო მართვა-გამგეობა, რაზედაც გამოუცხადა თავის ხელქვეითებს მანიფესტში 12 სექტემბერს 1801 წ., რადგან ალბათ არ უნდოდა წასულიყო ტრადიციულად დაღუპულ მშობლის „სურვილის“ წინააღმდეგ, რომელიც უკანასკნელმა გამოსთქვა 18 იანვრის მანიფესტში.

საქართველოში ამას არავინ მოელოდა. იქ ორი მიმართულება იყო: ერთნი მომხრე იყვენ რუსეთთან „კავშირის, 1783 წ. ხელშეკრულობის ან 1800 წ. ხელშეკრულობის პროექტის საფუძველზე; მეორენი-კი, განსწავლულნი 1795 წ., მწარე გამოცდილებით, მომხრენი იყვენ სპარსეთთან და ოსმალეთთან „კავშირისა“. ასე რომ კანონრინგი საქართველოში ყოფნის შემდეგ 1801 წ. წერდა თავის მოხსენებაში: ერთ და იმავე ოჯახში ერთი ძმა რუსეთთან კავშირის მომხრეა, მეორე ძმა ოსმალეთთან ან სპარსეთთან, მაგრამ „საქართველოს სამეფოს“ გადაქცევას ჩვეულებრივ რუსულ „გუბერნიად“, არავინ მოელოდა და არ სურდათ,—ეს იქნებოდა 1783 წ. ტრაქტატის დარღვევა“.

„გარეშე პოლიტიკაშიდაც პავლე დედის წინააღმდეგ სისტემას ადგა, და აკეთებდა იმის წინააღმდეგს, რაც დედას გააკეთებია, თუნდაც ეს რუსეთის ინტერესისთვის არ ყოფილიყო სასარგებლო.... მე მსურს, ამბობდა პავლე, ყველა აკეთებდეს მას, რაც მე მინდა.... მისი თანამედროვეები ამჩნევდენ, რომ ოთხი წლის მეფობის განმავლობაში მისი ხასიათი უარესდებოდა და უძლიერდებოდა Ацзарисебური უჭკუობა უკიდურეს მწვერვალამდი. ეჭვი არ არის რომ პავლეს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მისი სულიერი მდგომარეობა გაუარესდა“. П. И. Ковалевскій, Психіатрическіе эскизы по исторіи, т. I, стр. 120—152). „რუს ხალხს და საზოგადოთ ყოველივე რუსულს ის ზიზღით ეპყრობა... მართალია, პავლე ყოველ ადამიანისადმი გრძნობდა ზიზღს.... პავლე ბევრს ლაპარაკობდა სამართლიანობაზე. მაგრამ ის მხლოდ სიტყვით იყო სამართლიანი და არა საქმით (ibid стр. 61 и 62). მაშასადამე, როდესაც საქართველოს

ჩვენ გაკვრით შევხედეთ რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულების ისტორიას, რომელიც დამყარებულია ოფიციალურ საბუთებზე. ყოველივე თქმულიდან აშკარად გამოსჩანს ის, რომ დამყარება საქართველოს ავტოკეფალიის უარყოფაში ვითომდა 1783 წ. რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულობაზე ან 1800 წ. ხელშეკრულობის პროექტზე, ან კიდევ უკანასკნელად, „ნებაყოფლობით უარყოფაზე“ ქართველი ხალხის, მეფის და კათოლიკოზის მათი კანონიკური უფლებისა და ხელშეკრულობისა, სრულებით არ ეთანხმება სინამდვილეს. მაგრამ 1783 წ. ხელშეკრულობის დარღვევას, არ დაცვას თითქმის არ შეეძლო ეი ipso მოეტანა გაუქმება ეკლესიურ თვითმართველობის (ავტოკეფალიის), რადგან ეს ორი აქტი, ეკუთვნის, როგორც ზევით არის ნათქვამი, სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონშეზომილების სფეროს, —პირველი ეკუთვნის საერთაშორისო უფლების სამეფოს, მეორე საეკლესიო უფლების სამეფოს, ხოლო ამ ორ უფლებათა კატეგორიებს არსებითად სხვადასხვა საფუძველი აქვთ: როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულობის დებულებათა დარღვევა, ან არადა სხვა რაიმე გაუგებრობაობა ჩვენ დროში, ბადებს არბიტრაჟს, გააგის სამედიატორო საკამართლოს

სამეფოს „გუბერნიათ ხდიდა“, ის ხელმძღვანელობდა არა სახელმწიფო ინტერესებით და არა ორივე ხალხის „კეთილდღეობით“, არამედ თვისი პირადი „განწყობილებათ“ (построение). საზოგადოთ მას უყვარდა გარეგნულათ გამოჩენა ბატონობისა, რაშიდაც არ უნდა გამოეჩინა ის. მაგალითად, გოლოვკინის და ეპ. პორფილეს მოწმობით მას სურდა დამდგარიყო მართლმადიდებელ სამღვდელოების სათავეში, ამიტომ მან გადაწყვიტა მის პიროვნებაში შეერთებია ორი ღირსება მეფური და მღვდელმთავრული და კიდეც მოიმზადა არქიელის ბისონი და დაიწყო „მღვდელმსახურების“ შესწავლა პრაქტიკულათ.... სინოდს დიდი შრომა დაჭირდა, რომ პავლეს ასეთი ახირება მოეშორებიათ თავიდან“. (ibid, стр. 162). ამ გვარად საქართველოს გუბერნიის სახით შეერთების საქმეში, სათავეში პავლეს „სურვილი“ სდგას და არა ეკატერინესი, გინდ ალექსანდრე I-სი, რომლებიც 1783 წ. ხელშეკრულობის ძალაში დატოვების მომხრე იყვენ.

სახით, ასეთი სასამართლო ეკლესიათა შორის საკითხების და გაუგებრობის გადასაწყვეტათ (მაგ. კიპროსის აგტოკეფალიის შესახებ) აღმოსავლეთის ეკლესიაში არსებობდა, შეიძლება ითქვას, მისი წარმოშობის პირველ ხანიდან, ხოლო მე IV საუკუნიდან სახელმწიფოების მიერ მიღებული, — ადგილობრივი და მსოფლიო კრებები და მათი კანონმდებლობა ამიტომ სამოქალაქო და სახელმწიფო უფლებებიდან საეკლესიო უფლების გამოყვანა —სრულებით უსაფუძვლოა.

ამ მოკლე მიმოხილვაში უკვე მოთავსებულია პასუხი ბ.ბ. პროფესორ ბერდნიკოვის და ალმაზოვის პოლიტიკურ-იურიდიულ მსჯელობაზე და მოფიქრებაზე საქართველოს ეკლესიის და სამეფოს შესახებ. რომ ეს პატივცემული კანონისტები დაახლოებით იცნობდენ საქართველოს ისტორიას და საზოგადოთ აღმოსავლეთისას, და ვასალურ სამეფოების მართვა გამგეობის სისტემას მაინც, მაშინ არ დაიწყებდენ იმის მტკიცებას, რომ, თუ რუსეთს არ შეერთებოდა, დაიღუპებოდა საქართველოც და მისი ეკლესიაც. თითქმის 2000 წელიწადი შეუსრულდა საქართველოს სამეფოს არსებობას, ხოლო 15 საუკუნე მისი ეკლესიისას, და ამ ხნის განმავლობაში საქართველო ბევრჯერ ყოფილა დამოკიდებული მისი დამპყრობლებიდან, არაბებიდან, მონგოლებიდან, სპარსელებიდან და ოსმალებიდან, მაგრამ საქარ-

---

ალექსანდრეს ასეთი „შეხედულება“ ნაყოფი იყო არა მისი „ლიბერალიზმისა“ ან და „ბიზანტიზმობისა“. როგორადაც ამბობდა მასზე ბონაპარტი, არამედ ხათლად შეგნებული სახელმწიფო ინტერესების და შორს მჭვრეტელობის, — რომ არ აღეძრა ეპვიანობა და უნდობლობა რუსეთის პოლიტიკისათვის აღმოსავლეთის ქრისტიანებში, „რომ მფარველობის ქვეშ შყოფი“ საქართველოს სამეფო, რომელიც შეუერთდა ხელშეკრულობით, გადააქცეოს „რუსულ გუბერნიათ, რასაც განსაკუთრებით ნაპოლეონი არ დატოვებდა უპროტესტოთ, როგორც დამცველი სპარსეთის და ოსმალეთისა, რომლებთანაც საქართველოს საუკუნოების განმავლობაში დამოკიდებულობა ქონდა. რაც მართლაც მოხდა (La politique orientale de Napoléon 1806—1808. Par. prof. Ed. Driault., pp. 170, 383 и сл. Paris 1904 წ.).

თველოს სამეფო, ვასალურ სახითაც კი, არსებობდა, აგრეთვე მისი ეკლესიაც ცნობილია, რომ ძველი მბრძანებელი სახელმწიფოები აღმოსავლეთის და დასავლეთისაც (რამოდენიმეთ ჩვენ დროშიც) უმაყოფილდებოდენ მათ მიერ დაპყრობილ ხალხებიდან და თავისი ვასალებიდან ყოველ წლიური ხარკის მილებით და მათი გარნიზონის შენახვით, რომელიც დაპყრობილ სამეფოშიიდგა და არ ერეოდენ მხარეს ან სამეფოს შინაურ მართვა-გამგეობაში; ასე რომ, მაგალითად, ყველა მოხსენებულ დამპყრობლების ხელში საქართველოს ყოველთვის ჰყოლია თავისი მეფე და კათალიკოსი, ჯარი, უკლესია, შკოლა და სასამართლო, თავის კანონები, ზნე, ჩვეულება, ენა, შინაური და საზოგადოებრივი ცხოვრება, ტანისამოსიც კი ხელშეუხებელი რჩებოდა, — ეს ამიტომ მოახწია მან დღემდის. ამასადამე, სპარსეთის ან ოსმალეთის ვასალობით არაფერი საფრხე არ მოელოდა არც საქართველოს ეკლესიას, არც ქართველ ხალხს (იხ. ჩემი მოხსენება, გვ. 4-7), სწორეთ ისე, როგორც ორი საუკუნის მონგოლების და „ხანების“ ბარლიკების“ მონობის ქვეშ მყოფი არ დაიღუპა რუსეთის სახელმწიფო, არც რუსეთის ეკლესია, არც რუსის ხალხი. ბერძნები და სლავიანებიც არ დაღუპულან მრავალ წლობით ოსმალეთის „მონობის“ ქვეშ ყოფნით.

ამას გარდა ის აზრი, რომ, ვითომ „ქართველების რუსეთის ქვეშევრდომობა, შეუძლებლად ხდიდეს საქართველოს კლესიის და ავტონომიის არსებობას“ უსაფუძვლოა, რადგან გერმანიის „ქვეშევრდომობა“ მაგალ., საკსონელებისა, ბავარლებისა, ბადენლების, და სხვებისა, სრულებით ხელს არ უშლიდა მათ ავტონომიას არც ეკლესიურს და არც მოქალაქობრივსაც. ამ ინ სარგებლობენ.

ერთი შენიშვნა კიდევ, განსაკუთრებით ვასაოცარია, როცა ბ. ბ. კანონისტების პირიდან გესმის ასე გაურჩევლათ და არევდარევით ხმარება ტერმინოლოგიისა, როგორც „შეერთება ან გაერთიანება“ რუსეთის და საქართველოს ეკლე-

სიებისა. როდის მოხდა ეს? რა არის ამისათვის საჭირო? ეს მხოლოდ, როგორც ზევით იყო ნათქვამი, ,,დატყვევებაა ერთი ეკლესიის მიერ მეორესი'', რომელიც დამყარებულია უფლების მექონ ერისკაცთა ძალაზე, რაც კანონებით აკრძალულია.

ასეთივე უსაფუძვლობით განირჩევა პროფ. ბერდნიკოვის აზრიც, რომელიც მუდამ იმეორებს, რომ ,,ქართველ ხალხს'' არ შეეძლო არ სცოდნოდა საქართველოს მოსალოდნელი შეერთება რუსეთთან სამოქალაქო და საეკლესიო მხრივ; ამაზე ,,ქართველმა ხალხმა'' ისე ცოტა იცოდა, როგორც ,,რუსის ხალხმა'', მოლაპარაკებას აწარმოებდენ ორივე სახელმწიფოს საქართველოს და რუსეთის წარმომადგენელნი. პარლამენტი არ ყოფილა როგორც რუსეთში, აგრეთვე საქართველოშიდაც. მაგრამ კონსტიტუციონალურ სახელმწიფოებშიდაც პარლამენტს მხოლოდ ცოტა რამეს აცნობებენ საერთაშორისო მოლაპარაკებიდან, და მასაც post factum, როგორც უკვე მომხდარ ფაქტს.

არა თუ ,,ქართველ ხალხს'' არ სცოდნია საქართველოს ,,გუბერნიათ'' გადაკეთების სამზადისი, არამედ სპეციალურად ამ საქმისთვის გამოგზავნილმა ქართველმა ელჩებმა (3) და დეპუტატებმა (12) პეტერბურგში ალექსანდრეს მანიფესტზე 12 სეკტემბრიდან 1801 წ., პირველად ,,გაზეთებიდან'' გაიგეს, რომლებშიდაც იყო დაბეჭდილი ეს მანიფესტი, როგორც ამაზე განუცხადეს მათ თავ. კურიაკინს (Грамоты, т. Н, вып. II, стр. 300). ასტრახანის გენერალ-გუბერნატორის კნორინგის კანცელარიის მართველი ბ. ბუტკოვი (გადაყენებულ სამხედრო პირთაგანი) ამბობს, რომ ,,ეს მანიფესტი დასწერა თავ. პლ. ალ. ზუბოვმა, ის გამოქვეყნებულ იქმნა საქართველოში მხოლოდ 12 აპრილს 1802 წ., ხოლო ,,საქართველოს შინაურ მართვა-გამგეობის თაობაზე დადგენილება, ამბობს ის, ჩემ მიერ არის დაწერილი თავ. პ. ა. ზუბოვის ხელმძღვანელობით მის კაბინეტში, მისი დის ეკერებცოვას

სახლში. **ამ ხაქმეზე მე ვშრომობდი ორი კვირა**'' (sic)! (Бутковъ. Матеріялы и т. д., т. 3, стр, 342; Грамоты, т. 2, вып. 2, стр. 39). ამნაირად, დღემდი საქართველოს თითქმის შეუცვლელად განაგებენ ბუტკოვის და ზუბოვის **ორი კვირის** შრომის მიხედვით...

თუ საქართველოს ანექსიის ისტორიის თავგადასავალი ბევრმა არა სპეციალისტებმა ვრცლად არ იციან ეს, რასაკვირველია, იმდენად გასაკვირი არ არის, მაგრამ პროფ. ბერდნიკოვს, ჩემი რედაქციით გამოცემულ ლრამატებიდან მოყავს ციტატები, და როგორც ეტყობა **დაკვირვებით არ** წაუკითხავს ისინი. დაწყებული 1801 წლის 18 იანვრიდან აპრილის დამლევამდე (№№ 195—204) **ქართული დედნები** არხივში **არ** აღმოჩნდა, როგორც ამას შენიშვნებშიაც ვაცხადებ; გვაქვს მხოლოდ **რუსული თარგმანები**, გადათარგმნილნი ვიღაც „ნ. ს. მირზა აბუტრამ ნასიროვის მიერ". ასე რომ ამ თარგმანების დედანთან შედარება მე ვერ შემეძლო. ამას გარდა 16 პუნქტი, რომლებიც მიუმატა 1800 წ. ხელ შეკრულობის პროექტს ბატონისშვილმა მემკვიდრე დავითმა, სრულებით არ არის არხივში არც დედნის სახით და არც თარგმანის და სხ. და სხ. მაშასადამე, ჩვენი ცნობები საქართველოს სამეფოს არსებობის უკანასკნელი წლების შესახებ სრული არ არის და დეფექტებით სავსეა. მაგრამ რაც შეინახა, ის მაინც უნდა მოყვანილ იქმნას მართლათ და სისწორით, მით უმეტეს, როდესაც ამ ცნობებს ვკრებთ საარხივო საბუთებიდან არა მეცნიერულ, ან აკადემიურ ცნობისმოყვარეობისთვის მარტო, არამედ **პრაქტიკული** მიზნითაც, იმ მიზნით, რომ გადაწყდეს 16 საუკუნიანი საქართველოს (ივერიის) ეკლესიის ბედი, ვითომ და ამ ცნობების მიხედვით.

მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა.

ვაზის დამყნის მნიშვნელობა ფილოქსერასთან საბრძოლველად!

დამყნა საზოგადოთ დიდი ხანია იცოდა კაცობრიობამ; დამყნა იცოდენ ისეთმა ძველმა ერებმაც, როგორიც არიან რომაელები და ჩინელები, რასაც ამტკიცებს ძველათ დარჩენილი თხზულებები ამ საგნის შესახებ; ჩვენ დროში მყნობამ მიიღო მეტი გავრცელება და აქამდი თუ მარტო ბაღოსნობაში ხმაროობდენ, ახლა მან მევენახეობაშიაც დიდი ადგილი დაიჭირა; და ეს უფრო მას აქვთ, რაც ევროპიულ და ადგილობრივ ვაზს ფილოქსერა გაუჩნდა.

მართალია, აქამდიც მისდევდენ მყნობას მევენახეობაში იმ შემთხვევაში, როდესაც უნდოდათ გამოეცვალათ ძველათ დარგული უვარგისი ჯიში ახლიან ან არა და სწრაფათ გაევრცელებიათ რომელიმე საყურადღებო ჯიში. ახლა ვაზის მყნობა იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან იგი შეიქნა ერთად ერთ საშუალებათ ჩვენი ვაზის გადასარჩენათ ფილოქსერის განადგურებისაგან.

როდესაც ფილოქსერა ჩვენებურ ანუ ევროპიულ ვაზის ძირებზე ჩდება და იწყებს თავის გამანადგურებელ შუშაობას, ის უპირველესათ სჩხვლეტს თავის ხორთუმით ვაზის ნაზს ფესვებს იმდენათ ღრმათ, რომ ნაჩხვლეტი თითქმის ფესვების შუაგულამდის უწევს, რის შედეგიც არის ნაჩხვლეტ ალაგის აბურთვა და სიდამპლის გაჩენა; ამის გამო ფერხდება წვენის წესიერი მოძრაობა და ვაზიც მალე უძლურდება და ხმება.

ამერიკული ვაზი ცნობილია მით, რომ ის ჩქარა და მძლავრათ იზრდება და თუმც ფილოქსერა მის ფესვებზედაც

ჩდება, მაგრამ იმ ვნებას ვერ აძლევს, რასაც ევროპიულ ვაზს, რადგან ამერიკული ვაზის ფესვები, სადაც ფილოქსერის ნაჩხვლეტია ტულ ადვილად აკეთებს პროპკისებურ ფარსს (пробковую ткань), რომელიც ხელს უშლის სიდამპლის გავრცელებას; გარშემო ნაწილებზე ფესვები საღათ რჩება და მაშასადამე ვაზიც უვნებელია.

ზოგ ამერიკული ვაზის ჯიშებიც იძლევა ნაყოფს, როგორც მაგალითათ, იზაბელა, ჟაკე, ერბემონი, ოტელო და სხვა. მაგრამ ზოგი ამათგანი ვერ უძლებს ფილოქსერას და თითქმის ყველა ეს ამერიკული ჯიშები ისეთი გასაკუთრებული გემოსი და სუნის ღვინოს იძლევიან, რომ ისინი სრულებით ვერ გასწევენ შესანიშნავ ევროპიულ ჯიშების მაგიერობას; ამიტომაც არის, რომ მათ ვერაფერი ადგილი დაიჭირეს მეევნახეობაში, თუმც სხვა ამერიკულ ჯიშებთან ერთათ ესენიც იყო შემოტანილი ევროპაში და ჩვენში და ზოგი ამათგანი სხვებზე უფრო ადრეც, როგორც მაგალითად „იზაბელა“ ანუ „ადესა“.

აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ, რომ ბევრათ სჯობია ამერიკული ვაზი ვიხმაროთ როგორც საძირე და ამ შემთხვევაში ეს მართლაც შესანიშნავ როლს ასრულებს.

სანამ ამერიკულ ვაზზე დამყნას შემოიღებდენ, ფილოქსერასთან საბრძოლველად ხმარობდენ ბევრ სხვა და სხვანაირ საშვალებას. სხვათა შორის, იმ ადგილას, სადაც ვაზი იზდებოდა, ზამთრობით 40 დღე და ღამით აგუბებდენ წყალს, რომ მიწა მთლათ წყალში ყოფილიყო დამალული, რაც რასაკვირველია ხშირათ ძნელი და შეუძლებელიც იყო; გარდა ამისა, ხმარობდენ და ახლაც ხმარობენ მიწის სასხურებლათ, სადაც ფილოქსერაა გაჩენილი, გოგირდიან ნახშირბადს (сѣрнистый углеродъ). მაგრამ ეს საშუალება ჯერ ერთი რომ ძვირია, მეორეც, თუ ცოტა იხმარეთ ფილოქსერასაც ვერ კლავს და ბევრი კი ფილოქსერასთან ერთად ვაზსაც აუნებს; და რაც უფრო მისაღებია სახეში ეს ის, რომ ერთი მოწამვ-

ლა ვერ იხსნის დაავთმყოფებულ ადგილს ფილოქსერისაგან. ხოლო ყოველ წლიურად ნიადაგის მოწამვლა გოგირდიანი ნახშირბადით გამოიწვევდა აუტანელ ხარჯს; ასე რომ სჯობია ამაზე სულაც არ ვილაპარაკოთ.

მხოლოთ ერთათ ერთი საშვალებაა მევენახეობის გასაყვავებლათ არის ჩვენებური ვაზის ძირების შეცვლა ამერიკულით; მარტო ეს იხსნის ვაზს მოსპობისაგან, თუ რასაკვირველია ამერიკული ვაზი იქმნა შერჩეული ნიადაგისდაგვარათ.

ვაზის მყნობას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენთვის, ისე სხვა ხალხთათვის, რომელნიც ვენახის მოშენებას მისდევენ, რადგან მევენახეობას და ღვინის დაყენებას დიდი ადგილი უჭირავს ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში.

შემდეგ წერილებში მე ვეცდები მივუთითო და განვმარტო ის პირობები და საშვალებები, რომლებიც უფრო ხელს შეუწყობს ნაყოფიერ მუშაობას.

რა არის მყნობა.

მყნობა წარმოადგენს ისეთ მუშაობას, რომელის საშვალებით ერთი მცენარის ნაწილი (ეს ნაწილი შეიძლება კვირტი იყოს ან ტოტი) გადააქვთ მეორეზე; ეს ნაწილები მჭიდროთ ერთდებიან და ხორცდებიან. რომ დამყნობამ კარგათ ჩაიაროს, საჭიროა რომ ორთავე ნაწილი მცენარისა მოგვებული იყოს ერთმანეთზე, საჭიროა აგრეთვე რომ მცენარეები, რომლებიც იმყნობიან ერთმანეთის მონათესავე იყვე; ვაზისთვის ეს ნათესაობა გამოიხატება ისევ ვაზშივე და არაფერ შემთხვევაში სხვა მცენარეზე არ დაიმყნობა, ეს არ შეიძლება. მაშინაც კი, როცა მცენარე მისი მსგავსია (მაგალითათ, ბარეული ყურძენი Ampelapsis); მით უფრო შეუძლებელია ვაზის დამყნობა მუხაზე და ბეოლაზე, როგორც ზოგიერთებს გონიათ.

თვითონ შეხორცება კი ასე ხდება: როდესაც ორი ნაწილი მცენარისა შეერთებული და ჩაყენებულია ისეთ პირობებში, რომლებიც ხელს უწყობს შეხორცებას ე. ი. შესაფერ სითბოში და სინოტივეში, მაშინ შეერთებული ნაწილების

ნაპირები იკეთებს თეთრ დუჟს (Gaius), ერთდებიან და ეხორ-ცებიან ერთმანეთს და შემდეგ იწყება ზრდა ნამყენისა.

საუკეთესო პირობით შეხორცებისათვის უნდა ჩაითვალოს ის, როდესაც მიწის სითბო აღწევს 25-მდი, სინოტივე კი 5—6°.; როგორც მომეტებული სინოტივე, აგრეთვე ნაკლები ხელს უშლის შეხორცებას; რაც უფრო მოკლე ხანში შეხორ-ცდება ნამყენი, იმდენად უფრო უმიზეზო იქნება იგი.

რაც შეეხება იმ შიშს, რომელიც გამოიწვია ვაზის დამ-ყნობამ მევენახეთა შორის, რომლებსაც ეგონათ, რომ ამერი-კული საძირე იქონიებდა გავლენა ღვინის სიკეთეზე, ეს შე-ხედულობა მრავალი ცდის და დაკვირების შემდეგ უარ ყოფი-ლი იქნა; დამყნობის შემდეგ არც ყვავილის შენობას, არც ნაყოფის სახეს და ფერს არავითარი ცვლილება არ განუცდი-ათ, ეს თავის თავათ ცხადია, რადგანაც ამერიკული საძირე თავის თავათ არ შეიმუშავებს წვენს. ის ასრულებს მხოლოდ წვენსადენი მილის როლს, რომლის საშუალებითაც მცენარეს მიწიდან უმი საკვები მასალა ამოაქვს; ეს ფოთლებში გარდა-იქნება საკვებ ნივთიერება შემდეგ ამისა დამყნილსაც ასაზრ-დოვებს და საძირესაც, ღვინის სიკეთე სავსებით დამოკიდებუ-ლია შემდეგ პირობებზე:

ა) ნიადაგის თვისებაზე

ბ) ჯიშის თვისებაზე (დამყნილის).

ვ) მოვლის წესზე

გ) ღვინის დაყენებასა და შემდეგ მის დამუშავებაზე.

ნიადაგის სიავკარგეს ყველაზე მეტი გავლენა აქვს, შემდეგ ჯიშს, ადგილმდებარეობას, კლიმატიური პირობებს, საძირეს კი ძალიან მცირე მნიშვნელობა აქვს, და თუ რა გავლენა აქვს საძირე-ამერიკულს სანამყენეზე და სანამყენებო საძირეზე— ეს გამოიხატება შემდეგში:

ა) თუ საძირე სუსტათ იზდება, ნამყენიც სუსტი იქნება.

ბ) ღონიერი საძირე ქმნის ღონიერ ვაზს.

ვ) საძირის საშვალებით შეიძლება იქაც გაშენდეს ვაზი, სადაც აქამდის საფიქრებელიც არ იყო. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ვაზის დამყნას შემდეგი მოყვა,

ა) დამყნილი ვაზი უფრო ადრე იძლევა ნაყოფს, ვიდრე თავის ფესვებზე გაშენებული და სულ ხშირათ მესამე წელიწადს დამყნობიდან.

ბ) ნამყენი ვაზი მეტსაც იძლევა ნაყოფს და უკეთესსაც როგორც გარეგნობით, აგრეთვე შემადგენლობით.

ვ) ნამყენ ვაზზე ნაყოფი უფრო ადრე მწიფდება და როგორც შენიშნულია 8—10 დღით, ვინემ დამყნილზე ნამყენი ვერ გაიხარებს კარგათ თუ ლერწები, როგორც საძირე, ისე საკვირტეც ვერ იყო კარგათ შენახული დამყნამდის.

ა) თუ ნამყენს ჭრაქი გაუჩნდა და წაუხდინა ფოთლები. და ბ) თუ ამორჩეული ადგილი არ შეეფერება ამერიკულ საძირეს ჯიშს.

ჭრილობები მით უფრო ძნელათ შეხორცდება, რასაც უფრო დაშორებული ნათესაობა აქვთ აღებულ ნაწილებს და უფრო სხვილი და დიდი ხნის არის ისინი.

ამერიკული ვაზის ხანგრძლივობა

სულ ხშირათ გაიგონებთ, რომ ამერიკული ვაზი კარგია, მაგრამ დიდ ხანს ვერ სძლებსო, ეს სულ შემცდარი აზრია. 30 წელიწადზე მეტია, რაც საფრანგეთში პირველათ შიმოიღეს ამერიკულ ვიზზე დამყნით მამულების მოშენება და იქ ახლა ფილოქსერასთან საბრძოლელათ ერთად ერთ საშაუალებათ სთვლიან ამერიკულ ვაზს. ჩვენშიაც მოიპოვება 16—18 წლის დამყნილი ვაზები, რომლებიც კარგათ იზრდებიან და ნაყოფსაც ბლომათ იძლევიან.

ამერიკულ ვაზზე დამყნილი ჩვენებური ვაზი დიდხანს გასძლებს, თუ ამერიკული ვაზი დარგული იქნა შესაფერ პირობებში; ამ ვაზისთვის შესაფერ პირობებათ უნდა ჩაითვალოს შემდეგი:

ა) ნამყენი უნდა დაირგოს ისეთ მიწაზე რომელსაც მოითხოვს ესა თუ ის ჯიში ამერიკული ვაზისა.

ბ) ნამყენი კარგი შეხორცებული უნდა იყოს და საკმარისათ დფესვიანებული, თან ამერიკულ საძირე კარგათ უნდა უძღებდეს ფილოქსერას;

ვ) მიწა ღრმათ და კარგათ უნდა იყოს გადაბრუნებული-დამუშავებულ და თუ სველია ადგილი, თხრილებით უნდა იქნას დაწურული.

გ) ნამყენს თავ-თავის დროზე უნდა უკეთდებოდეს წამალი.

დ) ვაზით დაჭერილი ადგილი კარგათ უნდა მუშავდებოდეს, გაფხვიერებული და თავისუფალი უნდა იყოს ბალახისგან; იქ გარდა ვაზისა, სხვა არაფერი უნდა იზდებოდეს. თუ ყველა ეს პირობები შევასრულეთ, დამყნილი ვაზი დიდხანსაც გასძლებს და ნაყოფსაც ბლომათ მოგვცემს.

ამერიკული ვაზის ჯიშები

აქ მინდა ჩამოვთვალო ზოგიერთი ამერიკული ვაზის ჯიშები, რომლებიც უფრო იქცევენ ყურადღებას და უფროც გავრცელებულები არის, რომ ყველას შეეძლოს ისეთი საძირე ამოირჩიოს, რომელიც უფრო შეეფერება და შეეთვისება იმ ნიადაგს, სადაც მამულის გაშენებას აპირებენ, რომ შემდეგში ტყუილათ არ ჩაუაროს მამულის პატრონს შრომამ და ხარჯმა.

1 რუპესტრის დულო კარგათ უძლებს ფილოქსერას, შესანიშნავათ ახარებს ნამყენს; რაც შეეხება მიწის შეთვისებას, ხარობს თითქმის ყველა მიწაზე გარდა ცარციან, კირიანის და სველ ადგილებისა, იტანს, 25% ქვა კირიან ნიადაგს, ყოველ შემთხვევაში ურჩევნია მშრალი ქვიანი ადგილები სადაც თავის სხვილი და ღრმათ მიმავალი ფესვების წყალობით საკმარისათ იზრდება და ნაყოფსაც ბლომათ იძლევა.

რუპესტრის დულო დარგული ნოყიერ მიწაზე დიდათ იზრდება და ხშირათ ყვავილსაც იყრის, მაგრამ შესაფერი გა-

სხვლით შეგვიძლია ჩვენ ნებაზე ვავზარდოთ და ნაყოფიც ბლომათ მივიღოთ. რუპესტრისი ღონიერი ზდის გამო ხშირათ უშვებს ძირიდგან ყლორტებს, რის გაწმენდაც აუცილებელათ საჭიროა. რუპესტრისი და მისი გიბრიდები უნდა ჩაითვალონ საუკეთესო საძირეთ ნამყენისათვის.

2. **რიპარია პორტალის.** ფილოქსერას ესეც კარგათ უძლებს, კარგათ იზრდება წყლის პირათ მოსილულ მიწებზე და საზოგადოთ ღრმა რბილ და ნოყიერ მიწებზე. კირნარი ნიადაგის ეშინია, მით უფრო თუ სისველეც სჭარბობს, სადაც ფოთლების სიყვითლით ავათმყოფს (ხლოროზი); ვერ იტანს აგრეთვე მშრალ, მაგარ ქვიან მიწას.

შესაფერ ადგილზე დარგული იძლევა კარგს და თანასწორ მოსავალს და ადრეც მწიფდება. საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ ნამყენი ვაზი უფრო ადრე ამწიფებს ყურძენს, ვიდრე იგივე ვაზი თავის ძირებზე და რაც შეეხება დამყნილს რიპარიაზე, ამას კიდევ სხვა წამაქეზებელი მიზეზიც აქვს, პირველი სუსტი ზრდა რუპესტრისთან შედარებით, და მეორეც ის, რომ საძირე რიპარია და ზევიდან დამყნილი ჩვენებური ჯიში თანასწორათ ვერ იზდებიან, ჩვენებური ყოველთვის ასწრებს და იმ ადგილას, სადაც ნამყენია—უკეთდება დიდი კოჯოჯი, რომელიც ძალიან უშლის ხელს ქვეშიდა მომავალ მასაზრდოებელ წვენს და ამით ზემოთ მდებარე ვაზის ნაწილები უფრო უხვათ სარგებლობენ სანაყოფო ნივთიერებით, და მაშასადამე, ნაყოფიც უფრო მთავრდება და მალეც მწიფდება. ნამყენს კარგათ ახარებს.

3 **რიპარია რუპესტრის.** 101[14] თავის თავისებით უფრო რიპარიას უახლოვდება, უყვარს ნოყიერი ღრმა მიწა. ცოტათი თიხნარიც რომ იყოს არა უშავს რა, რადგანაც ფესვები ზევ ზევით აქვს გაშლილი, მშრალ მიწაზე უჭირს ზრდა, კირნარ მიწაზე, სადაც ქვაკირი არ აღემატება 15—20% კარგათ იზრდება. ამ ჯიშზე გაკეთებული ნამყენი კარგათ და თანასწორათ იბამს და ნაყოფიც კარგათ მწიფდება; ნამ-

ყენს საშუალოთ ახარებს; ფილოქსერას კარგათ ეწინააღმდეგება.

4. **რიპარია რუპესტრის 3306.** ნაკლებათ იტანს სიმშრალეს და სრულებრთ არ ვარგა ქვიან მაგარ მიწებზე; კარგათ იზრდება იქ, სადაც რიპარია ხარობს, მხოლოდ რიპარიაზე მეტ კირს იტანს, კარგათ ფესვიანდება, ნამყენს საშუალოთ ახარებს; ფილოქსერის არ ეშინია; ამ საძირეს ყოველთვის უნდა შეურჩიო ღონიერი და ფხვიერი მიწა.

5. **რიპარია რუპესტრის 3309.** იტანს მეტ სისველესაც და მეტ კირსაც, ვიდრე ზემოთ მოყვანილი გიბრიდები, კარგათ ფესვიანდება, კარგი ზრდაც აქვს, რბილ, ნაყოფიერ მიწაზე იძლევა თანასწორ და კარგ მოსავალს. მაღალ ხრიოკ ადგილებზე არ უნდა ირგვებოდეს. ნამყენს საშუალოთ ახარებს: ფილოქსერას კარგათ ეწინააღმდეგება.

6. **შასლა ბერლანდიერი 41b.** კარგათ უძლებს ფილოქსერას. იტანს 50 60%. კირს, მიწაში კარგათ ზრდის ნამყენს და ნაყოფსაც ბლომათ იძლევა; კარგათ იზრდება მშრალ კირიან ადგილებზე, ნოტიო ადგილებზე დარგული მალე ხდება, ფესვები ულპება, ნამყენს ნაკლებათ ახარებს.

7. **ბერლანდიერი რიპარია.** ამ ჯგუფში შედის რამოდენიმე დიდათ საყურადღებო გიბრიდები, რომლებიც ხარობენ კირნარ მიწაზე, რომელშიაც 50—60% კირი შედის და სადაც გარდა შასლა ბერლანდიერისა, ვერც ერთი ზემოჩამოთვლილი ჯიში ვერ გაიხარებს. ამათგან საუკეთესოთ უნდა ჩაითვალოს 420 a, 420 B. 157 11 33,—34. ერთათ ერთი ნაკლი ამ ჯიშების ის არის, რომ ნამყენს ვერ ახარებენ კარგათ.

ს ა ნ ე რ გ ე

ნერგების მოსაშენებელათ უნდა ამოირჩეს საუკეთესო ალაგს მდებარე მიწა და რაც შეიძლება ღონიერი. საუკეთესო სანერგე ადგილათ უნდა ჩაითვალოს ვაკე, გაშლილი ად

გილი, რომელიც მხოლოდ დაფარული უნდა იყოს მუდმივი ქარებისაგან, ღრმა ფხვიერი და ნოყიერი ნიადაგით. ამ გვარ მიწებს უფრო შეხვდებით მდინარეების ნაპირებზე კარგა ხნით მოსილულს ადგილებში. საჭიროა სანერგეს წყალიც უდგებოდეს, რომ გვალვის დროს შეიძლებოდეს ნამყენის მორწყვა. სანერგე უხვად უნდა სარგებლობდეს აგრეთვე მზის სითბო შუქით და ამისთვის ვიწრო ღელეებში და აგრეთვე მაღალ მთა გოტიან ადგილებში სანერგე არ ივარგებს; აქ, სადაც ზრდის ხანა (вегетативный періодъ) მოკლე იქნება, ნამყენი კარგათ ვერ შეხორცდება და ვერც საკმარის ფესვებს გაიკეთებს. საზარალო იქნება სანერგე აგრეთვე ნოტიო და ძალიან სილა მორეულ ადგილებზე. სველ ადგილებში ნამყენი არ ხორცდება კარგათ და არც ფესვებს იკეთებს, სილა მორეულ მიწაში ხომ პირდაპირ საშიშია სანერგის გაშენება, სადაც სულ ხშირათ ბუდობენ დიდი სხვილი ფეთრი ჭატლები, რომლებიც თავის მძლავრი კბილებით შეუბრალებლივ სჭირიან ამერიკულ საძირეს. მიწა დარგვამდი ბევრათ ადრე უნდა გადიბაროს და თუ შეიძლება შემოდგომაზე სიმშრალის დროს. გაზაფხულამდის, როცა დარგვა ხდება, მიწა მოასწრებს დაწევასაც და დაფშვნასაც. ბევრათ ადგობებს გადაბარული მიწა დარგვამდის ერთხელ კიდევ პირწმინდათ შეიხნას ან დაითოხნოს ღრმათ, რომ სხვილი ბულტები აღარ დარჩეს შიგ. ამ გვარათ დამზადებული მიწა ნამყენსაც კარგათ გაახარებს. სისველესაც უკეთ შეინახავს, და რაც არა ნაკლებ საჭიროა, საკვები ნივთიერება ისეთ მდგომარეობაში იქნება, რომ მცენარე ადვილათ შეითვისებს მას.

სანამყენო ლერწის (რქის, კვირტების) ამორჩევა და ნამყენის შენახვა

დიდი ყურადღება უნდა ქონდეს მიქცეული სამყნობი ლერწის (რქის) ამორჩევას, რადგანაც სხვათა შორის მაზეც არის დამოკიდებული შემდეგი ნაყოფიერი ზრდა ვაზისა.

ლერწი უნდა იყოს კარგათ აღებული, კარგათ დამწიფებული, საღი ვაზისგან და თავისუფალი სოკოთა ავათმყოფობისაგან, უნდა ქონდეს მიქცეული ყურადღება იმასაც, რომ ვაზი, საიდანაც საკვირტე ლერწს ვიღებთ, ახალგაზდა არ იყოს, რადგანაც ამ გვარი ვაზის ნამყენები, უფრო ლონიერი ზდენთ ისახელებენ თავს, ვიდრე კარგი მოსხმით.

ვაზი, საიდანაც ვიღებთ ლერწს, უნდა იყოს არა ნაკლებ 5—6 წლის, კარგი მსხმოიარე და საღი კვირტები ქონდეს.

ყოველთვის სჯობია ის კვირტები, რომლებიც ლერწის შუა ადგილზეა მოთავსებული! არც ძირა კვირტები (მძინარე) და არც წვერისკენ, რომელიც ხშირად დაუმთავრებელია, საჭიროთ ნამყენთ არ ვარგა.

უნდა ვერიდენთ აგრეთვე ძლიერ სხვილ ლერწებს და საძირესაც, ამ გვარი ნამყენი ვერც კარგათ შეხორცდება და ფესვების გამოღებაც გაუჭირდება. სჯობია საშუალო ზომის ლერწი კარგათ დამთავრებული კვირტებით. რაც შეეხება იმას, თუ როდის უნდა დამზადდეს ლერწი, გამოცდილება გვაჩვენებს, რომ კვირტი უფრო გვიან უნდა იღვიძებდეს, ვინემ ამერიკული საძირე და მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება ნამყენმა კარგათ გაიხაროს და თუ კვირტმა მოასწრო გამოღვიძება მაშინ ის ადვილათ ზამოშრება, რადგანაც ჯერ არაფერი კავშირი ექნება საძირესთან და გახარებაც გაუჭირდება. ამისათვის საკვირტე ლერწი უნდა დამზადდეს ბევრით იმაზე ადრე, სანამ წვენის მოძრაობა დაიწყებოდეს.

დამყნამდის, როგორც საკვირტე, აგრეთვე ამერიკული ლერწიც ასე უნდა შეინახოს: უნდა შეიკრას კონებათ ას-ასი ღერი ერთად და სადმე გრილ ადგილას შეინახოს სილაში. ყველაფერს, რასაკვირველია, სარდაფი სჯობია და თუ სარდაფი არ არის, შეიძლება სადმე მოფარებულ ადგილას ამოითხაროს ღრმა თხრილი (ორმო) და შიგ ჩაიწყოს ლერწი, მხოლოდ წყალი კი არ უნდა ჩავიდეს შიგ. ლერწი უნდა ზეზე დაეყუდოს და რაც ცარიელი ადგილებია კონებსა და ლერწს

შუა გამოიმსოს მშრალი სილით. თუ სილა სველი იქნება, ლერწს წყალი ჩაუდგება და შეიძლება კვირტებმა უდრო დროზე გამოიღვიძოს.

დამყნის დრო.

საუკეთესო დროთ ნამყენის საკეთებლათ იმერეთში უნდა ჩაითვალოს პირველი მარტიდან პირველ აპრილამდი (ქართლ-კახეთში ცოტა უფრო გვიან). ამაზე ადრე დამყნილი არ ვარგა, რადგანაც სრულებით უსარგებლოთ დაგვჭირდება სილაში შენახვა დარგვამდი. გვიან კეთებისათვის კი ჯერ ერთი რომ კვირტის შენახვა გაჭირდება, და გარდა ამისა, ხშირათ აპრილსა და მაისში ისეთი სიცხეები არის, რომ მყნობის დროსაც ძალიან გამოშრება ნამყენი და თან მიწაც გამოგვალულია ხოლმე, ასე რომ დარგვაც კი გაჭირდებოდა. ეს უკანასკნელი გარემოება არ არის მისაღები იქ, სადაც სანერგეს წყალი უდგება, მაგრამ სჯობია, რომ ადრე გაზაფხულზე სანერგე არ ირწყვებოდეს. ასეთი მორწყვა მიწასაც გააცივებს და აატალახებს კიდევაც, და ეს კი ისეთი პიროობებია, რომ ვაზის შეხორცებას ხელს შეუშლის.

დასამყნელი კვირტების და საძირეს დამზადება.

დასამყნელათ უნდა დამზადდეს ამერიკული საძირე და დაიჭრას ზომაზე. სიგძე ამერიკული საძირისა სრულიად დამოკიდებულია იმაზე თუ შემდეგში რა ნიადაგზე იქნება დარგული ნამყენი. მშრალი ადგილებისთვის ლერწი უნდა გრძლათ დაიჭრას, ნოტიო ადგილებისთვის — მოკლეთ. ყოველ შემთხვევაში შვიდ გოჯზე გრძელი და ხუთზე მოკლე არ ვარგა; მოკლე ნამყენს ზევ-ზევით დარგულს შეიძლება ადვილათ წაუხდეს ფესვები მიწის დამუშავების დროს და აგრეთვე შეწუხდეს გვალვის გამო. გრძელი და ღრმათ დარგული ნამყენი კარგათ ვერ ფესვიანდება და თუ სველი ალაგი შეხვდა შეიძლება, სულაც მოალპეს ფესვები. ამისათვის სჯობია საძირეს

ზომიერი სიგძე ქონდეს, რომ თითონ მიეცეს საშვალება იქით გაზარდოს ფესვები, საითაც მოუხერხდება. ლერწის დაჭრის დროს უნდა ქონდეს მიქცეული ყურადღება, რომ ყოველთვის ხაჭერი მუხლში, ანუ კვირტის ძირში იყოს, რაც გაუადვილებს ფესვების გამოღებას, თან რაც კვირტებია საძირეზე უნდა პირწმინდათ აიჭრას, რომ დამყნის შემდეგ საკუთარი ყლორტები აღარ ამოიყაროს, რაც ხელს შეუშლის ნამყენის შეხორცებას.

საკვირტე ლერწიც უნდა დაიჭრას თითო კვირტათ იმ ზომით, რომ კვირტს ზემოდან ნახევარი გოჯი ადგილი ქონდეს დატოვებული. ამ გვარათ დამზადებული კვირტები ხელში დასაჭერათაც კარგია და თან არც გამოშრება დამყნის და დარგვის დროს. თუ ლერწი, როგორც ამერიკული საძირე, და აგრეთვე საკვირტეც, მოსვრილია სილით, სჯობია გაირეცხოს წყალში, რომ დანა მალ-მალ არ დაჩლუნგდეს და ჭრილობებიც სუფთა გამოვიდეს.

დამყნის სხვა და სხვა წესი.

ვაზის დამყნა ბევრნაირათ შეიძლება და თითქმის მთელი წლის განმავლობაში შეიძლება კეთდებოდეს ნამყენი სხვა და სხვა წესით. მე შევეხები ორნაირ დამყნას, რომლებსაც უფრო მისდევენ მეველნახეობაში.

1. **ინგლისური დამყნა.** ახდენენ როგორც უძირო ლერწებზე აგრეთვე ერთი წლის დაფესვიანებულზედაც.

2. **ნახლეჩში დამყნა** ხდება როდესაც დასამყენათ სხვილი ძირებია, უფრო ხშირად კი როდესაც გამოცვლა უნდა არსებულ მამულის, რომელიმე ახალი უფრო კარგი ჯიშით.

ინგლისური დამყნა შეიძლება როგორც უფესვო ლერწებზე, აგრეთვე ერთი წლის დაფესვიანებულზედაც. ამ ნამყენს ბევრი უპირატესობა აქვს. ჯერ ერთი, რომ სწრაფათ კეთდება (ერთ მუშას შეუძლია დაამყნოს 1000-1400 დღეში),

მეორეც, რადგან ვაზის თითრ წლის ლერწებს ვილებთ სამყნელათ, უფრო ხორცდებიან ეს ნაწილები და ისე გადებმიან, რომ მესამე-მეოთხე წელიწადს აღარც კრ ეტყობა სად იყო დამყნილი; გარდა ამისა მყნობა შეიძლება ოთახში და ხშირათ ისეთ დროს, როდესაც სხვა მუშაობა ბრის რა დვრა ნაირი ამინდიც იყოს, მუშაობას ვერ შეუშლის ხელს.

ნამყენი ასე კეთდება: დამზადებულ ამერიკულ ვაზის ლერწს 5-7 გოჯის სიგრძეზე წაუთლიან ცერათ თავს, ასე რომ, რაც სისქე აქვს ლერწს. წანათლის სიგრძე 2-2½ უნდა მეტი იყოს და თუ ხელოვნურათ ვახორცებთ ყუთებში, მაშინ შეიძლება წანათლები უფრო მოკლეც იყოს, საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ რაც, უფრო პატარა სივრცეზე ხვდებიან წანათლები, იმდენათ უფრო ადვილათ და მჭიდროთ ერთდებიან.

ნამყენის საკეთებლათ უნდა იხმარებოდეს მჭრელი დანა და ნაჭერი ერთი მოსმით კეთდებოდეს, და თუ პირველათ ვერ მოიჭრა კარგათ, უნდა განიმეოროთ ხელ-ახლათ, რადგანაც მონაჭერის პატარ-პატარათ შეკერება უსწორ-მასწორათ გახდის იმას და ვერ მოერგება კარგათ ერთმანეთს. როგორც ამერიკული ლერწის წანათალი, აგრეთვე სამყნობი კვირტისაც შუა წელში ცოტათ უნდა იყოს დაღრმავებული, რომ უფრო კარგათ მიადგეს ნაჭრები ერთმანეთს.

უპირველესი პირობა ნამყენის შეხორცებისა და გახარებისა ის არის, რომ ამერიკული საძირე და კვირტიც ერთი სისქისა იყოს, რომ მონათლები კარგათ მოერგოს ერთმანეთს როგორც სისქით, აგრეთვე სიგრძითაც. როდესაც დამზადებულია ამერიკული და კვირტი უნდა ჩაიჭრას ეგრეთ წოდებული ენები და ჩამოეცოს ერთმანეთზე, ენები ერთმანეთში ჩაჯდება და ნამყენის ნაწილები მჭიდროთ ეაიკერენ ერთმანეთს.

სულ ერთი არ არის, თუ როგორ წაითლება სანამყენე, სულ ხშირათ ასე კეთდება: კვირტის პირდაპირ მეორე მხარე-

ზე იწყებენ თლას და ათავებენ ლერწის სისქის და გვარათ. ბევრათ სჯობია, რომ თლა იწყებოდეს კვირტის პირდაპირ კი არა, იქავე კვირტის ძირიდან. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და აი რატომ: რომ კარგათ დაიმალოს დამყნილი ადგილი მიწით და თანაც ღრმათ არ მოვიდეს კვირტი, კვირტს ზემოთ უტოვებენ სულ ნახევარი ფოჯის სიგძე ლერწს, ჩვეულებრივ ეს ზედმეტი ლერწია და თუ ცუდი პირობები შეხვდა, როგორც მაგალითად გვალვაა და სიხმო ღრმათაც უწევდა, სულ ხშირათ წანათალის ზედა ნაწილიც ხმება და ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ნამყენი კარგათ ვეღარ შეხორცდება ირგვლივ.

სულ სხვა არის როდესაც თლას კვირტის ძირიდან ვიწყებთ. შაშინ ძალიანაც რომ გახმეს ლერწის ზედა ნაწილი, რომელზედაც კვირტია მოთავსებული, მაინც ვერ ჩავუწევთ იმ ადგილამდის, სადაც ჩამონათალი თავდება, კვირტს კი სიხმო ვერ უწყვს ღრმათ, რადგანაც მის მახლობლათ გამზდელი კანი უფრო სქელია და თანაც ბლომათ არის დამზადებული საკვები მასალა. ამ გვარათ გაკეთებული ნამყენი უფრო ხარობს, მეტ პროცენტსაც იძლევა და შეხორცებაც ირგვლივ ხდება.

ერთმანეთზე მორგებული სამყნელი და საძირე უნდა შეიხვიოს იმ ადგილას, სადაც ჭრილობები აქვს, რაფიით (ერთნაირი მაგარი ჭილოფია), მხოლოთ შეხვევის დროს უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რომ, რაც შეიძლება მჭიდროთ ქონდეს შემოჭერილი რაფია სადაც ნამყენი იწყება და თავდება მთლად იყოს დამალული, შუა წელი კი ხან გამოშვებით. ამ გვარად შეხვეული ნამყენი უფრო კარგათ ხორცდება, ვიდრე ის, რომელიც ერთნაირათ არის შეხვეული.

დამყნილ და შეხვეულ ლერწებს კრავენ კონებათ ოცდა ხუთ-ხუთს ერთათ ისე, რომ სამყნელის თავები თანასწორათ უნდა იყოს და ზეზე აწყობენ სილაში.

სილა ოდნავ ნოტიო უნდა იყოს და ადვილათ ჩადიოდეს როგორც კონებს შუა, აგრეთვე ნამყენების. თუ კარგათ არ იქნა გახვეული ნამყენი სილაში, იმ შემთხვევაში ნამყენს სულ ადვილათ უჩნდება ობი და თუ ობი გადავიდა ნამყენის მონათალებზე, ნამყნის შეხორცება გაძნელდება. ნამყენის შესანახათ არც სველი სილა (ქვიშა) ვარგა და არც მშრალი, სველ სილაში რაფია მალე დალპება და ნამყენებს დარგვის დროს სულ შეიძლება წასძვრეს თავები. მშრალ სილაში შენახულ ნამყენს ჯერ ერთი, რომ რაფია შეიძლება მოეშვას და აქ წაძვრეს თავები და თანაც სილა გამოიტანს ,ნამყენიდან სისველეს და შეიძლება თუ დიდ ხანს დარჩა გახმეს კიდევაც. ყოველთვის სჯობია ოდნავ ნოტიო სილა (სულ 5-7% რომ ქონდეს სისველე). სილა უნდა იყოს კარგა მოსხო დაფშვლილი. ლამი სრულებით არ ვარგა ნამყენის შესანახათ.

დ ა მ ყ ნ ა ნ ა ხ ლ ე ჩ შ ი

ამ გვარ დამყნას უფრო ხმაროობენ, როდესაც ან დიდი ძირებია დასამყნელი ადგილობრივ, აგრეთვე თითო წლის დაფესვიანებულ ამერიკულზე და თითქმის ყოველთვის იმ შემთხვევაში როდესაც საძირე ამერიკული ბევრათ სჭარბობს საკვირტე ლერწს სისხოთი და ინგლისური ნამყენის გაკეთება არ ხერხდება, თუ ადგილობრივ კეთდება ნამყენი, სანამყენე ძირი ადრევე, წვენის მოძრაობამდი უნდა გადიჭრას მიწის პირათ, თუ წვენი ძალიან მოდის ანუ როგორც იტყვიან ვაზი ტირის, სჯობია რამდენიმე დღე დავაცალოთ დამყნას, რომ წვენის დენამ იკლოს, თორემ ამ პირობებში გაკეთებული ნამყენი ვერ შეხორცდება კარგათ: როდესაც ყველაფერი მზათა გვაქვს, შეიძლება შევუდგეთ დამყნას. ჯერ პირველათ უნდა ჩაიხლიჩოს საძირე. ყოველთვის სჯობია, რომ ნახლეჩი მარტო ცალი მხრიდან ქონდეს, შემდეგ უნდა დამზადდეს სამყნობი. იღებენ არა ნაკლებ ორი კვირტისა. ის ადგილი კი, რომელიც საძირეში ჩავა, უნდა წაეთალოს სოლივით ორივე მხრიდან. დიდათ რომ არ აიპოს საძირე, სჯობია შუშა-

ობის დაწყებამდი. იმ ადგილს, საიდანაც ჩაუწევს საძირეს ნაპობი, შემოეჭიროს მაგრათ ჭილოფი, რომ ამაზე ღრმათ აღარ გასკდეს; როდესაც სანამყენე მორგებულია უნდა შემოეჭიროს ჭრილობის დასაფარათ რაფია და მიეყაროს მიწა იმ ზომით, როგორც ლერწზე დამყნილისთვის იყო ნაჩვენები და შემდეგი მოვლაც ისევე ხდება.

დ ა მ ყ ნ ა.

თუ ამინდი ხელს გვიწყობს, საკმარისათ თბილა და მიწაც შემბალია, შეიძლება ნამყენის დარგვა დაიწყოს 15 მარტიდან (ქართლ-კახეთისთვის მარტზე გვიან) და გაგძელდეს 15 აპრილამდი. 15 მარტზე ადრე დარგვა არ ივარგებს, რადგანაც მიწა ჯერ ცივია და სველიც, ნამყენი სრულიათ უსარგებლოთ იქნება მიწაში ჩაყრილი და თუ ცუდი ამინდები დადგა, როგორც წვიმები, თოვლი და სხ. შეიძლება ნამყენი დაზარალდეს კიდევაც. 15 აპრილის შემდეგ კი ხშირათ დიდ სიცხეებს იჭერს, მიწა იგვალვება და ნამყენის დარგვაც შეუძლებელი ხდება, და ეს მით უფრო იქ, სადაც წყალი არ უდგება მოსარწყავათ. დარგვა ორ ნაირათ შეიძლება: თხრილებში (ორმოებში) და დასობით. თხრილებში უფრო ხშირათ მაშინ რგავენ, როდესაც ნამყენი ხელოვნურათ არის შეხორცებული ყუთებში ან არა და ფესვიან ამერიკულზეა დამყნილი; მაგრამ ამ გვარი მუშაობა ძვირი ჯდება, ასე რომ სულ ხშირად ნამყენს დასობით რგავენ, რისთვისაც ხმარობენ რკინის ზუმბას, რომელსაც ერთ თავში ტარი აქვს ხელის ჩასაკიდი, მეორე თავი კი გაყოფილი აქვს ორათ, რომ ნამყენს მოკიდოს პირი. ბწკარები ერთმანეთზე უნდა იყოს დაცილებული არა ნაკლებ თოთხმეტი გოჯისა. მხოლოდ ნამყენი კი სამ ოთხ გოჯზე. რასაკვირველია, აჯობებს, რომ მეტი ადგილი იყოს დატოვებული ნამყენებს შუა, ამ შემთხვევაში იგი უკეთ გაიხარებს და ფესვებსაც ბევრს გაიკეთებს.

დარგვის დროს უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ნამყენი არ შეინძრეს და არ ასცდეს ერთმანეთს ჭრილობები და თანაც ღრმათ არ მოგვივიდეს დარგვა.

საკმარისია ის ადგილი, სადაც ნამყენი თავდება, მიწის პირათ იყოს მოქცეული. გამორკვეულია, რამდენათაც ზეზეა დარგული ნამყენი, იმდენათ იგი კარგათ ხორცდება, ფესვებსაც ბევრს იკეთებს. ღრმათ დარგული ვერც ფესვებს იკეთებს და ზაფხულში სხვა და სხვა მუშაობაც გაძნელებულია და ძლიერ უხერხულია ფესვების დაჭრა სანამყენეზე.

რგვის დროს თანვე უნდა ეყრებოდეს მიწა, რომ დიდხანს არ დარჩეს ნამყენი დაუფარავი და არ გამოშრეს; მიწა, პირველათ მაინც სანამ ნამყენი დაიმალებოდეს, ფხვიერი უნდა იყოს და ცოტათი ნოტიოც და რაც შეიძლება კარგათ უნდა შემოეყაროს ნამყენს; რომ ცარიელი ადგილები არ დარჩეს, სჯობია ოდნავ მოიტკეპნოს კიდევაც ხელით.

მიწა იმ ზომით უნდა მიეყაროს, რომ სადაც ნამყენი თავდება, იმის ზემოთ სამი გოჯი მაინც ეყაროს; მართალია პირველად ამოდენი მიწა არ არის საჭირო, მაგრამ შემდეგ ავდრისა და სხვა მიზეზების გამო მიწა დაიწევა და ზომაზე დარჩება.

რგვის შემდეგ საჭიროა მიყრილი ბეგოები შესწორდეს ხელით, მიწაც შეიფშვნას და თანაც ნამყენი შუაგულ ბეგოში იყოს მოყოლილი. ასე გაკეთებული მიწა არც მალე გამოშრება და თანაც არც ნამყენს გაუჭირდება ამოჭრა.

ნამყენი რგვის დროს სჯობია რამე დახურულ ჭურჭელში იქონიოთ, რომ არ გამოშრეს.

შემდეგში მუშაობა სანერგეში.

სანამ ნამყენი ამოსჭრიდეს, გარდა ბალახის გამარგვლისა და მიწის გაფხვიერებისა, ჭწკარებს შუა სხვა სამუშაო არაფერია სანერგეში. თუ ამერიკული საძირე ვერ იყო კარგათ გაწმენდილი, შეიძლება აქა-იქ ამოიყაროს ყლორტები, რაც აუ-

ცილებლივ უნდა შემოსცილდეს, რომ შეხორცებას არ შეუშალოს ხელი; თუ გვალვა დადგა და ნამყენის გახარება საეჭვოთ ხდება, სანერგე უნდა მოირწყოს, რადგანაც ამ დროს მიწა სილრმეში კიდევ სველია და გამხმარია მხოლოდ იქ, სადაც ნამყენია მოთავსებული. სწორეთ ეს ადგილი უნდა დასველდეს იმდენათ, რომ მიწა სისველეს არ ართმევდეს ნამყენს და რაფიაც არ შეძვრეს; მეტი სისველე საჭირო არ არის.

როდესაც ნამყენი ამოსჭრის და ორი სამი ფოთოლი გამოვა მაშინათვე უნდა შევუდგეთ წამლობას და ამის შემდეგ აუცილებლათ უნდა ვუწამლოთ კვირაში ერთხელ. მიუხედავათ იმისა, იქნება ჭრაქი თუ არა, სანერგებს ზაფხულის განმავლობაში უნდა ეწამლოს არა ნაკლებ რვა ან ათჯერ, რადგანაც მიწის დამუშავებაზე და ფოთლების სისალეზე არის დამოკიდებული ნამყენის ზდა-გახარება.

როდესაც ნამყენი წამოიზდება სამი ოთხი გოჯი, ამ დროს უნდა შემოეცალოს მიწა და თუ სანამყენეს აქვს გამოტანილი ფესვები, შიგ ძირში უნდა დაიჭრეს მახვილი დანით, დატოვებული ფესვები დიდათ იზდება, ნამყენსაც უშლის შეხორცებას და საძირეც ვერ გამოიტანს საკმარის ფესვებს. ნოტირ წელიწადში სანამყენეს უფრო ადრე გამოსდის ფესვები და მაშასადამე მუშაობაც უფრო ადრე უნდა იწყებოდეს; ხოლო მშრალ წელიწადს კი შეიძლება უფრო გვიან.

გადახდილ და ფესვებ დაჭრილ ნამყენებს მაშინათვე უნდა მიეყაროს მიწა, რომ არ გამოშრეს ახლა გაკეთებული დუჟი: მიწას მიყრა იმდენათ აღარ არის საჭირო, როგორც წინეთ იყო. საკმარისია რომ ნამყენი და ახლათ ამოყრილი ყლორტი იქამდი დაიმალოს, სანამდინაც ტოტის სითეთრე უწევს; ეს იმიტომ რომ მზემ არ დასწვას.

ბევრათ სჯობია ფესვების დაჭრის დროს იმ ნამყენს, რომლებიც სამ-ოთხი გოჯის სიმაღლეზე ერის გაზდილი, წვერები წაეჩქმიტოს ამ მოქმედებით ვაჩერებთ ახალი ყლორტის ზდას, წვენი იქვე ჭრილობებთან გუბდება და უფრო კარგათ

ხორცდება ნამყენი; ნამყენის შემდეგ ზდაზე კი თავის წაჩქმეტას არაფერი გავლენა არა აქვს.

აგვისტოს დამლევისთვის ნამყენებს ხელ ახლათ უნდა შემოეცალოს მიწა და თუ ფესვები აქვს გამოღებული ყანამყენეს, დაეჭრას, მხოლოდ ახლა აღარ უნდა მიწის შემოყრა. ნამყენი იმდენათ იქნება მიზდილი და შეხორცებული, რომ საშიში აღარ არის მოტეხოს რამემ. ფესვების მოჭრის დროს უნდა დათვალიერდეს ნამყენები და რომლებიც საიმედო არ არის, სჯობია თავიდანვე ამოვაძროთ, რომ სხვას მაინც აღარ დაუშალოს ზდა.

ნამყენის ამოთხრა, გადარჩევა და შენახვა.

შემოდგომით, რრდესაც ზრდა დამთავრდება და ნამყენს ფოთოლი დასცვივა, შეიძლება ნამყენის ამოღებას შეუდგეთ. სანერგის ერთ-ერთ მხრიდან, ბწკარების სიგძეზე უნდა ამოიჭრას თხრილი იმდენათ ღრმა, რომ მისი ძირი ამერიკული საძირის დაბლა თავდებოდეს, ასე რომ გამოღებული ფესვები თავისუფალი იყოს და ამოღების დროს არ დაწყდეს; როდესაც ამ გვარათ არის გამზადებული თხრილი, ექვე ახლოს მეორე მხრიდან, რაც შეიძლება ღრმაზ და სისწორით, ასობენ ბარს, რომლის უკან გადაწევით ნამყენს ხელის ჩავლებით იღებენ მიწიდან. ნამყენების ამოღების დროს სჯობია ორი კაცი მუშაობდეს: ერთი რომ ბარს დაასობს და გადასწევს, მეორე ამ დროს ნამყენს ჩაავლებს ხელს და ამოიღებს. ასე მუშაობა ძალე სწარმოებს და ნამყენებსაც ბევრი ფესვი შერჩება.

მიწა უნდა პირწმინდათ იბარებოდეს, რომ მომავლისთვის ხელახლათ აღარ დაგვჭირდეს გადაბარვა და თან მიწაც უნდა სწორეთ რყრებოდეს.

გადარჩევის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ერმას, რომ ნამყენი რაც შეიძლება კარგათ იყოს შეხორცებული, ერგვლივ, ასე რომ მიწევ-მოწევის დროს არც უნდა ტყდებოდეს და არც

არც პირს აღებდეს; გადარჩევის დროს სჯობია ნამყენი სიგრძითაც შევურჩიოთ ერთმანეთს. ამ გარემოებას დარგვისთვის ექნება დიდი მნიშვნელობა, იმიტომ რომ სხვადასხვა ნიადაგზე (სისველის მხრივ) სხვადასხვა სიგძის ნამყენი უნდა დაირგოს.

გადარჩეულ ნამყენს კრავენ კონებათ ორმოც დაათ-ორმოცდათს ან ას-ასს ერთად და ინახავენ დარგვამდის სადმე გრილ ადგილას სილაში. სილა უნდა იყოს ოდნავ ნოტიო და რაც შეიძლება კარგათ იყოს გახვეული შიგ ნამყენი, თორემ სულ ადვილათ გაუჩნდება ფესვებს ობი და შემდეგ შეიძლება ფესვები მოალპეს ნამყენს.

სავენახე ადგილის ამორჩევა.

ადგილების სივიწროვის გამო ხშირათ არ გვაქვს საშვალება ამოვირჩიოთ სავენახეთ ისეთი ადგილი, რომელიც უფრო მეტს მოგვცემს სარგებლობას. და თუ ამისთანა შემთხვევა მოგვეცა, რადგანაც ადგილის მდებარეობაზე და ნიადაგის ღირსებაზე არის დამოკიდებული, როგორც მოსავლის რაოდენობა, აგრეთვე ღვინის სიკეთე და ხანგრძლივი და ნაყოფიერი ზდა ვაზისა, მაშინ შემდეგი უნდა ვიქონიოთ მხედველობაში:

მამულის გასაშენებლათ საუკეთესო ადგილებათ უნდა ჩაითვალოს ამაღლებული ფერდოები და გორები; ფერდოებზე წყალი კარგათ იწურება, რაც აუცილებელი საჭიროა თუ რომ გვინდა კარგი ღვინის მიღება. ფერდოები აგრეთვე უკეთეს პირობებშია, როგორც მზის შუქის, აგრეთვე სითბოს მხრით, რადგანაც მზის სხივები პირდაპირ ეცემა მიწას და აგრეთვე შეუძლია დაიფაროს მამულის მავნებელი ქარისაგან; ფერდოებზე ვაზს უფრო ნაკლებათ ეშინია მოწვის, ვიდრე ვაკეზე; ფერდო ადგილებზე უფრო კარგათ მოძრაობს ჰაერი და ამიტომაც ისე ვერ გაძლიერდება სხვადასხვა სენი ვაზისა, როგორც ვაკე ადგილას; ფერდოებზე ვაზი ხარბათ სარგებლობს მზის სითბო-შუქით, ნაყოფი უფრო სრულდება, კარგათ მწიფდება და ღვინოც კარგი დგება და არც ყურძენი ლპება.

რაც უფრო ცხელი ადგილია სამამულეთ ამორჩეული, იმდენათ უფრო დასავლეთ-ჩრდილოეთისკენ უნდა იყოს მიქცეული, და თუ ცივია, აღმოსავლეთ-სამხრეთით ცივ ადგილებში ეჯობებს სამხრეთისკენ, ხოლო ცხელში კი ჩრდილოეთით.

ფერდო ადგილებსაც აქვთ თავისი ნაკლი, როგორიცაა მიწის ჩამორეცხვა ავდრების დროს და დამუშავების სიძნელე, მაგრამ ბევრი კარგი მხარე ფარავს ამ ნაკლს. ამისთვის, ვისაც სურს მიიღოს მაღალი ღირსების ღვინო, იმან უნდა დარგოს ვაზი ფერდო ადგილებზე, ხოლო ვისაც დიდი მოსავალი სურს —ვაკე ადგილას, სადაც მიწა ნოყიერია, ვაზიც დიდათ გაიზდება, ბევრსაც მოიბამს და მოსავალიც მეტი იქნება.

უნდა ვერიდოთ მამულის გაშენებას ვიწრო ღელეებში, სადაც ვაზს გაზაფხულზე ადვილათ მოსწვავს და სადაც ყოველთვის მეტი წამლობა დასჭირდება ვაზს. ისიც არის, რომ აქ მეტი სინოტივის და აგრეთვე დაგუბებული ჰაერის გამო ყურძენი ადვილათ ლპება.

მიწის დამუშავება.

როდესაც სამამულე ადგილი ამორჩეულია, უნდა შევუდგეთ მიწის დამუშავებას. სიღრმე გადაბარვის სრულებით დამოკიდებულია იმ მიწის ღირსებაზე, სადაც აპირებენ ვენახის გაშენებას; რაც უფრო მშრალი, მაგარი და ქვიანი ადგილია, იმდენათ უფრო ღრმათ სჭირდება გადაბარვა, რაც ფხვნილი და ნესტიანია, იმდენათ უფრო ზევ-ზევით უნდა დაიბაროს მიწა. საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ 12 ვერშოკზე ნაკლები დაბარული არ ვარგა და თუ მიწა ძალიან მშრალია და მაგარი და აგრეთვე ქვიანი, შეიძლება არშინიც დასჭირდეს. მიწა პირწმინდათ უნდა იყოს გადაბარული. ვაზის დარგვა არც ორმოებში და არც თხრილებში არ ვარგა, მიწის გადაბრუნების დროს უნდა ამოირჩეს როგორც ქვები, აგრეთვე ფესვები, რისაც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი, ეს იმიტომ

არის საჭირო, რომ ფესვები და ხის ნაწილები, რომელნიც მიწაში დარჩებიან, ლპობას დაიწყებენ და ადვილათ შეიძლება სიდამპლე დარგულ ვაზებსაც გადაეცეს და მთლათ წაახდინოს. ეს უკანასკნელი გარემოება მაშინ უფრო მისაღებია სახეში, თუ ამორჩეულ მიწაზე ან ვენახი და ან კიდევ ტყე იყო. ბევრათ სჯობია, თუ მიწას რამოდენიმე თვის წინათ გადავაბრუნებთ დარგვამდე, ამ ხნის განმავლობაში მიწა კარგათ დაიშლება, დაიწევს და შემდეგ დარგულ ვაზს უფრო მოიდგამს ფესვებსა. კარგი იქნება, რომ ბარვის დროს მიწა სწორეთ იყრებოდეს, რომ შემდეგში მიწას სწორებაზე ცალკე ხარჯი აღარ დაგვჭირდეს.

მიწის ღრმათ გადაბრუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ზრდისთვის, აგრეთვე ნაყოფის მოცემისთვის. გადაბრუნებულ მიწაში უფრო თავისუფლათ ვრცელდება ფესვები, მაშასადამი ისინი უფრო კარგათ სარგებლობენ საჭირო ნივთიერებით, გადაბრუნებული მიწა უფრო ისვამს სისველეს, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მშრალი მიწებისთვის, გადაბრუნებულ მიწაში ჰაერი უფრო ღრმათ უწევს, მიწა უფრო იშლება და ნოყიერდება. მიწის გადაბრუნების დროს ირჩევა ქვები, რომლებიც უშლიან ფესვების თავისუფალ ზდას. ქვები თუ ძალიან დიდები არ არის, რომ მიწის მუშაობას დაუშალონ, შეიძლება დარჩენ მიწის პირზე, რითაც ყურძნის ადრე დამწიფებას შეეწყობა ხელი.

ნამყენი ვაზის შეძენა.

თუ გინდათ კარგი ვენახი იქონიოთ, უნდა დიდი ყურადღება მიაქციოთ დამყნილ ვაზის შეძენას. ჯერ ერთი უნდა იცოდეთ, რა თვისებისაა თქვენი მიწა, რომ საძირეც შესაფერი ამოარჩიოთ ძალიან უნდა დაუკვირდეთ, რომ ნამყენი კარგათ იყოს შეხორცებული, ე. ი. ჩვენებური და ამერიკული ისე უნდა იყოს მიზდილი ერთმანეთზე, ძალიანაც რომ მისწი-მოსწიოთ, არც უნდა შორდებოდეს ერთმანეთს და არც პირს

ჭლებდეს, ისიც უნდა იქონიოთ სახეში, მშრალი თუ ნესტიანი თქვენი მიწა, რომ სიგრძითაც შეურჩიოთ ნამყენი: რაც მიწა მშრალია, იმდენათ უფრო გძელი ნამყენი უნდა დაირგოს, რაც უფრო სველი—მოკლე; ყოველ შემთხვევაში ნამყენი ხუთ ვერშოკზე მოკლე არ ვარგა და შვიდ ვერშოკზე გძელი, კარგია ნამყენს ფესვებიც ბლომათ ქონდეს, მაგრამ თუ კარგათ არის შეხორცებული, ორი-სამი ფესვიც რომ ქონდეს, ისიც კმარა. ნამყენის შეძენის დროს ფასს კი არ უნდა მიაქციოთ ყურადღება, არამედ ღირსებას. ყოველთვის სჯობია ფასი მეტი მისცეთ და ნამყენი კარგი შეიძინოთ, რომელიც შემდეგი ნაყოფიერი ზდით უხვათ აანაზღაურებს გაწეულ ხარჯს.

ვაზების დაშორება ერთი-მეორისაგან.

საჭიროა ვაზები ერთმანეთზე დაშორება და პწკარ-პწკარათ დარგვა, სადაც მუდმივი ქარი იცის რომელიმე მხრიდგან და არც გვაქვს საშვალება, რომ რითიმე მოვუყუდროვოთ სავენახე ადგილს, იქ საჭიროა პწკარები ისე გამართოთ, რომ ქარი თავისუფლათ დაქროდეს და ვაზებს რაც შეიძლება ნაკლებათ სწეწავდეს. საზოგადოთ პწკარები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მუშაობა შეიძლებოდეს პწკარებს შუა გუთნით, ფოცხით და კიდევ სხვა იარაღით. ეს მით უფრო საჭიროა, თუ მამულს დიდი ადგილი უჭირავს და ხელით მუშაობა ძვირი დაჯდება. გარდა ამისა, მზის სხივებიც რაც შეიძლება უნდა მეტათ ხვდებოდეს თვითეულ ვაზს, რაც აუცილებელი საჭიროა, თუ რომ გვინდა, რომ ვაზმა კარგათ დაიყვავილოს და შემდეგ ყურძენი კარგათ დამწიფდეს და ღვინოც კარგი დადგეს. რაც შეეხება იმას, თუ რამდენზე უნდა იყოს დაშორებული ვაზი ერთმანეთზე, ეს სავსებით დამოკიდებული არის ადგილის მდებარეობაზე, მიწის სინოყიერეზე და ვაზის ჯიშზე.

ვაკე ადგილზე, ნოყიერ მიწაზე, ვაზი უნდა შორ-შორის დაირგას, 2 ნახევარ—3 არშინზე. ფერდოებზე, მწირე მიწებ-

ზე საკმარისი იქნება არშინ ნახევარი — 2 არშინი. არის ვაზის ჯიშები, რომლებიც მოითხოვენ გრძელ სხვლას. ამ შემთხვევაში მეტი ადგილი უნდა იქნას დატოვებული ერთმანეთ შორის. ერთ ქცევაზე დაეტევა, თუ რომ ორ არშინზე დარგეთ ოთხ კუთხივ 2025 ძ. ნამყენი; ორ არშინ ნახევარზე. 1300 ძ. სამ-არშინზე 900. იმავე ქცევაზე თუ ორ არშინზე სამკუთხეთ დაირგო 2340 ძირი, ორ არშინ ნახევარზე. 1500, სამ არ-შინზე 1040.

ნამყენი ვაზის დარგვა სამუდამო ადგილზე.

ფიქრადაც არ უნდა მოგვივიდეს ახალი უფესვო ნამყენის დარგვა სამუდამო ადგილზე. უეჭველათ უნდა აიღოთ ერთი წლის კარგათ გახარებული, შეხორცებული ფესვიანი ნამყენი. სანამ რგვას დავიწყებდეთ, უნდა მომადდეს მიწა, გასწორდეს და დაინიშნოს ადგილები, სადაც დაირგვის ვაზები. შემდეგ უნდა შეუდგეთ ორმოების თხრას; საჭირო არ არის დიდი ორმოების ამოთხრა, საკმარისია იმ ზომის, რომ ფესვები შესწორების შემდეგ თავისუფლათ ჩაეტიოს შიგ.

ნამყენის დარგვა შეიძლება როგორც შემოდგომაზე, აგრეთვე გაზაფხულზედაც. — მშრალ ადგილას, სადაც ზამთარში დიდი ყინვები არ იცის და წყალი არ დგება, შემოდგომით დარგული სჯობს; ცივ და ნოტიო ადგილზე კი უეჭველათ გაზაფხულზე. როდესაც დარგვას ვიწყებთ, თან უნდა ვიქონიოთ სწორი ოთხ-კუთხი ჯოხი სიგრძით ათი ვერშოკი, სისქით კი ერთი ვერშოკი; ეს იმისთვის აბრ საჭირო, რომ დარგვის დროს არ მოვტყუვდეთ და ღრმათ არ დავრგოთ ნამყენები.

დარგვის წინ საზომი ჯოხი უნდა დაადოთ ორმოს ზედა პირს; ეს ჯოხი ქვედა პირით გვიჩვენებს მიწის პირს, მხოლოთ ზედათი იმას, თუ რა სიმაღლეზე უნდა იყოს დაცილებული ნამყენი მიწას, რომ არ შეეძლოს ჩვენებურ ვაზს ფესვების

გამოღება; თუ ფერდო ადგილია, საჭიროა ზემო მხარეს ნამ-
ყენი ცოტა უფრო ღრმათ იყოს დარგული, რადგანაც მიწა
თანდათანობით ჩამოირეცხება და ნამყენი ზომაზე დარჩება
დარგული, ქვემო ნაწილში კი უფრო ზევით უნდა დარგვა,
რომ მოსილულმა მიწამ დამყნილი ადგილი არ დაფაროს
და მით ხელი არ შეუწყოს ფესვების გამოღებას.

ორმოს ძირი შუა ადგილას უნდა ამაღლებული იყოს,
ნაპირისკენ კი დაბალი. ასე მომზადებულ ორმოში ნამყენის
ფესვები უფრო თავისუფლათ მოთასდება.

რგვის დროს არ უნდა ვერიდებოდეთ ხელების გასვრას,
ხელს სულ უნდა ვურევდეთ მიწაში, ფესვებს ვუსწორებდეთ,
ფხვიერ მიწას ვაყრიდეთ და ვტკეპნიდეთ. როდესაც ფესვები
დამალულია, საჭიროა ერთი ან ორი ნიჩაბი ძველი სასუქი
ჩაიყაროს ორმოში, მხოლოდ თითონ ვაზს კი არ უნდა ეკა-
რებოდეს სასუქი. ვაზსა და სასუქს შუა უნდა იყოს მიწა.
შემდეგ ამისა უნდა გაივსოს ორმო და ნამყენსაც დაეყაროს
თავზე ისე, რომ ნამყენის წვერიდან სამი თითის სისქეზე მაინც
უნდა ეყაროს მიწა; ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ნამყენი
არ გახმეს, ნამყენის თავზე მიწის ზვინს უნდა განიერი ძირი
ქონდეს და ნამყენი ზედ შუა ადგილე იყოს მოქცეული, რომ
მიწა არ შემოშორდეს.

თუ ნამყენი ღრმად იქმნა დარგული, მაშინ ის თითონ
გამოიღებს საკუთარ ფესვებს და ეს ფესვები ცოტა ხანში ისე
გაღონიერდება, რომ ამერიკული ვაზის ფესვები შეიძლება სუ-
ლაც მოისპოს.

კარგი იქნება დარგვის დროს, სადაც ვაზები იქნება ჩა-
ყრილი, წვრილი და გრძელი ჩხირები დაასოთ. ამათი საშვა-
ლებით ნამყენიც სწორეთ დაირგვის. მიწაც კარგათ მიეყრება
და შემდეგ, როდესაც ვაზი წამოიზდება, ზედვე მიეკვრება.
გახარებას და ზდას ისიც უწყობს ხელს, თუ ნამყენის ფესვები
დარგვის წინ ამოვავლეთ სხვილ—ფეხა საქონლის ახალ სასუ-

ქში. რომელიც წყალში უნდა იყოს გახსნილი, მაგრამ იმდენათ სქელი კი უნდა იყოს, რომ კარგად ეკვრებოდეს ფესვებს.

ახალი ნამყენის დარგვა ასედაც შეიძლება: ფესვები ძალიან უნდა დამოკლდეს, თითქმის სულ ძირში მიეჭრას და ისე დაასოთ, როგორც ახალი ნამყენი. ამ გვარათ დარგული პირველ ორ წელიწადს სრულებით უთანასწორდება ორმოში დარგულ ვაზებს. საჭიროა, რომ სცადონ ეს წესი დარგვისა.

ახალ დარგული ნამყენების მოვლა პირველ წელიწადს.

სანამ ნამყენი ყლორტებს ამოიყრიდენ, იმას არაფერი მოვლა არ სჭირდება გარდა იმისა, რომ უნდა დათვალიერდეს, რომ მიწა არსად იყოს ჩამოშლილი და ნამყენი არ გაშიშვლდეს. თუ სადმე ნამყენი გამოჩენილია, მიწა ისევ ისე უნდა მიეყაროს, როგორც იყო.

როდესაც ყლორტები ამოხეთქს და გაიზდება 4—5 ვერშოკი, მაშინ საჭიროა შემოაცალოთ მიწა და თუ ჩვენებურ ვაზს გამოუტანია ფესვები, ან ამერიკულ ვაზს ყლორტები, უნდა ჩავაცალოთ და ისევ მივაყაროთ მიწა, მხოლოდ იმდენი კი არა, როგორც წინეთ იყო. ახლა მარტო ნამყენი რომ დაიმალოს ისიც კმარა.

ხშირათ ნამყენი გამოიტანს ხოლმე 3—4 ყლორტს, ჩვენთვის კი ერთი იქნება საჭირო. ამიტომ უნდა ამოვარჩიოთ რომელიც უფრო ლონიერი და სწორი ყლორტია, ის დავტოვოთ, დანარჩენი კი მჭრელი დანით შევასხლათ. დატოვებული ყლორტი უნდა აიკრას სარზე, რომ არაფერმა მოტეხოს და თანაც კარგათ გაზარდოს.

სადაც ვაზია დარგული, სიმინდი, ლობიო, კვახი, კიტრი, გასატარებელი არ არის; კიდევ უფრო საზარალოა მიწის დაუმუშავრობა და შიგ ბალახის თიბვა. ახალ დარგულ ვაზს სულ ხშირად უნდა ეწამლოს, რომ ჭრაქმა არ წაახდინოს, პირველ ხანებში, როდესაც ყლორტები ნელ-ნე-

ლა იზდება, კვირაში ერთხელ უნდა ვუშვრებოდეთ წამალს, მერე კი, როდესაც ზდას მოუმატებს, ორ კვირაში ერთხელ. უნდა ვიცოდეთ, რომ რაც უფრო კარგათ მოვუვლით ახალ დარგულ ვაზს და რაც უფრო საღი იქნება ის, მით უფრო დიდ მოსავალს მივიღებთ შემდეგში.

ვ ა ზ ი ს გ ა ს ხ ვ ლ ა

გონივრულ სხვლაზე ყრის დამოკიდებული ვაზის ზრდა და ნაყოფის მოცემა, ამიტომ კარგათ უნდა ვუკვირდებოდეთ ვაზებს და ისე ვსხლავდეთ, როგორც მოითხოვს თვითეული მათგანი, აქ საზომს და შაბლონს არავითარი ადგილი არა აქვს, რადგანაც სულ ხშირათაა განსხვავება ვაზების ზრდაში, ერთ ადგილასაც რომ იყვნენ დარგული; თუ მიწა ღონიერია, სადაც მამულს ვაშენებთ, და კარგი პირობები შეხვდა ნამყენს საზდელათ, შეიძლება პირველსავე წელიწადს დავაყენოთ ვაზი ტანზე, უფრო ხშირათ კი პირველ წელიწადს ვერ გაიზდება ისე ღონივრათ და დაგვჭირდება ისევ ორ კვირტზე გასხვლა, რომ მომავალი წლისთვის მაინც მივიღოთ საჭირო ტოტები.

სანამ სხვლას შეუდგებოდეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ როგორც ადგილობრივი პირობები, აგრეთვე ჰავა და მიწის ღონეც, რადგანაც მთა ადგილას ისე არ შეიძლება გასხვლა, როგორც ბარათ, მშრალ ადგილას, როგორც ნოტიოზე, მწირე მიწაზე, როგორც ღონიერზე. ტანის სიმაღლეზედაც იქონიებს გავლენას ადგილობრივი პირობები.

მაღალ ფერდობზე და საზოგადოთ მშრალ ადგილებზე აჯობებს, რომ ვაზს მოკლე ტანი ქონდეს და როდესაც მოიბამს, მტევნები მიწას უახლოვდებოდეს, მარა ისე კი არა, რომ მიწაზე ეყაროს, წვიმის დროს ისვრებოდეს და ლპებოდეს. მთა ადგილებში სითბო უფრო ნაკლებია, ვიდრე ბარათ და ამიტომაც მოკლე ტანიანი ვაზი ორნაირათ ისარგებლებს

მზის სითბოთი: ჯერ ერთი როდესაც ოითონ მზე ანათებს და მეორეც ღამით, დღისით გამთბარი მიწის საშვალებით, მაშასადამე ყურძენი უკეთ დამწიფდება და ღვინოც კარგი დადგება.

დაბალ და ნოტიო ადგილზე ყოველთვის უფრო მაღალი ტანი უნდა ქონდეს ვაზს. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ ვაზმა თავის ყლორტებით და ფოთლებით არ დარჩდილოს მიწა და დააგუბოს ჰაერი, რის შედეგი იქნება ის, რომ ვაზი კარგათ ვერ დაიყვავილებს, სხვადასხვა სოკო და სენი გაუჩნდება, ყურძენი ვერ დამწიფდება კარგათ და ბევრიც დალპება.

როდესაც ზემოხსენებული პირობები გამორკვეული გვაქვს, მაშინ უფრო გაბედულათ შევუდგებით სხვლას, თუ მაგალითათ გადავწყვიტეთ, რომ ტანის სიმაღლე ვაზებს ექნება 12 ვერშოკი, ამ შემთხვევაში ყველა ლონიერი ვაზი ამ ზომაზე უნდა გადავსჭრათ, ხოლო სუსტები ისევ ორ კვირტზე.

როდესაც მოვრჩებით სხვლას, დარჩენილი ტოტები უნდა ავაკრათ სარებზე, რაც შეიძლება სწორეთ. სწორეთ აკრული ვაზი ჯერ ერთი რომ ლამაზი იქნება და მეორეც, რაც უფრო საჭიროა, წვენიც დაუბრკოლებლივ იმოძრავებს. გაზაფხულზე ახალ ყლორტებს რომ გამოხეთქავს, უნდა დავტოვოთ ზემოდებარე 3 ყლორტი, დანარჩენი კი ხელით ჩამოვაცალოთ. მართალია ჩვენთვის შემდეგში მარტო ორი იქნება საჭირო, მაგრამ სჯობია ერთი მეტი იყოს, ვინიცობაა დაგვჭირდეს. დაბლა ყლორტებს რაც ადრე მოვაცლით, მით უკეთესია, რადგანაც ტანზე აღარ დაკოჟოჟდება.

ზაფხულში, ზდის დროს, ყლორტები რამდენჯერმე უნდა აიკრას, რომ ქარმა არ მოსტეხოს და თუ ვაზის ტანმა ან ამერიკულმა გამოიტანეს ყლორტები, მაშინათვე ჩაეცალოს. დატოვებული ყლორტები თავისუფლათ უნდა იზდებოდეს, თავის გადატეხა დიდხნობამდის არ უნდა, ყოველ შემთხვევაში არა უადრეს 15—20 მარიობისთვისა, როდესაც ზდა ვაზის შემდგარი იქნება და ბევრ ნამხრევს ველარ ამოიყრის.

რაც ხშირათ ირწყვის წამლით, მით უკეთესია, ვაზს უფრო საღი ფოთოლი ექნება. ჩვენ ვიცით, რომ ფოთლების სისაღეზეა დამოკიდებული ვაზის ნაყოფიერი ზდა.

მომავალი წლისთვის ასე უნდა მოვიქცეთ: სამ დარჩენილ ტოტიდგან უნდა ამოვირჩიოთ ორი; რომელნიც კარგად არიან მოთავსებული ტანზე. მესამე კი სულ ძირში გადავჭრათ; დანარჩენი ორი ტოტიდან ის, რომელიც ქვევით არის, უნდა გადიჭრას 2—3 კვირტზე და ამას ნეკი დაერქმევა, ზემოთ მდებარე კი გაისხვლის—10 კვირტზე და რქა ანუ მოსახვევი დაერქმის.

რქის სიგრძე დამოკიდებულია ვაზის ლონეზე, რაც ლონიერია ვაზი, იმდენათ შეიძლება გძელი რქა დავუტოვოთ და რაც ულონო—მოკლე. იმ შემთხვევაში, როდესაც ვაზი ძლიერ იზდება, შეიძლება ორი მოსახვევიც დაიტოვოს, რომ ამითი შევაჩეროთ ზდა და უკეთ მოვაბმევინოთ ვაზს.

პირველ წლებში არ უნდა დავატანოთ ვაზს ძალა და ბევრ რქას არ უნდა ვუტოვებდეთ, და როდესაც კი მოლონიერდება, მაშინ უფრო გძელი სხვლაც შეიძლება. გძელ-მოკლე სხვლა არის დამოკიდებული აგრეთვე ვაზის ჯიშზე. ის ჯიშები, რომლებსაც ახლო აქვთ რქის ძირთან სანაყოფო კვირტები, მოკლეთ უნდა გაისხლას და რომლებსაც დაშორებული—გძლათ.

ძნელია თქმა, რომელ ადგილას როგორ გაისხლას, რადგანაც წინდაწინ ვერ წარმოვიდგენთ, თუ როგორ გაიზდება ვაზი: დაკვირვებული მემამულე მალე მიხვდება და შესაფერისათ გასხლავს თავის ვაზებს, თუ იცის მთავარი კანონები მცენარეების ზდისა.

ვაზის გაფურჩქნა.

ვაზის გაფურჩქნა, ანუ ზაფხულის სხვლა აუცილებელათ საჭიროა. ვინც ვაზის სხვლა იცის, იმას სრულებით არ გაუჭირდება ამ მუშაობის შესრულება. გაზაფუხულზე, როდესაც

ვაზის გამოტანილი ყლორტები 2—3 ვერშოკია, უნდა გადავათვალიეროთ თითეული ვაზი დი რომელი ყლორტებიც საჭირო არ არის ანუ უნაყოფოა, მოვაშოროთ, რომ დანარჩენი ყლორტები უფრო კარგათ გაიზარდოს. ნეკზე უნაყოფო ყლორტებიც რომ იყოს მაინც უნდა დავტოვოვოთ 2—3 ყლორტი, რომლებიც მომავალი წლისთვის გამოგვადგება გასასხლავათ, რქაზე კი მარტო ნაყოფიერი ყლორტები უნდა დარჩეს, თუმცა რქაზედაც შეიძლება უნაყოფო ყლორტების გაშვება იმ შემთხვევაში, თუ რომ ნაყოფიერი ყლორტები ცოტაა ანუ სულ არ არის. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ შემდეგი გასხვლისთვის საჭირო ყლორტები მეტათ არ დასხვილდეს და ნაყოფის მიღბება არ გაძნელდეს. სადაც თითო მუხლიდგან ორი-სამი კვირტია გაღვიძებული, მხოლოთ ერთი უნდა დასტოვოთ, რომელზედაც ნაყოფია და დანარჩენთ ნაყოფიც რომ ქონდეს მაინც ჩააცალოთ.

დარჩენილი ყლორტები რომ წამოიზდება, ის, რომლებიც ნეკზეა ან რქის ძირში, უნდა სარზე აეკრას, დანარჩენი აუკრავი დარჩება და როდესაც იმ ადგილს ზემოთ, სადაც ნაყოფი აქვს, 5—6 ფოთოლი გამოუვა, უნდა გადაეტეხოს თავი და ისე დარჩეს.

ვაზის სხვადასხვა ხენი და მათი წამლობა.

ჭრაქი ანუ ობი.

მაისის შუა რიცხვებში, თუ საკმარისი თფილი ამინდები დადგა და ღამეებიც არ არის ცივი, ვაზის ფოთლების ზედა პირზე ძარღვების მახლობლათ შენიშნავთ ყვითელ ლაქებს და თუ ფოთოლი გადააბრუნეთ, ამ ლაქებს მეორე მხრიდგან ფქვილის მზგავსი მტვერი აყრია. ეს იმის ნიშანია, რომ ვაზებს ჭრაქი გასჩენია. თუ თავის დროზე არაფერი უშველეთ, ჭრაქი მოედება როგორც ფოთლებს, აგრეთვე ყლორტებს და ნაყოფსაც—ფოთლები წითლდება და ხმება, ყლორტები აღარ

იზრდება და ნაყოფიც ჭკნება და თუ თბილი ნოტიო ამინდია, მაშინ შეიძლება უცებ მოედოს მთელ მამულს და დიდათ დააზარალოს იგი.

ეს რომ ასე არ მოხდეს, საჭიროა სანამ ჭრაქი გაჩდებოდეს, მანამდის ვუწამლოთ. წამლათ ხმარობენ წყალში გახსნილ შაბიაბანს და კირს, რომელსაც „ბორდოს სითხე“ ჰქვია, რაც განაც პირველათ ქ. ბორდოში (საფრანგეთში) იყო გამოგონილი.

წამლობის რაოდენობა არის დამოკიდებული იმაზე, ნოტიო გაზაფხულია თუ არა, ან თუ ნოტიო ადგილას არის გაშენებული მამული; ამის მიხედვით ზაფხულში დასჭირდება წამლობა.

წამალი ასე მზადდება: მაგალითათ გვინდა მოვამზადოთ 6 ჩაფი წამალი, უნდა ავიღოთ 9 ჩაფი წყალი და შიგ გავხსნათ 6 გირვანქა შაბიაბანი და 3 გირვანქა ქვა-კირი, ჯურჯელი — როგორც კირისთვის, აგრეთვე შაბიაიანისთვის თიხის ან და ხის უნდა იყოს.

როდესაც შაბიაბანი გახსნილია და კირიც გახსნილი და გაცივებული, კირი უნდა ჩაასხათ შაბიაბანში და კარგათ მოვურიოთ; კირი უნდა წმინდათ იწურებოდეს და ნელ-ნელა ისხმებოდეს, რომ კარგათ აირიოს შაბიაბანთან და აგრეთვე სხვილი ნაწილები არ ჩაყვეს, რაც დიდათ შეუშლის ხელს წამლობას. კირთან ერთათ ის მეცხრე ჩაფი წყალიც უნდა დაესხას და წამალიც მზათ არის. ამ გვარათ მომზადებული სითხე საკმარისია 4—6 საათი დარჩეს. რომლის განმავლობაში რამდენჯერმე უნდა აურ-დავურიოთ და წამალი მზათ არის სახმარათ.

სხურების დროს უნდა ეცადოთ რაც შეიძლება წამალი წვრილ წინწკლებათ და ხშირათ ხვდებოდეს ვაზის ფოთოლს და იმდენი არ უნდა დაასხათ, რომ ჩამოედინოს, — ტყუილათ წავა შრომაც და წამალიც. სასხურებელ საუკეთესო მანქანათ უნდა ჩაითვალოს ვერმორელის მანქანა „ეკლერი“.

ქცევაზე პირველათ ეყოფა 6 ფუთი სითხე, მეორეთ 12 ფუთი, მესამეთ 18—20 ფუთი. წამლობა ყოველთვის უნდა მოასწროთ სენის გაჩენას. პირველათ უნდა ეწამლოს არა უგვიანეს პირველ მაისისა და შემდეგ საჭიროებისამებრ

ნ ა ც ა რ ი.

ისეთი მემამულე არ იქნება, რომ ნაცარს ვერ სცნობდეს. ეს სენი კარგა ხანია გავრცელებულია ჩვენში და ხშირათ საგრძნობელი ზარალიც მოაქვს იქ, სადაც ამ სენის შესახებ არაფერ საწინააღმდეგო ზომებს ხმარობენ.

ნაცარი უჩნდება მთელ ვაზს, ფოთლებს, ყლორტებს და მტევნებს; უფრო საგრძნობელ ზარალს იძლევა, როდესაც მტევნებზე ჩნდება.

ნაცრის გაჩენას ხელს უწყობს თბილი ნოტიო ამინდები და როდესაც ძალიან არის გავრცელებული, გეგონებათ ვაზებისათვის ნაცარი გადაუყრიათო. ნაცარს აჩენს თვალთ უჩინარი სოკო და როდესაც ეს სოკოები მარცვლებზე იბუდებენ, მარცვლის კანში უშვებენ ფესვებს, იგი ისე ამაგრებს კანს, რომ სულ უკარგავს სირბილეს და ზრდის შნოს. ამავე დროს წვენი აწვება შიგნიდან, კანი სკდება, წვენი გარეთ გამოდის, მარცვალი იფიტება და ხმება და ამგვარათ სულ შეიძლება მოისპოს მოსავალი.

დღემდი საუკეთესო საშვალებათ ითვლება ნაცრის საწინააღმდეგოთ ფქვილათ გიმოხდილი გოგირდი (Сѣрный цвѣтъ), რომელსაც საბერველებით აყრიან ვაზის მწვანე ნაწილებს. წამლობა სამჯერ მაინც უნდა ზაფხულში და ნოტიო ამინდების გამო შეიძლება ხუთჯერაც დასჭირდეს.

პირველათ გასაფთხილებლათ ადრე უნდა ვუწამლოთ, როდესაც ყლორტები 4—5 ვერშოკის სიგძე იქნება და თუ თბილი ამინდებია, უფრო ადრეც; მეორეთ, როდესაც ვაზი ყვავილობს. ამ წამლობას დიდ მნიშვნელობას აწერენ. იგი როგორც სენის მოსპობას, აგრეთვე დაყვავილებასაც უწყობს

ხელს. მესამე წამლობა დასჭირდება, როდესაც მარცვალი კარგათ არის დაისვრიმებული,

გოგირდი ადვილათ იღებს ჰაერიდან სინესტეს, იკუმშება, კარგათ ველარ ეყრება ვაზს და ბევრიც ძირს სცვივა. სჯობია შიგ გაერიოს ფქვილათ დაშლილი კირი. გოგირდი ამ შემთხვევაში უფრო გამტვერდება და თანასწორათ მოედება ვაზს და არც ბევრი დაიხარჯება.

წამლობა უნდა დავიწყოთ დილით, როდესაც ცვარი შეშრება და შეიძლება მთელ დღეს ვუწამლოთ, გარდა იმ საათებისა, როდესაც ძალიან ცხელა.

ამინდი უნდა მუუდრო შეურჩიოთ და მოწმენდილი, რომ წვიმამ არ მოგვასწროს, შრომამ და მასალის დახარჯვამ ტყუილათ არ ჩაგვიაროს.

პირველ წამლობაზე დასჭირდება 15 გირვანქა გოგირდი, მეორეზე 30, მესამეზე კი ერთი ფუთი; თუ კირი გაურიეთ, მაშინ მეოთხედი კირი უნდა ვიანგარიშოთ.

ანტროკნოზი.

ანტროკნოზი, ისე როგორც სხვა სენი ვაზისა, წარმოსდგება წვრილი სოკოებისგან და უჩნდება ვაზის ყველა მწვანე ნაწილებს. ანტროკნოზი ადვილი საცნობია: ფოთლებზე წვრილი შავი წინწკლები ჩნდება, რომლებიც სწრაფათ ფართოვდებიან, მთელ ფოთოლს იჭერენ, ფოთოლი იკრუნჩხება, შავდება და ცვივა. ხდება როგორც წვრილი ყლორტები, ისე სხვილებიც, რომლებსაც უჩნდება შავი ლაქები. ანტროკნოზით დაზარალებულ ყლორტებს რომ დახედოთ. გეგონებათ ცხელი რკინით დაუდაღიათო.

სენი ბოლოს გადადის ნაყოფზედაც და ამასაც ისევე ახდენს. საზარელი სანახავია ანტროკნოზით დაავანტყოფებული ვაზი და თუ სასტიკი ზომები არ მივიღეთ, ორ-სამ წელიწადში სულ მოსპობს მამულს.

ანტროკნოზის წინააღმდეგ წამლობა შეიძლება როგორც ზაფხულში, აგრეთვე ზამთარშიაც. ზაფხულში წამლობა ამ ნაირათ უნდა: აიღეთ გოგირდი, რომელსაც ნაცრის საწამლათ ხმაროობენ და შიგ გაურიეთ ახლად დაშლილი ქვაკირი. რამდენათაც მეტია ანტროკნოზი, იმდენათ მეტი კირი უნდა აიღოთ. პირველათ გაჩენილ სენისთვის საკმარისია, რომ კირი მესამედი იყოს და თუ სენი მეტათ არის გავრცელებული, კირი ნახევარსაც შეადგენს და მეტსაც. კირ-გოგირდის მიყრა საბერვლით შეიძლება. წამლობის დროს უნდა ეცადოთ ვაზის ყველა ნაწილებს მოხვდეს. თანასწორათ. ეს წამლობა საჭიროებისამებრ უნდა რამდენჯერმე გაიმეოროთ ზაფხულში. ზამთრის წამლობა კი შემდეგში გამოისახება: უნდა აიღოთ 2 ნახევარი ფუთი წყალი და შიგ ჩაასხათ ათი გირვანქა გოგირდის სიმჟავე. გოგირდის სიმჟავეს უნდა ფრთხილად მოეპყრათ, რომ არაფერზე გადაგესხასთ და არ დაიწვათ.

შეიძლება და უფრო ადვილი მოსახერხებელიც არის ამ ნაირათ შეზავებული წამალი: იღებენ ერთ ფუთს ანუ ჩაფ წყალს, შიგ ხსნიან თუთხმეტ გირვანქა რკინის შაბიაბანს. დასადნობათ, სჯობია რომ წყალი ცხელი იყოს და ვაზს კი მხოლოთ ნელთბილათ წაესვას.

როდესაც წამალი მზათ არის, უნდა აიღოთ ან ჩვარი ან კიდევ საღებავი ჩოთქი და მთელ ვაზს წაუსვათ თავიდან ბოლომდე, მხოლოდ ისეთ დროს კი, რომ კვირტები არ იყოს ჯერ გამოღვიძებული.

სანამ წამლობას დაიწყებდეთ, ვაზები უნდა გაისხლას, ანასხლავი წმინდათ აიკრიფოს და დაიწვას. ყოველთვის სჯობია, რაც რომ მამულში ხერგი გროვდება, როგორიცაა მაგალითად ტოტები, ფოთლები და სხვა უნდა დაიწვას. ჩვენ ამით ბევრ სენს ავიცილებთ თავიდან.

ფესვების სიდამპლე.

ფესვების სიდამპლე წარმოსდგება შემდეგი მიზეზებისგან:

1. თუ ნიადაგი სველია, სადაც დარგულია ნამყენი და საძირე ამერიკული ვერ იტანს სისველეს.

2. თუ ადგილი, სადაც მამულს ვაშენებთ, ან ტყიანი იყო და ან კიდევ ძველათ მამული იყო ზედ, მიწის გადაბარვის დროს სუფთათ არ იყო ამორჩეული მცენარეების ნაწილები, რომლებიც მიწაში ჩატანებული ლპობას დაიწყებენ და რომელიც სულ ადვილათ გადაედება ახალ დარგულ ნამყენებს და წაახდენს მეთ.

3. თუ ნამყენი იყო შეძენილი ისეთ სანერგიდან, სადაც უკვე გაჩენილია ეს სენი.

ეს ძალიან საშიშარი სენია და ამიტომაც უნდა იხმაროთ ყოველი ღონისძიება მის თავიდან ასაშორებლათ.

თუ ნიადაგი სველია, უნდა უეჭველათ დაიწყროს თხრილებით და ისეთი საძირე ამერიკული ვაზი შეერჩიოს, რომელიც სისველეს იტანს; მიწა გადაბარვის დროს, რაც შეიძლება, კარგათ უნდა გაიწმინდოს, რომ შიგ ისეთი აჩეფერი დარჩეს, რაც ლპობას გამოიწვევს და სენს გააჩენს, ნამყენის შეძენის შემდეგ ყოველთვის საჭიროა ნამყენი ამოავლოთ ამგვარ შედგენილ სითხეში:

ორ ჩაფ წყალში უნდა გაიხსნას ორი გირვანქა შაბიაბანი და შიგ რამდენიმე წუთით ამოავლოთ ნამყენი თავიანთ ფესვებიანათ და შემდეგ ამოღებისა გაავლოთ სუფთა წყალში.

თუ სიდამპლე უკვე აქვთ გაჩენილი ვაზებს, მაშინ ამ ზომებს უნდა მიმართოთ: რომელი ვაზიც ძალიან დასუსტებულია და ხმება, ის მთლათ ამოიღოთ და დასწვათ, მხოლოდ ახალათ დაავანთყოფებულ ვაზს უნდა ამოეჭრას ორმო და შიგ ჩაისხას ბლომათ ზემოთ ნახსენები სითხე ისე, რომ, სადაც ფესვებია გავრცელებული, ჯარგათ გაიჟღენთოს. წამლობა

უნდა მარტო იმ ვაზებს კი არა, რომლებსაც სენი სჭირთ, არამედ იმათაც, რომლებიც მათ მეზობლათ არის, რომ სენი არ გავრცელდეს. თუ თავის დროზე მიიღეთ ზომები, სენს დასაწყისშივე მოსპობთ.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ.

1. სანამ ნამყენს შეიძენდეთ, გაიცანით თქვენი მიწის თვისებები და იმისდამიხედვით შეურჩიეთ საძირე ამერიკული.

2. მიწა უნდა დამუშავდეს მისი ღირსების დაგვარად. ყოველ შემთხვევაში სჯობია, თუ გარემოება ხელს გიწყობთ, რამდენიმე თვის წინათ.

3. ნოყო ადგილებზე საზოგადოთ არ ვარგა ვაზის დარგვა და თუ მეტი ადგილი არ მოგეპოებათ, უნდა ძალიან დაიწუროს თხრილებით.

4. მიწის დამუშავების დროს უნდა ამოირჩეს ქვები, ბალახის და ხის ძირები და რაც შეიძლება კარგათ გაიწმინდოს მიწა.

5. სადაც ცივი ადგილებია, იქ ქვები უნდა დარჩეს მიწის ზედა პირზე, რაც ხელს შეუწყობს ყურძნის დამწიფებას.

6. ნამყენის ყიდვის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ნამყენი კარგათ იყოს შეხორცებული და დაფესვიანებული.

7. თუ მშრალი ადგილია, სადაც ვაზი ირგვის და შიში არ არის, რომ ზამთრის ყინვამ წაახდინოს, ან კიდევ ზამთარში სავენახე ადგილზე წყალი არ დგება, იქ შემოდგომით აჯობებს ნამყენის დარგვა და ან გაზაფხულზე, როდესაც მიწა საკმარასათ გათბება და შეშრება.

8. არაფერ შემთხვევაში არ უნდა დარგოთ გოუხარებელი და ულფესვო ნამყენი, ნამყენი ერთი წლის უნდა იყოს შეხორცებული და დაფესვიანებული.

9. იქ, სადაც ვაზი ირგვის, სხვას არაფერს არ უნდა ქონღესა ადგილი. მიწა სუფთათ უნდა იყოს შენახული და გაფხვიერებული.

10. იქ, სადაც ახლათ ირგვის ნამყენი ვაზი, კარგი იქნება გარდა ამორჩეულ ჯიშისა, ცოტ-ცოტა სხვა ჯიშებიც დაირგოს, რომ ადგილობრივი დაკრირვებით გამოარკვევს ამა თუ იმ ჯიშის ავ-კარგიანობა ამ ადგილისთვის.

11. ნამყენის ყიდვის დროს მხოლოდ ღირაებას მიაქციეთ ყურადღება და არა ფასს.

12. ჩვენ მრავალფეროვან და მრავალღირსებიან მიწაზე ერთხელ მიღებულ ფირმებს ნუ დაენდობით, ორამდე მოიშველიეთ აგდეთვე პირადი დაკვირვება— გამოცდილებაც.

ადგილობრივი და ევროპიული საუკეთესო საღვინე ჯიშები.

1. იმერული თეთრი საღვინე ჯიშები.

ჩრახუნა გავრცელებულია ქუთაისის მაზრაში და საუკეთესო ღვინოს იძლევა ს. სვირში. კარგათ იბამს, მწიფდება ეკენისთვის დამლევს, ღვინო მაგარი დგება, ახალო ღვინო ვერ არის გარმონიული მაგრამ რამდენიც ძველდება, იმდენათ რბილდება და იძენს მშვენიერ გემოს და ბუკეტს. რადგან წითელი ფერის მეტ ფასში იყიდება, ამისათვის ხშირათ ღებავენ წითლათ. ნაცარს და ჭრაქს კარგათ ეწინააღმდეგება. ღვინის სიმაგრე საშვალოთ იცის 12,8°

ცოლიკოური. ცნობილია ორი ცოლიკაური: ს. ბაზალეთის და ობჩის („მელქოს“). პირველი დაუმყნელი ცარციან მიწებზე ბაზალეთის მიდამოებზე იძლეოდა სკუკეთესო თეთრ ღვინოს. მაგრამ ამ ჯიშს მხოლოდ ადგილობრივი ხასიათი ქონდა გატანილი, სხვა ადგილებზე იცვლიდა თავის თვისებებს და ამიტომაც არ გავრცელდა. ობჩური ცოლიკოური სხვაგან

გადატანილიც არ კარგავს თავის თვისებას და ამიტომაც დიდი მოთხოვნილება აქვს ამ ჯიშის ნამყენებს. ობჩის ცოლიკოური კარგათ იბამს, ღვინო კარგი და მაგარი უდგება, სხვა და სხვა სოკოთი ავათმყოფობას კარგათ ეწინააღმდეგება. სხვა ღირსებას ისიც უნდა მიემატოს, რომ შესანიშნავათ ხარობს ნამყენი. ღვინის სიმაგრე 13,5°;

ციცქა. გავრცელებულია შორაპნის და ქუთაისის მაზრებში, ძალიან კარგათ იბამს, ყოველ წლივ, ღვინო მშვენიერი დგება, დაძველებული ნაზი, გემოსია, გარმონიული და საკმარისი ბუკეტიც აქვს. არ უნდა ირგვებოდეს, ნოტიო ჩრდილიან და მყუდრო ადგილებში, რადგანაც ნაცარი და აგრეთვე ჭრაქი უჩნდება; მაგრამ თავთავის დროზე წამლობით ეს შიში ქრება; ღვინის სიმაგრე 12,2°.

მწვანე. გავრცელებული იყო ქუთაისის მაზრაში, უფრო ოკრიბისაკენ; ძველ მამულებს ახლა იშვიათად შეხვდებით, ფილოქსერამ ფოთქმის სულ მოსპო, ნამყენი ძალიან ვრცელდება და როგორც სჩანს ისევ შესაფერს ადგილს დაიჭერს. საშვალოთ იბამს, რადგანაც ყურძენს ძალიან სქელი კანი იმისათვის არც გამოსავალი აქვს, დაძველებული ღვინო მშვენიერ გემის და ნაზ ბუკეტს, იჭერ საყურადღებო ჯიშია. ღვინის სიმაგრე 10,7°.

2. წითელი იმერული საღვინე ჯიშები.

ოცხანური საფერე გავრცელებულია, როგორც შორაპნის, აგრეთვე ქუთაისის მაზრებში. დგება კარგი წითელი ღვინო, მაგრამ ოცხანურის ჭაჭას უფრო სხვა თეთრი ჯიშების შესაღებათ ხმარობენ, რადგანაც ყურძენს კანში ბევრი საღებავი ნივთიერება აქვს; ჭაჭას ყოველთვეს დიდი მოთხოვნილება აქვს, და კარგ ფასში იყიდება, განსაკუთრებული სხვლა სჭირდება „ოლიხებზე“ და მაშინ ძალიან კარგათ იბამს. ღვინის სიმაგრე 11—8°.

ძველშავი ბევრს იბამს, დიდი გამოსავალიც აქვს, ღვინო ვარდის ფერი დგება და საშვალო სიმაგრის, სასიამოვნო სახარჯო ღვინოა, შეიძლება თეთრათაც დაყენდეს; ხმპარობენ აგრეთე შამპანიური ღვინის დასამზადებულათ ქუთაისის მაზრაში. ამ ბოლოს დროს ძველშავის ნამყენს ბევრს თხოულობენ ქვემო იმერეთში, მგონი უფრო მობმას უნდა ეხარბებოდენ, ვიდრე სხვა ღირსებას. ღვინის სიმაგრე 11,5°.

კახური საღვინე ჯიშები.

რქაწითელი საუკეთესო თეთრი ჯიშია კახეთში. კარგათ იბამს და კარგი ზდაც აქვს, კარგ პირობებში დარგული და მოვლილი ქცევაზე იძლევა 250 — 300 ფუთამდი. შორაპნის მაზრაში მწიფდება მარიამობისთვის დამლევს. რადგანაც მწიფე ყურძენში სიმჟავე ცოტა არის, საჭიროა ცოტა ადრე მოკრეფა და ამ შემთხვევაში ღვინო კარგი და ხალისიანი დგება და დაძველების დროს მეტი ნაზი გემო და კარგი ბუკეტი ეძლევა. მუუდრო ნოტიო ადგილებზე არ უნდა ირგვებოდეს, სადაც შეუძლიან ნაცარს და ჭრაქს დიდათ ავნოს. წამლობას უნდა ქონდეს მიქცეული ყურადღება. რქაწითელი ვარგა აგრეთვე საჭმელადაც, ლამაზიც ფრის და გემრიელიც. ღვინის სიმაგრე 11,5°.

საფერავი. საუკეთესო წითელ ჯიშათ უნდა ჩაითვალოს ჩვენში, ცნობილია მთელ კავკასიაში. რუსეთში და საზღვარ გარეთაც, იძლევა შესანიშნავ მუქი ფერის ღვინოს, რომელიც შესაფერისად დაყენებული და მოვლილი მიემსგავსება ბორდოს წითელ ღვინოს. საფერავის ღვინო ახალი ვერ არის საკმარისათ ნაზი, მაგრამ რამდენიც ძველდება, სინაზესაც ითვისებს და მშვენიერ ბუკეტსაც. მეტად შეფერებული (გარმონიული) ღვინო უდგება. მით უფრო ღირსეული ღვინო დადგება, თუ დიდხანს არ გაჩერდება ჭაჭაზე, ან არა და ნაწილ ჭაჭაზე დაიდუღებს. ყოველ შემთხვევაში დუღილის დროს კლერტები (ძუნძლა) არ უნდა ჩაყვეს ჭაჭას, ეს გარე-

მოება ყოველთვის უნდა იქონიოთ სახეში ყველა ჯიშების შესახებ, ღვინის სიმაგრე 12,2°.

რაჭული ჯიში.

ალექსანდროული. იძლევა საუკეთესო წითელ ღვინოს რაჭაში, რომელიც ცნობილია ,,ყიფიანის ღვინის'' სახელით. ვაკე იმერეთში ძალიან ადრე მწიფდება, არც ღვინო დგება საყურადღებო და არც ვრცელდება. კარგად ეწინააღმდეგება ნაცარს, მაგრამ ჭრაქს კი ეშინია. ღვინის სიმაგრე 12,5°.

გურული ჯიში.

ჩხავერი. იძლევა ვარდის ფერ ღვინოს, გავრცელებულია მხოლოდ გურიაში. ადვილათ შეიძლება თეთრ ღვინოთაც დაყენება. სულ ხშირათ სიტკბოს ირჩენს დულილის შემდეგ. რამდენათ კარგი იქნება დაძველებული ღვინო, ძნელი სათქმელია, რადგანაც დაძველებულ ღვინოს იშვიათათ შეხვდებით.

ფრანგული ჯიშები.

ალიგოტე (თეთრი). შესაფერისათ გასხლული და მოვლილი იძლევა დიდ მოსავალს, ადრე მწიფდება—მარიამობისთვის შუა რიცხვებში, ძალიან კარგი იქნება მაღალ მთაგორიან ადგილისთვის, სადაც ადგილობრივი კარგი იმერული ჯიშები არ მწიფდება, ღვინო ადვილათ და დიდხანს ინახება, 4—5 წლის ღვინო შესანიშნავია, როგორც გემოთი, აგრეთვე ბუკეტითაც. ალიგოტე თავისი იშვიათი ღირსების გამო დიდათ გავრცელებულია ბესარაბიაში, ყირიმში და ანაპის მიდამოებში, სადაც საუკეთესო თეთრი ღვინო დგება. მას პინოსფან ერთად ხმარობენ შამპანიური ღვინის საკეთებლათ. უდგება საუკეთესო ღირსების შამპანიური ღვინო, სასურველია,

რომ ჩვენშიაც დაიჭიროს შესაფერისი ადგილი ამ ფრიად შესანიშნავმა ჯიშმა. ნაცარის და ჭრაქის არ ეშინია. წამლობა სჭირდება სულ 1—2-ჯერ.

გამე შავი ფრანგული ჯიშია, ადრე მწიფდება და ესეც იმ გვარსავე ადგილებში ხეირობს, სადაც ალიგოტე, კარგად, იბამს. ღვინო კარგი დგება და მალეც ძველდება. დაძველებული ღვინო რბილი და გარმონიულია. საფრანგეთში დიდათ არის გავრცელებული, ჩვენში ჯერ არ არის გავრცელებული. ძალიან კარგი იქნება მთა-გორიან ადგილებისთვის, როგორც კარგი წითელი ღვინის მომცემი ჯიში.

საჭმელი ყურძნების შესახებ.

უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენში ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული საჭმელ ყურძნებს, თუმცა მრავალი კარგი და საადრიო ჯიშებია ფრანგული. ბაზარში გამოაქვთ გასაყიდათ: კუნძა, კრახუნა, ციცქა და სხვა, რომლებიც ძალიან კარგებია, როგორც საღვინე ჯიშები, მაგრამ როგორც საჭმელ ყურძნებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ და თანაც გვიან შემოდიან.

ჩვენ აქ ჩამოვთვლით ზოგიერთ უცხო ჯიშებს, რომელიც როგორც საჭმელად, მასთან სამკურნალო თვისებითაც ცნობილი და გავრცელებულია.

მადნელი ანუ ევინი თეთრია, მტევანი საშვალო იცის თხელი კარგა მოსხო მარცვლიანი, მწიფდება ივანობის თვის ბოლო რიცხვებში, ყურძენი საკმარისათ გემრიელია. ეს ჯიში შეიძლება მხოლოთ ადგილობრივ იხმაროთ გადასატანათ და შესანახათ არ ვარგა; ერთი დიდი ნაკლი კიდევ აქვს, ეს ის, რომ ხშირათ ვერ ყვავილობს კარგათ და მარცვლები მეტად ნაკლები რჩება, მაგრამ შესაფერისი სხვლით და ხელოვნური განყოფიერებით ამ ნაკლს თავიდგან ავაშორებთ.

შასლა დორე თეთრია, უნდა ჩაითვალოს ერთ საუკეთესო ჯიშათ, როგორც საჭმელათ, აგრეთვე სამკურნალოთაც, საფრანგეთში მთელი სოფლები აშენებენ მხოლოთ შასლას და დიდ ფასებშიაც ყიდიან. მტევანი შვათანა იცის კარგა სხვილი რგვალი მარცვლებით, მწიფდება მკათათვის შუა რიცხვებში და მიუხედავათ ამისა შეიძლება ღვინობისთვის დამლევამდის შეინახოს ვაზებზე, არც ლპება და თანდათან ღირსებასაც მატულობს, შესანიშნავათ ინახება საზამთროთ და თავის უფლათ შეიძლება აპრილამდი გასძლოს. შვეიცარიაში მისგან ღვინოსაც აკეთებენ და კარგი ღვინო დგება.

მუსკატი გამბურგისა შავი ყურძენია, იცის მოგრძო თხელი მტევანი. მარცვალი მსხვილი ღა მოგრძო რომლებსაც თეთრი ფერი გადაკრავს, მარცვალი საკმარისათ მაგარი აქვს გემრიელი და განსაკუთრებული გემოსი, უნდა ჩაითვალოს ერთ საუკეთესო ჯიშათ მუსკატებში და საზოგადოთაც. კარგათ იბამს, კარგათ ინახება და აგრეთვე გაგზავნა შეიძლება შორს, გზაში არ ფუჭდება. მიწა, სადაც მუსკატი ერგვის უნდა მშრალი იყოს და ფიცხი ამ პირობებში იძლევა დიდ მოსავალს და დიდ ღირსებიან ყურძენს, ყოველთვის სჯობია მავთულზე გაკრული, მუდმივ ნეკებით.

არის აგრეთვე მრავალი კარგი და საყურადღებო ჯიშები, რომლის სახლებს აქვე ჩამოვთვლი:

ძალიან საადრიო ჯიშები:

მადლენ ანჟევინი
  როიალ
მალენგრი
შასლა გროკულარი თეთრი
— — ვარდის ფერი
— — საადრიო
შასლა დორე

შასლა ვარდის ფერი
შასლა მუსკატი
ჩაუში
განჯური
მუსკატი გამბურგისა

საგვიანო ჯიშები:

მუსკატი ალექსანდრიისა.
ოლიფეტი თეთრი
— შავი
ასტრახანისა
შასლა ნაპალეონი და სხვ.

გ. ჩივაძე.

იმერეთი 1650 წელს.

(**დასასრული** *).

15 ივლისს ალექსანდრე მეფემ გამოუგზავნა ელჩებს ტოლოჩანოვს და იევლევს აზნაური პაატა და შეუთვალა, „საატახტო დიდ მისს ქალაქ ქუთაისში, საკრებულო ტაძარი, ციხე და სასახლე დაეთვალიერებიათ“. მიკიფორემ და ალექსიმ დაათვალიერეს და აწერეს კიდევაც:

„ქალაქი ქუთაისი,—ვკითხულობთ აწერილობაში,—ქვისაა, კედლის სიმაღლე სამი საჟენი, სისქე საჟენი, ქალაქში ტაძრის პირდაპირ ოთხი დიდი პალატია, ამბობენ, მათში კათალიკოსები ცხოვრობდენო. ქალაქში კიდევ 15 კოშკია დიდი და პატარა, ბევრგან დანგრეულან, ამბობენ, წინეთ თათ-

*) იხ. ჟურნ. „განთიადი“ № 1.

რები მოსულან და ზარბაზნებით დაუნგრევიათ კედლები და კოშკები, ახლა იმ დანგრეულ კედლებს და კოშკებს აკეთებენ, დიდი ქალაქის ირგვლივ არის ზომით 1230 საჟენი დიდი, ქალაქი დგას მთაზე, მაღლა, რიონის თავზე.

იმავე დიდ ქალაქ ქუთაისშია საკრებულო ტაძარი, ქვის, ერთთავიანი, ნაშენი ფრიად საკვირვლად, დახურულია სპილენძით 16 კუთხედ, შენობა საჟენის ოდენა და მეტიც ქვითაა აგებული, ეკლესიის ირგვლივ არის 86 დიდი საჟენი. ეკლესიის გარშემოა ქვის ზღუდე ორი საჟნის სამღლე სიგანით ნახევარი საჟენი. ზღუდეზე წმ. კარებთან სამი პალატია რვა დიდ საჟნიანი. ქალაქშივეა სამრეკლო ქვის, რგვალი, მაზე ერთი ზარია ორენიანი, ზღუდის ირგვლივ არის 127 საჟენი დიდი.

საკრებულო ტაძარი ღვთის მშობლის მიძინების სახელზეა, მაში იყო კედლებზე მხატვრობა. ეკლესიაშია რვა რგვალი სვეტი. თაღ ქვეშ გაკეთებულია საუცხოვო აივნები (კომორი). მათზე ეკლესიიდან ასასვლელია და, როგორც ამბობენ, დღესასწაულებზე მეფე და დედოფალი თავადებით ესწრებიან ღამისთევას და წირვას, ისმენენ გალობას და მეფე ყველას უცქერს, ხალხი კი მას ვერ ხედავს.

ეკლესიაში მარჯვნით სვეტთან მეფის ალაგია ქვის, აქ ხატიან მეფენი, მობრძანდება თუ არა მეფე ეკლესიაში, დადგება ამ ადგილზე. პირდაპირ კედელთან ადგილობრივი ღვთისმშობლის ხატია (ოდგიგიტრიი*), გვირგვინი ოქროსი, მინანქრიანი, ღვთისმშობლის სამოსი და მაცხოვრისაც ასეთივეა. აგრეთვე კიოტი საკეტით ჩასმულია ვერცხლში და ოქროში, საუფლო დღესასწაულნი და წმიდანნი მოჭედილია. კიოტი ქვისაა, სიმაღლით ხატამდი, ისე რომ ხელით შეიძლება შეწდომა, კიოტამდი სამი საფეხურია, ასასვლელი ხატამდი, რომ ემთხვიო. იმ ხატამდი სამეუფო კარებისკენ ორი ხატია მაცხოვრის და ღვთისმშობლის, გვირგვინი, შუაგული და არშიე-

*) მოსიარულე, ბინის მცვლელი ხატი.

ბი ვერცხლისაა მოოქრილი, არშიებზე გამოჭედილია წმიდანები, ხატებ შუა ჯვარი ვერცხლისგან ჩამოსხმული, სიგრძით ალაბი, განით სამი მეოთხედი, შეკაზმულია ქვებით ფირუზით და ვინისებით. შუაში ჯვარცმაა ჩამოსხმული, ჯვარცმას ზევით ოქროს კიდობანია, კიდობანში, ამბობენ, პატიოსანი ძელის ნაწილიაო; საკეტი კიდობნის ოქროსია და შემკული წითელი იაგუნდით. ჯვარცმის ფერხთ არის ვერცხლის კიდობანი, კიდობანში პატარა ჯვარია, ამბობენ, პატიოსანი ძელისაა, სიგრძით ორი გოჯი, განით ერთნახევარი, შუაში შემოვლებულია ოქროთი, საკეტი კიდობნის ვერცხლისაა, წვრილი ქვებით შემკული, მიტროპოლიტის თქმით, იმ ჯვრისგან იქნების სასწაულიო.

სამეუფო კარების იმავე მხრით ღვთისმშობლის ხატია ყრმით (ლახერის), ადგილობრივი. გული და გვირგვინი ოქროშია მინანქრიანი, ღვთისმშობლის გვირგვინში ლურჯი იაგუნდია დიდი, გვერდებზე მიჭედილია ორი კიდობანი ოქროსი, როგორც ამბობდენ, წმ. მოციქულის თომას ნაწილით, არშიები ხატის, კიოტი და საბნევი ვერცხლისა აქვს, საბნევებზე გამოჭედილია დღესასწაულები და წმიდანნი, ბუდე მოოქრილია. ამბობენ, ის ხატი მოსვენებულია სამეუფო ქალაქიდან (კონსტანტინეპოლიდგან) რაიცა ესვენა ლახერის საყდარში, და იმ ხატით მეფე კონსტანტინემ დალოცა თავისი ქალი, როცა მიათხოვა იმერეთის მეფეს დავითს და მოიტანეს თან ქუთაისს, იმ ხატისგან იქნების ხოლმე დიდი სასწაული. იმ ხატს ჰქონდა ბევრი ნივთები ოქროსი და წვრილი ქვებით, ყველა ჭურჭლები მარგალიტებით იყო შემკული, და ეს წაართვა მას კათალიკოსმა არტემონმა*), გაიკეთა თავისთვის გვირგვინი, კვერთხი, ქუდი, საკისთვის და სამკლავებისთვის ფოლაქები, წავიდა მერე ქუთაისიდან დადიანთან და ყველა ეს თან წაიღო. გზაში დაეცენ ყაჩაღები, კათალიკოსი გაექცათ მათ და ჩამოვარდა ცხენიდან და სასიკვდილოთ დაშავდა, იმ

*) ევდემონი უნდა იყოს.

საუნჯით დიაკონი და სხვანი მთაზე გაიქცენ, კათალიკოსი მკვდარი იპოვნეს, მოასვენეს ქუთაისს და დაასაფლავეს ქალაქ გელათში. გვირგვინი და საკი დასდვეს ქუთაისში საკრებულო ტაძარში და ახლაც იმავ საკში და გვირგვინში სწირავს კათალიკოსი. მარცხნივ ღვთისმშობლის მიძინების ხატია ყრმით, ოქროს გვირგვინებით, მინანქრით მაზე ხატიან მთავარ ანგელოსნი მიხეილ და გაბრიელ მინანქრიანი, გული, არშიები, კიოტი და საკეტი ვერცხლშია, კიოტზე და საკეტებზე საუფლო დღესასწაულებია და წმიდანნი ხატიან.

ამავე ხატის შესახებ ამბობდენ იმ საკრებულო ტაძრის მღვდელნი, შავი ხუცესი გაბრიელი, და მისი შვილები ზაკხე და სიმონი, რომ წინეთ ეს ღვთის მშობლის ხატი იყო გურიაში და ესვენა საკრებულო ტაძარში ქალაქ პალიასტომში და გამოეცხადა ღვთისმშობელი იმ ეკკლესიის დეკანოზს სილიბისტროს და უთხრა, წადი ეკკლესიაში და წაასვენე ხატიო, გაიტანე ქალაქ პალეასტომიდან, რადგან ქალაქი წარღვნით მოისპობაო. დეკანოზი არ ერწმუნა სიზმარს. მერე კიდევაც გამოეცხადა ღვთისმშობელი დეკანოზს ორგზის და იგივე უთხრა რომ ქალაქი დაიქცევა წარღვნით და ხატი წაიღეო. დეკანოზმა არ დაუჯერა, არც არავის გაუმხილა, თვითონ კი ცხოვრობდა ქალაქ გარეთ სხვა ეკკლესიაში. აღსრულდა ნება ღვთისა და ქალაქი დაიღუპა. ხატი გადარჩა, გამოვიდა და ჰაერში დადიოდა. იმ დეკანოზმა შეამჩნია ეს, დავარდა მის წინ და ცოდვების განტევება შესთხოვა; მერე მივიდა და ემთხვია, ხატი ხელებში ჩაისვენა და უბრძანა, რომ ქუთაისში წაესვენებია. მან მოასვენა და დაასვენა საკრებულო ტაძარში, მას აქეთ იმ დეკანოზის ნაშიერი უცვლელად მსახურებს იმ ხატს. ეს იყო მეფის გიორგის დროს, დავითის შვილის შვილის დროს, წელნი კი არ ახსოვთ, და ხატს, კიოტს ზევით აფარია წითელი ხავერდი, ხატის წინ ჰაღია ვერცხლის. ალექსი დიაკმა (მდივანმა) ჰკითხა მიტროპოლიტს ზაქარიას მართალია თუ არა ყველა, რასაც ამ ხატის ჰაერით წამოსვლაზე ამ-

ბობენო. მან დაამოწმა რომ მათ წერილში ყველაფერი ასე უწერიათ.

იმავე საკრებულო ტაძარში საკურთხეველშია ტრაპეზზე სამოსი ოქროსი ლ ხავერდის ჯვარი მსხვილი მარგალიტით მოჭედილი. ტრაპეზზე სახარებაა; ფიცრები მოჭედილია ოქროთი, ზედ ჩამოსხმულია ჯვარცმა. მეორე ფიცარზე მაცხოვრის, ღვთისმშობლის, იოანნე ნათლისცემლის ხატებია, ოქროსი და მინანქრის; ჭურჭელნი ოქროსია ყველა, ორი საცეცხური ვერცხლისაა, ძეწკვთშუა ჯვრები უსახურაო. სხვა აღწერილობა ამ ეკკლესიის ზევითაა მოყვანილი წირვის დროს.

იმავე ქალაქ ქუთაიში ტაძრის უკან ციხეა ოთხ კუთხიანი. კედელი სიმაღლით ოცი საჟენია, სისქით საჟენზე ნაკლები. გარშემო კედლებზე შვიდი კოშკია, 12 საჟენი სიმაღლეა, ქალაქ გარშემო 202 დიდი საჯენია, კარები ერთი აქვს ქალაქს რკინის საკეტით, ციხე-ქალაქში წმ. მოწამის გიორგის ეკლესიაა, კედლებზე მხატვრობა აქვს, ეკლესიაში ელჩები არ შესულან, რადგან დაბეჭდილი იყო მეფის ბეჭდით.

ქალაქის კედელზე აშენებულია სამეფო დარბაზები, დარბაზებშია მხატვრობა კედლებზე, დარბაზების წინ სამი ზარბაზანი დგას.

იმავე ციხე-ქალაქში ყურის ქოშკში სარდაფია მეფის ალექსანდრეს ბეჭდით დაბეჭდილი. ამბობდა მეფის კაცი, იმ კოშკს შვეშ გვარჯილა ამოდის ყოველ წლობიდ იღებენ ,ექვს-ექვს და მეტსაც ქვაბს.

დიდ ქალაქ ქვითკირის ქუთაისის და უმცროს ქვედა ქალაქ ქუთაისის გარშემო რიონის ორივე ნაპირზე შემოვლებულია თხრილი და ქვის ყორე. ყორეზე დადგმულია კოშკები ხის მეომრების სავარჯიშოდ, ამ ყორის გარშემო ოთხ ვერსზე, უკანაც ორი-სამი და მეტიც ვერსტის სიშორეზე მიწას ხნავენ და თესვენ ჭურს ყოველნაირს, ხორბალს, ქერს, ფეტვს, მუხუდოს, ლობიოს.

ქუთაისის გარშემო 5—9 ვერსზე თავადების სოფლებია ბევრი. სოფლებში ეკლესიები ქვისა და ხის, აგებულია კოშკები ქვის საზარბაზნეებით, სოფლები მთებშუაა მთებზე და დაბლობებში, ქალაქი ქუთაისი კი მდებარეობს დადიანის ქვეყნიდან ნახევარი დღის სავალზე, შავ ზღვამდი ქუთაისიდან რიონით ორი დღის სავალია, ხმელეთით ერთი დღის, შავი ზღვით მოდიან რიონით დონის ყაზახები და თავადს დადიანს ხარკს ახდევინებენ ყოველ წელს, სოფელ-ქალაქსაც ანგრევენ.

18 ივნისს მოვიდა ქუთაისში პალესტინიდან ათონის მონასტრების ორი მოხუცი, ერთი აბესალომი, მეორე შავი დიაკონი ისაკი, და იყვნენ ელჩებთან მიკიფორესთან და ალექსის თან და ამბობდენ, რომ მათი ათონის მონასტრის მამულები არის სამეფო ქალაქში, საქართველოში, იმერეთში, სადადიანოში, საგურიელოში; ნაბოძები არიან ეს მამულები უწინდელი კეთილმორწმუნე ბერძნის და იმერეთის მეფეთაგან, ისინი გამოგზავნილნი არიან იმერეთში, საქართველოში და სადადიანოში თავიანთ ძმებთაგან ღალის შესაკრებად გლეხებში. მონასტრიდან აგზავნიან ორ-სამ მოხუცს, ერისკაცი მათ მონასტერში არ ცხოვრობს, შეკრებულს ღალას და პურს ყიდიან, მიაქვთ ძმებთან ათონში და დავთრებით ანგარიშს აძლევენ.. მათვე უამბეს ელჩებს, რომ 159 (?) წელს იყვნენ იგინი დადიანის ქვეყანაში, ხობის მონასტერში, რომელ მონასტერშიც არის ეკლესია ქვისა, ღვთისმშობლის მიძინების სახელზე, აშენებული ბერძენთ იმპერატორის ირაკლისაგან, ეს ეკლესია მარმარილოთია აშენებული. მონასტერში დაკულია წმინდა ღვთისმშობლის პერანგი. ძველი დროიდან მოიტანა ის პერანგი სამეფო ქალაქიდან ვილაცა მწიგნობარმა (книго-хранитель) იმ დროსა, როცა დევნა იყო ხატებისა თეოფილე მეფის დროს. პერანგის ამბავი უამბო მათ კათალიკოსმა მაქსიმემ და გოლგოთას იღუმენმა მიკიფორემ იმ დროს, როცა იგი შავი დიაკონი ისავი ეხმარებოდა კათალიკოსს წირვაში; ის პერანგი მიტკლისაა, ანუ ქისიისა, მაგრამ კარაგად

არ უნახავთ, პერანგი შაქრის ფერისაა, დაკრძალულია ვერცხლის კიდობანში იმ ეკლესიის საკურთხეველში დადიანის და კათალიკოსის ბეჭდით დაბეჭდილი. კათალიკოსმა მოხუცებს (ბერებს) უჩვენა და მათ სიგრძე—სიგანის ზომა აიღეს, ეს ზომა მოუტანეს მიკიფორეს და ალექსის პატიოსნად შეხვეულ საწერ ქაღალდში, თვითონ იმ მოხუცებს ეს ხომ დააქვთ თავზე კამილავკების ქვეშ. მიკიფორემ და ალექსიმ მოხუცთ ეს ზომა გამოართვეს შემდეგისათვის საცოდნელად.

ალექსიმ მიტროპოლიტ ზაქარიას ჰკითხა, ის პერანგი ღვთის მშობლისაა თუ არა. მიტროპოლიტმა უპასუხა, რომ პერანგი მართლა ღვთის მშობლისაა, უნახია ბევრ გზის, მოუტანია სამეფო ქალაქიდან წიგნთა მცველს წმ. ხატებზე დევნის დროს, იმ პერანგისაგან ბევრი სასწაული მომხდარა, ეხლა კი შეწყდა, ვინაიდგან თავადი დადიანი გამახმადიანდა.

იმავე ეკლესიაშია ნაწილები წმ. მოწამის კვირიკესი მარჯვენა ცოკხალი ხელი ხორცით, იქვე ნაწილი მაცხოვრის სვეტიცხოვლის და სხვა წმიდათა ნაწილები, მაგრამ დავიწყებულნი არიან, უსანთლოდ და უგალობოდ. სასწაული იმ ნაწილთაგან არის თუ არა ეს აღარ უწყიან, მათ დროს არაფერი არ ყოფილა. ქუთაისიდან იმ ხობის მონასტრამდი ორი დღის სავალია. ალექსიმ მიტროპოლიტ ზაქარიას ჰკითხა, მის მეუფების უდიდებულესობამ (ე. ი. რუსის მეფემ) რომ მოწეროს ამაზე (ამ ხატის გაგზავნა) მეფე ალექსანდრეს და კათალიკოსს, ესენი გაუგზავნიან თუ არა მას მოსკოვში? მიტროპოლიტმა უპასუხა, თუ მოიწერება, ესენი შეუსრულებენ სურვილსო.

ივლისის 19 მოვიდნენ ქუთაისს მეფის ალექსანდრეს აზნაურნი ხოსია ბ ბაატა ელჩებთან და მოუტანეს ფურცლები. მეფე სწერს ალექსის ჩვენზე უდიდესის და ყოველი საქრისტიანოს თავის მეფის ალექსის მიხეილის ძის ელჩს მდივანს ალექსის ივანეს ძეს მრავალგზის თავს ვუკრავ. გვაპატიეთ, ასე რომ

მიგატოვეთ ბევრი საქმეებისა გამო და ახლა აქ მობრძანდით ჩვენთანო*).

ამავე დღეს მოვიდა დადიანიდან ქუთაისში თეიმურაზ მეფის კაცი რამაზანი და ნიკიფორე ინახულა. ილაპარაკეს საიდუმლოდ, ასე რომ ალექსი ეევლევს არა გააგებინეს რა, ასტრახანელმა თარჯიმანმა ივაშკა ტიზიჩენკომ აცნობა საიდუმლოდ ალექსის ამ რამაზანის მოსვლის მიზანი. ამბავი მოეტანა ალექსანდრე მეფისათვის, რომ დადიანი მოდის შენთან დასამოყვრებლად, ქალი უნდა შერთოს ალექსანდრეს ვაჟსო. ეს დადიანი ლევანი იყო. ამავე რამაზანმა მოუტანა ამბავი მეფესო, რომ დონის ყაზახების (რუსები) კონსტანტინეპოლში იყვნენ, ტყვედ ჰყვეს ათას სულზე მეტი, მრავალი თათარი დახოცეს, ამან ძლიერ შეაშინა დადიანი, მოსკოვის მეფეს ეხვეწება დონის ყაზახების მოშველებას თათრების წინააღმდეგ და მეფე ალექსანდრე კი თავის ჯარს გაგზავნისო. ამასთანავე ქალალდიც მოუტანა ტოლოჩანოვს დადიანისო, რომელი ქალალდიც ნიკიფორეს მოძღვარმა მიხეილმა გადაუთარგმნაო.

20 ივლისს მეფის ალექსანდრეს კაცებმა, თავადებმა ქაიხოსრომ და პაატამ, ელჩებს ცხენები მოგვარეს და მეფესთან ხლება უბრძანეს სკანდეში. რაც მათ ჯაუყონებლივ აღასრულეს. მისვლისას ერთი ვერსის ახლოს დაბინავდენ კარვებში. 22-ს სტოლზე მიპატიჟებულნი იყვნენ მეფესთან. აქვე ზაფხულობდა მეფე თეიმურაზიც შვილებით, მემკვიდრეებით ლუარსაბით და ნიკოლოზით. სადილზე მიპატიჟებულს თეიმურაზს ალექსანდრე კარვიდან გამოეგება, შებძანდენ ერთად კარვებში და მერე ელჩები მიიწვიეს. ელჩები ჯერ უკრავენ თავს ალექსანდრეს, მერე თეიმურაზს მემკვიდრეებით. ყველანი ყიზილბაშურად ისხდენ ბალიშებზე. ზურგის უკანაც ბალიშები ქონდათ. ელჩები მემკვიდრეებთან დასვეს სკამზე და მაგიდა დაუდგეს წინ, კრებული იჯდა მარჯვნით, თავადობა ორივე გვერდით, და თავზე საკუთარი კაცები ადგათ. შუა ჭამაში

* მეფე ალექსანდრე ამ დროს საზაფხულოთ იყო სოფელ სკანდაში.

ადგენ ფეხზე, გაავსეს თასი და გაუგზავნეს ელჩებს პეშენგას ხელით. ამან მოახსენა ელჩებს, რომ მეფეები სმენ დიდი ბატონის ალექსი მიხეილის ძის სადღეგრძელოს, როგორც მისი ყმანი და მისთვის თავგასაწირავად მუდამ გამზადილნი. ელჩებმა ჯერ მადლობა მოახსენეს და მერე ორივე მეფე და მუმკვიდრეები ადღეგრძელეს. მასთანვე უსურვეს, რომ რუსის მეფე მათი მოწყალე ყოფილოს მუდამ. მეფეებმა კიდევ გაიმეორეს, რომ ისინი სამუდამოდ რუსის მეფის **„ხოლოპები“** იქნებიან. მეფე ალექსანდრეს ამ დროს კარვები ქონდა გამართული სკანდეს ქვევით ნახევარი ვერსტის დაშორებით.

ქალაქი სკანდე, ამბობენ ელჩები,—სდგას მთაზე, ქვისაა, ოთხ კუთხე, ცხრა საჟენის სიმაღლე კედლებში, კედლებში ოთხი კოშკია ზარბაზნებიფ. იქვე ქვის ეკლესიაა, უჯვროთ, წმ. გიორგის სახელზე, კედლები მოხატულია, ეკლესიაში სამი ხატია. მაცხოვრის, ღვთისმშობლის და წმ. გიორგის, ვერცხლში ჩასმულნი, ოქროში დაფერილნი, მაცხოვრის ხატს ოქროს გვირგვინი აქვს, მინანქრით ნაწერია. ქალაქის კედელზე დარბაზებია დამართული სამსართულიანი, ზედა სართულში მეფის საუნჯეა შენახული, აქვეა რუსის მეფის წყალობაც. იქვე დიდი ბელლები პურით დატენილი, სარდაფის ნაცვლად, მიწაშია დაფლული დიდი ქვევრები ღვინით სავსენი. ქალაქის ირგვლივ იქნება **120** დიდი საჟენი.

ქალაქის მისავალში მოედნებია კენჭით მოკეთებული; მისავალი ერთი აქვს, ასაღებად ფრიად ძნელი, ქალაქი ქვისაა, იქვე ოცდაათამდე საცხოვრებელი სახლია, ზოგიც მთის ქვეშ ცალცალკე მაგარ ალაგებზე მეომარი ხალხის მისასვლელად. ქუთაისიდან სკანდემდი **30** ვერსტია, გარშემო გაშლილი ალაგები აქვს **60** ვერსტამდე, მდინარე ყვირილამდე **20** ვერსტზე მეტი იქნება. აქეთ იქით მრავალი ქალაქ-სოფლებია მცხოვრებლებიფ, მდინარე ყვირილა რიონს ერთვის ქუთაისს ქვევით ექვსს ვერსტზე. იმასაც უმატებენ ელჩები, რომ ყვირილა

გურიელის მთებიდან გამოდისო (!) და ალექსანდრეს ქვეყანაში ჩაივლისო.

მდინარე ყვირილაზეო, მთის ქვეშ მეფის ალექსანდრეს ქალაქი სვირი არისო, ქვის ეკლესიიფ ღვთისმშობლის სახელზე. ხატი ადგილობრივია, ოქროთი გაჭედილი და ქვებით მორთული. შესამოსელი ღვთისმშობლის მოჭედილია შუაგული, არშიები და ბუდე ვერცხლით; კიოტზე და საბნევებზე ხატიან ოქროში დაფერილი დღესასწაულები და წმიდანნი.

ილუმენ ვასილის სიტყვით, რომელიც მოსკოვში იყო, ეს ღვთისმშობლის ხატი სასწაულმომქმედია, ურწმუნო და უწმინდური ვერავინ შეეხება, სადაო საქმეებშიც ისაა გადამწყვეტი; ასვენია ქალაქ სვირში ქვიან გორაკზე, ფეხით მისავალ ალაგზე, აქვე არის ხაზინა მეფის ალექსანდრესი. სვირიდან მდ. ყვირილით რიონამდე 20 ვერსტია, რიონი შავ ზღვას ერთვის, ზღვიდან რიონზე ნავები ამოდიან ყვირილამდე.

27 ივლისს კაცის პირით აცნობეს ელჩებს, რომ თათრის ხონთქარს ელჩები გამოუგზავნია (ალექსანდრესთვის), მტრები აგვესიენ ვენეციელები, ფრანგები, ნემცები და შენ არავის მიემხრო და თავზე არავინ დაგვასხაო, მეფემ შეუთვალაო, რომ სხვა ურჯულოს არავის მივემხრობი და შენ (ხონთქრის) ნებასაც არც კი მოვისმენო, რადგან რუსის მეფე ვიპოვე მოწყალე და მას აღუთქვი საუკუნო მორჩილებაო. ხონთქრის კაცებს არ ესიამოვნათ ეს, მაგრამ სიტყვის ნებაც არ მისცეს, ისე გაუშვეს უპატივცემულოდ იმავე დღეს.

ამასთანავე უამბეს ელჩებს, რომ მეფე ალექსანდრემ მოწყალე რუსის მეფის სახელზე და ბედზე ყეინის საზღვრებზე ჯარი გაგზავნა, თბილისი დაარბევინა, ურიცხვი ტყვე წამოასხმევინა, მათში ვინც ქრისტიანენი აღმოჩნდენ სათავადო სოფლებში დაარიგა და საზრდო გაუჩინა, უსჯულონი კი ცეცხლში ჩაასმევინა. აწიც ასე იმოქმედებს, მოწყალის მეფის მტრებზე თვითონ ბიიტანს ეერიშს ღვთისა და მეფის მოიმედეო.

კიდევ უბრძანა მოეხსენებია ელჩებისათვის: რომ ძე ბაგრატი და ძმა მამუკა ახლა აქ მყავდეს, თქვენთან ერთათ ვაახლებ მოსკოვის მეფეს მაგრამ ტყვეთ ჰყავს დადიანს წაყვანილი და როცა თქვენ წახვალთ, ღვთისა და ბატონი მეფის იმედით ჯარით წავალ დადიანზე, გამოვიხსნი ძესა და ძმას და მეფეს ვაახლებო.

ბოლოს ისიც მოახსენეს, რომ მეფე ალექსანდრემ კაცები აფრინა ყველა მიტროპოლიტებთან, არხიეპისკოპოსებთან მონასტრებში და ეკლესიებში, რომ ყველგან შეევედრონ ღმერთს დიდი რუსის მეფის ჯანმრთელობისათვის და კვერექსებში მისი სახელი პირველად მოიხსენონო.

29 ივლისის მეფის სტოლზე მიიპატიჟეს ელჩები **„სალაპარაკოდ“**. ელჩები ახლა მეფემ მარჯვნით დაისვა და რუსის მეფის სადღეგრძელო მიირთვა. პატარა ხანმა განვლო და სუფრიდან ადგა მიტროპოლიტი ზაქარია, წარსდგა მეფის წინ და სთქვა, რადგან მეფე ადღეგრძელეთ, ახლა რიგია უწმიდესი პატრიარქი მოსკოვის იოსებიც ადღეგრძელოთო. მეფე აბძანდა; ჯერ მიტროპოლიტებს დაალევინა, მერე მიტროპოლიტმა მიართვა მეფეს, მეფემ ჩამოართვა თასი ფეხზე დგომით დალია პატრიარქის სადღეგრძელო. დაალევინეს სხვებსაც ყველას. მეფე ფრიად მხიარული იყო. კიდევ გაიმეორა ალექსანდრემ რუსი მეფის ქება და სამუდამო ყმობის და მის მტრებთან ბრძოლის აღთქმა. ეს იყო სკანდეში.

4 აგვისტოს ელჩები ქუთაისში გაისტუმრეს და იქ ცდა დაავალეს მეფის მობრძანებამდის. გამოატანეს მათ ბოქაული ზაქარია და ზაკხე. ელჩებმა „გორის“ (წმ. გიორგი ჩხარის) მონასტერში გაიარეს. ეს მონასტერი გზაზეა სკანდედან ხუთ ვერსტზე; ეკლესია ქვისაა წმ. გიორგის სახელზე; ეკლესიაში ხატია ადგილობრივი წმ. საბა ნაკურთხის კიოტში, ვერცხლში ჩასხმული, სამკსი წმიდის, არშიებზე წმიდანნი, კიოტზე და საბნევებზე საუფლო დღესასწაულებია მოჭედილი, მოოქრილი. სამეუფო და ჩრდილოეთის კარებშუა დიდი ჯვარია,

საჟენის ტოლა სიგრძით, განით კი ნახევარ საჟენზე მეტი, ვერცხლში ჩასმული, ვერცხლზე ამოჭრილია ცხოვრება და წამება წმ. მოწამის გიორგის, დაოქრილია, შემკული ფირუზებით, და ბროლით, ჯვარს თვალში (?) ბუდეში უზის ქვა რგვალი და წმინდა, კაკლის ოდენა. ამ ეკლესიის ხუცესმა საბამ ამხანაგებითურთ ამ ქვაზე სთქვეს, რომ მას ალმასს უწოდებენ, შეტყობა კი ძნელია მისი სიმაღლისა გამო. ჯვარს ირგვლივ აქვს კიდობანი, დიდი, ვერცხლისა, დაოქრილია, მის ზევით ოქროს ჯვარია, მაზე ჩამოსხმულია ჯვარცმა, მაში თავია წმ. მოწამის გიორგის, იმავე მღვდლის თქმით შუაზე ჯვარს ისევ კიდობანი აქვს პატარა ოქროს საკეტით მეოთხედი ალაბი სიგრძით, მაზე მიჭედილია მაცხოვრის, ღვთისმშობლის და ნათლისმცემლის ხატები, გვირგვინები შემოსხმულია მარტალიტებით და იაგუნდის სხივებით ამბობენ, ამ კიდობანში წმ. გიორგის ხელიაო, ჩვენებით კი არ უჩვენეს ელჩებს, უთხრეს, მეფის ბეჭედი ასვიაო.

საბა ხუცესის თქმით, ეს ჯვარი თბილისიდან მოტანილია ორმოცი წლის წინათ, ამაზე წინ კი ის იყო ქალაქ ვალკოში (Валкъ). როცა ეს ქალაქი დაანგრია ხონთქარმა და როცა ყაინმა იწყო რბევა საქართველოსი, ეს ჯვარი იმერეთში წამოასვენეს და ამ ადგილზე მონასტერი აუგეს. ჯვარი ძლიერ სასწაულიანია, ყველას კურნებს. თვით თეიმურაზ მეფე სკანდედან იყო აქ სნეული სალოცავად და განკურნებული წაბძანდა. მონასტერის დათვალიერების შემდეგ ელჩები ქუთაისში წამოვიდენ.

26 აგვისტოს ალექსანდრემ გამოუგზანა ელჩებს ლომკაცა ჯაფარიძე (მოლარე) და შეატყობია მათ, რომ ის რუსეთში მათთან ერთად გზავნის ელჩად ამ ლომკაცას, ჰსურს აცნობოთ, რა საჩუქრები ესიამოვნება მეფეს (რუსისას), რომ ის მიაროვას. გადაწყვიტეს ცხენების მირთმევა და, ზამთრის მოახლოების შიშით ეს ცხენები წინდაწინ გაგზავნეს, სანამ მთებს ჩამოთოვდა.

მაგრამ ელჩები ამით არ კმაყოფილდებოდენ და ითხოვდენ ფიცის შესრულებას.

ალექსანდრემ გამოგზავნა 5 სეკტემბერს ქუთაისში თარჯიმანი ივანე და დააბარებია კრებაზე თავადები ქუთაისში საკითხის გამოსარკვევად. თვითონ დედოფლით მობრძანდა სკანდიდან 8 ენკენისთვეს. 13 ენკენისთვეს შეადგინეს ფიცის ფურცელი ქართულად და წარუდგინეს ტოლოჩანოვს განსახილველად. ფიცის ფურცელში ეწერა: „მე ალექსანდრე მეფე ძით და ძმით მამუკათი, თავადებით და სამეფოთი ვართ მონანი (холопи) დიდის ხელმწიფის მეფის და დიდი მთავრის ალექსი მიხეილისძის მთელი რუსეთისა და მისი შვილებისა სანამ ქვეყანა სდგას“.

14 ენკენისთვეს მეფემ უბრძანა ელჩებს გელათში წირვა მოესმინათ მიტროპოლიტ ზაქარიასი. მეფე ეკლესიაში უცდიდა. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ დაიწყო წესი ჯვარის ამაღლებისა წირვის წინ.

მიტროპოლიტი ზაქარია შევიდა საკურთხეველში; მანტიაზე ჩაიცვა ომფორი, რომელიც გადმოკეცა მხრებზე, აიღო ტრაპეზიდან ხის ჯვარი, გაკეთებული, როგორც ამბობენ, ცხოველმყოფელი მაცხოვრის ძელისგან, ზომით მეოთხედი ალაბისოდენი, ჯვარზე ჯვარცმა იყო გამოჭრილი, დაჰყარა სურნელოვანი ბალახები ლამბაქზე, ზედ ჯვარი დაასვენა, აიღო ლამბაქი ჯვრით, დაიდვა თავზე, წაასვენა აღსავლის კარებიდან მზის აღმოსავლისკენ, ტრაპეზის გარშემო ჩრდილო კარებისკენ, მიტროპოლიტი მკლავებ ქვეშ მიყავდათ ორ დიაკონს, წინ მიდიოდა ერთი დიაკონი ანთებული სანთლით და საცეცხლურით, გზადაგზა უკმევდა ჯვარს, მიტროპოლიტის უკან მოდიოდა დიაკონი და მოქონდა ვერცხლის სურა წმ. წყლით. როცა მიტროპოლიტმა ჯვარი აასვენა ტრაპეზიდან, უკან კრებული გამოყვა და გალობდენ სტიქარონებს ჯვარისას, გამოვიდენ საკურთხევლიდან, დადგა მიტროპოლიტი შუა ეკლესიაში, დადგეს მაგიდა (скамейка) საფენით, დაასვენეს ზედ

ლამბაქი ჯვრით, გარშემო აუნთეს ოთხი სანთელი. მიტროპოლიტმა აიღო საცეცხლური, უკმია ჯვარს გარშემო, მერე საკურთხეველში ტრაპეზს და სამსხვერპლოს, გამოვიდა საკურთხევლიდან, უკმია ხატებს, მერე მეფეს კრებულს, ელჩებს და ერს, მისცა საცეცხლური, აიღო ლამბაქიდან ჯვარი, ბალახით ორივე ხელში დაიჭირა სახის წინ ჯვარი, მოიდრიკა თავი მიწისკენ, სამეფო კარების წინ ისე, რომ მუხლი მიწაზედ არ დაუშვია. იწყეს გალობა მიტროპოლიტმა, არქიეპისკოპოსებმა და ყველა კრებულმა თავისებურად უფალო შეგვიწყალე, ერთი მუხლი იგალობეს წყნარად, მიტროპოლიტმა აიწია ზევით, წელამდი და იწყეს იგივე გალობა მეტი ხმით, მესამე მუხლზე აიწია წელს ზევით, მეოთხე მუხლზე სრულიად გაიმართა, მხოლოდ თავი არ დახარა, გალობდენ მასვე თანდათან ხმის ამაღლებით. მეხუთე მუხლზე მიტროპოლიტი დადგა სწორა, ამართა ჯვარი თავზემოდ გალობდენ ისევ უფალო შეგვიწყალენს, თითო მუხლზე ოცოც და ათ გზის. შემდეგ მიტროპოლიტი წამოვიდა სამხრეთის მხრით და აღმართავდა ხოლმე ჯვარს ისე, როგორც პირველ ხუთ მუხლზე, გალობითაც მასვე გალობდენ მესამედ აღსავლის კარებიდან (ე. ი. აღმოსავლეთით, მეოთხედ ჩრდილოეთის მხრით, მეხუთედ წამოვიდა მიტროპოლიტი დასავლეთის კარებით აღსავლის კარებისკენ და შეასრულა ჯვრის ამაღლება ისევ ხუთ მუხლად, გალობდენ ხუთგზისვე ოცოც და ათ უფალო შეგვიწყალენს ჯერ წყნარი, მერე და მერე მომეტებული ხმით.) ჯვარს რომ ამაღლებდა მიტროპოლიტი, დიაკონი წყალს ასხურებდა ჯვარს, კვერექსსაც ამბობდა და შიგ იხსენებდა სახელს ჯერ ხელმწიფის და დიდი მთავრის ალექსი მიხეილისძისას, მერე ალექსანდრე მეფისას; ამაღლების შემდეგ მთელმა კრებულმა იწყო გალობა სტიქრონებისა თავისებურად, მერე მობრძანდა მიტროპოლიტი, აიღო ლამბაქიდან მარცხენა ხელში ჯვარი, მარჯვენაში უსუპი, შევიდა საკურთხეველში, ასხურა ტრაპეზი, სამკვეთლო და საკურთხეველი, გამოვიდა საკურთხევლიდან, ასხურა ეკლესიის ოთხი კუთ-

ხით, დადგა შუა ეკლესიაში, ემთხვია ჯვარს და ისხურა თავი, მერე მობრძანდა მეფე, უწინარეს ჯვარს ეამბორა, მერე მიტროპოლიტს აკოცა ხელზე, მიტროპოლიტმა ასხურა წმ. წყალი, რომელიც ჯვარზე გადაავლეს, მეფის შემდეგ მივიდენ მთავარეპისკოპოსები, შემდეგ ნიკიფორე, ალექსი, მთელი ერი, ჯვარი მარცხენა ხელში ეჭირა მიტროპოლიტს, უსუპი მარჯვენაში. ჯვარის ამაღლების შემდეგ ორმა არქიმანდრიტმა დაიწყო წირვა, მათთან ერთმა მღვდელმა (ОБѢДНЫЙ ПОПЪ), ორმა დიაკონმა. თვითონ ზაქარია მიტროპოლიტს არ უწირავს, არამედ გალობდა საკრებულოზე ერთად არქიეპისკოპოსებთან და იღუმენებთან.

ნაწირვებს მეფემ უბრძანა თავის მოძღვარს მიტროპოლიტ ზაქარიას ჯვრის გამოსვენება შუა ეკლესიაში, დააჭერია არქიმანდრიტს, მოიწვია მეფემ ელჩები და უთხრა; მე კაცი ვაახელი თქვენ მეფეს, მან ელჩები და წყალობა გამომიგზავნა, ახლა თქვენთან ვასრულებ მისს ბრძანებასო. მერე მოიტანა მოსკოვიდან გამოტანებული ფიცის ღრამატა, მოართვეს მეფეს. მეფე ალექსანდრემ უბრძანა თარჯიმანს წაეკითხა ღრამატა, როცა მოისმინა, მოატანინა თავის ფიცის ფურცელიც და ორივ ჯვარს ქვეშ ამოდვეს, აიღეს ელჩებმა და ჯვრიანა ეჭირათ ხელში თავ-ბოლოთი; მივიდა მეფე ჯვართან, გამოისახა პირჯვარი და უთხრა ელჩებს, რომ მე, ჩემი ძმა მამუკა, ძე ბაგრატი, მიტროპოლიტი, არქიეპისკოპოსნი, თავადნი, აზნაურნი ყოველი ერი ვიფიცავთ დიდი ხელმწიფის ერთგულობაზე და საუკუნო მონობაზეო. მერე პირჯვარი გამოისახა, ემთხვია ჯვარს, დაუკრა მიწამდი თავი, აღიმართა თავი, ცრემლები გადმოღვარა და ლოცულობდა ხელმწიფის ჯანმრთელობისათვის. მერე უბრძანა ყველას მთხვეოდენ ჯვარზე, რაც მათ შეასრულეს ერთგულობის განმეორებით. შემდეგ თვითონ მეფე მიტროპოლიტთან წაბრძანდა სადილზე და ელჩებს კი დაავალა ჯვარზე მიყვანა ერისა. ელჩებიც სუფრაზე მიიწვიეს და მარჯვნით დასვეს. ჭამაში მეფე ორგზის ადგა, გამოვიდა სუფ-

რიდან და რუსის მეფის სადღეგრძელო დალია, თანაც შეაქო და იმედები გამოაცხადა წყალობის მიღებაზე. სადღეგრძელო ყველას დააცლევინეს, და შემდეგ ელჩებს გამოუცხადა, მე ჩემი ფიცი შევასრულე და აწი თუ გნებავსთ უკანვე მიბრძანდითო.

მაგრამ ელჩებმა მოახსენეს შუამავლის პირით, მეფეს რომ ერთგულობა ჰქონდეს გულში, ღრამოტაზე ხელს მოაწერდა და სხვებსაც მოაწერინებდაო. მეფემ უპასუხა ამაზე, მე წერა არ ვიცი მხოლოდ ბეჭედს დავკრავ და მიტროპოლიტები და თავადები კი ხელს მოაწერენო.

ელჩებმა ეჭვი აიღეს და მოითხოვეს, მეფის ბეჭედი გვიჩვენეთ, რა წერიაო ზედო. როცა მიუტანეს ზედ მარტო მეფის სახელი ამოიკითხეს, დაიწუნეს და ახალი ბეჭედის მოჭრა მოითხოვეს. მეფემ ესეც აღუთქვა, მაგრამ არ იცოდა, რა დაეწერა ზედ და შეუთვალა, როგორც გნებავსთ, ისე შეადგინეთ და მოვაჭრევინებო. ელჩებმა ასეთი ნიმუში გაუგზავნეს: „მეფე ალექსანდე, ძმით თვისით, ბატონიშვილით მამუკათი და ძით თვისით ბაგრატით და ყოველი თავისი იმერეთის სამეფოთი მეფის თვისის დიდი მთავრის ალექსი მიხეილისძის საუკუნო მონანი“. მეფემ ეს ბეჭედი ოქროსგან გააკეთებინა.

23 ეკენისთვეს მეფემ რუსის მღვდელს (ელჩთაგანს) აწირვინა გელათში მიტრაპოლიტ ზაქარიას წირვაში და დიდად მოეწონა. „ჭეშმარიტი წირვაო“— თქვეს ყველამ. წირვის წინ კვეთაც უყურეს ამ მღვდელს და ესეც ძლიერ მოიწონეს. ნაწირვებს მიტროპოლიტთან ისევ სადილი გაიმართა

6 ოქტომბერს ელჩებმა მეფის ნახვა ისურვეს, მაგრამ არ მიიღო დედოფლის უქეიფობის გამო.

7 ოქტომბერს მეფემ ინახულა **თხემის ადგილზე** ელჩები და გაუმეორა, რომ მისმა წინაპირებმა, მართლმადიდებელმა მეფეებმა რუსის დიდი მეფე არ იცოდენ, მხოლოდ ახლა შეიტყო მან, ალექსანდრემ ეს სიმამრის მეფის თემურაზისაგან და კიდეც შევიდა მის მფარველობის ქვეშ. ახლა მას თავის

კაცებს აახლებს: ლომკაცა ჯაფარიძეს, არხიმანდრიტ ევდემონს (Артем нѣ), თანაც შემდეგ ამის სადილის დროდი მეფე მოედანზეა სობძანღა მიტრაპოლიტებით და თავადებთან სასეირნოდ. ეს იყო გელათში.

8 ოკტომბერს ფიცის ხელის მოწერა და დაბეჭდვა მოითხოვეს ელჩებმა. 9-ს გამოეცხადათ მათ, რომ ქუთაისში წასულიყვნენ, სადაც მეფემაც აღუთქვა მისვლა ფიცის შესასრულებლად. მობძანდა მეფე მართლა, შევიდა საკრებულო ტაძარში (ბაგრატის), ემთხვია ხატებს, მერე გარეთ გამოვიდა ელჩების წინ ქაღალდები დააბეჭდინა და შემდეგ აკოცა ბეჭედს, გადასცა ქაღალდები ელჩებს, დაუკრა მდაბლად თავი. მიკიფორემ და ალექსიმ ჩამოართვეს. მერე უთხრა ელჩებს: „აქამდი მე, მეფე ალექსანდრე თვითმპყრობელი, არც ერთ მახმადიან მეფეს არ ვემორჩილებოდი, არც მათი რჩევა მიმღია, წინავუდექ მათ და მართლმადიდებელ სარწმუნოებისათვის მათთან ვიბრძოდი, წმ. ღვთის ეკლესიანი არ წავაწყმედიე, მეფობა ჩემი და ერი დავიცავ და ახლა თავი დიდი მეფის ალექსი მიხეილის ძის ფეხ ქვეშ მოვიდრიკე... მის კალთას მივეპყარ და საუკუნო ყმა შევიქმენ... არც ულალატებ, სანამ ქვეყანა სდგას... მაგრამ მისმა ხელმწიფებამაც ამის შემდეგ ჩემი სამეფოსკენაც უნდა მოიხედოს, ქუთაისში, სიახლოვისა გამო, სარდალი გამოაგზავნოს ხოლმე და სამეფო მტრებისაგან დაიცვას, ყველაფერში სამართალი დაამყაროს, და მან, მეფემ ალექსანდრემ ქვეყანა თავისი გაწმინდოს, მტერი კი მისი დადიანი, მთავარი ლეონტი მას და მის ხალხს მტრობს, ყანებში ქურდულად და მოტყუებით ხალხს იჭერს და ტყვედ ხყიდის და ათათრებს. ესმა მას, ალექსანდრე მეფეს, რომ დიდ ელმწიფეს თავისუფალი ყაზახები ჰყავს დონის, ისინი ხშირად სადადიანოში დადიან და მის ქვეყანას იკლებენ, ახლაც ინებოს მათმა ხელმწიფებამ გამოგზავნა ამ ყაზახების შავი ზღვით სადადიანოზე, მეც აქედან დიდ ჯარს მივაშველებ, ამით მას, დადიანს, შევაშინებთ, მის ხელმწიფების მორჩილებაში მოვიყვანთ

და მართლმადიდებელი ხალხი ისევ ჭეშმარიტ გზაზე დადგება და მართლმადიდებელ სარწმუნოებას მოიგონებსო!

მერე დასძინა, ძმა ჩემი მამუკა დადიანმა ტყედ წაიყვანაო, ამანათად მომთხოვა ძე ბაგრატი, რომ მამუკა გაენთავისუფლებია, მან კი მომატყუა და აღარც შვილი დამანება და აღარც ძმაო. მხოლოდ მათ ხელმწიფებას ძალუძს მათი გამოხსნა და თუ ეს იქნება, მოსკოვში ვაახლებ ორივესო.

შემდეგ დააბარა ელჩებს, თქვენს მეფეს ფრანკელები ყოლია უცხო და უსხო, ჩემის (სიმამრის) თემურაზისთვისაც გაუგზავნია, იქნება, მეც მიწყალობოს, რომ მუდამ ხელზე მიჯდეს და ამ წყალობით თავი მომქონდესო.

შემდეგ დააბარა მეფემ ზარბაზნები, წამალი და ოსტატები მეზარბაზნეები გამოუგზავნოს, იმერეთში ბევრი სპილენძი მაქვს აქ გადავაკეთებინებო. მერე ეკლესიის კარებთან მუხლი მოიყარა, ხელი აღაპყრო, მეფე და ელჩები დალოცა, მონობა გაიმეორა და ბინაზე წაბძანდა. ქაღალდებზე ყველას ხელი მოაწერიეს. თვით მეფის ღრამატაზე ხელი მოაწერეს მიტროპოლიტებმა ზაქარიამ და დავითმა.

შემდეგ ელჩებს გავუგზავნა აღწერილობა სამეფოს ქალაქებისა, მონასტრებისა, მოხელეების ალექსის სიაში ქალაქები შექონდა ბოქაულის ზაკე გარსევანოვის (Кирсеванова) და თარიჯიმანის ბიძინას ჩვენებით. მათ უჩვენეს ის ქალაქები, სადაც მეფე ალექსანდრე დაბძანდება და სადაც მონასტრები და მეფის სასახლეები იყო აგებული.

იმერეთის ქალაქების სია*).

სატახტო ქალაქში: დიდი ქუთათასი, პატარა ქუთათასი,*) გელათი, სკანდე, შეუვარა (შეუვალი?), ხრეითი, კაცხი, შორაპანი, ცერი (წევა), ჩხერი, სუერიუხაი(?) სვირი, უახაი (ვახანი?), კუარაჭი (?), სუირსი(?) უარდი(?) საბეკა, ზნაიმა (ზნაკვა?)ხოტევი, მინდა(?) სადმელი, დეხვირი, აშეკაში (?), ჭყვიში, კვაშტაბი, ლეჯი-

*) სახელები გარყვნილია და ყველა ვერ გავარჩიეთ.

ვი (?), ხარაგაული, ბერეთისა, ჩელახთა (?), მუხურა, ვარჩიცი (ვარციხე, ვარძია ?), ნამაშავი (?), წერიხი (?), საწალი (საწაბლე ?), ბოსლები, ჩალახტი (ჭალატყე ?), შუპორი (?), საჩინში, (საჩინო?), გოშტიბი (გვაშტიბი?), ვახანი, ჩარალა (ჩხერიმელა?) ხრაისტი (?), საზანო, მაჩიუშავრ (მაჩიტოსური?) ქუთარიზი (?), გეგუთი, ვარძია, ტობაკი (ტაბაკინი?), ხიდარი, საჩინო, ხეთირი (ხრესილი?) აბრულა (ამბროლაური?), ლეხიდირი (?), სხვავი, ალექსანდროული, წესი რეხულა, ჟოშაგარი (?), ხრანთი (?), ჟოშხა, კალვანი (?), საკაცი (?), აშკიტი (?) ლეჩხუმი რონხოთი (?), ძეგლევი, ტვერიჟი (?), სუერი (?).

ამბობენ, ამ ქალაქებში წმ. მონასტრებიაო, და მეფე ალექსანდრე დედოფლითურთ იქ დაბძანდებაო, მოგვითხრობენ ელჩები,—სხვაც ბევრი მცირე ქალაქებითო. ქუთაისში ღვთისმშობლის მონასტერია დიდი მიტროპოლიტ სიმონისა, წმ. ღვთისმშობლის მონასტერი გელათში მიტროპოლიტ ზაქარიასი, გერელის (?) ღვთისმშობლის მონასტერი მთავარეპისკოპოზის გაბრიელისა, წმ. დიდი მოწამის გიორგის ეკლესია არქიეპისკოპოს სიმონისა, წმ. ნიკოლოზის ეკლესია მიტროპოლიტ დავითისა, წმ. მეფის და წინასწარმეტყველის დავითის ეკლესია ეპისკოპოს დომენტისა, წმ. დიდი მოწამის ეკლესია ეპისკოპოს კოსმასი, იოანნე ნათლისმცემლის მონასტერი სიმონ არქიმანდრიტისა, იოანნე ღვთისმეტყველის მონასტერი არქიმანდრიტ ანდრიასი, ყოვლადწმ. ღვთისმშობლის მონასტერი არქიმანდრიტ არტემონისა (ევდემონისა), არქიდიაკონის სტეფანეს მონასტერი არქიმ. დიმიტრისა, მაცხოვრის მონასტერი არქიმ. გაბრიელისა, დავით და კონსტანტინეს მონასტერი არქიმ. სიმონისა, ყოვლადწმ. ღვთისმშობლის მონასტერი ქუთაისში არქიმანდრიტ გრიგორისა, დიდი მოწამის გიორგის მონასტერი ქუთაისში იღუმენ დავითისა, ამაღლების მონასტერი იღუმენ სიმონისა, საჩინოს გიორგისავე მონასტერი იღუმენი სიმონისვე, ფერისცვალების მონასტერი იღუმენ

იოსებისა, მიხეილ და გაბრიელ მთავარანგელოზის მონასტერი იღუმენ სიმონისა, ღვთისმშობლის მონასტერი ვარციხეში იღუმენ ფილიფესი, მონასტერი მირონისა, სადაც მირონი მზადდება იღუმენი ნიკოლოზისა, ყოვლად მოწყალის მაცხოვრის მონასტერი გუმათში ზაქარია იღუმენისა, გეგუთის წმ. გიორგის მონასტერი თეოდოსი იღუმენისა.

ამბობენ, ეს მონასტრები ხარისხოვანი არიანო, სხვა სამეფო და სათავადო სოფელ-ქალაქებში მონასტერ-ეკლესიები ხუთასამდი არისო,

როგორც ამბობენ, ალექსანდრე მეფეს თავადი ყავს 100, ამათ სამეფო აზნაურნი დაბალი ხარისხისა, ხუთი, ათი, ოცი, ოცდა ათი. ორმოცდა ათი თითოს, და მათთანვე ცხოვრობენ. როცა მეფე სამსახურში წავა, თავადები და მათი აზნაურებიც მასთანვე ჯარში არიან, სამეფო სამსახურს გარდა არსად არ დადიან ომში. თავადების ყმებიც ასევე მსახურებენ, ჯამაგირს მათ აძლევენ თავადები, ვისთანაც მსახურებენ მეფესთან ომში დადიან ყველანი, თავადებს მეფის წყალობა ყმები ყავთ 500, 1000, 2000), 3000, 5000 და მეტიც.

სამეფო მემამულეები თავადები სიით 1100 და მათ ყავთ სამეფო მსროლელნი (стрѣльцы) თავადებისვე ჯამაგირზე 5,10, 20 და მეტიც მეფესთან დადიან ომში, სამეფო მსროლელნიც ჯამაგირზე 3000 კაცი, რომელნიც მეფის სასახლეში მსახურებენ.

სამეფო მოვაჭრე და სხვა პირები იქნება 6000-მდი, გარდა სათავად-აზნაურო და სამეფო გლეხებისა.

დიდი ომის დროს შეიყრიან თავს 40,000 სული და მეტიც

ქალაქები დაშორებულნი არიან ერთი მეორეზე 5. 10, 15, 20, 30 და მეტი ვერსით, მაგარ და მაღალ ადგილებზე მთებშუა, მთებზე, მდინარის ნაპირებზე, წყაროებთან.

სოფლებში სახლები ცალ-ცალკე არიან დაბლობებში, მთის კალთებზე და მთებზე; წყაროები, სადაც არიან, იქ-

ვე ცხოვრობენ და ციხეც იქ აქვთ, ცხოვრობენ არა სლობოდებად, ორ-ორ სამ-სამი, ხუთ-ხუთი, ათ-ათი და ოც-ოცი კომლი ცალკე. თითოეული სახლი დაფარულია და მორგულია ხეებით, ვენახით, თითქოს ტყეშია და არ ჩანან.

ხნავენ გუთნებით, კავებით, პური მისდისთ, ხორბალი, ქერი, ფეტვი, ცერცვი, მუხუდო.

პურს იწევენ ორჯერ წელიწადში. ხეხილებია ვაშლი, სხალი, დული, ქლიავი, ალუბალი, შინდი, თხილი, ღვინო და ყურძენი უთვალავი, მიწის ხილიც მაყვალი, მარწყვი, ხეები და რუსის ტყე: ფიჭვი, ნაძვი, არყის ხე, მუხა, თელა, კოპიტი, რიაბინა, ცაცხვი, ტირიფი, ნიადაგი ნაყოფიერია, თუმც მთებში ალაგი ცოტაა.

მდინარეებია: რიონი მოსკოვის მდინარისოდენი, მაგრამ უფრო ჩქარია, ნაოსნობა არ შეიძლება, მეორე მდინარე ყვირილა, გამოდის გურიელის (?) მთებიდან და ერთვის ქუთაისის ახლო რიონს, ქუთაისიდან ექვს ვერსტზე, აქამდი შავიზღვიდან ხოლმანდები დადიან, ქუთაისამდი ვერ ადიან ქვების გამო. მდინარეებში თევზი ცოტაა, სიჩქარის გამო, მოაქვთ თევზი ზღვიდან: ზუთხი, სევრიუგა, ფოროჯი და სხვა. პატარა მდინარე ბევრია, სადადიანომდი ქუთაისიდან ნახევარი დღის სავალია, შავ ზღვამდი ორი დღის. მოდიან ქუთაისში სხვადასხვა ვაჭარნი: თათრები, ყიზილბაშები, აზოვიდან, თბილისიდან, გურიიდან, სადადიანოდან საქონლით, ურიები, სომხები, აზოველები, მოაქვთ ხავერდი, ყიზილბაშური ატლასი, ყოველნაირი ფარჩა. ფული აქვთ ოქრო, აბაზი, ბისტი. ოქრო მანათიანია, ათიშაური, აბაზი ორი ორშაურიანი, ბისტი-გროში.

იმერეთში და გურიაში მარტო დაუმუშავებელი საქონელი მოდის, ყიდიან თავთავისთვის ვის რამდენი შეუძლია, იაფად, მთებშიც გააქვთ ზურგით.

თაფლი ურიცხვია, ფუთი აბაზათ იყიდება, ნაკლებშიც. წავები ბევრია, მელა ყვითელი და მუქი, ირმები, ლოსი, ღორები ბევრი.

16 ოქტომბერს დილით ტოლოჩანოვი და იევლევი სანდეში გაიპატიჟეს ნადირობის და ნადიმობის საყურებლად.

15 ოქტომბერს ელჩები გაემგზავრენ რაჭაში თავად ქაიხოსროსთან; წინ კაცები შეაგებეს სამ ვერსტზე, მერე ქაიხოსროც შეხვთა მთავარ-ეპისკოპოს სიმონით, კარგ სამოსში და ჩინებულ ცხენებზე, მიიწვია სადილზე ელჩებიც და მთავარ-ეპისკოპოსიც. „სუფრაზე ყველაფერი რიგზე და მწყობრად იყო“. ნასადილევს ქაიხოსროს სთხოვეს ფიცის ფურცელზე ხელის მოწერა. მან მოაწერა და სტუმრები „პატივით“ გაისტუმრა. მერე ეწვიენ „სამეფო თავადს პაპუნა ერისთავს“ („Апистопу Папенъ“). „ეს მეფის პირველი და უპატიოსნესი თავადია“. აქ ისადილეს მეფის ელჩის ლომკაც ჯაფარიძესან ერთად. „სუფრაზე ყველაფერი რიგზე და წესიერად იყო“. მერე ამასაც ხელი მოაწერიეს ქაღალდზე.

17 ოქტომბერს ეწვიენ თანამგზავრს ლომკაცა ჯაფარიძეს. წინ ლომკაცის ძმა სიმონ მთავარ-ეპისკოპოსი შეხვდათ ამათაც ხელი მოაწერეს ქაღალდზე.

აქედან 18 ოქტომბერს მოაწიეს სოფელ „თაირილ“-ში (Таирили); აქ ეკლესიაა მთავარანგელოზის მიხეილის, მაში ასვენია თმები დინარ (თამარ) მეფისა, ამბობენ, სასწაულებს შვებაო და ფრიად კურნებსო.

19 ოქტომბერს მოვიდენ ბოქაულ გიორგი კანტოვთან. 20-ს თოვლიან მთებზე ავიდენ და იქ გაატარეს ღამე. ნიკიფორემ ვერ გადაატანა მთებზე და იქ გაატარა ღამე; ალექსი ლომკაცა და არქიმანდრიტი გადავიდენ დიდი გაჭირვებით საღამო ჟამს.

23 ოქტომბერს შიატანეს მთა-მთა ბალხაროში, აქედან მეფის ალექსანდრეს აზნაურები, ბოქაული მამუკა და გიორგი კანტოვი დააბრუნეს მეფესთან.

23-ს მოვიდენ ზაზარუკა მურზა ანზაროვთან, სადაც სამი კვირა გაატარეს, ომიანობის გამო. ზაზარუკაც ომში იყო კუმიკებთან. აქედან ვოლგის მდინარემდი მისვლას მოუნდენ 14 მარტამდი. ასტრახანში იმერეთის ელჩები დიდი პატივით მიიღეს, ძალიან გაუმასპინძლდენ, მხოლოდ თევზი არ აჭამეს მარხვის გამო (26მარტი იყო). არქიეპისკოპოსი იყო პახომი. ასტრახანიდან ელჩები 19 აპრილს გაისტუმრეს. „ვიატკის ხოლმანდებით". 22 ივლისს მივიდენ ყაზანში. 26 ივლისს ყაზანიდან იმავე ხოლმანდებით მოსკოვისაკენ გასწიეს ელჩებმა.

მღ. მ. კელენჯერიძე.

ქართულ ენისთვის ბრძოლა

1882—1910 წლებში.

ამ წარსულ ათიოდ წლის შიგნით ქართულს პრესსაში იმდენი სიცრუე დაიწერა შესახებ ქართულ ენის მდგომარეობისა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში, რომ მეტად საჭიროდ მიმაჩნია მტკიცე საბუთებით გაიფანტოს ის ნისლ-ბურუსი, რომელიც ამ საკითხავს განზრახ შემოახვიეს შენ-ჩემობით და შურით დაბნელებულმა პირებმა, რომ ტალახი მოსცხონ ნამდვილს მოღვაწეებს, მათზე ჯავრი იყარონ, სამაგიერო გადაუხადონ.

ამ კაცების, ამ ცრუ-კორესპონდენტების მეთაური და სულის ჩამდგმელი გახდა ცნობილი ბ. ი. ფანცხავა, მწვევრი სამეგრელოს საეპარქიო საბჭოსი, უწინ ჩემი ტკბილი მეგობარი, მერე მტრად გადაქცეული. მიზეზი მისის ჩემზე გადაკიდებისა

კერძო ხასიათის ანგარიშები იყო ჩვენს შორის და არავითარი კავშირი არ ჰქონია ქართულ ენასთან.

წინააღმდეგ, ბ. ფანცხავა იმდენად გულგრილი ბრძანებდა ქართულ ენისთვის ბრძოლაში, რომ სხდომებსაც მეტად იშვიათად ესწრებოდა (იხილეთ საბჭოს ჟურნალები) და **5-6 წლის მის მწევრობაში არც ერთი ქაღალდი არ შემოუტანია საბჭოში დასაცველად ქართულ ენისა** (ibid)

ამისთანა კაცი მე მიკიჟინებს „ღალატობას“!

ახლა ვანახოთ, თვით საქმე რას იტყვის: მოღალატე ვყოფილვარ მე თუ თავგანწირული დამცველი ქართულ ენისა.

1) პირველი ფაქტი. 1897 წლის დასაწყისს დირექტორმა ლევიცკიმ საშინელი „დაბეზღება“ დასწერა: სამეგრელოს შკოლები და ადგილობრივი სამღვდელოება ხალხს აქართველებენო, ქართულ პატრიოტობას აგონებენო, მეც მომიხსენია. დიდი ქაღალდი იყო, მრავალ ფაკტებინი. ეს ქაღალდი ავიდა მინისტრამდი, იქიდან ობერპროკურორამდი, ამან ექსარხოსს ფიცხელი მეკითხვა გამოუგზავნა და ჩვენც პასუხი მოგვთხოვეს. ფოთში ეგონათ დავიღუპენითო!

ვინ მისცა მაშინ პასუხი ამ ქაღალდზე, ბ. ფანცხავამ? გინა საბჭომ? —არც ერთმან! ამ განსაცდელის დროს შემომეფანტნენ ისინი, ვინც დღეს ქართულ ენისთვის ვითომ გულმტკივნეულობენ, რათა თვისი გულის ღვარძლი ჩემდამო არ გამოუჩნდეთ. მაშინ მხარი მომცეს მხოლოდ განყოფილებათა ორმა თავმჯდომარემ, სამიოდ სოფლის მღვდლებმა და განსაკუთრებით ჩემმა თანაშემწემ მ. ვაწარელიამ. შევადგინე მთელი ტომი „დოკლადი“, რომელშიც სასტიკად გავანადგურე ყველა მუხლები „დონოსისა“, ბოლოს მიუბრუნდი სამინისტრო სკოლების უფროსებს, დავამტკიცე ფაქტებით და ცხად ლოგიკურ მოსაზრებით, თუ რამდენად მავნებელია მათი „პოლიტიკა“, ქართული ენის უარისყოფა, ეკლესიისა და სახელმწიფო ინტერესებისთვის და სხვა და სხვა.

გასჭრა ჩემმა ქალალდმა, ქართული ენა არათუ ვერ დასძრეს მედანოსნეებმა, არამედ მთავრობა მეტის ნდობით მოეკიდა მას, მეტი ფულიც გაიმეტა სკოლებისთვის, მეტი პატივისცემა მიაპყრო გურია-სამეგრელოს სამღვდელოებას სინოდის ობერ-პროკურორმა, რომელსაც ჩემი „დოკლადი“ მიერთვეს. იმ დოკლადის შავს ვუგზავნი ყოვლადსამღვდელო დავითს დასამოწმებლად ამ ჩემის გაბედულის გამოლაშქრების.

რა ალიაქოთი ასტეხა ჩემმა ქალალდმა თვით სამინისტრო სკოლების უწყებაში ეს „სეკრეტია“ (ამის თქმა არ იქნება ეს საგულიხმებელია იქიდამ, რომ მაშინვე მოაშორეს ქუთაისის გუბერნიას ცნობილი მტერი ქართულის ენისა, (რომელმან განდევნა ქართული სამეგრელოს სამინისტრო სკოლებიდან), „მუნჯურ მეთოდის“ შემქმნელი და გამავრცელებელი ლევიცკი და თან გააყოლეს სენაკის მაზრის უფროსი, თავდადებული მომხრე ამ დირექტორისა. ამასვე მოყვა სხვა რეფორმები სამინ. სკოლებისა (ინსპექტორების გამრავლება და სხ.) ამას შემდეგ ადგილობრივი პოლიციაც უფრო ლმობიერად ეკიდებოდა სამრევლო სკოლებს, სადაც ქართული ენა გაბატონებული იყო ჩემსობას და თვით სამინისტრო სკოლების მოხელენი.

თავის ქება მუდამ მძულდა და ამიტომ ჩემს მოქმედებაზე სასრკვებლოდ ქართულ ენის დაცვისა გაზეთებში ზოგიერთისებრ არ ვყვიროდი, სტრიქონიც არ დამიწერია, სხვებსაც ვუშლიდი, მაგრამ რას იზამ, როცა უსირცხვილო კაცუნები ცილისწამების ცეცხლს წაგიკიდებენ, საშველს არ მოგცემენ, სალაპარაკოდ ძალად გამოგაჭენებენ...

2) მეორე ფაქტი. 1898 წ. შემიაკინის წინადადებით მთავრობამ ქართული ენის გაკვეთილები გაათანასწორა რუსულ ენის გაკვეთილებთან (9 გაკ. კვირაში 12-ის მაგივრად) ამის წინააღმდეგ არავინ ხმა არ ამოიღო, არც ბ. ფანცხავამ კამპანიითურთ, თუმც ყველასა ვსთხოვდი. თვითონ მე რო წერილობით ავმხედრებულვიყავ, უსათუოდ გადამაყენებდენ სამსახურიდან

და მაშინ საქმე უარესად წახდებოდა, ჩემს მაგიერად „ტიმოშკას“ დანიშნავდენ.... როცა ყველა ჩვენი „სერთუკიანები“ გამუნჯდენ და მარტო დამტოვეს (ამათ ხომ მამულიშვილობა ენის წვერზელა აკერიათ თვალთმაქცობისთვის, თორემ გულიდან ეს გრძნობა რუსეთში ყოფნასავე ამოუბერტყიათ, გადაგვარებულბნ!..) მაშინ გურია-სამეგრელოს „უსწავლელ“ მღვდლებს მივმართე ცალ-ცალკე. ეს „უსწავლელები“ დამყვნენ! მაშინ სამღვდელოების კრება მოხდა, რომელსაც ვრცელი „დაკლადი“ მივართვი იმაზე, რომ ეპარქიის სკოლებში არ შეცვლილიყო 1884 წლის გეგმა და ქართულ ენისთვის 12 გაკვეთილი კვირაში. კრებამ განიხილა ეს „დაკლადი“ და ერთხმად დაადგინა „მუამდგომლობა ამაზე სინოდში გაგზავნილიყო, ყველამ ხელი მოაწერეს და მათშორის **თავმჯდომარე დეკანოზმა რუსმა** (რალცევიჩმა). საქმე გაიჩარხა მეგონა... ამაოდ! ეპისკოპოსმა არ დაამტკიცა და ასეთი რეზოლიუცია დააწერა (ოდნავ ვამოკლებ): „отказать... რადგან თფილისში იკრიბება главный училищн. совѣтъ, ეპარქიის მეთვალყურემ თ. ჟორდანიამ იქ შეიტანოს თავისი აფიციალური მოხსენებაო“....

ამ главный совѣтъ-ში მე არ მიმიწვიეს და ამ ნაირად ჩემმა ამდენის ხნის წვალებამ ფუჭად ჩაიარა. მაშინ მე ეს გარემოება მოკლედ აღვნიშნე ჩემს წლიურს ანგარიშში, რომელსაც ზემოხსენებულის ჩემის ღვაწლის საბუთად ეპისკოპოზს დავითს მივართმევ. ხოლო მკითხველს ვთხოვ დააკვირდეს იმას, თუ რა ძნელს გარემოებაში ვიბრძოდი მე ქართულ ენის გასამარჯვებლად: „სერთუკიანებისგან“ დატოვებული, „ნასწავლ-კაცებისაგან“ დევნილი, მარტო „უსწავლელ მღვდლების“ ამარა. ეპისკოპოზიც რო გზას არ გვაძლევდა!... წარმოიდგინეთ, რომ ეპისკოპოსი იმის ნებასაც არ მაძლევდა, რო მღვდელთა კრებას დავსწრებოდი, — ანაფორიანი არა ხარო.. ხოლო ჩემის მხრით ამაზე მეტი თავგანწირვა ქართულ ენისთვის განა შაიძლება? რომ ჩემს პირდაპირს მთავრობას ასე აშკარად მისს განკარგულებას უწუნებდი, სამღვდელოებას ვამხედრებდი, отчет-ებშიც

არ ვმალავდი, ნუთუ ამას შემდეგ არ შეარცხვენთ, ბატონებო, იმ კაცებს, რომელნიც მე პატრიატობას მიწუნებენ, ღალატობას მიკიჟინებენ, გაუბედლობას მწამებენ და კერძოდ, ბ. ფანცხავას. აბა ნახეთ, თუ ამ სხვის გამკიცხველს .როდისმე ერთი სტრიქონი მაინც დაეწეროს დასაცველად ქართული ენისა არა თუ მთავრობასთან, არამედ თუნდ ფოთის საბჭოს მოსახსენებლად!...

3) **მესამე ფაქტი**. 1897 წელს ჩემის მოხსენების ძალით (№ 216) ბათუმის მასწავლებელი რუსი მალჩანოვი დაითხოვა და მის მაგიერ დაინიშნა **ქართველი** ქალი. ეს ბათუმის რუსებმა იწყინეს და საჩივრით მიმართეს ობერპროკურორს: რაოდა, ქართველს რო რუსები სძულთ, იმიტომ რუსი დაითხოვესო და **ქართველს მისცეს რუსის ადგილიო**. საჩივრის მიმცემნი იყვნენ ბათუმის დიდ-დიდი მოხელენი, სხვათა შორის ერთი ადმირალი (გრეკვე).

ეს საჩივარი მეტად საშიშარი იყო საზოგადოდ ქართველებისათვის და კერძოდ გურია-სამეგრელოს საბჭოსთვის: ამას დიდი რეპრესიები მოყვებოდა საზოგადოდ, განსაკუთრებით ქართულ ენის საზარალოდ. ამისთანა დროს ხმა უნდა ამოგველო, რაც უნდა დაგვჯდომოდა. საბჭოს ხმა უნდა ამოელო, თავი ემართლებინა; ამას თხოვულობდა ჩვენი საერთო საქვეყნო ინტერესი.

მერე ამოიღეს ხმა?--არც ნიკოლაძემ, არც ფანცხავამ.

ჩემი შიში გამართლდა: ობერპროკურორი გარისხებულიყო საჩივრის შინაარსით და ტელეგრამით უბრძანა ეპისკოპოზს გრიგოლს: „დაუყოვნებლად მიაქციეთ დათხოვნილი რუსი-მასწავლებელი მისს ადგილზე, ხოლო ქართველი მასწავლებელი, საბჭოსაგან დადგენილი, გადააყენეთო“. ესეთი ხეპრული განკარგულება, საქმის გამოუძიებლად, იყო დიდი შეურაცყოფა ჯერ ეპისკოპოსისა, მერე ეპარქიისა, ხოლო საბჭოს სრულიად გაქარწყლებას ნიშნავდა, უკანასკნელს წერტილამდი დამცირებას.

რა თქმა უნდა, ამ ტლანქ განკარგულებას პობედონოსცევისას, რომელიც იმ დროს თიოქმის ბრძანებლობდა მთელს სახელმწიფოს, მოყვებოდა სხვა უარესი განკარგულებანი ქართველთა დასაჩაგრავად, თუ დროზე საბუთიან პასუხს არ მისცემდენ.

რა ქნეს ამ გაჭივრების დროს ,,სერთუკიანებმა'' საბჭოს წევრებმა?—გაფხუკიანდენ, საბჭოს წევრობაზე უარი განაცხადეს და თავ-თავისას წავიდნენ,—ვითომ დიდი ,,გმირობა'' ჩაიდინეს!... მერე თვითონ მიხვდენ ამ ბავშობას და მწევრობას დაუბრუნდენ, მოინელეს ის მთავრობისაგან მიღებული პანღურიც, ხმაც არ ამოუღიათ საპროტესტოდ, თავის გასამართლებლად! მარტო მე დამტოვეს ბრძოლის ველზე.

მაშინ პროტესტის დაწერა მარტო მე ვიდე თავზე და, რადგან მთავრობზე გაბუტულ ,,სერთუკიანების'' გავლენით საბჭომ არ ინება ჩემგან შედგენილის ,,დაკლადის'' განხილვა, ამიტომ ის ,,დაკლადი'' ეპისკ. გრიგოლს მივართვი. ამ ფრიად ნიჭიერმა მღვდელმთავარმა, დიდმა მამულიშვილმა, ის „დაკლადი" შემამოკლებინა, გადამასწორინებინა და ხელახლა დამაწერინა **თავის სახელით** ობერპროკურორთან გასაგზანათ.

რა შეუდგა ამ ჩვენს თავ გამოდებას? ის შეუდგა, რომ პირადად მე შენიშვნა მივიღე პეტერბურგიდგან—რად გაერია მოლჩანოვის-რუსის გაგდებაშიო (თვით ასლს ამ ქალალდისას ეპ. დავითს მივართმევ). სამაგიეროდ სხვაფრივ ჩემმა ქალალდმა, ეპ. გრიგოლის სახელით გაგზავნილმა (29 იან. 1898 წ.), სრული გამარჯვება მოიპოვა: საბჭოს განკარგულება რუსი-მასწავლებელის გაგდებაზე არა თუ დაამტკიცა, არამედ ტელეგრამით უბრძანა ადმირალ გრევეს და ბათუმის სკოლის კომიტეტს: „ახლავე გააგდეთ რუსი-მასწავლებელი მოლჩანოვიო". ეს ბრძანება იმავე დღეს შეასრულა გრევემ და კომიტეტმა. მოგვეხსნა სირცხვილი, გაწბილდენ და ლაფი გადაესხათ ბათუმელ მაბეზღარა „ჭეშმარიტს რუსებს"! საბჭოს წევრობიდან ბუტიაობით წასულ სერთუკიან წევრებ-

საც ეამათ და მაშინ მაქებდენ, ბ. ფანცხავაც კი ჩემთან ლმობიერი გახდა, — ახლა კი ღალატობას მაბრალებს! განიცადეთ და იხილეთ, მკითხველო, ბ. ფანცხავას პსიხოლოგია...

4) ერთ დროს მეტად გადაგვეკიდნენ „ჭეშმარიტი რუსები“, ჩვენი სამრევლო სკოლები განსაკუთრებით აითვალწუნეს, რუსეთისთვის მავნებელად დასახეს, ქართველ სამღვდელოებას სასაცილოდ იგდებდენ და „სეპარატისტებად“ სახავდენ, გაზეთშიც დაურიდებლად სწერდენ. არავინ პასუხი არ გასცა, არც, წარმოიდგინეთ, ბ. ფანცხავამ!..

მაშინ რამდენმანმე „უსწავლელმა ღვდლებმა“ შემაგულიანეს და მეც, რაც შემეძლო, დავწერე ვრცელი მოხსენება იმ გამათახსირებელ ბოროტებაზე, რომელსაც ჰქადაგებდენ წიგნებში და გაზეთებში იანოვსკიდან დაწყებული „ტიმოშკამდე“, განსაკუთრებით ქართულ ენის განდევნაზე სკოლებიდან და სხ. წავუკითხე კიდეც „სერთუკიან“ მწევრებს საბჭოსას და თავჯდომარესაც. ყველამ მომიწონეს, მაგრამ საბჭოში არ შემატანიეს — საბჭოს საქმეს არ ეხებაო, ეპისკოპოსის საქმე არისო. ეპისკოპოსმაც (გრიგოლიმ) პირველად არ მიიღო: ეს რო ობეპროკურორს ოფიციალურად მივართვა, მთელს ხროვას „ტიმოშკებისას“ გადვიკიდებ და აქ არ დამაყენებენო, ჩემი მტრობა ხომ არ გინდაო. მოვახსენე: ნება დამრთე, რომ ჩემის სახელით გავუგზავნო მეთქი.

დაფიქრდა ჭკვიანი და პატრიოტი მღვდელმთავარი, კიდე წამაკითხა, მძიმე სიტყვები გამომაშვებინა, აქა-იქ შემამოკლებია, გადააწერინა და თავისის სახელით პეტერბურგს გაგზავნა. შენიშვნის მაგიერ იქიდამ ტელეგრამით მადლობა მოუვიდა. მაშინ მე ის ჩემი „დოკლადი“ ჩემს წლიურს ანგარიშში შევიტანე ცალკე დამატებად. ეს „დოკლადი“, შეუმოკლებლად დაბეჭდილი, ბევრს დაურიგდა ყველა ეპარქიებში. ყველასთვის ხელმისაწვდომია.

წაიკითხეთ, ბატონებო, და დარწმუნდებით, რომ იმ ბიუროკრატობის პარპაშობის დროს ამისთანა გამოლაშკრებას (და

მერე აფიციალურად) ბევრი გაბედავდა ჩვენში, გარდა ფოთელ „სერთუკიანებისა“?

გამიწყრნენ ამაზე პოპეჩიტელი და დირეკტორი. უკანასკნელმა ჩემზე შემოიტანა საჩივარი საბჭოში და პასუხი მოითხოვა. საბჭომ პასუხის დაწერა ისევ მე მომანდო და სოფრომ მგალობლიშვილს. უკანასკნელი მალე კანტორაში გადაიყვანეს და მე მარტომ მივეცი პასუხი, რომელმაც გაამუნჯა ტიმოშკები (ზემოხსენებულ საბუთებს წარვუდგენ ეპ. დავითს).

5. მიკიჟინებენ, ბატონებო, ვითომ მე ვოსტორგოვის ყურმოჭრილი ყმა ვიყავ, მისის გამათახსირებელ პოლიტიკანობის განმახორციელებელი. უსირცხვილო კაცუნების მოგონილია ამისთანა ჭორები.

რომ მკითხველი არ დავღალო, სამიოდ უეჭველ საბუთს წამოგიყენებთ:

ა) ჩემს აფიციალურ წლიურ ანგარიშში (190²/₃ წ. გვ. 43) აი რასა ვწერ წინააღმდეგ მ. ვოსტორგოვის პოლიტიკისა: „Всякій искренній русскій патріотъ... долженъ опираться на всемогущую евангельскую политику любви, а не хвататься за соломенку, полагая спасеніе въ разныхъ мелочныхъ соображеніяхъ (როგორც ამას სჩადიოდა ჩემი უფროსი—მამა ვოსტორგოვი) и мѣропіятіяхъ: Любовь все создаетъ и устраиваетъ, а вражда или нелюбовь все разрушаетъ (ამ მტრობას რუსქართველშორის სთესდენ, როგორც ვიცით, ტიმოშკები და მათი ბელადები). Одно лишь формальное преподаваніе... при политиканствѣ двухъ противныхъ (რუსთა და ქართველ პატრიოტთა), изъ которыхъ каждый выступаетъ подъ знаменемъ патріотизма, можетъ принести, -и уже принесло,—горькіе плоды... და სხვა და სხვ.

ვინ გაუბედავდა მაშინ, იმ ბიუროკრატიის ძლიერების დროს მ. ვოსტორგოვს მისის ძალმომრეობის პოლიტიკის დაწუნებას და სიყვარულის პოლიტიკაზე მითითებას, თუ არ კა-

ცი თავგანწირული, თავზე ხელაღებული, უძლიერესის მამულის სიყვარულით აღტურვილი? და ამასთან ვის, —თავის უფროს და მერე ოფიციალურად! ამასთან ეს ხელაღებული თავის უფროს რო გზა-კვალს უწუნებს, ჭკუის ნახტომებს რო უჩვენებს, ამას ყურში კი არ ეუბნება თავის ბატონს მისს კაბინეტში, არამედ საქვეყნოდ ღაღადებს, მთელს საბჭოსთან თავსა სჭრის, თვით ეპისკოპოზს ამტკიცებინებს თავისის ბატონის უვარგისობას, მთელ მისის პოლიტიკის ყალბობას! ამითაც არ სჯერდება ეს ვილაც თავგასული და ხელქვეშეთი მოხელე და ამ ნაკლულევანებას თავისის ბატონისას ცალკე წიგნათ ჰბეჭდავს, მთელს იმპერიაში არიგებს, უმაღლეს მთავრობას აგონებს მძლავრის ბატონის უვარგისობას, მისს მოკლეჭკუობას, გზა-შეშლილობას! არც ერთს ჩემს მეხსიერებაში ხელქვეითს მოხელეს ეს ვერ გაუბედნია, მით უმეტეს ქართველ მოხელეს (ბ. ფანცხავა კი გაბედავდა, ვოსტორგოვის ხელქვეითი ყოფილიყო!..) რა ძლიერ ღვარძლი უნდა ჰქონდეს კაცს, რამდენი პირადი სიძულვილი ჩემის პირადობისა, რომ ამისთანებს ხელს აფარებდეს, ამ დიდ ღვაწლთა მოძმისას განზრახ უმალავდეს ქვეყანას და იმავე დროს ქვეყანას ჭორებს სდებდეს, მოღვაწის მოღალატეობას ბუკნალარაში გაჰყვიროდეს, მისგანვე შეთხზულ-შეთითხნილ „საბუთებით“ ქვეყანას ატყუეედეს და თან ამ „გმიროობით“ თავი მოჰქონდეს!..

ბ) მაგრამ ამაზე ძლიერ ფაქტს წინ დაგიდებთ: როდესაც ბ. ნიკოლაძემ სხდილი გაუმართა ფოთში ექსარხოსს და მ. ვოსტორგოვს, სადაც 120 სხვა სტუმარი იყო მოწვეული, მაშინ იმ სადილზე კამათი გაიმართა მუნჯურ მეთოდზე და მეგრელების ქართველ ერთან ნათესაობაზე. ყველამ ვიცით, რომ ეს მეთოდიც მ. ვოსტორგოვის სანეტარო საპოლიტიკანო იარაღი იყო, ხოლო მეგრელების ქართველობას სრულიად უარჰყოფდა. შეიქნა ამაზე დავა. ექსარხოსმა, მიბრძა-

ნა ამ ორ კითხვაზე ჩემი აზრი გამომეთქვა, როგორც სპეციალისტს, პედაგოგს და მოხელეს.

მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი: რადგან ექსარხოსმა და მ. ვოსტორგოვმა თავისი აზრი უკვე გამოთქვეს, მე უნდა იმათ საწინააღმდეგოდ მელაპარაკა, ამოდენა ხალხში უნდა შემერცხვინა და სადილი ჩამემწარებინა, უსიამოვნება მიმეყენებინა. რომელი „ჩინოვნიკი", გაბედავდა ამ მდგომარეობაში მთავრობის საწინააღმდეგოდ გამოლაშქრებას და მერე იმ დროს, როცა ბიუროკრატია ფარფაშებდა?

შუა ადგილზე გამოველი, პაექრობა ისე დავაყენებინე, რომ მსურველთ უნდა კითხვა მიეცათ, ხოლო მე იმ კითხვებზე პასუხი მომეხსენებინა. ჯერ მკითხეს მუნჯურ მეთოდზე, რომელსაც მხარს უჭერდა მ. ვოსტორგოვი, მე უარვყავ ეს მეთოდი და „შედარებითი მეთოდი" ვამჯობინე, ე. ი. რუსულ ენის შესწავლა ქართულ ენის დახმარებით. მე მკითხეს: მეგრელები ქერთველნი არიან თუ არაო? მეც გადაჭრით აღვიარე, რომ მეგრელები ქართველები არიან და ქართული ესმის მეთქი. მეგონა, კიდე ბევრს კითხვებს წამოაყენებენ მეთქი, მაგრამ მეტი კითხვა არავინ დამსწრეთაგანმა არ მომცა. პაექრობა ამით გათავდა.

ეს პაექრობა აღწერილია ოფიციალურს ჩემს ანგარიშში (190²/₃ წ. გვ. 29—31). მიუხედავად ამისა, ბ. ფანცხავა ჰბედავს და უარყოფს ამას — ტყუილებიაო! ალბათ ბ. ფანცხავას ქართველი საზოგადოება ყრუ და მუნჯი ჰგონია, თორემ ვინ უნდა დააჯეროს, რომ ოფიციალურს ქაღალდში ჩინოვნიკი გაბედავს ტყუილები გაურიოს: მაშინ ის სისხლის სამართალში მიეცემა და მერე ამისთანა საქმეში, როგორ შეუძლია იტყუოს, სადაც დაესწრენ თვით ექსარხოსი და ჩემი უფროსები და იმისთანა საკითხების განხილვაში, რომელნიც მათის აზრის საწინააღმდეგოდ გამოვთქვი. ის წლიური ანგარიში ორმა კომისიამ განიხილა და საეპარქიო საბჭომ მოიწონა, სადაც მწევრად იყვნენ თვით ბ. ფანცხავა და ნ. ნიკოლაძე, ბოლოს

თვით ეპისკოპოზმა დაამტკიცა. აი ამისთანა მტკიცე საბუთებს უარყოფს ბ. ფანცხავა და ჭორებით უნდა მოატყუოს საზოგადოება!! ცრუმოწმეები კი ,,იშოვება'' და იაფადაც ჰფასობს ჩვენს ზნეობით გათახსირებულ ზოგიერთ ,,სერთუკიანთა პარტიაში''...

გ) კიდე ერთ ფაქტს მოვიყვან იმისას, თუ რა გაბედულობით ვებრძოდი მე ქართული ენის გასამარჯვებლად თვით ჩემს პირდაპირს მთავრობას.

როდესაც, ამ შვიდიოდ წლის წინეთ, საოლქო საბჭოში გამოგვიწვიეს პროგრამების განსახილველად, დიდი დავა აგვიტყდა ქართულ ენის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. თავმჯდომარედ იყო ეპისკოპოსი გრიგორი (რუსი) და წევრებად ყველა რუსნი საეპარქიო მეთვალყურენი და მათ შორის ოლქის მეთვალყურე. მაშასადამე აქ იყვნენ ჩემი პირდაპირი უფროსები. ქართველებში, ჩემს გარდა, იყვნენ დეკ. თოხაძე და დეკ. კაპიტონ გაწერელია.

ამ კამათში ცხარედ და სასტიკად ვიცავდი ქართულ ენას და ჩვენს მეორეკლასიან სკოლებს —ბანძის, ამაღლების და სხ., რომელთა წართმევა უნდოდათ. რუსობა ბევრი იყო და მეტის ხმით თავისი გაჰყავდათ. მაგრამ მე მოვითხოვე ჩემი წერილობითი „особое мнѣніе". მოხსენებულმა ორმა ქართველმა მხარი დამიჭირეს. მესამე დღეს წარვუდგინეთ ვრცელი საწინააღმდეგო მოსაზრებანი. ეს ქაღალდი იმდენად საქმიანი გამოდგა, რომ წინანდელი დადგენილება მოიშალა და საქმე ჩვენდა სასარგებლოდ გათავდა. ეს ჩვენი особое мнѣніе და დადგენილება (კოპია) ხელში მაქვს და ეპ. დავითს წარედგინება. მოხსენებული დეკანოზნი გაწერელია და თოხაძე დამიმოწმებენ, თუ როგორი თავგამოდებით და დაჟინებით ვებრძოდი ჩემს უფროსებს ქართულ ენის დასაცავად.—ამისთანა კაცს განა ღალატი შეუძლია? მოღალატეა ის კაცი, რომელიც ამისთანა თავგანწირულ მოღვაწეს ჭორის იარაღით ძირს უთხრის და ხელფეხს უკრავს.

ამნაირ მაგალითებით) რომ მე ჩემის უშიშრად მთავრობასთან შეტაკებით როცა ლმობიერებით ვერ მივაღწევდი ქართველთა ინტერესის დაცვას სკოლებში) სავსეა ჩემი ცხოვრება ახალგაზდობიდან მოხუცებულობამდე, როდესაც მე მაიძულეს სამსახურზე ხელი ამეღო. ამ შეტაკება-გამარჯვებათა ამბების აღწერით აქ არ მოვაწყენ მკითხველთ სმენას.

ოღონდ სულ მოკლედ ჩამოვთვლი იმ ნაყოფს, რომელიც მოუტანა ჩემმა ოც და თორმეტი წლის სამსახურმა ქართულ ენის გაბატონებას სასულიერო სკოლებში. ვრცლად მოთხრობა ამ ამბებისა ცალკე დაიბეჭდება სხვა დროს და სხვა ორგანოში.

1882 წელს დიდის მოხერხებით და თავგანწირვით საქმე ისე გავჩარხე, რომ ჩემის პროეკტით დავაარსებინე კათედრა ქართულის ენისა ყველა სასულიერო სასწავლებლებში.

1883 წელს, როდესაც ზემოხსენებულ გამარჯვებისა გამო დავკარგე ზედამხედველობა და უბრალო მასწავლებლობა ჩამაჩეჩეს სას. სემინარიაში, აქ დავიმეგობრე სემინარიის რექტორი და იქაური გავლენიანი მოხელეები და ბევრის ცდით და ხერხით შემოვატანიე შვიდი გაკვეთილი ქართულ ენისა სახელმწიფო ხარჯით და სავალდებულო საგნად. შემდეგს 1884 წელს ეს შვიდი გაკვეთილი (იმავე ხერხით) ცხრა გაკვეთილამდი გავამრავლებინე. შემდეგს 1885 წ. ეს ცხრა გაკვეთილი თერთმეტ გაკვეთილამდე ავაწევინე! — გავიდა კიდე ხანი და ეს თერთმეტი გაკვეთილი ქართულ ენის კათედრად გადავაქცევინე, რომელიც სინოდმა დაამტკიცა, სრული კათედრის ჯამაგირი დაუნიშნა, ქართულ ენის მასწავლებელს თანასწორი უფლებანი მიენიჭა სხვა კათედრების მასწავლებლებთან. ამასთან 1894 წ. დიდის მეცადინეობით გავატანინე სამრევლო სკოლების სამოსწავლო გეგმა, რომელიც სინოდმა დაამტკიცა. ამ გეგმით სამრევლო სკოლებში ქართული ენა გაბატონებულია: მას ჰქონდა თითოეულს განყოფილებაში 12 გაკვეთილი, მაშინ როდესაც რუსულ ენას ეჭირა მარტო ექვსი გაკვეთილი.

ახლა ისიც მიიღეთ სახეში, რომ ჩემის მეცადინეობით ეს პლანი სამეგრელოს სამრევლო სკოლებშიც შემოიტანა მთავროპამ თფილისის სემინარიის რექტორის მოწერილობით (თავმჯდომარეობდა სამოსწავლო საბჭოს). რამდენი იმეცადინა იანოვსკიმ, რომ სამეგრელოს სკოლებში ქართული ენა ამ გეგმით არ შემოღებულიყო, რადგან სამინისტრო სკოლებიდან მან უკვე სრულიად გააძევა ქართული ენა, მაგრამ ამისთანა საქმეებში, როგორც მეგრელს, რექტორი მუდამ მე მეკითხებოდა ან მე თვითონ განგებ ვერეოდი და ყოველთვინ ვაქარწყლებდი იანოვსკის საბუთებს. ამ ნაირად საბოლოოდ დაცულ იქმნა ქართული ენა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში მაშინ, როდესაც სამინისტრო სკოლებში ეს ენა განდევნილი იყო.

მართალია, რომ 1898 წლიდან სამინისტრო სკოლებშიც ორიოდ გაკვეთილი შემოიღეს ქართულის ენისა უფრო საჩვენებლათ, მაგრამ ესეც რამდენადმე ჩემის გავლენით მოხდა და აი როგორ: როდესაც მე დამნიშნეს მეთვალყურედ გურია-სამეგრელოს სკოლებისა, საოცარის სისწრაფით მრავლდებოდა რიცხვი სამრევლო სკოლებისა, ხოლო სამინისტრო სკოლები სამეგრელოში იცლებოდა. სამოც და ოთხი სკოლა ჩავიბარე 1896 წ., რომელთაგან მოქმედი იყო მარტო თორმეტი (დანარჩენი უსახლო, ზოგი მოგონილი, ცუდათ დაყენებული და სხ.). შვიდი წლის განმავლობაში ეს 64 სკოლა გამრავლდა 232 სკოლამდე: თან სკოლები ბავშვებით აივსო, გაიტენა ისე, რომ ზოგს ერთკლასიან სკოლებში ბავშვების რიცხვი ასამდი ადიოდა და მეტიც იყო, რაიცა კანონის წინააღმდეგი იყო და ამიტომ ანგარიშებში განგებ არ ვუჩვენებდით. რა იყო მიზეზი ამისი! მიზეზი ის იყო, რო ქართულ ენის სწავლება სამრევლო სკოლებში წარჩინებულად დავაყენებიე (ქართული წერა-კითხვა); ხალხმა ეს დაგვიფასა, თავისი შვილები სამინისტრო სკოლებიდან სამრევლოში გადმოასხა, ბევრგან მასწავლებელსაც აკმაყოფილებდენ, სკოლას შენობებს და მი-

წას აძლევდენ, უერთგულებდენ, უვლიდენ. ძალა უნებურად სამინისტრო სკოლების მთავრობა იძულებული შეიქმნა, რო ქართული ენა შესახედავად მაინც შემოეღო სამეგრელოს სკოლებში, რომ მათი სკოლები არ დაცლილიყვნენ მოსწავლეთაგან—იმდენად თანაუგრძნობდა ხალხი სამრევლო სკოლას.

დ) არა ნაკლე ღვაწლი მიმიძღვის მე, როგორც მებრძოლს იანოვსკის პროექტისას. ამან ხომ ქართული ენა სამეგრელოს სკოლებიდან ამოაგდო. შემდეგ ამისა ხელი მიჰყო დასამხობად ქართველთ ეკლესიისა, ე. ი. საეკლესიო ენისა, სამეგრელოში. რაკი ტიმოშკებმა ქართული წირვა-ლოცვა ვერ მოშალეს სამეგრელოში, ახლა სხვა ხერხს მიმართეს იმავე მიზნის მისაღწევად: იმათ მოინდომეს ჯერ სკოლებიდან განედევნათ ქართული ლოცვა, რომ მერე ეკლესიიდანაც განედევნათ ქართული ლოცვები. სკოლა ხომ „პოპეჩიტლის“ ხელში იყო. ამან ვიღაც ნაძირალებს ქართული ლოცვები მეგრულად გადაათარგმნია და ექსარხოსის დასტური ითხოვა. აქ ისევ მე დავუხვდი. ის ნათარგმნი გავურჩიე და გავუქარწყლე; საქმე ჩაეფუშა. მაშინ იანოვსკიმ გაასწორებინა ნათარგმნი, ჩემდა გაუგებრად ექსარხოსისაგან დაბეჭდვის ნება მიიღო, დაბეჭდა მეგრული ლოცვები. ეს მე შემატყობინა ნეტარხსენებულმა ალექსანდრე ეპისკოპოსმა. მაშინ ისევ მე გავერიე ამ საქმეში. ის დაბეჭდილი ლოცვები კრიტიკის ცეცხლში გავატარე და დიდი დოკლადი ამ საგნის შესახებ ექსარხოსს მივართვი. გაჩერდა საქმე. ბევრი მელაპარაკა საკომპრომისოდ მღვდელ-მთავარი, მაგრამ მე მაგრად ვიდექ ჩემს რწმენაზე, რომ მეგრელებს ქართული ლოცვები არა ნაკლე ესმისთ, ვიდრე თვით ქართველებს მეთქი: მეგრული ენა ძველი ქართული ენა არის მეთქი და ამიტომ მეგრელებს ძველი ქართული უკეთ ესმით, ვიდრე ქართლ-კახელებს მეთქი. თანდათან დავიყოლიე ექსარხოსი, მაგრამ იმაში არ დამეთანხმა, რომ ვითომ თითო ოროლა მეგრელებისთვის გაუგებარი სიტყვა ლოცვებში არ ერიოს და სწორედ ამ რამდენისამე სი-

ტყვის მეგრულად გადათარგმნვა მთხოვა... აქ ყოველისფრის თქმა არ შემიძლია, ოღონდ ამას კი ვიტყვი, რომ ექსარხოსმა ამისრულა ჩემი თხოვნა და ეს საქმე ატვირთა ჩემგან დასახელებულ კომისიას ეპ. ბესარიონის თავმჯდომარეობით. კანტორის უქაზიც მოგვივიდა: ქართულ ტექსტს ლოცვებისას სტრიქონს ქვეშ მოუწერეთო მეგრული თარგმნვა იმ ცალ-ცალკე სიტყვებისა, რომელნიც მეგრელებს არ ესმისთო. კომისიამ კარგად გაიგო, რომ ეს მელიაზე ნათქვამს ანდაზას მოგავდა („სახლში ოღონდ კუდი შემოაყოფინეთ და მერე როგორ გავბატონდე იქ—ის მე ვიცი“) და ამიტომ ფრიად ვრცელი პასუხი მისცა ექსარხოსს. დაწერა ამ დოკლადისა მე მომანდეს. რამდენი უსიამოვნება ამაზე მე მომადგა, პირადად მე—ამაზე არას ვიტყვი, ხოლო იანოვსკისგან დაწყებული საქმე სამუდამოდ ჩაიფუშა.

მართალია, ერთჯერ კიდე სცადეს საქმის გამობრუნება და ეპ. გრიგოლს მიანდეს ამ ჩვენგან ჩაფუშულ საქმის გამოკეთება, მაგრამ შორსმჭვრეტელმა ღვდელ-მთავარმა ახალი ძალა მისცა ჩვენს ნაწარმოებს; მან გარია ამ საქმეში სამეგრელოს ბლალოჩინები და ნასწავლი კაცები, რომელთაც სრულიად დაამოწმეს ჩვენის კომისიის დასკვნა, და მრავალი ახალი საბუთებიც შეჰმატეს. აქაც გაუხუნდათ ლილახანა პოლიტიკან-ჩინოვნიკებს. „მეგრული ლოცვები“ საუკუნოდ განიდევნენ. თვით საბლერმა თფილისში ჩვენდა თანდასწრებით განიხილა ჩვენი ნაწარმოები და იანოვსკის პოლიტიკანობას აცხა უთხრა.

აი, რამდენი ფაქტები ჩამოვთვალე ჩემის მოქმედებისა, და კიდე მეტი დამრჩა ჩამოსათვლელი, მაგრამ ვისაც წინ აღებული აზრი არა აქვს ჩემდა წინააღმდეგ, იმისთვის ჩამოთვლილის მეხუთედიც კი საკმარისია იმისთვის, რომ უზაკველმა მკითხველმა სვინიდისის ქვეშ აღიაროს, რომ მე არა თუ არა ვარ მოღალატე ქართულის ენისა, არამედ უერთგულესი დამცველი მთავრობის წინ სამშობლო ენისა, მრავალ-ტანჯული მოღვაწე სამშობლო ენისა სასულიერო და სამრევლო სკო-

ლებში; ამასთან თავგანწირული მუშაკი ქართულ ენის, მწერლობის, ისტორიის და არქეოლოგიისა, რომელმაც ამ საქმის წინ წასაწევად „არა ვეც რული თვალთა და არცა განსვენება ხორცთა“, რომელმაც ყოველი ხორციელი სიამოვნება და თვით ოჯახური ბედნიერება ამ ჩემს სატრფო იდეალს შევსწირე, „ჭირსა და იწროებასა შინა“ მრავალჯერ ჩავარდნილმა, დევნილ-წვალებულმა მეჭორეთაგან, რომელსაც ზოგიერთი ადგილობრივი გაზეთები პირზე ხელს მაფარებდენ: არ გაბედო ხმა არ ამოიღო ბ. ფანცხავას—„კალმის“ წინააღმდეგ და იმავე დროს ცრუთა და მეჭორეთა გუნდს ფართედ კარს უღებდენ საცილისწამებელად...

გ) კერძოდ, იმერეთში გადასვლის შემდეგ მე აღმიდგენია ქართულ ენის უფლება სვანეთის სკოლებში (სადაც ქართული ენა გადაგდებული იყო 1903 წლიდან) და თვით იმერეთის სამრევლო სკოლებში ამ სკოლების ჩაბარების დროიდანვე ქართულ ენას მიეცა სრული პროგრამა, ახალი მართებული გეგმა 1905 წლისა. ამ გეგმის შემუშავება განათლებულ ეპ. ლეონიდის განკარგულებით მოხდა ქუთაისში ჩემს თავმჯდომარეობით, შემუშავდა ორისავ ეპარქიის (სამეგრელოს და იმერეთის) წარმომადგენელთაგან. ახლად შემუშავებული პროგრამა ჩემისავე ხელით დაიწერა რამდენადმე ბ. ი. სანებლიძის დახმარებით, დაიბეჭდა და სკოლებს დაურიგდა სახმარებელად. დააკვირდით, რა სასტიკად იცავს ეს პროგრამმა ქართულ ენას და ებრძვის უკულმართობას! განა შეიძლება კაცმა (თუ არ პირშავმა!) გაბედოს და სთქვას: რომ ვინც ეს შეიმუშავა და ხელი მოაწერა ასეთს გაბედულ აზრებს, ის მოღალატეაო?! დაუმატეთ ამას ისეც, თუ რა სასტიკად ვიცავდი მე ჩვენის ეკლესიის თავისუფლებას (ავტოკეფალიას) იმ ორ რაპორტებში, რომელიც მე მივართვი ჩვენს სათაყვანო მღვდელმთავარს ლეონიდს. ის რაპორტი, ის ბროშიურა და ის ახალი პროგრამა ხომ დაბეჭდილებია, ყველასთვის ხელმისაწდომი—განიკადეთ და იხილეთ!, ღალატობა სწერია შიგ, თუ ქვეყნისთვის ღვაწლი?

ახლა ჰკითხეთ ბ. ფანცხავას და „ჯალამს“: ამაების მოქმედი მართლა მოღალატეთ მიაჩნიათ, თუ ხუმრობდენ, ხათრისთვის ხალხს ატყუებდენ?!. „ვაჲმე, რამეთუ დავკნინდით და მოგვაკლდა ჩვენ“! ვაჲ, რომ ჩვენში ძაღლი პატრონს ვერ სცნობს!

აბა ერთი მითხარით, რომელს „ჩინოვნიკს“ ქართველთაგანს ამდენი ბრძოლა აუტანია ქართულ ენის შემოსაღებად და გასამარჯვებლად სასულიერო-სასწავლებელ-სამრევლო სკოლებში, რამდენიც მე მიკისრია? სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ არც ერთს. თითქმის ოთხმოცის წლის განმავლობაში (1801—1881 წ.) სასულიერო სემინარიაში ქართულის ჰაჰანება არ ყოფილა, თუმცა ქართველი პროფესორები ბევრნი იყვნენ: მაგ. პლ. იოსელიანი, დ. ფურცელაძე, ქიქოძე, ჭონქაძე, ი. გოგებაშვილი, გ. ხელიძე, ტურიევი (ე. ი. ტურიაშვილი), ნ. მცხვეთაძე და სხ.—და წარმოიდგინეთ არც ერთჯერ ქართულ ენის შემოღებაზე ხმა არ ამოუღიათ. სემინარიის არქივი გაჩხრეკილი მაქვს, მაგრამ ქართულ ენის შემოღებაზე რო ვისმე ხმა ამოელოს, იმისი ხსენებაც არ მოიპოვება იმ ქაღალდებში 1810 წლიდან: ცხადია, რომ ამას ვერავინ ჰბედავდა, აგრეთვე სასულიერო სასწავლებლებში: ერთი გროშიც სახელმწიფო ფულიდან არ დახარჯულა ქართულ ენისთვის; ქართულს წერაკითხვას მღვდლების ხარჯით ასწავლიდენ მარტო მოსამზადებელ კლასებში (მაშინდელ 1—2 კლ.); სხვა კლასებში მისი ჰაჰანებაც არ იყო! არც არავის ხმა ამოუღია ამ უკულმართობის წინააღმდეგ. ეგრეთვე სინოდის კანტორაში: ექსარხოსის გარდა თითქმის სულ ქართველნი ეპისკოპოსნი და არქიმანდრიტნი ისხდენ კანტორის მწევრად და—წარმოიდგინეთ—არც ერთს კრინტი არ დაუძრავს სამშობლო ენის სასარგებლოდ ანუ მის მდევნელთა საწინააღმდეგოდ. გულისხმიერად დააკვირდით ამ სამწუხარო ფაქტს და მაშინ ცხადათ დაინახავთ, რამდენად სვინიდის დამწვარნი იყვნენ და არიან ის პირნი, რომელნიც ასე უსაბუთოდ ჭორების იარა-

ლით სცდილობენ სახელი გამიტეხონ, თავი მომჭრან ქვეყნის თვალში, მოღალატეობა გამიბედონ იმ კაცს, რომელსაც ჩემს მხრებზე ოცდაათს წელიწადს მიტარებია მთელი სიმძიმე ქართულ ენისთვის, მუდამ გამარჯვებულს ბრძოლაში მთავრობასთან, რომელსაც ქართული ენის კათედრა დამიარსებინებია ყველა სას. სასწავლებლებში, სემინარიებში, სამრევლო სკოლებში გამიბატონებია სამშობლო ენა, სამეგრელოში მომიგერებია მძვინვარე ვეშაპნი ქართულ წერვა-ლოცვისა და სამწერლობო ენისა...

ქვემო ჩვენ ვარღვევთ ბ. ფანცხავას მიერ წამოყენებულს ვითომ ჩემს „საღალატო“ აფიციალურს მიწერ-მოწერას, რომლისაგან მკითხველი დაინახავს, რომ ის მიწერ-მოწერანი საღალატონი-კი არ იყვნენ, არამედ, პირიქით, ქართულ ენას იცავენ. მოხსენებული წერილი არ დამიბეჭდა „ცნობის ფურცელმა“: თუ 240 მანეთს გამოგზავნით მაშინ დაგიბეჭდავთო!.. ცალკე გამოცემა დავაპირე, ცენზორის ნებართვაც ავიღე, მაგრამ დღემდი დაუბეჭდავი დამრჩა.

შარშან „კოლხიდაში“ (მარტის №) ბ. ფანცხავამ ისევ განიმეორა უკადრისი ჩემი ლანძღვა: თ. ჟორდანია მატყუარაა, არ დაუჯეროთო, მისი „ქრონიკებიც“ მატყუარანი არიანო, მამულიშვილობას რო იჩემებს, ეს სულ ტრაბახობაოო, (ე. ი. მე) იმდენი საღალატო ქაღალდები დავბეჭდეო მისგან ხელმოწერილებიო, რომ მიკვირსო, თავი როგორ უნდა გამოყოს საზოგადოებაში და სხ. და სხ. ქართულის დაცვა კი არა, თ. ჟორდანია ზედიზედ ქაღალდებით გვახრჩობდა, აბიქათ, მალე შემოიღეთო ახალი უკულმართი გეგმაო, ხოლო საბჭოს შეკითხვებზე ხმას არ გვცემდაო და სხ.

რადგან აქ ცოტა რამ დასძინა ბ. ფანცხავამ, ამიტომ ქვემო დაბეჭდილს ჩემს ანტიკრიტიკას ცოტას რასმე დავსძენ, სახელდობრ:

ა) 1902 წლის გეგმის მალე შემოტანა სამეგრელოს სკოლებში მეტად საჭირო იყო თვით ქართულ ენის დასაცავად და

ამასთან არც საბჭოს შეეძლო ის გეგმა არ შემონტანა, რადგან ეს მთავრობის ბრძანება იყო და არა სათათბიროდ გადმოცემული კითხვა. ამასთან ის ახალი გეგმა წარმოადგენდა იმავე ძველ პროგრამას, ოღონდ ოთხად გაყოფილს, რომელშიც ქართულ ენას დათმობილი ჰქონდა ოთხსავ განყოფილებაში 18 გაკვეთილი ყოველ კვირაში. აბა ჰკითხეთ ბ. ფანცხავას, რა მიზეზით არ არშგებდენ სკოლებში იმ პროგრამებს ოთხწლოვან კურსის შემოსაღებად? საბჭოს ხმაც არ ამოუღია წინააღმდეგ ოთხწლოვან კურსის შემოღებისა და არც დაუწუნია ქართულ ენისთვის გადადებული 18 გაკვეთილი; არც ბ. ფანცხავას, არც ნ. ნიკოლაძეს და არც სხვა მწევრებს კრინტიც არ დაუძრავთ ამაზე, როგორც ეს საბჭოს ჟურნალებიდან სჩანს (სეკტემბრიდან 1902 წლისა 1904 წლის დასასრულამდე). მაშ რა საჭირო იყო ჩემი ცალკე გამოჭენება?

აი იმის მიზეზი, რომ, როცა საბჭომ მაღალ მთავრობის მოწერილობა (20 აგვ. 1902 წ. № 931) მე გამომიგზავნა (24 ოკტ. № 398) „на заключеніе“, მაშინ მე პასუხის მიცემაც არ მინდოდა, რადგან ვისაც ჰკითხავდენ, იმას უნდა მიეცა პასუხი: საბჭოს ჰკითხავდენ და საბჭოსვე უნდა მიეცა პასუხი და არა მე, როგორც მეთვალყურეს. მაგრამ რადგან დაჟინებით მკითხავდენ, მეც ასეთი გადაკრული პასუხი მივეცი: „по прямому смыслу онаго отношенія новые учебные планы (съ распредѣленіемъ учеб. матеріала на четыре года для ц-школъ груз. Экзархата) должны быть разосланы по школамъ для руководства при преподаваніи, что, однако, не исполнено, несмотря на неоднократя письменныя и словесныя мои настоянія, вслѣдствіе чего ц—школы Епархіи въ настоящемъ году остаются безъ учебныхъ плановъ“, ე. ი. ამ წელიწადს ოთხწლოვანი კურსი სკოლაში შემოღებული არ იქნება და მეც პასუხისმგებლობა მომიხდია მეთქი. როგორც ვსთქვი, ოთხწლოვანი კურსი სამწლოვანის მაგიერ დიდი შე-

ღვათი იყო ჩვენის სკოლებისათვის და კერძოთ ქართულ ენის წარმატებისათვის, რადგან რასაც აქამდი სამ წელიწადს ასწავლიდენ, ამას იქით იგივე სამოსწავლო მასალა ოთხ წელიწადს უნდა ესწავლებინათ. ეს შეიგნეს იმერეთის და ქართლ-კახეთის სკოლების საეპარქიო საბჭოებმა და ამიტომ ის ახალი სამოსწავლო გეგმა მაშინვე მიიღეს. — ახლა ჰკითხეთ ბ. ფანცხავას: რაში დაინახა იქ ჩემი ღალატი ქართულ ენისა?!

კერძოდ იმერეთის ეპარქიის საბჭომ, რომელთა მწევრებში ითვლებოდენ ჩვენი ცნობილი პატრიოტები (მ. კელენჯერიძე, მ. ჩოგოვაძე, დეკანოზი ცაგარელი, დ. ჭეიშვილი, დ. შვანგირაძე, დ. დათოშვილი, ბ. კასაბიევი და სხ.), ხმა ამოუღებლივ მიიღო ახალი გეგმა, რადგან ამ ახალ გეგმაში ვერაფერი საღალატო ვერ ნახა და დაადგინა: „учебный планъ принять къ свѣдѣнію и исполненію и разослать по шлокамъ“ (იხ. ჟურნალი იმერეთის საბჭოსი 1902 წ. № 14, მუხლი 13). რადგან სკოლებს არ ეყო გამოგზავნილი ახალი გეგმები, საბჭომ ახლად გამოიწერა ეს გეგმები, ხოლო იმერეთის ეპარქიის სკოლების მეთვალყურემ, მ. კელენჯერიძემ, ამ ახალ გეგმით შეადგინა გაკვეთილების გაწესრიგება (расписаніе уроковъ), და საბჭოსთვის არ უკითხავს ისე, კიდეც დაუგზავნა სკოლებს სახელმძღვანელოდ, რომლის განკარგულება შემდეგ დაამტკიცა საბჭომაც (იხ. ჟურნალი იმერეთის საბჭოსი № 16, 10 ოკტომბრის). ეს ჟურნალი დაამტკიცა იმერეთის ეპისკოპოზმა, ცნობილმა ქართველობით ლეონიდემ.

მაშ თუ ბ. ფანცხავა ზემოხსენებულს ჩემს „საღალატო“ აფიციალურს პასუხში, ოტის ოდენაც არის ღალატს მართლა ამჩნეედა (და არა განზრახ მაბეზღარობდა, განგებ ატყუებდა საზოგადოებას, რომ სამაგიერო გადაეხადა ჩემთვის პირადის ანგარიშებისთვის), პირველად მოღალატეობა ეპ. ლეონიდისთვის უნდა ეკიჟინა, რომელმაც დაამტკიცა იმ საბჭოს ჟურნალი (№ 14, 10 ოკტ.), შერე ზემო ჩამოთვლილი ქართლ-კახეთის და იმერეთის საბჭოს მწევრებისთვის, რომელთა შორის

ირიცხებოდენ ცნობილნი ქართველნი პატრიოტნი და მწერალნი. რალა მე ამოშიღო მიზანში? რატო ამათ კალთას აფარებს და მარტო მე მისისტიკინებს?

თუნდაც რომ ბ. ფანცხავამ იმერეთის საბჭოს მწერლებს და ეპ. ლეონიდს ღალატი დაუმტკიცოს (ნუ იყოფინ!), იმ შემთხვევაშიც მე მოღალატეებში ვერ გამრევს და აი რატომ:

ა) მე არც ის „ახალი გეგმა“ მიმიღია სკოლებში, არც დამიგზავნია, არც შემიდგენია იმ გეგმით ახალი ნუსხა გაკვეთილებისა და არც მიბრძანებია სკოლების მასწავლებელთათვის და სკოლის მოძღვართათვის, რომ იმ გეგმით და იმ ნუსხით დაეწყოთ სწავლება, როგორც ეს სხვა ეპარქიების მეთვალყურეებმა ქნეს (იმერეთისამ, ქართლ-კახეთისამ და აფხაზეთისამ) და არც ცალკე ინსტრუქცია დამიწერია და დამიბეჭდვინებია იმ ახალ პროგრამების განსახორციელებლად. ბ) მე ჩემით არა მოქმიმოქმედნია რა, არამედ ფოთის საბჭოს ვსთხოვდი, რომ ის ახალი პროგრამა ოთხწლოვანის სწავლის შემოსაღებად სკოლებისთვის დაერიგებინათ, რადგან ასეთი იყო ბრძანება: „распредѣленіе на 4 года учебныхъ предметовъ въ ц-школахъ груз. Экзархата теперь же разослать всѣмъ школамъ, дабы съ наступающаго же 190²/з учеб. года ввести четырехгодичный курсъ преподаванія (იხ ბრძანება 1902 წ. 12 აგვ. იქვე). მაშასადამე დამნაშავე ვარ (თუ ამას დანაშაულად ჩამითვლის რომელიმე უგუნური!) მხოლოდ იმაში, რომ საბჭოს ვსთხოვე (და არა „ვუბრძანე“—მე საბჭოს მბრძანებელი არ ვყოფილვარ!), რომ ის ახალი პროგრამები სკოლებში დაეგზავნათ თანახმად მთავრობის ბრძანებისა. და ეს ჩემი თხოვნაც ფოთის საბჭოს ზემოხსენებულმა ბრძანებამ გამოიწვია, (24 ოკტ. № 398) და არა ჩემმა წინ-წახტომამ. თხოვა ხომ ღალატი არ არი?

გ) ფოთის საბჭო ამ შემთხვევაში უკანონოდ მოიქცა ფორმალურად და არსებითადაც; „ბრძანება“ უსათუოდ უნდა შეესრულებია (შეუსრულებლობა არ შეიძლებოდა): ეგ ი.

პროგრამები უნდა სკოლებში დაეგზავნათ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს უნდოდა იმ პროგრამის გეგმის შესახებ კითხვა დაეყენებინა, ამისთვის სხდომები უნდა დაენიშნა შემდეგ პროგრამების დაგზავნისა და თავისი დადგენილება ყველა მწერებისაგან ხელმოწერილი თავისისავე სახელით მაღალ მთავრობისთვის უნდა გაეგზავნა. ასე არ ინება საბჭომ: იმის ნაცვლად, რომ ეს საკითხი თვითონ გადაეწყვიტა (რადგან ვისაც ჰკითხავენ იმანვე უნდა მისცეს პასუხი), ფოთის საბჭომ მე მომთხოვა პასუხი: ყვავმა რო თავისი მკვდარი ბახალა ბუს მიუგდო, დიდი თავი გაქვს და შენ იტირეო, ისე მოხდა — თავისი უნუგეშო საქმე მე გადმომიგდო, — რაოდა, მარტო შენ გაეც პასუხიო...

მე მაინც ორჯერ მივეც პასუხი: ერთი 28 ოკტ. 1902 წ. (№ 206), სადაც ვთხოვდი, პროგრამები დაეგზავნათ, და მეორე 1901 წ. 27 იანვარს (იხ. ზემო), რომელშიც იმასვე ვთხოვდი და დავსძინე: რადგან წელიწადი თავდება, და პროგრამები დღემდე დაგზავნილი არ არის, ამის გამო ამ სამოსწავლო წელს ოთხწლოვანი კურსი შემოღებული არ იქნება, ე. ი. მე ამაში პასუხს ნუ მაგებინებთ-მეთქი.

დ) ამასთან ისიც მიიღეთ სახეში, რომ, როდესაც ფოთის საბჭომ მე შეკითხვა გამომიგზავნა ახალ გეგმაზე (24 ოკტ. 1902 წ. № 398), მაშინ ეს გეგმა უკვე მიღებული იყო და ძალაში შესული ყველა საექსარხოსოს ეპარქიებში, და ნუთუ შეიძლება კაცმა გულშიც გაივლოს, ვითომ ფოთის საბჭო გაბედავდა ახალ გეგმის უარისყოფას? და თუ ამისთანა გამბედავები მართლა ერივნენ იმ საბჭოში, რას უცდიდენ? ვინ უშლიდა მაგალითად ბ. ფანცხავას ანუ ბ. ნიკოლაძეს, გამოლაშქრებოდენ ახალ გეგმას, სამის ეპარქიის დადგენილება შეურაცხეყოთ, უწმ. სინოდისთვის უკან წაეღებინებიათ მისი (ბ. ფანცხავის კრიტიკით) გაწბილებული გეგმა და მთავრობის ბრძანება? რად ელოდენ უსათუოდ ჩემს ოფიციალურად გამოჭენებას და მარტოდ-მარტოსას?

მართლაც გულში ეს გმირული გამოლაშქრება უნდა სდებოდათ ბ. ფანცხავას პარტიას, მაგრამ რაკი ამდენი გმირობა არ ეგულებოდა თვისს „სერთუკიან“ პარტიაში, ეს „საგმირო საქმე“ მარტო მე დამაკისრეს: წადი და კატას ეჟვანი შენ შეაბიო მარტომაო! თვითონ სოროებში ჩასძვრენ... აი რა გმირები ჰყოფილან ეს დიდ-დიდ იდეალებზე მაღლა მყვირალნი ფრთხილი თაგუნები!

რატო მაშინ მაინც, როცა მე მარტომა კატას ვერ გაუბედე ეჟვნის შებმა, ეს გმირები თვითონ არ გამოვიდენ თავისის დოკლადებით, მეცნიერულ კრიტიკით დასამხობად მთავრობის გეგმისა? ამის დაშლა მაინც ხომ არ შემეძლო მე? არათუ ამ შემთხვევაში, არამედ ბ. ფაშცხავა კამპანიითურთ ერას დროს არ გამოსულან ქართულ ენის დასაცავად წერილობითის „პროტესტით“, სტრიქონიც არ დაუწერიათ...

მაშ რად მიკიჟინებს მარტო მე ბ. ფანცხავა „მოღალატეობას“? ალბათ იმიტომ, რომ ვერ გამასულელა და კატას ეჟვანი ვერ შემამბევინა მარტოსა. ალბათ ბ. ფანცხავა ჩემგან ელოდა დაახლოვებით ამისთანა პასუხს საბჭოს შეკითხვაზე; მთავრობის ახალი გეგმა არ მიიღოთ, ის უმსგავსოა, სულელურია; ნურც სკოლებში დაურიგებთ, ნურც ოთხწლოვან კურსს მიიღებთო! ამისთანა პასუხს რო გამომტყუებდენ, იქნება ეს ჩემი პასუხი ჩემის სახელით და საბჭოს „ნომრით“ გავლენიან პარტიას მთავრობისთვის გაეგზავნა! აი მაშინ ჩემს „ფოთელ მეგობრებს“ გულის წადილი აუსრულდებოდათ: მე სამსახურიდან გამაძევებდენ, ტიმოშკას დანიშნავდენ! ნუთუ ეს ედოთ გულში ზოგიერთებს? ეს საწყენათ დაურჩებოდათ მთელს სამღვდელოებას ეპარქიისას, ავნებდა ქართულ ენას და სკოლებს, დაამწუხარებდა ჩემს გმირებს—სამრევლო სკოლების მასწავლებელთ. მაგრამ სამაგიეროთ დიდათ გაახარებდა იმ „სერთუკიან“ ვეშაპებს, რომელნიც ჩემის განდევნით თავიდან მოიშორებდენ „საშიშ მეთვალყურეს“ მათის „გმირულის“ ბურთაობისას საზოგადოების თანხით. მრწამს, რო ჩემი განდევ-

ნა ჭკვაში არ დაუჯდებოდა თვით ბ. ფანცხავას ამ „ჭეშმარიტს პატრიოტს“, რომელსაც ზემო აღნიშნული ჩემი აფიციალური პასუხი „საღალატო წერილად მოლანდებია და დღემდიც ვერ დამცხრალა, ვერ მოუნელებია ქართული ენის მოღალატე“!

ღრმად ჩააკვირდით მკითხველნო და გამოიკანით გულისხმიერათ, ვინ ღალატობს საქვეყნო საქმეს ამ შემთხვევაში—მე, თუ ვინც მოლვაწე-მოჭირნახულეთ ხელფეხს უკრავს, გზებს უხლართავს, მახეებს უგებს, და ჭორებს უვრცელებს, ქვეყანას ატყუებს!

მაგრამ, მკითხველი რო უფრო ღრმად ჩავახედო იმაში, თუ რამდენად ბ. ფანცხავა ჰღალატობს სიმართლეს და თვით ქართულ ენის ინტერესებს სამეგრელოს სამრევლო სკოლებში, მე მოვიყვან მეორე ნახევარს ზემოხსენებულის ჩემის აფიციალურის მოხსენებისას. ოღონდ აქ ცოტა სიტყვები უნდა დავურთო, რომ ყველასთვის გასაგები გახდეს ჩემი პასუხი.

ზემოხსენებულს მთავრობის იმავე მოწერილობაში მეორე შუხლში (20 აგვ. 1902 წ. № 931) მთავრობა ავალებდა ფოთის საბჭოს: ისიც გამოიკვლიეთ, თუ რომელი სამრევლო სკოლა ეპარქიისა ეკუთვნის პირველ ტიპს ახალ გეგმაში აღნიშნულს სკოლებისას, სადაც ქართულ ენის სწავლება ნებადართულია 18 გაკვეთილით ყოველ კვირაში და რომელი მეორე და მესამე ტიპსაო (უქართულენოთ).

ამ კითხვაზე იმერეთის საბჭომ გადაჭრით მიუგო მაღალმთავრობას: „всѣ церковныя школы Имеретинской епархіи отнести къ первому типу школъ (იხ. ჟურნალი № 16, 1902 წ.). თუმცა იმერეთის სკოლების სიაში სვანეთის სკოლები ერია, სადაც ახალ გეგმის ერთის ყრუ შენიშვნის ძალით ქართული ენა არ უნდა ესწავლებინათ, რადგან სვანებს არ ესმით, ამ სვანეთის სკოლების მეორე ტიპობაზე იმერეთის საბჭომ ბრძნულად ყური მოიყრუა; სვანებს რო ქართული ენა არ ესმისთ—ამაზე ხმა არ ამოუღია საბჭოს, სვანების სახე-

ლიც არ უხსენებიათ, ისე ბრძნულად ჩააფუჩეჩეს ეს კითხვა და კიდეც თავისი გაიტანეს.

ფოთის საბჭოც ასე უნდა მოქცეულიყო მეგრელების და მეგრელთ სკოლების შესახებ. მაგრამ სამწუხაროდ, აქაც გონიერება მოსტაცა გავლენიან მწევრებს იმ „სერთუკიან ვეშაპთა“ ზედ-გავლენამ, რომელნიც, როგორც ზემო მოგახსენეთ, საზოგადოების ფულებს „ავის თვალებისაგან“ იცავდენ და ჩემს ფოთიდან გაძევებას ნატრულობდენ, ჩემს სამსახურიდან გაგდებას ანაცვალებდენ ქართულ ენის ბედსაც.

ამათის გავლენით ზოგიერთმა მოინდომეს ეს კითხვა ჩემს საწინააღმდეგოდ გამოეყენებიათ და ამ განზრახვით შექმნეს ლაპარაკი იმაზე, რომ ახალ გეგმის შენიშვნაში უსაუთუოდ მეგრული ენა იგულისხმებაო (უქართულ ენოდ, შეორე ტიპისად) და მოითხოვეს, რომ მე შემეტანა ამაზე ოფიციალური ქაღალდი დასარღვევად. მე მოვახსენე: მეგრელის სახელიც რომ იმ შენიშვნაში არ არის ნახსენები, თქვენ რა გრჯით, რომ მეგრელების საკლავს დანას სჩხრეკთ მეთქი! ჩვენ მივწეროთ მთავრობას, რომ ეპარქიის სკოლები ყველანი „პირველის ტიპისანი“ არიანთქო (როგორც იმერეთის საბჭომ მიუგო და მით სვანების სკოლების მეორე ტიპობა ჩააფუჩეჩა). როდესაც მთავრობა თვითონ დააყენებს კითხვას მეგრელების არა-ქართველობაზე, მაშინ პასუხი მივსცეთ, რომ მეგრელნი ქართველები არიან, ქართული ესმისთ მეთქი. თუ ამის შემდეგაც მთავრობა მეგრელების არა-ქართველობას დაიჟინებს, აი მხოლოდ მაშინ დიაღაც ვრცელ დოკლადს მოგართმევთ, სადაც მეგრელთა ქართველობას დავამტკიცებ აუარებელ საბუთებით მეთქი, ოღონდ იმ „დოკლადზე“ მთელმა საბჭომ უნდა ხელი მოაწეროს და არა მარტო მე გამომაჭენოთ მეთქი: ერთი რომ ეს უკანონოც იქნება, რადგან ვისაც ჰკითხავენ, იმან უნდა პასუხი მისცეს მეთქი და არა კერძო პირმა („არა-მკითხემ“) და ამასთან ჩვენთვისაც საშიშარიც იქნება მარტოდ-მარტო მთავრობის წინააღმდეგ გამოლაშქრება მეთქი: მე გამაგდებენ, ტი-

მოშკას ჩაგისვამენ, საქმე წაგვიხდება-მეთქი. ვინ დაგიჯერა! უსათუოდ დამაკისრეს სიტყვიერად, რომ ჩემგან ხელმოწერილი ქაღალდი შემეტანა მთავრობის წინააღმდეგ შესახებ სამეგრელოს სკოლების დაცვისა „მეორე ტიპობისაგან“.

დააკვირდით მკითხველნო, რა უგუნურობაა: არც მთავრობის ქაღალდი (№ 93), არც დაბეჭდილი გეგმა სამეგრელოს სკოლებზე ხმას არ იღებენ, მეგრელების ხსენებაც იქ არ არის, ხოლო ფოთელი საბჭო მაინც კითხვას აყენებს: მეგრელები ქართველები არიან თუ არაო!!. შეუძლებელია კაცმა ეს უგუნურება სხვაფერ ახსნას, თუ არ იმით, რომ ამ კითხვის დაყენებით პირადად მე მახეში უნდა გავებით, ჩემგან აფიციალურს ქაღალდს მოითხოვდენ, იცოდენ, რომ მე მეგრელთა ქართველობას დავიცავდი, ამ ქაღალდის ძალით მთავრობის წინააღმდეგობას დამიმტკიცებდენ, იმ „ვეშაპების“ ხელში ჩაუგდებდენ და ფოთიდან განდევნიდენ იმ რაინდების მოქმედებათა „საშიშარს მეთვალყურეს“. მე მაინც სხვებრ ვერ ავხსენი ესეთი მათი უგუნურობა. და ვერც აიხსნება...

ამიტომ მე პასუხი არ მივეც. შემდეგ ოფიციალურად ორჯერ მომთხოვეს პასუხი შეკითხვაზე: სამეგრელოს სკოლები პირველს ტიპს ვაკუთნოთ, თუ მეორესო (24 ოკდ. 1902 წ. № 398). იგივე საკითხი კიდე ერთჯერ გამიმეორეს და სიტყვიერათაც ძალიან მევედრებოდენ პასუხის მოცემას.

მაშინ მეც, თუმც ვხედავდი აქ მახე ჰქონდა ჩემთვის გაბმული, მაგრამ მაინც გავბედე და ასეთი პასუხი მივეცი, რომელში მეგრული შკოლა არ მოვიხსენიე ისე თვით ამ კითხვის დაყენება დავგმე და ისეთი აზრები მივეცი საბჭოს, რომლის ძალით მთავრობაც ვერ წამოაყენებდა ამ კითხვას. აი ეს ჩემი პასუხი (იმავე 28 ოკდ. № 206 და 27 იანვ. 1903 წ. № 37), რომელიც ბ. ფანცხავას ჩემ „საღალატო საბუთებად“ მიაჩნია, ხოლო მე ამ პასუხით თავი მომაქვს, როგორც საბუთით ჩემის გამბედაობისა ქართულ ენის დაცვაში. გულისხმიერად დააკვირდით:

„Обсужденіе вопроса о томъ, какому типу (изъ трехъ) будетъ слѣдовать та или другая школа, принадлежитъ прежде всего уѣзднымъ отдѣленіямъ, и, пока послѣдніе не выскажутся по сему вопросу, я нахожу неправильнымъ (въ видахъ соблюденія принятаго порядка) высказаться по данному вопросу, весьма сложному, требующему большой осмотрительности при извѣстномъ Совѣту волненіи умовъ въ обществѣ по поводу пущенныхъ злонамѣренными людьми ложныхъ слуховъ. Таковое мое мнѣіе о передачѣ настоящаго дѣла заключенію уѣздныхъ отдѣленій я высказывалъ на каждомъ засѣданіи совѣта, съ сентября мѣсяца с/г и совѣтъ, какъ мнѣ казалось, каждый разъ признавалъ правильными представленные мною резоны“ (შეადარეთ ბ. ფანცხავას თარგმანი ამ მუხლისა მისს წიგნაკში გვ 13).

ნეტა რა ნახა აქ „საღალატო“ ბ. ფანცხავამ? საღალატო კი აქ არაფერია, ხოლო თავგამოდება ჩემი აქ ცხადათ სჩანს; ოღონ რომ გავავრცელოთ აქ გამოთქმული ჩემი აფიციალურის ქაღალდის აზრი, აი რას მოვახსენებ საბჭოს ამ ჩემს პასუხში:

აქ მე უარ ვყოფ თვით ამ კითხვის წამოყენებას საბჭოსგან, როგორც უგუნურებას და საზარალოს ქვეყნისთვის, რადგან ეს კითხვა „რთულია“, მისი გადაწყვეტა დიდს დროს მოითხოვს და ამასთან „მეტად დიდს სიფრთხილესაც. მით უმეტეს დღეს არ შეიძლება ამ კითხვის დაყენება, რადგან, „როგორც საბჭომ იცის, დღეს საზოგადოება აღელვებულია ყალბი ხმებით, რომელიც გავრცელებულია მავნე პირებისაგან“.

ერთის სიტყვით ამ ჩემს აფიციალურს პასუხში მე ვეუბნები ფოთის საბჭოს: ამ კითხვის არათუ გადაწყვეტა, არამედ წამოყენებაც უგუნურობა იქნება. მეთქი, შკოლებში პროგრამის შეცვლა ანუ ქართულ ენის დამცირება და გადაქმნა დღეს შეუძლებელია, რადგან დღეს უკვე ხმა გავცელებულია ხალხ-

ში და საზოგადოება ღელავს ამ ამაღელვებელ ჭორებით, ვითომ ქართულ ენას სკოლებიდან აძევებდენ ანუ ამოკლებდენ, ე. ი. დღეს ამ კითხვას ნუ წამოაყენებთ, თორემ ხალხი იბუნტებს ქართულ ენის დასაცავად, ამას საშიშარი შედეგი მოყვება და სხ. ხოლო თუ ამ კითხვის წამოყენებას მაინც-და-მაინც არ დაიშლით, იმ შემთხვევაში წინ-და-წინ საბჭოს ყველა განყოფილებათა დაჰკითხეთ და მხოლოდ მაშინ ჩემი აზრი მომთხოვეთა-მეთქი მაგ კითხვაზე.

ცხადია, რომ მე ყოველ ღონეს ვხმარობ, რომ არათუ არ შეიცვალოს ქართულ ენის მდგომარეობა ეპარქიის სკოლებში, არამედ ამაზე ხმაც არ ამოიღოს საბჭომ, რადგან ეს კითხვა მთავრობას არ წამოუყენებია; ხოლო იმ შემთხვევაში თუ მთავრობა თვითონ წამოგვიყენებდა მას, მაშინაც უარი უთხრათ ჩვენს უფროსებს, რადგან საზოგადოება ჰღელავს და უდროოც არის და საშიშარიც ამ საკითხის აღძრვა. მრწამდა, რომ ამ საბუთებს მთავრობა ყურადღებას მიაქცევდა და არ აჩქარდებოდა. იმ შემთხვევაშიც, თუ მთავრობა მაინც იმ კითხვას გადაჭრით დაგვიყენებდა და პასუხს მოგვთხოვდა, მაშინაც ჯერ საბჭოს განყოფილებათა უნდა დაჰკითხოთ, მერე მეთვალყურეთ და მაშინღა იქონიეთ გადამწყვეტი მსჯელობა-მეთქი.

ასეთია ჭეშმარიტი აზრი ჩემის პასუხისა, და არ ვიცი, როგორ გჰაბედა ბ. ფანცხავამ და ქვეყანას აცნობა, ვითომ მე არავითარი პასუხი არ მიმეცეს საბჭოს დაკითხვაზე? — იმიტ გაჰბედა, რომ ჩვენს ზნეობრივ განხრწნილ რედაქციებში ძმაბიჭები ეგულებოდა, „დერჟი-მორდები“ და მათის დახმარების იმედით გამხნევებული იყო.

ამ ნაირად გამოირკვა, რომ ჩემი ზემომოყვანილი პასუხი ფოთის საბჭოს სახელზე არათუ ღალატიანი არ იყო, არამედ ერთად-ერთს გზას გვიჩვენებდა დასაცავად ქართულის ენისა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში. მაგრამ ფოთის საბჭომ, ბ. ნიკოლაძის და ფანცხავას ხათრით, არა თუ არ განიხილა

ის ქალალდები (№№ 206 1902 წ. და 37—1903 წ.), არამედ არც კი წაუკითხვინებიათ იგინი სხვა მწევრებისთვის. ეს იქიდან სჩანს, რო არც ერთს ჟურნალში იმ ქალალდებზე დადგენილება საბჭოსი არ არის აღნიშნული.

ამ ძვირფასს ჩემს პასუხს გვერდი რო აუქციეს, სამაგიეროდ ლაჟინებით მთხოვდენ, რომ ჩემის სახელით შემეტანა საბჭოში დარღვევა მ. ვოსტორგოვის აზრისა შესახებ მეგრელების არა-ქართველობისა, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ეს კითხვა არც მთავრობას, არც მ. ვოსტორგოვს წერილობით არ დაუყენებიათ, მაგრამ ჩვენი „სერთუკიანები“ ძალად აყენებენ, რომ ამ კითხვის გადაწყვეტაში მე გამრიონ და მთავრობას მიმცენ,—მე მაინც ასე მესმოდა; ალბათ ეს „ფოთელ ვეშაპებს“ ძალიან არგებდა საზოგადოების ფულებზე გაღვიძებულ მადის მოსაკლავად. რაკი დავრწმუნდი, რომ ფოთელ საბჭოს „სერთუკიან მწევრების“ წყალობით ჩემი პასუხები მაუდს ამოუდეს, არ მოისმინეს, მაშინ შევასრულე ამ სერთუკიანების სურვილი: ვრცელი მოხსენება დავწერე წინააღმდეგ მთავრობის აზრისა, ლექსიკურად და გრამატიკულად დავარღვიე ჩემის უფროსების აზრი იმაზე, რომ მეგრელები ქართველები არიან, ქართული ლაპარაკი ესმისთ და სამეგრელოს სკოლების „მეორე ტიპობა“ უარვყავ; ბოლოს ხელიც მოვაწერე და ფოთში ჩავიტანე ჩასაბარებლად.

მაგრამ რადგან ფოთში ნამდვილ წყაროებიდან გავიგე, რომ ამ ქალალდს თურმე ჩემდა გასაძევებლად ელოდნენ ვეშაპები, ამის გამო ქალალდი არ მივეცი, ბათუ ურიდიას გადავაწერინე ტექსტი მოხსენებისა, რომელიც წინდაწინ წაუკითხე საბჭოს თავმჯდომარეს და რამდენიმე მღვდლებს. საღამოს სხდომა იყო და იქ წავიღე გადაწერილი ტექსტი ჩემგან ხელმოწერილი. ასე განვიზრახე: საბჭო მოისმენდა ამ ტექსტს, თუ მოიწონებდენ, ყველანი ხელს მოაწერდენ და მეც მოვაწერდი.

მაგრამ ბ. ნიკოლაძემ არ ქნა: სანამ შენის სახელით მარტო შენგან ხელმოწერილი ქალალდი არ მოგვივა, მანამდი

არ მოგეხსნებითო. მე ვუპასუხე: „პასუხს საბჭოს თხოვენ და საბჭომვე უნდა მისცეს პმსუხი; თორემ რას ემგვანება საბჭოს მაგიერ ეპარქიის მეთვალყურე აძლევდეს პასუხს—ის ბრძივა, რაც არა-მკითხე მეამბეს მოუვიდა! დააყენეთ კითხვა, ვილაპარაკოთ, ნალაპარაკევის მიხედვით მე დავწერ პასუხს, ხელს მოვაწერ და თქვენც ყველამ ხელი მოაწერეთ, მთავრობას ყველას სახელით გავუგზავნოთ მეთქი“.

ეს ბ. ნიკოლაძემ არ ინება და საბჭოს მწევრებიც თავისკენ გადაძალა. მარტო მღვდელი ი. ბობოხიძე დარჩა ჩვმკენ და ითხოვდა ჩემთან ერთად, რომ ეს კითხვა საბჭოს ამავე სხდომაზე (27 მარტს) გადაეწვიტა, ოქმის დაწერა ჩემთვის მოენდოთ (რომელიც წინდაწინვე დაწერილიც მქონდა) და იმ ოქმზე ყველა მწევრებს ხელი მოეწერათ და არა მარტო მეხმის უმეტესობით გადაწყდა: 16 აპრილამდი წარმომედგინა საბჭოსთვის ჩემგან ხელმოწერილი ოფიციალური პასუხი (ჟურნ. № 6, 27 მარტი 1903 წ.). მაგრამ სანამ მე უკვე დამზადებულს პასუხს ჩავაბარებდი საბჭოს დასარღვევად მთავრობის აზრისა, ფოთის ეპისკოპოზმა თვითონ გადასწყვიტა ეს კითხვა თანდასწრებით ექსარხოსისა და მ. ოსტოროგოვისა. წახდა საქმე!

მაშინ საზოგადოებაში და პრესსაში ხმა დამიყარეს, ვითომ ეს ჩემის წყალობით მომხდარიყოს. მაშინ მე გაზეთში გამოვაცხადე იმის სახელი, ვინც იყო ამის მოქმედი, და რომ ჩემზე ეჭვის შემოტანა არავის შესძლებოდა, თვით აფიციალურს ჩემს ანგარიშშიც დავასახელე, ვინც ამის მოქმედი იყო. ეს ანგარიში ფოთის საბჭომაც დაადასტურა და ეპისკოპოსმაც დაამტკიცა, ისე რომ დამნაშავეთ კრინტიც ვერ დასძრეს (იხ. დაბეჭდილი ანგარიში 1902—3 წ. ვვ. 28—29). საბჭომ ახალი გეგმა და გაკვეთილების ნუსხები სენაკის და ზუგდიდის განყოფილებებს დაურიგა და უბრძანა ამ გეგმით შემოელოთ სწავლება სამეგრელოს სკოლებში (იხ. საბჭოს ქალალდები 25 აგვ. 1903 წ. №№ 259, 260). ყოველივე ეს უჩემოდ მოხდა!

მაშინ მწარე გამოცდილებამ სულ სხვა გზას დამაყენა ქართულ ენის დასაცავად სამეგრელოს სკოლებში, იმ ჩვეულ გზას,

რომელსაც ვადექი თფილისში ყოფნის დროს მუდამ გამარჯვებულად. ეს გზა იყო მარტოდ თავის თავზე დანდობა, უკიდურესად თავის განწირვა, ჩუმად მოქმედება და გამოცდილ ხერხებით. საიდუმლოდ მოქმედება იმიტომ იყო საჭირო, რომ ჩვენი გადაგვარებული, უსულ-უგულო უიდეალო-უპატრიოტო „რუსეთუმეებში“ ბევრი ურევია შურიანობით მაბეზღარნი, რომელნიც არას დაგიდევენ, არას დაგიზოგვენ, ოღონდ მაგათთვის უსიამოვნო კაცი მოიშორონ, მაგათს ბნელ საქმეებში „ავი თვალი“ არ ჩაახედონ.

ჩაველ თფილისში, ექსარხოსის წინ დავემხვე, შოვახსენე: გნებავთ ახლავე სამსახურიდან გამაგდეთ, დამღუპეთ ამდენის ობოლ-შვილების პატრონი, იმ ახალ განკარგულებას ვერ შევასრულებ შესახებ სამეგრელოს სკოლებზე მეთქი. გაცვიფრდა კეთილი ექსარხოსი (რომელიც ჩვენმა „რუსეთუმეებმა“ უმიზეზოდ ტიმოშკებში ჩარიცხეს). მკითხა რა მიზეზითაო? მოვახსენე: მთელს სამეგრელოში ხმა გავარდა, ვითომ ქართული ენა მოსპესო, თავად-აზნაურობა საჩივრებს ამზადებს ხელმწიფესთან, საზოგადოება ღელავს, ხალხი ჩვენს სკოლებს ცეცხლს უკიდებს, ჩვენს მასწავლებელთ სცემენ, ნასწავლი კაცები ამზადებენ წიგნაკებს ჩვენის მთავრობის განკარგულებათა საკრიტიკოდ, ჩემი მდგომარეობაც საშიშარია და პირადად თქვენც, უეჭველად, დიდს უსიამოვნებას შეგამთხვევენ საჩივრებით-მეთქი. მიბრძანა: მე უსაფუძვლო საჩივრების არ მეშინიანო. მოვახსენე: ნუ გამიწყრებით და სიმართლეს მოგახსენებთ, სიმართლის მოყვარენი ბრძანდებით, წმიდა გონებით, ნება მოგეცით და იმედი მაქვს, ყოვლადის საფუძვლიანობით დაგიმტკიცებთ, რომ სკოლის მთავრობა ღრმად და უბედურად სცდებით ან გაცდენენ, როდესაც გარწმუნებენ, ვითომ მეგრელებს ქართული არ ესმოდეთ-მეთქი, მეგრული ძველი ქართული ენაა-მეთქი.

ნება მიბოძა ლაპარაკისა. მეც დიდათ მომზადებული ვიყავ. ის დოკლადიც ხელში მეჭირა, რომელიც ფოთის საბჭოს-

თვის უნდა მიმერთმიხ 16 აპრილის სხდომისთვის. ყოვლადის დაწვრილებით ვუმტკიცებდი; რამდენიც სიტყვა შემიბრუნა ყველა ავუხსენი, მთელი ისტორია ვუამბე, თუ რამდენჯერ ექსარხოსები სცდილან მეგრელებისთვის საღმრთო წერილი მეგრულად ეთარგმნათ და ყოველთვინ ამდენი ნაშრომ-ნამოქმედარი-ნახარჯი დაღუპულა სასირცხვილოდ იმ კაცუნებისა, რომელთაც მთავრობა მოატყუეს, რომ რამე ჯილდო გამოეცანცლათ. ახლაც ასე მოხდება-მეთქი: ჩემი შერცხვენა თქვენი სანაცვალო იყოს, მაგრამ ისა მკლავს—თქვენ შერცხვებით და მაშინ მე თქვენი რისხვა არ ამცდება,—რო სიმართლე არ მოგახსენეთ იმას დამაბრალებთ, სამსახურიდან გამიძახებთ, აი ამიტომ გიბედავთ და ახლავე ამას მოგახსენებთ-მეთქი, რომ მერე საყვედური ავიცდინო.

მღვდელ-მთავარი წამოდგა, სიარული დაიწყო, დაფიქრდა,.. უცებ მომიბრუნდა და მითხრა: სულ მართლს ამბობ? ხომ არ სცდებიო?

მოვახსენე: თქვენო მეუფებავ, თქვენ შეგიძლიათ ერთის კალმის მოსმით ცხოვრებიდან ამომშალოთ, დამღუპოთ ოჯახიანად,—ტყუილებს როგორ გაგიბედავთ; მართლის თქმისაც მეშინია, ნახევარიც ვერ გამიბედნია, ისიც უკიდურეს მდგომარეობამ და თქვენგან საყვედურის მოლოდინის შიშმა გამაბედვინა-მეთქი. მკითხა: მაშ როგორ სჯობიაო? მოვახსენე: ნუ ინებებთ, მეუფეო, ამ საქმეს თქვენს თავზე ნუ იღებთ; დანიშნეთ კომისია მცოდნე კაცებისაგან, მათ გამოარკვიონ მეგრელთ ქართველობა, მათვე პასუხი მისცენ, თუ ამაზე საქმე ატყდა, თქვენ მაგათ გადააბრალებთ, თვითონ ხელს დაიბანთ-მეთქი. ხოლო სანამ კომისია გაარჩევდეს ამ საკითხს მანამდი ნება მიბოძეთ არ ავასრულო საბჭოს მოწერილობა, როგორც აქამდი ვასწავლიდით, ისე დარჩეს სწავლება-მეთქი.

არც ჰო ბრძანა და არც არა, დამითხოვა: ვიფიქრებო. ეს დიდ გამარჯვებად ჩავთვალე. მოგეხსენებათ: გაჩუმება თანხმობის ნიშანიაო. იმ წელიწადს კიდე ორჯერ ვეახელი, იმავე

საგანზე ვებაასე, უმეტესად დავაფიქრე. ბოლოს ნება დამრთო სწავლების შეუცვლელობაზე, კომისიის დანიშნვა დამპირდა. და მალეც შეასრულა. აპრილში დამიბარეს თფილისში...

თუ როგორ და რა საბუთებით დავიცავ ამ კომისიაში ქართული ენა, ამის სრული მოთხრობა საინტერესოც არის და გამოსადეგიც მომავალთათვის და ამიტომ ამ აბავს ცალკე წერილად აღვწერ „განთიადისთვის“. აქ მხოლოდ ვიტყვი, რომ სრული გამარჯვება მერგო: სამეგრელოს სკოლები „მეორე ტიპიდან“ ამოიშალა და ქართლ-კახეთ-იმერეთის სკოლების სიაში ჩაიწერა, ქართულ სკოლებად აღიარებულ იქნა. გახარებული წამოვედი, ფოთის საბჭოს მოვუტანე საბუთი, ახალი სხდომა დავნიშნეთ და ახალი დადგენილება დავაყენეთ. — კომისიის დადგენილების პირი ხელთა მაქვს და ეპ. დავითს მივართმევ.

ერთი ამის უკეთესი გამარჯვება არ იქნება. მოგეხსენება, თუ ტიმოშკამ როგორმე უფლება ჩამოგართვა, იმის მერე დაბრუნება ვის შეუძლია! ჭეშმარიტად ღმერთი შემეწია, განმაბრძნო, გამაბედვინა. — მართალია, სვანეთის სკოლები ვერ დავიცავი იმ კრებაზე, რადგან სვანური არ ვიცოდი, ხოლო იმერეთის მეთვალყურე ვასილიევი დაჟინებით თხოულობდა სვანეთის სკოლების „მეორე ტიპობას“, ე. ი. უქართულ-ენობას, მაგრამ როდესაც, ერთის წლის შემდეგ, იმერეთის სკოლები ჩავიბარე, ხოლო გურია-სამეგრელოსები ვასილიევმა ჩაიბარა (გავცვალეთ), სვანეთის სკოლებშიც, ჩემის მოხსენების ძალით, ქართულ ენის სწავლება შემოღებულ იქმნა ძველებურად. ესეც ახალი გამარჯვება!

რამდენისამე თვის შემდეგ, როგორც ვთქვით, ჩემის თავმჯდომარეობით ორისავე ეპარქიის წარმომადგენელნი შევიკრიბენით ქუთაისში და მოძრაობის დროს შევადგინეთ სულ ახალი პროგრამმა, რომელიც იმერეთის საბჭომ დაბეჭდა ვრცელის და გაბედულის დასაბუთებით და ეს პროგრამმა მოქმედებდა ყველა სკოლებში, სანამ მე სამსახურიდან მაბეზღართა ქვეშ-ქვეშაობით „ატსტავკა“ არ მომცეს...

ესეც ხომ დიდი გამარჯვება იყო ქართულ ენისა!

კიდე ბევრი შემთხვევა დამრჩა აღუნუსხველი ჩემის შეტაკებისა ქართულ ენის და ქართულ სკოლების დასაცავად, მაგრამ რაც აღნუსხულია, ისიც კმარა იმის გასათვალისწინებლათ, თუ რა მძიმე გარემოებაში შემექნა ბრძოლა ორ ცეცხლშუა—მთავრობისა და ჩვენებურ მეჭორეთაგან დევნილს, მაგრამ მაინც მუდამ გამარჯვებულს, რომელმან კათედრები ქართულ ენისა ყველა სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიებში დავაარსებიე, გავაბატონე ქართული ენა სამრევლო სკოლებში, დავიცავ ქართული ლოცვები და თვით ქართული მწერლობითი ენა სამეგრელოში და სვანეთის სკოლებში, რომელმა ამ ბრძოლაში ბევრჯერ თავი განვსწირე, ათასნაირი სიმწარე ვიგემე და ბოლოს ჟამს მწარე ნაღველი ვიგემე მეჭორეთა და მეშურნეთაგან. მძულს მკვეხარა და წყეულ იყოს თავის მაქებარი, მაგრამ როცა უსაფუძვლოთ ოც და ათის წლის სამშობლო ენისთვის დადებულს ღვაწლს მართმევენ და ამასაც რო არ სჯერდებიან და თან ღალატობას მწამებენ მუქთახორები, მაშინ თვით მკითხველი დამგმობს, რომ გავჩუმდე და თავის დასაცავად ხმა არ ამოვიღო.

მე რომ ვერიდებოდი ქება-დიდებას, ამას უზაკველი მკითხველი იქიდანაც მიხვდება, რომ ამოდენა ნაღვაწს ერთი სტრიქონიც არ დამიწერია გაზეთებში, არც ჩემი თავი გამომიჩენია და არც ჩემი ნამოქმედარი გამომიქვეყნებია დარწმუნებული იმაში, რომ შემდეგი მოდგმა ჩემს ნაღვაწს რომ როდისმე არქივებიდან გამოსჩხრეკდა შენდობას მეტყოდა დამაშვრალს, წამებულს სულს. ამ „ღმერთო აცხოვნე"-ს მეტს მე არაფვის არასა ვთხოვ, სრულიად დაკმაყოფილებული იმ სულიერ სიხარულით, რომელსაც მიძღვნის მე ყოველ წუთს თითონ ჩემი სვინიდისი, ჩემი ღმერთი. მწუხარება, დევნა, ეკლის გვირგვინი და ჯვარი თან ახლავს ყოველ ქრისტიანეს, ყოველს მართალს: „ვაჲ მართალთა"! ეს კანონია ცხოვრებისა ყველა მართალთათვის, ეს ქრისტეს სჯულია საუკუნო და

მიუცილებელი, ეს ერთად ერთი გზაა მაღალ სიხარულისადმი, თვით ქრისტესადმი. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ თან აღმაფრთოვანებელი სიტკბოება ახლავს. აი, ამიტომ არ უნდა გიკვირდეთ, რომ ადვილად ავიტანე ამდენი დევნა-წამება მეშურნე-მეჭორეთაგან, შოთას რჩევის მიმდევარი (მუხლი 1119):

„ანუ არის ბრძენი ვინმე მაღალი და მაღლად მხედი,
არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედა-ზედი,
ვით ზღაპარი ასე ესმის უბედობა თუნდა ბედი:
სხვაგან არის, სხვაგან ჰფრინავს, გონება უძს ვითა ტრედი.

ეს დიდებული სახეა გმირისა, რომელიც სიმართლისთვის ბრძოლაში წვალება-წამებას სიხარულით ითმენს, უდრტვინველად, შეუშფოთებლად.

ცოტა სხვანაირია სახე სიმართლისთვის მებრძოლ გმირისა ჩვენის მგოსნის მაჩხანელისა, რომლის მაღალი ღირსება ჩვენს მწერლობას სამართლიანად ვერ დაუფასებია. ამისი გმირი სიმართლისთვის ბრძოლაში უკან არ დგება, არ ტყდება, მაგრამ ჰღელავს, სწუხს და მხოლოდ ლოცვაში ჰპოულობს ძალას:

ვიჯექ და ცრემლი მდიოდა მთის ძირსა შამბნარ-ტყიანსა,
ვწყევლიდი წუთი-სოფელსა ცრუსა და ღალატიანსა:
ცილსა მწამებდენ მართალსა, დღეს მიშავებდენ მზიანსა,
ქვითინით ვთხოვდი შველასა იესოს სამართლიანსა...

ზემო ნაჩვენებს საბუთებს და ამონაწერების საბჭოს ჟურნალებიდან ვუგზავნი ეპ. დავითს.

თ. ჟორდანია.

(შემდეგი იქნება.)

უცხოეთის მიმოხილვა.

ახლო აღმოსავლეთი.

15 საუკუნის დასასრულს თათართა (მონგოლების) ბატონობა რუსეთში მოისპო და დიდმა მთავარმა და „თვითმპყრობელმა“ იოვანე III თვისი სამეფოს სიმბოლოდ აირჩია, ძველი, აწ უკვე დაღუპული ბიზანტიის იმპერიის ღერბი — ორთავიანი არწივი, რომელიც საშოვარს გაფაციცებით ეძიებს ორივე მხარეზე, აღმოსავლეთისკენაც და დასავლეთისკენაც. ამ დროს დაბნელებული რუსეთი ნამდვილ აზიურ ქვეყანას წარმოადგენდა, ევროპული მას სრულიად არაფერი არ ეცხო და მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში, სახელდობრ, 1571 წ. ყირიმის თათრებმა სულერთიანა მოსრისეს იგი, შეიჭრენ დიდი რისხვით ქვეყნის შუაგულში, დასწვეს სრულიად მოსკოვი და ტყვეთ წაიყვანეს 100000 სული. ამ დროს რუსეთში მეფობდა იოანნე 4 „გროზნად“ წოდებული. ამ მეფის დროს ერმაკმა ციმბირი დაიპყრო და მოსკოვის ტახტს უფეშკაშა.

1631 წელს 21 თებერვალს „ზემსკი სობოროომ“ ქალაქ მოსკოვში მეფეთ აირჩია მიხაილ თევდორესძე რომანოვი. რომანოვების შესახებ რუსეთის სახელოვანი მგოსანი ალექსანდრე პუშკინი თვის ნაწარმოებში „Борисъ Годуновъ“ ამბობს: Романовы — Отечества надежда“ო, და მართალსაც ამბობს, რომანოვების ხელმწიფობის დროს რუსეთი ძალიან, თითქმის საარაკოთ გაიზარდა და დღეს იგი პირველ ხარისხოვან დიდ იმპერიად არის საქვეყნოთ ცნობილი.

მიხაილის შვილის ალექსეის მეფობის დროს მთელი უკრაინა (მალოროსია) რუსეთს თვისი ნებით შეუერთდა და უკრა-

ინის და ზაპაროჟთა კაზაკობამ ფიცი მიიღო მოსკოვის მეფის ტახტის ერთგულობაზე. ამიერიდან მეფემ ალექსეი მიხაილის ძემ ბრძანება გასცა, რომ მისი ტიტული უნდა ყოფილიყო: „Государь всея Великія и малыя Россіи“.

ამ ისტორიულმა ამბავმა, ე-ი., მთელი უკრაინის მოსკოვის ტახტის ერთგულობაზე ფიცის მიღებამ ძალიან დიდი ომი გამოიწვია პოლონეთსა და რუსეთს შორის, მაგრამ ამის ისტორიას ახლა აქ ადგილი არ აქვს, რადგან იგი ჩვენი სტატიის საგანს დაგვაშორებდა.

ალექსეი მიხაილის ძის შემდეგ რუსეთში გამეფდა მისი უფროსი ვაჟი— თეოდორე ალექსისძე, მაგრამ მან ცოტახანი იცოცხლა და უშვილოდაც გარდაიცვალა. მის შემდეგ რუსეთის ტახტზე ავიდა უნცროსი შვილი ალექსი მეფისა—პეტრე ალექსისძე, რომელმაც განაძლიერა და განაახლა რუსეთი და ამისათვის მას უწოდეს **პეტრე დიდი**.

პეტრე დიდის ხელმწიფობის დროს რუსეთს ევროპული ფერი მიეცა და აღინიშნა კიდეც რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის უაღრესი, ერთი დიდი, უპირატესი საგანი. ეს დიდი საგანი იყო **ძველი ბიზანტიის საქრისტიანო ქვეყნის სატახტო ქალაქის-კონსტანტინოპოლის დაპყრობა და სრულიად მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვა მთელ დედამიწის ზურგზე**.

და, აი, მთელი ბალკანეთის სლავიანთა, ბერძენთა და რუსთა გაცნობა და დაახლოვებაც სწორეთ აქედან იწყება. პეტრე დიდმა აღმოაჩინა შავმთიელნი და ისინი ჩაითრია ერთ ომში, რასაც იმათი მთლად ამოწყვეტა მოჰყვა. შავმთიელეთი ერთი მწირი ქვეყანაა, ცალიერ-ხრიოკი მთებისა და გორებისგან შედგება და მცხოვრებლები საქონლის მოშენებას მისდევენ. მაგრამ დიდი ვაჟკაცები და მამაცნი კი არიან. პეტრე დიდმა დაიბარა ამათი მთავარი, დაასაჩუქრა დიდათ და „პოსობიეც“ დაუნიშნა. მას აქეთ შავმთიელნი დღესაც ამ „პოსობიეს“ რუსეთის ხაზინიდან ღებულობენ.

ეკატერინე II ხელმწიფობის დროს რუსეთსა და ოსმალეთს შორის უკვე მოხდა ორი დიდი ომი. საბაბი პირველი ომისა შემდეგი გარემოება იყო. ეკატერინე II პოლონეთში ჯარები გაგზავნა, რომ პოლონეთის თავადაზნაურობის (პანები) და კსენდზებისგან დაეფარა მართლმადიდებელნი. საფრანგეთი იმ დროს რუსეთის დაუძინებელი მტერი იყო და გულით მის დასუსტებას ძლიერ ცდილობდა და, ამიტომაც, პოლონეთის დასახმარებლად რუსეთის წინააღმდეგ აამხედრა შან ოსმალეთი. ოსმალეთი ამ ომში საშინლად დამარცხდა: 1771 წელს მდინარე კაგულთან რუმიანცევ-ზადუნაისკიმ ურიცხვი ოსმალეთის ჯარის კაცი გაჟლიტა და ზღვაშიაც რუსეთმა გაიმარჯვა. ოსმალმთის ამაყი ბძანებელი ხვანთქარი იძულებული იქმნა შერიგებოდა რუსეთს და სოფელს კაინარჯოში 1774 წელს მოპირდაპირეებმა ზავი შეკრეს. რუსეთმა მიიკრა მდინარე დენეპრის და დონის ქვემო, ზღვის პირას მდებარე მდიდარი მიწა-წყალი, ციხეები კინბურნი, აზოვი, კერჩი და სხ. ყირიმის, ყურბანის და სხ. თათრები ოსმალეთის ბატონობისგან გათავისუფლდენ და დამოუკიდებელნი შეიქნენ და რუსის სავაჭრო გემებსაც თავისუფალი გზა, გასვლის ნება მიეცათ ბოსფორსა და დარდანელით ხმელთაშუა ზღვაში.

ამ დროსვე რუსეთმა წაართვა ოსმალეთს მთელი ახლანდელი ნოვოროსია, ეკატერინოსლავი, ხერსონი, ნიკოლაევი, მთლად ადესის მიდამოები და სხ. ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორმა პოტეკმინმა, რომელსაც დიდი, განუსაზღვრელი ნდობა ქონდა დამსახურებული ეკატერინე II, ხან შიშით და მუქარებით, ხან კი ტკბილი სიტყვებით, დაყვაებით, ფულების და ორდენების დასაჩუქრებით მიაღწია მიზანს და უკანასკნელი ყირმის სამეფოს ბძანებელი დაითანხმა და 1783 წელს თვისი სამეფო მან რუსეთს უფეშკაშა. ეკატერინე მეორემ აქ, ამ ყირიმის სამეფოში მაშინვე ჩვეულებრივი გუბერნია, სახელოობრ, „ტავრიჩესკი გუბერნია“ დააარსა, გააშენა ქალაქი სევასტოპოლი და ამიერიდან იქ ჩაეყარა საძირკველი რუსეთის შავი-

ზღვის ფლოტს. ასეთი დიდი საქმეებისთვის, ე. ი., ნოვროსიის მხრისა და მთელი ყირიმის შემოერთებისა და მისი-არე-მარის აყვაებისთვის ეკატირინე 2 პატემკინს მიუბოძა ტიტული „კნიაზი ტავრიჩესკისა“.

პატიომკინი იქამდისაც კი მივიდა, რომ ოცნებობდა ოსმალების სრულიად განდევნას ევროპის ხმელეთიდან და, ასე გაშინჯეთ, კონსტანტინოპოლის აღებასაც... მაგრამ ინგლისსა და საფრანგეთს სრლიადაც არ უნდოდათ ოსმალეთის დაღუპვა და ამით მთელი ოსმალეთი აამხედრეს რუსეთის წინააღმდეგ და აღუთქვეს მას დიდი დახმარება და შემწეობაც. ამ რიგად, დაიწყო მეორე რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელშიაც საქართველოს მეფეთა-მეფემ ირაკლი 2-მ მიიღო დიდი მხურვალე მონაწილეობა. ევროპის ბრძოლის ველზე თავი ისახელა სუვოროვმა, ხოლო აქეთ, აზიის ველზე — უდიადესმა სარდალმა-მეფემ, სახელოვანი ნადირშაჰის გაზრდილმა ირაკლი 2, რომლის შესახებ პარიზის პრესამ ქვეყნიერებას ხმა მოსდვა, რომ ირაკლი მეფე სტამბოლს იღებსო. ამ გარემოებამ და სომხების ინტრიგებმა, რომელსაც ისინი ირაკლის წინააღმდეგ ეწეოდენ პეტერბურგსა და თფილისში, სრულიად გაანელა ეკატერინე 2 და ერეკლე მეფის შორის გულითადი ურთი-ერთობა*) და ამ ომმა უფსკრულის კარამდე კინალამ მიიყვანა თვით რუსეთი.

ეს მეორე ომი ოსმალეთთან ავსტრიელების დახმარებითაც ქონდა რუსეთს დაწყებული. მდინარე დუნაიზე სუვოროვმა აიღო შესანიშნავი ციხე იზმაილი, რამაც დიდი სახელი გაუთქვა მას მთელს ევროპაში. დასრულდა ეს ომიც და რუსეთმა ცოტაოდენი ოსმალეთის მიწა-წყალიც მიიკრა, რომელიც მდებარეობს მდ. სამხრეთის ბუგსა და მდ. დნესტრს შორის და ციხე ოჩაკოვი.

ასე წოდებულ, დიდიჩრდილოეთის ლაშქრობის შემდეგ ძლიერი პოლონეთის სახელმწიფო თანდათან დასუსტდა,

*) იხ. Матеріалы для Исторіи Грузіи, Буткова.

თავიანთ არისტოკრატულ რესპუბლიკანურ სეიმებზე თავად-აზნაურობამ (პანებმა) ჩხუბი და აყალ-მაყალი არ მოიშალეს და, აი, ამ გარემობამ ბოლო მოუღო მეფის უფლებას და პოლონეთიც მოსპო პოლიტიკურად. პრუსიის მეფე ფრიდრიხ II ყოველ საშვალებას ხმაროობდა, რომ პოლონეთის შვილებს ურთი-ერთშორის ჩხუბი არ გამოლეოდათ, არ მოშლოდათ და დიდათაც ცდილობდა პოლონეთი გადაეკიდებია რუსეთისთვის...

მართლადაც, პოლონელებმა საშინლად დაუწყეს შევიწროება და დევნა მართლმადიდებლებს, რომელთაც, რა თქმა უნდა, რუსეთი გამოექომაგა. ამ ამბავს 1773 წელს მოჰყვა პოლონეთის პირველი განაწილება პრუსიასა, ავსტრიასა და რუსეთს შორის. 20 წლის შემდეგ, კიდევ ხელმეორედ გაინაწილეს პოლონეთი და რუსეთმა ვარშავაში დასაბანაკებლად გაგზავნა თვისი ჯარები.

თვითონ ვნების კვვირეში, დიდხუთშაბათ დღეს, ვარშავაში პოლონელები თავს დაესხენ რუსებს და ბევრს იმათგანს ყელები გამოსჭრეს. გაბოროტებული პოლონელები რუსებს პირდაპირ შეუვარდენ ტაძარში და ბევრი რუსი შიგ ტაძარში დაკლეს, როცა სალდათები ზიაროობდენ. პოლონეთის სხვა ადგილებშიაც მოხდა აჯანყება და პოლონელების წინალმდეგ პეტერბურგიდან იმწამსვე გაგზავნილ იქნა სუვოროვი, როელმაც აიღო ვარშავა. ამბოხების მეთაური პოლონელები საზღვარ გარედ გაიქცენ. თან გაიტაცეს ხაზინა და სუვოროვს კი ვარშავაში მცხოვრებლებმა პურ-მარილი მიართვეს...

ვარშავის აღებამ აღძრა და აშალა პრუსია და ავსტრია და იმათი ჯარები თქარა-თქურით შევიდენ პოლონეთის არე-მარეში. პოლონეთის უკანასკნელი მეფე, უბედური სტანისლავ პონიატოვსკი, იძულებული შეიქნა მიეტოვებინა, გაცლოდა მამულს და პეტერბურგს გადასახლებულიყო. 1795 წელს მოხდა მესამე და უკანასკნელი განაწილება პოლონეთისა და რუსეთს ერგო ყველაზე უდიადესი, ასე წოდებული, ლომის ნაწილი სწორედ...

პოლონეთის პირველი განაწილების დროს 1773 წელს რუსეთმა მიიკრა პოლონეთის მიწა წყალი ბელორუსია; მეორე განწილების დროს კი ჩორნაია რუსი, პოლესიე, ვოლინი და პოდოლია; 1795 წელს, მესამე განაწილების დროს კი რუსეთმა მიიკრა ლიტვა და კურლიანდია.

მას აქეთია სახელმწიფოთა პოლიტიკური კარტიდან სრულიად ამოიშალა პოლონეთი, რომელმაც არა ერთხელ დაიცვა თვისი გმირული გულ-მკერდით მონგოლთა და თურქოსმალთა განადგურებისგან ევროპის ხმელეთის კაცობრიობა...

აქ მინდა ჩემი სტატიის საგანს ცოტა გადაუხვიო, ან უკეთ რომა ვთქვა, უფრო შევავსო იგი, რომ მკითხველს მოკლეთ მაინც გავუთვალისწნო სურათი იმისა, თუ როგორ შეხვდენ თვისი მამულის პოლიტიკურად დაღუპვას პოლონეთის გამწარებული შვილნი.

ამიერიდგან პოლონეთის მამულიშვილების ბუდე შეიქნა საფრანგეთი, რომელმაც ამ დროს სწორედ ქვეყნად თავისუფლების დიდი დროშა ააფრიალა და გულ გახეთქილ პოლონელებსაც გულში იმედი ჩაესახათ, რომ თავის დაღუპულ მამულს პოლიტიკური თავისუფლების სხივებით გააბრწყინებდენ. ბევრი, ძალიან დიდი სხვერპლი შეიწირა ამ დიდმა საგანმა. ვერც ნაპოლეონ ბონაპარტემ, რომელიც 600000 უძლეველი მეომრით შეიჭრა 1812 წელს რუსეთში და მესამედეზ მეტს ამ არმიისას სულ პოლონეთის გმირი შვილები შეადგენდენ, ვერაფერი გაარიგა პოლონელებისთვის, რომელთა შემწეობით და გმირობით დაიმორჩილა ამ გენიოსმა მეომარმა მთელი ევროპა. იტალიის და ამერიკის თავისუფლებისთვის მებრძოლნი, გამხნევებულნი და დიდათ აფრთოვანებულნი პოლონელთა თავისუფლებისთვის თავგანწირული ბრძოლით, ძეგლებს უდგამდენ ყოველგან ამ სახელოვან ვაჟკაცებს და გმირებს... სხვა ერების გათავისუფლებისთვის ბრძოლამ ძალიან დიდი სახელი გაუგდო პოლონელებს მთელს ქვეყნიერებაზე.

1830-იან წლებში პოლონეთი რუსეთის წინააღმდეგ

აჯანყდა. მაგრამ იგი საშინლათ დამარცხდა. ვინ მოსთვლის აქ იმას, თუ რაოდენი ვაჟკაცი დასაჯეს სიკვდილით, რამდენი სოფელი და ქალაქი სულ ერთიანა აყარეს და რუსეთის არემარეში გაფანტეს. რამდენს ცოლ-შვილი აუწიოკეს, აუტირეს, ქონება და მიწა-წყალი ჩამოართვეს და რუსებს მუქთად აჩუქეს. მთელი რუსეთის ციხეები და ცივი ციმბირიც პოლონელებით აივსო.

1846 წელსაც აჯანყდა პოლონეთი. პრუსიამ, ავსტრო-უნგრეთმა და რუსეთმა შეერთებულის სამხედრო ძალებით ჩაქვრეს ეს ამბოხებაც.

1848 წელს, როცა ევროპის ხმელეთზე იხეთქა პროლეტარიატის რევოლიუციამ, პოლონეთი კვლავ მოემზადა ამბოხებისთვის. პოლონეთის დიადი, საქვეყნოდ სახელგანთქმული მგოსანი მამულიშვილი—ადამ ბერნარ მიცკევიჩი[1]) დიდი ომისთვის ლეგიონებს აწყობს და რაზმავს. ყველა დარწმუნებული იყო, რომ პროლეტარიატი გაიმარჯვებდა და პოლონეთის უბედურობასაც ბოლო მოეღებოდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. რეაქციამ გაიმარჯვა და პოლონეთიც ვერ გათავისუფლდა, რასაკვირველია.

1863 წელს, იანვრის თვეში პოლონეთი კიდევ აჯანყდა. ამ აჯანყების დროს იყო ისეთი მომენტები, რომ პოლონეთს; მიუცილებლად, გამარჯვება მოელოდა... მთელი ორი წლის განმავლობაში ლომივით ებრძოდენ მტერს მამულისთვის დიდათ თავგანწირული გმირები. მაგრამ რუსეთის არმიამ მურავიოვის მეთაურობით საშინელი დღე დააყენა გაუბედურებულ ქვეყანას. ურიცხვი ადამიანი სიკვდილით დაისაჯა. ას ორმოცდა ათი ათასი სული რუსეთის და ციმბირის ციხეებში გაწყდა; ოც და ათი ათასი მამულიშვილი საუკუნოთ დაიღუპა მამულის განთავისუფლებისთვის ბრძოლაში. როგორც ხედავთ, ამ ერთი საუკუნის განმავლობაში პოლონეთმა სამჯერ გაიარა გამოუთქ-

---

[1]) ადამ მიცკევიჩზე ცალკე სტატია მექნება ამ ჟურნალშივე დასტამბული.

მელი, დიადი განსაცდელი. მაგრამ იგი ვერ ეღირსა თავისუფალი ენახა მამული თვისი...

ორმოც და ათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც პოლონეთი ცხოვრობს... დაწყნარებულად. იგი წმინდა საარაკო თავდადებულის შრომით, გასაკვირვებელი ენერგიით შეუდგა გახორციელებას საფრანგეთის საზოგადო დიდი მოღვაწის ისტორიული სიტყვისა: „გამდიდრდითო“, რომ უთხრა მან გულგატეხილ პოლონელებს.

დიდათ დამაფიქრებელია და წმინდათ გასაშტერებელიც ის ჩუმი, დამშვიდებული, დიდათ დიდი და მწყობრი საქვეყნო მუშაობის ისტორია, რომელმაც მიანიჭა დღევანდელ პოლონეთს სულიერი და ნივთიერი შემოქმედებითი ძალთა დიადი, უმდიდრესი გაძლიერება და აყვავება... დღეს, ყველამ იცის, პოლონეთი ისეთი ძლიერია, რომ ამის მსგავსი იგი არას დროს არ ყოფილა ისტორიაში თავის უბედნიერეს წუთებშიც კი...

მას აქეთ, რაც პოლონეთი გაუბედურდა პოლიტიკურად, იგი ყოველთვის, „დღემუდამ, ჟამსა ყოველსა“ თვისი ქვეყნის პოლიტიკურად გათავისუფლების საქმეს უკავშირებდა ევროპაში მომხდარ დიდ რევოლიუციებს. ახლაც, ამ წამში, როცა ახლო აღმოსავლეთში ავარდა ასეთი დიდი ქარიშხალი, რომელსაც, შესაძლებელია, მოჰყვეს დიდი საერთაშორისო ომი, პოლონეთიც, რა თქმა უნდა, ვერ დაივრებს გულზე ხელებს... იგი მზად ჰრის ეს ერთი უდიადესი საგანი თვისი ქვეყნის სასარგებლოდ გადაწყვიტოს...

ამ საგანზე ახლა პოლიტიკურ ორგანოებში ბევრი იწერება და, ამიტომაც, შევაჩერე იმაზე ჩემი მკითხველის ყურადღება. ახლა მოუბრუნდები პირდაპირ ჩემი სტატიის საგანს.

პეტრე დიდის ხელმწიფობის დრომდის, მთელი კასპიის ზღვის ირგვლივ არე-მარენი მარტო სპარსეთს ეჭირა ხელში. პეტრე დიდმა გულით მოინდომა რუსეთის ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის გაძლიერება აზიის შუაგულში და დიდი ინ-

დოეთისკენაც გზა ჰუნდა გამოენახა ამ საქმისთვის. ამიტომ მან სპარსეთს ომი აუტეხა და წაართვა სპარსელებს ქ. ქ. დერბენტი, ბაქო და სხვა.

სწორედ იმ დროს, რა დროსაც მოისპო პოლიტიკურად პოლონეთი, გარდასწყდა აქ აზიაში მეორე კულტურული მრავალ-ტანჯული საქრისტიანო ერის, საქართველოს ბედიც. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო შეუერთდა თვისი ნებაყოფლობით რუსეთის იმპერიას და შემდეგ 1810 წლამდის დასრულდა იმერეთის სამეფოს შეერთებაც და სხვა ჩვენი სამთავროებისა*). ამ დიდმა ისტორიულმა ამბებმა საშინლად გააბოროტა სპარსეთი და ოსმალეთი და დიდათ საწყენი შეიქნა ინგლისელებისთვისაც.

1809 წელს დასრულდა ომი შვეციასა და რუსეთს შორის და რუსეთმა შემოიერთა ალანდის კუნძულები და ფინლიანდია, რომელსაც ხელმწიფე ალექსანდრე I მიანიჭა პრივილეგიები და უბოძა ტიტული დიდი სამთავროსი.

სწორედ ამავე დროს რუსეთს ომი ქონდა ატეხილი ოსმალეთთან. მოწინააღმდეგე მხარეებმა ზავი შეკრეს ქ. ბუქარესტში და რუსეთმა მიიკრა მთელი ბესარაბია და ასზღვრად დაინიშნა მდინარე პრუტი.

1815 წელს ევროპის სახელმწიფოთა მონარქნი და მათ მინისტრები ქ. ვენაში შეიკრიბენ და ამ კონგრესის გადაწყვეტილების ძალით რუსეთმა მიიღო პოლონეთის ის მიწა-წყალი, რაც პრუსიამ მიიკრა უკანასკნელის მეორე და მესამე განაწილების დროს. რუსეთის იმპერატორმა დასტოვა ტიტული პოლონეთის სამეფოსი და ამიერიდან რუსეთის იმპერია დიდ ბრიტანიის სახელმწიფოს შემდეგ მიწა-წყლით შეიქნა ერთი უდიადესი სახელმწიფო, რომელსაც უჭირავს მეექვსედი ნაწილი მთელი დედამიწის ზურგისა.

---

*) იხ. განსვენებული მიხეილ ხელთუფლიშვილის ჩინებული მონოგრაფია: „Вступленіе Грузіи въ составъ Россійской Имперіи“.

1826 წელს ატყდა სპარსეთსა და რუსეთს შორის ომი, რომელმაც რუსეთს შესძინა ოცი მილიონი კონტრიბუცია, ქ. ქ. ერივანი, ნახიჩევანი და მთელი ის მიწა-წყალი, რომელიც მდინარე არეზის მარცხენა მხარეზე ძევს. ამასთანავე სპარსეთს აეკრძალა კასპიის ზღვაზე ფლოტი იყოლიოს და რუსეთის ვაჭრებს მიეცათ დიდი უპირატესობანი სპარსეთში...

სწორეთ ამ დროსვე ატყდა ომი რუსეთსა და ოსმალეთს შორის იმიტომ, რომ რუსეთმა თვისი ფლოტი მიაშველა საბერძნეთს, რომელიც თვისი პოლიტიკურად გათავისუფლებისთვის გმირულად ებრძოდა გამძვინვარებულ ოსმალეთის ბატონობას*). საბერძნეთი ვერ გათავისუფლდებოდა ოსმალების ბატონობისგან, რადგან ხელმწიფეებმა მას ზურგი შეაქციეს, რომ ევროპის განათლებულ ხალხს მისთვის თავი არ გამოედო. მთელი ევროპის პრესის და საზოგადოებრივის სიმპატიები და მხურვალე თანაგრძნობა აშკარად საბერძნეთს მიემხრო და ყოველგან—ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, ინდოეთში, პოლონეთში და სხვაგანაც გამოვიდენ თავდადებული მებრძოლნი საბერძნეთის თავისუფლებისთვის. ინგლისში მოაწყვეს დიდი საზოგადოება, ასე წოდებული, ჰელინელთა მოყვარულისა“ (ჰელინოფილები). ამათ მიბაძეს ევროპის დანარჩენმა ერებმაც და გააწყვეს ყოველგან თავისუფლებისთვის მებრძოლი რაზმები და გაემართენ შვენიერ ელლადის არემარეზე დიდი ბრძოლისთვის სისხლის დასაღვრელათ. თვით ლონდონში, გადაწყვიტეს, რომ სამი მილიონი მანათი ასესხონ საბერძნეთს ომის გასაგრძელებლად. საქვეყნოდ სახელგანთქმულმა დიდი ბრიტანიის მგოსანმა ლორდმა ბაირონმა ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო და ერთი წლის განმავლობაში იგი იქ ჭაობის ციებამ იმსხვერპლა. ინგლისის მთავრობას გულში შიში ჩაუვარდა, რუსეთმა ომი არ გამოუცხა-

---

*) იხ. „საბერძნეთის გათავისუფლება“, სტატია დავით კარიჭაშვილისა, რომელიც დასტამბული იყო ჟურ. „ივერიაში“.

დოს ოსმალებს და სტამბოლი არ დაიპყროსო. ამიტომაც იგი ჩაერია საბერძნეთის საქმეში და საფრანგეთისა და რუსეთის შეთანხმებით შეუთვალეს ოსმალეთს, საბერძნეთი შეირიგე და შინაურ საქმეებში თავისუფალი გამგეობის ნება მიეცო, ამაზე ხვანთქარმა უარი განაცხადა. მაშინ რუსეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა შეერთებული ფლოტი გაგზავსეს და ნავარინთან მთელი ეგვიპტის ფლოტი ააფეთქეს. 1828 წელს რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს და რუსეთის ჯარებმა თითქმის უომრად აიღო ქ. ადრიანოპოლი და ხონქარმა მაჰმად III ზავი შეკრა იმპერატორ ნიკოლოზ I 1829 წელს. ამ ომმაც შესძინა რუსეთს: ევროპისკენ მდ. დუნაის ზღვის შესართავთან ქ. ქ. იზმაილი და კილია, აქეთ, აზიაში ქ. ქ. ფოთი, ახალციხე და სხვანი. საბერძნეთი სრულიად გათავისუფლდა პოლიტიკურად ოსმალეთის მონობისგან და სხვა ქრისტიანთა ბედ-იღბალიც გაუმჯობესებულ იქნა ამიერიდან ოსმალეთში...

1852 წელს რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I პირდაპირ ეუბნებოდა ინგლისის გამოჩენილს ელჩს: „ავათმყოფი ადამიანი (მითომ ოსმალეთიო) სამარეს უახლოვდება და საჭიროა ჩვენ შევთანხმდეთ მის შესაფერ დასამარხავათო“. და ამასთანავე უმატებდა, რომ ოსმალეთის შესახებ ჩემს კაბინეტში ორნაირი აზრი ტრიალებსო, ერთი,—რომ იგი უკვე მოკვდა, მეორე—რომ იგი ახლა კვდებაო...

ახლა რუსეთი აღარავის წინაშე აღარ მალავდა და საქვეყნოდაც ამბობდა, რომ მას ძალიან წყუროდა დიდი კლასიკური კონსტანტინოპოლის დაპყრობა და ბიზანტიის იმპერიის ნანგრევებზე გაბატონებაც...

1853 წელს რუსეთსა და ოსმალეთ შორის ჩამოვარდა დიდი განხეთქილება და მტრობაც. ამის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ რუსეთი გამოექომაგა პალესტინაში მართლ-მადიდებელთა უფლებების დაცვას. მაგრამ ამაზე რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ I დიდი უარი მოახსენა ბრწყინვალე პორ-

ტამ. ამას მაშინვე მოყვა ასე წოდებული ყირიმის ომის გამოცხადება და რუსეთის ჯარებმა ზაფხულშივე 1853 წელს გადალახეს საზღვრები და დაიჭირეს მალდავია და ვალახიას სამთავროები. შემდგომ მაზე კი რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა ადმირალ ნახიმოვის მეთაურობით სრულიად მოსპო ოსმალეთის ძლიერი ესკადრა ქალ. სინოპთან.

იმ წამსვე დიდი ბრიტანიის უძლიერესმა მთავრობამ და საფრანგეთმაც იგრძნეს, თუ რა დიდი უბედურობა მოელოდა ოსმალეთს „ჩრდილოეთის კოლოსისგან“ და 1815 წლიდან დაწყებული მშვიდობიანი კონცერტი ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის დამყარებული ახლა პირველად დაირღვა და ყირიმის ომში რუსეთის საბედისწეროთ მის დასატაკებლად ჩაეერრენ. დიდი ბრიტანიის და საფრანგეთის იმპერატორს ნაპოლეონ 3, რომელსაც დიდი ჯავრი სჭირდა რუსეთისა, მიემხრო სარდინია და ავსტრიაც, რომელმაც რუსეთს არ დაუმახსოვრა ის გარემოება, რომ ავსტრიამ რუსეთის ჯარებით გასრისა უბედური ვენგრიელები ერთ დროს... ამგვარად, რუსეთი ჩავარდა დიდ გამწარებულ, აუწერელ მდგომარეობაში.

რუსეთის უძლიერესმა მტრებმა ყოველის მხრით შეკრეს იგი. რუსეთის მოწინააღმდეგეთა ფლოტი გაჩდა შავ ზღვაშიაც, თეთრ ზღვაშიაც და შორს კამჩატკის ნაპირებზეც. ინგლისს და საფრანგეთის საშიშარი ფლოტი თვალის დახამხამების უმალვე დაიბადა ყირიმში ევპატორიის ქალაქთან. რუსეთის არმიის სარდალი თავადი მენშიკოვი მდ. ალმის ნაპირებზე შეხვდა მტერს, მაგრამ საშინლად დამარცხდა იგი და უკან დაიხია. ამავე დროს ძლევა-მოსილი ფლოტი რუსეთის მტრებისა მიადგა სევასტოპოლს, რომლის ყურეში სრულიად ჩაკეტა რუსეთის შავი ზღვის ფლოტი. თერთმეტი თვე გაგრძელდა უსაშინელესი სისხლის ღვრა, რომელმაც დააუძლურა რუსეთი და თითქმის წელშიაც გასწყვიტა იგი. რუსეთს ამ დროს არ გააჩდა, არც ხეირიანი გაჭრილი გზები, არც რკინის გზის სახსენებელი იყო მაშინ რუსეთში, თუ არ მივიღებთ მხედველო-

ბაში ერთად-ერთ რკინის გზას, რომელიც ოყო გაყვანილი მოსკოვსა და პეტერბურგ შუა.

1855 წელს 1 თებერვალს გარდაიცვალა რუსეთში ხელმწიფე ნიკოლოზ 1 და ტახტზე ავიდა იმისი შვილი ალექსანდრე 2. ყირიმის ომი ამ ხელმწიფის გამეფებიდ შემდეგაც გაგრძელდა. მაგრამ 28 აგვისტოს მტრის შეერთებულმა ძლიერმა ფლოტმა სულერთიანა გაანადგურა სევასტოპოლი და ამ მხარეზე ძლიერი გამარჯვებით დააგვირგვინა ომი.

კავკასიის აქეთა მხარისკენ ბრძოლის ველზე უფრო მარჯვედ მიყავდა საქმე რუსის გენერლებს ბებუთოვს და მურავიოვს, რომელმაც ყარსიც კი აიღო, მაგრამ სახელოვანი ომერ ფაშის მეთაურებით ოსმალეთის ჯარი შიგ შუა გულ ჩვენს ქვეყანაში შამოიჭრა დიდის ამბით და ცხენის წყლის პირამდიც მოვიდა. ქუთაისს, მიუცილებლად განადგურება მოელოდა... მაგრამ ერთბაშად ომი შესწყდა და 1856 წელს 18 მარტს ზავი ჩამოვარდა პარიზის ტრაკტატის ძალით, რომელმაც ციძულა რუსეთის მთავრობა ყმები გაეთავისუფლებინა, მდინარე დუნაის შავს ზღვასთან შესართავი ოსმალეთმა წაიღო, შავი ზღვა ნეიტრალურ ზღვად გამოცხადდა და ყველა ნაციის სავაჭრო გემებისთვის ამიერიდან იგი ღია შეიქნა, რუსეთს პირობა დაადებიეს, რომ იგი სამხედრო ფლოტს შავს ზღვაზე არ იყოლიებდა და სხვა.

ამნაირად, როგორც ვხედავთ, „ავათმყოფი ადამიანის“ უდროოდ დამარხვაზე საუბარი ძალიან ნაადრევი გამოდგა და ყირიმის ომში ისე ძლიერად და საშინლადაც დამარცხდა რუსეთი, რომ ალექსანდრე 2 რეფორმებს არ ეხსნა იგი, ვინ იცის, ან ვინ გაითვალისწინებს დღეს იმას, თუ რა უნდა მომხდარიყო ამ უშველებელს, უვიცს და დამშეულს ქვეყანაში.

ჩემი სტატიის პირდაპირ საგანს, რასაკვირველია, არ შეადგენს იმის აღწერა, თუ რა მიწა-წყალი შეიძინა რუსეთმა ალექსანდრე 2 ხელმწიფობის დროს. მაგრამ სიტყვამ მოიტანა აქ და, ბარემ, აღვნუსხოთ მხოლოდ შეძენილი ქვეყნების დასახელება.

ყირიმის ომის შემდეგ, რუსეთმა შორე აღმოსავლეთში ჩინეთიდან შეიძინა მდინარე ამურის მარცხენა მხარეზე მდებარე ადგილები და აგრეთვე მთელი ზღვის ნაპირები იაპონიის ზღვამდის. აქ, ამ ადგილებში გაშენდა ორი ქალაქი: ნიკოლაევი და ვლადივასტოკი.

შემდეგ რუსეთმა დიდის გაჭივრებით, როგორც იქნა, დაამარცხა კავკასიის არწივი-შამილი და, ამნაირად, დაიმორჩილა კავკასიის მთების შვილებიც...

ამას შემდეგ, კასპიის ზღვის იქითა მხარეებისკენ დაიწყო რუსეთმა ომები და დაიმორჩილა ხივის, კოკინის და ბუხარას სახანოები და დაარსა იქ თურქესტანის საგენერალგუბერნატორო არე-მარენი.

ყველა ეს ქვეყნები მდინარეებზე სირ-დარიასა და ამუ-დარიაზე არიან გაშლილი. იმპერატორის ალექსანდრე 2 ხელმწიფობის დროსვე გენერალმა სკობელევმა შემატა რუსეთს ახალ თეკინის ვერცელი მიდვრები და ალექსანდრე III ხელ მწიფობის დროს თავის ნებით შეუერთდა რუსეთს მდინარე მურღაბის არე-მარეზე მდებარე მდიდარი მერვის ოაზისი.

ამ ადგილების შეძენით რუსეთ იძალიან დაუახლოვდა დიდ ბრიტანიის უმდიდრეს სამფლობელოს, — კლასიკურს ინდოეთს და ეს გარემოება შეიქნა მიზეზი იმისა, რომ ინგლისის საზოგადოების აზრი, მისი შორს გამსჭვრეტი მინისტრები შიშითა და დიდის გულის ძგერით შესცქერიან ორთავიან არწივის ასეთს თავდაუჭერელს აგრესიულს პოლიტიკას...

სწორეთ იმ დროს, როცა რუსეთი აზიის შუაგულ არე-მარეზე თვის სამფლობელოს იფართოვებდა, ევროპის შუაგულ ხმელეთზე მოხდა ფრიად დიდმნიშვნელოვანი ამბავი: პრუსიის სახელოვანმა მეფემ ვილჰელმ 1 გერმანიის იმპერია სულ მთლად გააერთიანა. საფრანგეთის იმპერატორი, ნაპოლეონ 3 დიდი წინააღმდეგი შეიქნა გერმანიის იმპერიის გაერთიანებისა და პრუსიას ომი გამოუცხადა. როგორც მოგეხსენებათ, ამ ომში ნაპოლეონ 3 საშინლად დამარცხდა, ფრანცუცებმა იგი იმწა-

მსვე ტახტიდან ჩამოაგდეს და თავის შვენიერს ქვეყანაში რესპუბლიკა დაიარსეს. მეფე ვილჰელმი კი 1871 წელს მოკავშირე მეფეებმა გერმანიის იმპერატორად გამოაცხადეს...

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდე 2 ამ ომში დიდი დახმარება გაუწია გერმანიას რომმში არ გაერია, ასე წოდებული, სრული ნეიტრალიტეტი დაიცვა და გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს 1 საშინლად დაამარცხებინა საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ 3 მხედრობა. ამიტომაც, იმპერატორს ვიდჰელმს 1 ხმაც არ ამოუღია, როცა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე 2 1871 წელს პირველ ხარისხოვან სახელმწიფოებს გამოუცხადა, რომელთაც პარიზის ტრაკტატს ხელი მოაწერეს, რომ იგი საჭიროდ აღარა თვლის რუსეთის ხელის შემშლელი პირობანი ამ მორიგებისა (77 პარაგრაფი) ამიერიდან ძალაში დასტოვოს. ყველას პირში ენა ჩაუვარდა, ხმა ვერ ამოიღო ვერავინ და რუსეთმაც სევასტოპოლში მაშინვე ხელი მიჰყო შავი ზღვის სამხედრო ფლოტის დაარსებას, არსენალების, ციხეების დ დიდ-დიდ ჯავშნიან გემების გაკეთებას...

როგორც ზევითაც მოგახსენეთ, კაინარჯისკის შერიგების დროს, რომელიც მოხდა 1774 წელს, პირველ ხარისხოვანმა სახელმწიფოებმა რუსეთს ნება მისცეს ოსმალეთის მართლმადიდებელ ქრისტიანეთათვის მფარველობა გაეწია. თუმც ეს მზრუნველობა 1856 წელს პარიზის ტრაკეტატმა ევროპის სხვა დიდ სახელმწიფოებსაც მიანიჭა, მაგრამ რუსეთი უფრო ექომაგებოდა მართლმადიდებლებს ოსმალეთში, რადგან უნდოდა იმათი გულის მოგება თავისი სახელმწიფო დიდი მიზნების განსახორციელებლად. ოსმალეთის ბაშიბუზუკნი მუდამ ტანჯავდენ და არბევდენ ბალკანეთის სლავიანებს, ცარცვავდენ საქრისტიანო ტაძრებს და მონასტრებს, კლავდენ ვაჟკაცობას და ჩვილ ყრმებს, მიყავდათ ქალები და ქალიშვილები და იდგა ერთი უშველებელი წამება და ჯოჯოხეთი. ბოსნიასა და გერცოგოვინის სერბებმა ველარ აიტანეს ეს ამბავი და აჯანყ-

დენ. ამათ მიეხმარა სერბიელების სამთავროები — შავმთიელეთი და სერბია, რომელნიც ოსმალთა ბატონობას არასდროს ქედს არ უხრიდენ, არასდროს არ ურიგდებოდენ. რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე I მეფობის დროს მიენიჭა ოსმალთაგან თავისუფლება სერბებს, რომელთა მთავარი მხოლოდ საველმწიფო გადასახადს უხდიდა ოსმალეთს. იმპერატორმა ალექსანდრე II ხვანთქარს თხოვა ოსმალეთთა ბაშიბუზუკებისაგან ეხსნა მართლ-მადიდებელი სლავიანები. მაგრამ რაკი თხოვნამ არ გასჭრა, რუსეთის იმპერატორმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ამ რიგად დაიწყო რუს-ოსმალოს ომი (1877—78 წ.), რომელიც მიზნად — სლავიანთა პოლიტიკურად გათავისუფლებას ისახავდა მიზნად, როგორც რუსეთის მთავრობა ქვეყნიერებას არწმუნებდა შინ და გარეთ. რუსეთში იმწამსვე ბალკანეთის სლავიანთა გათავისუფლების საზოგადოება დაარსდა და ატყდა დიდი ამბები. 1877 წელს რუსეთის არმიები ერთმა არმიამ დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მთავარსარდლობის მეთაურობით გადაიარა მდინარე დუნაი და შევიდა პირდაპირ ბოლგარიაში, მეორე არმია დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მთავარსარდლობის მეთაურობით მიადგა ბათომს და ყარსის ციხეს.

მიხეილ ტარიელის ძე ლორისმელიქოვმა აიღო ძლიერი ყარსის ციხე და ბათომიც აღებულ იქნა. ბულგარიაში კი ამ დროს მოხდა დიდი შემაძრწუნებელი ამბავი. მთელი რუსეთის მხედრობას განის გზით შეეჭრა საქვეყნოთ სახელგათქმული ოსმან ფაშა ქალ. პლევნაში და უნდოდა მთელი რუსეთის დიდი არმია ზედ შუაზე გაეჭრა. ამ საოცარმა სარდალმა ორჯელ საშინლად, პირდაპირ საარაკოდ დაამარცხა რუსის გენერალები კრიდენერი და სკობელევი. ორი თვის განმავლობაში მას უშველებელ შიშში ყავდა მთელი რუსის ბალკანეთის არმია და იმისი ბედი ბეწვზე ეკიდა, რომ უგანათლებულეს თავადს ალექსანდრე ბაგრატიონს („იმერეთინსკად“ წოდებულს და შემდეგ ვარშავის გენერალ-

გუბერნატორს) არ ეხსნა იგი. ამ დროს, აქვე, ბრძოლის ველზე ბძანდებოდა თვით რუსეთის ხელმწიფე ალექსანდრე 2. ალექსანდრე ბაგრატიონმა შეუხვია სრულიად ახალი სამხედრო გეგმა, დიდი ოსმალეთის გამძვინვარებულ ლომს-ოსმან ფაშას გარს შემოერტყა და მთელი თავისი მხედრობით ტყვედ წამოიყვანა იგი. ამ დიდი სარდლის, ალექსანდრე ბაგრატიონის საქმე იყო აგრეთვე თვით ბალკანეთის ქედებზე საოცარი გაბედული გადასვლა რუსეთის არმიისა და კონსტანტინოპოლის ალაყაფის კარებამდის ძლიერი იერიშების მიტანაც.,.

პლევნის აღების და ოსმან ფაშის ჩამოშორების შემდეგ, რუსეთის მხედრობამ თავი აიშვა, გაიარა შიპკა დეკემბრის თვეში, რომელსაც იცავდა ოსმალეთის არმია თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ინგლისის საომარი იარაღებით, სურსათით, ფულებით და იმათი აფიცრებითაც. ოსმალეთის არმია დაჯნებდა რუსეთის მხედრობას, რომელიც პირდაპირ ჩავიდა ადრიანოპოლში. რუსთა მოწინავე ჯარების ატრიადებმა უკვე დაინახეს ძველი აი-ასოფიის განთქმული ტაძრის გუმბათები... რომ ამ დროს ბოსფორის ლურჯ ზვირთებში საბედისწეროდ გაჩნდა ოთხი უშველებელი სამხედრო ჯავშნიანი გემი დიდი ბრიტანიისა და... რუსეთის არმიებიც იმწამსვე შეჩერდენ... იქვე სანსტეფანოში, რომელიც კონსტანტინოპოლს ათს ვერსტზე ახლავს, რუსეთსა და ოსმალეთს შარის შერიგება მოხდა.

გულკეთილი.

(შემდეგი იქნება.)

კრიტიკა.

აკაკი, როგორც დიდი ეროვნული მგოსანი.

(აკაკის ნაწერები, პირველი და მეორე წიგნი, ი. მანსვეტაშვილის გამოცემა. 1913 წ.).

1890 წელს თფილისში დაარსებულმა „წიგნების მბეჭვდელ ქართველთა ამხანაგობამ“ დასტამბა აკაკის ლექსები ორ ტომათ. ახლაც, ამ მდგომარე 1913 წელს აკაკის ნაწერები ორ წიგნათ გამოუცია ჩვენს ცნობილს ქველმოქმედს ბ. ი. მანსვეტაშვილს, რომელსაც ყოველივე თავდარიგი და ხელმძღვანელობა წიგნების საამდროვო გამომცემლობის „იმერეთის“ პატრონის ბ. ისიდორე კვიცარიძისათვის მიუნდვია.

ეს საქმე ბ. ის. კვიცარიძემ პატიოსნათ და კეთილსინდისიერათ შეასრულა, ესე იგი, აკაკის ნაწერების გამოცემა სუფთად და ლამაზადაც დაპირებულ ვადაზე შეუსრულა მკითხველ საზოგადოებას, რაც ძალიან იშვიათი ამბავია ქართულ გამომცემლობის ისტორიაში. ამასთანავე გარეგანი, ტექნიკური მხარეც გამოცემისა უნდა უნაკლულოთ ჩაითვალოს და კორეკტურული შეცდომებიც თითქმის არც მოიძებნება ამ გამოცემაში. ამისთვის „იმერეთის“ ხელმძღვანელს ქართველი მკითხველისგან მადლობის მეტი არაფერი ეთქმის. მაგრამ უფრო დიდი მადლობის ღირსია ჭეშმარიტად ბატ. ი. მანსვეტაშვილი, რომელიც ასე გულწრფელად და დიდათ აფასებს ქართლოსიანთა ერის მეცხრამეტე საუკუნის დიდებას—აკაკისაც და იმის ნაწარმოებთა მკითხველსაც. მან განიზრახა აკაკის ყველა ნაწერების გამოცემა სულ მთლად სწორედ ისე, როგორც ცნობილმა მკურნალმა მიხეილ გედეგანიშვილმა ილიას ნაწერების გამოცემა. გამოცემის ხარჯს, რაც ფული გადარჩება,

ეს სულ მგოსან აკაკის გადაეცემა და იქიდან ერთს გროშსაც არ აიღებს ბ. ი. მანსვეტაშვილი. ამ უკანასკნელმა ბ. ის. კვიცარიძეს წინადადება მისცა, რომ მან მოიწვიოს მცოდნე ლიტერატორთა კამისია, რომელიც შეეცდება აკაკის ნაწერების თავის მოყრას, სისტემაზე დალაგებას და ასე გონივრულის ლიტერატურულის შრომით დიდის დიდებით სასახელოდ დააგვირგვინებენ ამ ფრიად დიდ მნიშვნელოვან საქმეს.

იცით, მკითხველო, ვინ ირის ეს ი. მანსვეტაშვილი? მოკლედ მოვსჭერი სიტყვას. ეს ჩემი კაი ნაცნობი იაკობია, რომელიც 80-იან წლებში ილიას „ივერიაში“ ათავსებდა ყოველ შაბათობით ნიჭიერად დაწერილს ფელეტონებს „უცხოთა-შორის“ დონ-იაგოს ფსევდონიმით. იმისი ფრიად სანდომიანი, ნიჭიერი ძავი თვალები და მხიარული, ოდნავ დამცინავი სახე ახლაც წინ მიდგას ნათლად... ერთ დროს იგი იყო ქართველთა შორის წ. კ. გ. საზოგადოების მდივნადაც, შემდეგ კი თფილისის სათავად-აზნაურო ბანკში მსახურებდა მდივნად და, ოჯიხობას რომ მოეკიდა, ამავე ბანკის გამგეობამ იგი ბაქოში გაისტუმრა, როგორც ნიჭიერი კაცი, იქაურ განყოფილების მმართველად. იგი აქ, ნავთის სამეფოში, რაღაც 12—14 წლის განმავლობაში მილიონერი შეიქნა და, აი, მეც ეს დიდი გარემოება მინდა გულწრფელად მივულოცო სწორედ დღეს მთლად ქართველობას. იაკობი, შედარებით, ჯერ კიდევ ახალგაზდა კაცია, ფრიად ცოცხალი, ნიჭიერი, დიდი პატრიოტი და ღრმა მოყვარული თვისი დაჩაგრული ერისა, ამასთანავე წმინდა დემოკრატიც. ამ სიტყვის უკეთესი მნიშვნელობით. ვუსურვოთ, ჩემო მკითხველო, მას დღეგრძელობა...

ადამიანი რომ კარგათ დაუკვირდეს ქართველთა განვლილ ცხოვრებას, სწორად, ღრმად ჩაიხედოს ამ ცხოვრების დუღილში, მიუცილებლად, განვითარების პროცესის თანდათანობას შენიშნავს. ქართველთა ცხოვრების ყოველი გამოსახულობა,

ყოველი მხარე, ყმების გათავისუფლების შემდეგ, განიცდის განახლებას, ახალი, ევროპული მოძრაობის ძლიერს ზედ-მოქმედებას და ქართველ მშრომელ ხალხს იწვევს სამოქმედოთ და სასიცოცხლოთ.

შეუჩვეველ თვალს, ახლად გამოფხიზლებულ ადამიანის გონებას პირველ შეხედვისთანავე ეგონება, რომ საქართველოში რაღაც დიდი სასწაული მოხდაო, რაღაც უხილავმა ძალამ სულ შეარყია ცხოვრება და ძლიერად დასძრა იგი ერთი ადგილიდან. დაიძრა, ახმაურდა და იბრძვის ეს ცხოვრება, რომელსაც ამიერიდან ვერ შეაჩერებს ვერავითარი ბოროტი ძალა. მას აქეთ ამ ერთი ადგილიდან დაძრული ცხოვრება დღითი დღე ყოველ ადგილას, ყოველ დღე ახალ ახალ პატარა სასწაულებს გვიჩვენებს და ჩვენებური კაცის გრძნობა-გონებას ნათლად ვერ გაურკვევია, თუ საიდან არის ყველა ეს მოვლენილი, საიდან იწყება დასაბამი ამ ძლიერი, რაღაც ახალი ხმაურობის, რომ სჩქეფს ასე სიცოცხლით და მღვიძარებით.

დასაბამი ამ ახალი, ძლიერი მოძრაობისა ჩვენ უნდა ვეძიოთ იმ დიად ისტორიულ ამბავში — ყმების გათავისუფლებაში, რომელმაც განადიდა, გააღრმავა ნიადაგი ახალი კაპიტალიზსაც და ახალი, ჯერ ჩვენში არ ნახულის თავისუფალის შრომისაც. ამგვარად, საქართველოს არე-მარეზეც დაიწყო საქონელთა (товарное) წარმოების ახალი ხანა და განახლებულს ჭაბუკს ცხოვრებას ძლიერათ დაუბერა ახალმა სიცოცხლის მომგვრელმა ძალამ და სულმა...

დიადობა ქართველი ერის ახალი სულისა გამოიხატა ნამეტურ ლიტერატურაში, რომელსაც აღუჩნდენ ახალი იდეების, გრძნობათა და ფიქრების, ახალი ზნეობის კაცები და სათავეში მოექცენ მას. ასე წოდებული, „თერგ-დალეულები“ იყვენ ჩვენში პირველი პიონერნი, პირველი მერცხლები, რომელნიც ბედნიერად და სასიხარულოდ მოევლინენ ქართველთა ახალს ცხოვრებას და ლიტერატურას, ღრმად, ნიჭიერად ჩაიხედეს ქართველი კაცის გულში, შვენიერი სიტყვებით ხელო-

ვნურად აღწერეს მისი ცხოვრება, სურვილები და სამერმისო მისწრაფებანი და, ამნაირად, სამარადისო სახსენებელი გახადეს თავიანთი კალმის ნახატი სურათები, თვისი საკუთარი ნააზრევები და ნაფიქრალნი, მთელი იმ დროის შემოქმედობა...

იმ დროის ერთმა დიდმა ამირანმა—აკაკიმ უკვდაების სული ჩაბერა და საუკუნოდ მიანიჭა ქართულ ლირიკას და ლიტერატურას ღვთაებრივი, ანგელოსივით უტურფესი, უნაზესი ფორმები სუბუქად გამოთქმისა და აღმაფრენისა, მან მიანიჭა მრავალ-გვარობა და მრავალ-ფეროვანება, დიდისაგან დიდი სახიერება მთლად საქართველოს ქვეყნის შვილთა ნიჭიერებას ყოველნაირი, ღვთისგან ნაკურთხი საშვალებით დიდათ თავის გამოჩენისა, ამღლებისა, აღმატებისა და საუკუნო უკვდავებისაც...

აკაკიმ ჩაუდგა სული ქართულს ახალს მწერლობას, ქართველობას გულში ჩაუნერგა სასისოცხლო დიდი იმედები მომამვლისა, დიდათ სულგრძელი და ვაჟკაცური მტკიცე ხასიათი ჭირში მოთმინებისა, ქველობისა, ღრმად ტანჯვისა და მხიარულებისაც... ჩემი ფიქრით, მთელი ჩვენი პატარა, მაგრამ მეტად ტურფა მშობლიური ქვეყნის არე-მარეზე არ იყო არც ერთი ქართველი, რომ იმასავით დაახლოვებული, დანათესავებული, სულით და გულით დამეგობრებული ყოფილიყო ჩვენში ყოველი წრის, ყოველი წოდების, ყოველი ასაკის ქართველს, ორივე სქესისას და ყველა სარწმუნოებისას, როგორც ეს ჩვენი თანამედროვე დიდი ივერიელი—მგოსანი აკაკი. ქართველი კაცი, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, მდიდარი, თუ ღარიბი, მოხუცი, თუ ჭაბუკი, ერი, თუ ბერი, ქალი, თუ კაცი, მართლმადიდებელი, თუ მაჰმადიანი, კათოლიკე, თუ გრიგორიანი მასში ეძებდა და პოულობდა თვისი ფხიზელი ნიჭის და ცოდნის ძალთა გამოხმაურებას, გამოქომაგებას, გამხნევებას აუღელვებლივ, შეუხეთქებლად, აუჯანყებლად სისხლის დაუღვრელადაც... ქართველობასაც სწორედ ასეთი სულგრძელი ამირანი ესაჭიროებოდა ამ ნახევარი საუკუნის

დიდათ განსაცდელიანი დროის განმავლობაში, სწორედ იმ დროს, როცა იგი ახლად იკრებდა თვის შემოქმედებითს ძალებს, ჭაბუკობდა, იძენდა სამოქალაქო გამოცდილებას და თავ დაჭერას ცხოვრებაში, უსტ იგი, ევროპული ცოდნის და ცხოვრების გამოცდილების შეძენის ხანაში იყო სულერთიანა ჩაყურჭუმალავებული.

და განვითარებაც ქართველთა ნორჩი აზროვნობისა, მხატვრობისაც და ლიტერატურისაც მიდიოდა თანდათან წინ, თუმცა, უნდა ვთქვათ, ძალიან ბევრ ხელის შემშლელ პირობებში იყო მომწყვდეული. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ამ ვითარებამ სძლია ყოველი ხელის შემშლელი დაბრკოლება და ლიტერატურა ჩვენი, განსაკუთრებით, ქართული ლირიკა დიდი მგოსნის მადლიანი მოღვაწეობით აღვიდა უაღრეს, უშესანიშნავეს ხარისხამდე.

არ არის ლიტერატურის არც ერთი დარგი, საცა აკაკის თვისი წვლილი არ შეეტანოს, თვისი დიდი ნიჭის ნამდვილ შესაფერი. ლირიკის გარდა, სადაც იგი მეფეთა მეფის ტახტზე ზის, პუბლიცისტიკა, ფელეტონი, დიდათ მახვილი, სარკასტული ცოცხალი, დიდი მღელვარე ძლიერი ტალანტით აღსავსე „ცხელ ცხელი ამბები“, იმისი ბელეტრისტიკა და დრამა—კომედიები, მეცნიერული ნაშრომები და ლექციები, პედაგოგიური და ისტორიული ნაწერები, ყველა ამ ნაწარმოებით გამდიდრებულია ქართული ლიტერატურის სალარო, რომელიც ერთს უდიდეს, უმდიდრეს განძს წარმოადგენს ქართველთა გონების განვითარების ისტორიაში.

ამ რიგად, აკაკის შემოქმედებითმა ტალანტმა უჯანტეხილოთ, აუჯანყებლად, სისხლის დაუღვრელად ქართველთა ცხოვრებაში მოახდინა დიდი, ფას დაუდებელი რევოლიუციანა, რომლის მეოხებითაც ძირს დაეცა ძველი ქვეყნის ტახტზე ბძანებელი, წარმომადგენელნი, ძველი, დიდ-კაცური ენა, სიტყვა-პასუხი, რიტორება, კერპები, ჩვეულებანი, ადათები, ზნეხასიათები და შესანიშნავმა მემკვიდროებით, ჩამამავლობით

არისტოკროტმა, ამ ჩვენ დროის დიდმა ივერიელმა შექნა და განახორციელა სრული, სპეტაკი უბრალოება, ალალმართლობა და ხალასი, ჭეშმარიტი დემოკრატიზმი...

აკაკის მიმადლებული აქვს რაღაც განსაკუთრებული იუმორისტული ტალანტი. მგოსნის ცოცხალი, მგზნებარე გრძნობა-გონება ძალიან ადვილად, სრულიად დამოუკიდებლად ორიგინალურად ჰკვეთს ულმობელი ცხოვრების მოვლინებათა წინააღმდეგობას, დიალეკტიკას და, როცა მხატრულად გამოხატავს მას ხოლმე, მკითხველში და მაყურებელში იწვევს სიამის, დიდი ნეტარების მომგვრელს სიცილს და თან ნაზს, მეტად მწარე სიცილსაც. ამ გვარი განსაკუთრებული, მარტო და მხოლოდ მისი ტალანტის თვისება, მთელ მის თაობაში და ამხანაგებში, მარტო იმას ერთს ხვდა საჩუქრად ბუნებისგან და ამან უფრო შეაყვარა მთლად ქართველობას ეს საოცარი ჩვენი ქვეყნის მუდამ შუბლ გაშლილი და საოცნებოდ მომღიმარი შვილი.

1908 წლის გასულს ამ უპირველეს ქართველ მგოსანს შეუსრულდა ორმოცდ ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც იგი სამწერლო ასპარეზზე გამოსულა და იღვწის თვისი დიდათ დაჩაგრული ერის სასახელოდ.

ამისთვის დიდათ მადლიერმა საქართველოს შვილებმა, განურჩევლად წოდებისა, სარწმუნოებისა, სქესისა, ასაკისა ყოველგან დიდი დიდებით გადაუხადა მას იუბილე და ეს უბილე იდღესასწაულა ჯერ ჩვენში არ ნახული, არ გაგონილი ზეიმით და ძლიერებით.

აკაკის სახელი ქართველთა ამაყობის და დიდ სულოვნობის, შემოქმედობის სიმბოლოა და ამ სახელს ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს იმათთვის, როგორც ალექსანდრე პუშკინს —რუსთათვის, ადამ მიცკევიჩს— პოლონელთათვის. დიდი სამწერლო ტალანტით ბუნებისგან უხვად დაჯილდოებულს, რომლის ნიშნობლივი თვისება იმაში გამოიხატება, რომ მას სრულიად დამორჩილებული, დაძლეული ჰყავს ქარ-

თული ენა, მისი სამხატვრო სალიტერატურო ფორმები, რომლის წყალობითაც მან შექმნა მთელი შკოლა ლირიკოსთა და მეფელეტონეთა და თვისი მეტად მძლავრი, უნაზესი, უშვენიერესი გრძნობებით ცოცხლად დახატა მთლად ქართველობა ჭირსა და ლხინში წარსულშიც და აწმყეშიაც. მგოსანი ერთი უდიდესი მოტრფიალეა სახალხო ზეპირ-სიტყვაობისა და პოეზიისა, მთლად, მთელის არსებით ჩაყლაპულია ქართველი ერის სახალხო შემოქმედებით და იქიდან, ამ უძიროდ დაწმენდილ ზღვის უფსკრულებიდან იღებს ძვირფას მარგალიტებს და ქმნის გასაოცარ ხმებს და მელოდიებს..

აკაკის ქართველი საზოგადოება და ხალხი, აგრეთვე ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზდობა აღმერთებს. ქართველი მანდილოსნებიც მისდამი ღრმა სიყვარულით და უზომო პატივისცემით არიან გამსჭვალულნი. მკაცრი და ულმობელი კრიტიკა ვერ უპოვის მას და მის ნაწარმოებს ვერავითარ ნაკლს, ვერავითარ ხინჯს ამ დიდათ მოსიყვარულე გულის, რშვიათი ტემპერამენტის პატრონს ივერიელს, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი იღვაწა და იღვწის დღესაც ეკლით და ნარით მოფენილს ჩვენი სამშობლო ლიტერატურის ასპარეზზე.

აკაკი გასული საუკუნის სამოციანი წლების მწერალთა გუნდს ეკუთვნის და ამ მწერალთა შორის მას უჭირავს უპირველესი ადგილი. ვითარცა ლირიკოსი იმას საქართველოში ბადალი არა ჰყავს და თვისი შესანიშნავი ტალანტით, სიღრმით, ძლიერებით და სინაზით მას უთანასწორდებიან მხოლოდ ორი დიდი ივერიელი — შოთა რუსთაველი და ნიკოლოზ ბარათაშვილი.

როგორც პროზაიკი, აკაკი ძალიან დიდი მხატვარია ცხოვრების, ადამიანთა სულის და გულის ღრმა მცოდნე და უველგან თვის ნაწარმოებში იძლევა დახატულ ხასიათებს და ტიპებს, რაც შეადგენს ხელოვნურ ნაწარმოებთა დიდს სამკაულს ყოველგან და ყოველთვის.

აკაკი წმინდა, ნამდვილი, ხალასი რეალისტია. ცხოვრების

ყოველდღიურ ამბავს, ფაკტს იგი უყურებს პირდაპირ, წინდაწინვე დაუმზადებელის აზრით და ხატავს ამ ფაკტს გაუზვიადებლად სწორედ ისეა, როგორი ჩაბეჭდილებაც ამ ფაკტმა მოახდინა მასზე, რასაკვირველია, საკუთარი შემოქმედობითი ტალანტის განცდით. მგოსანი-მხატვარი ყოველთვის თავის სურვილებს და იდეალებს, თვისი გრძნობა-გონების ძალებს უთანხმებს ცხოვრების ფაკტებს ხოლმე და ასე ქმნის აკაკიც თვის ნაწარმოებს. ამასთანავე ზომიერება არსად არ ღალატობს აკაკის და ამიტომაც, იმისი ნამოქმედარი არას დროს არა ღლის ადამიანს. პირ-იქით, იწვევს სიცოცხლეს, ხალისს და სიამის მომგვრელ ნეტარებას. ამიტომაც ქართველ მწერალთა შორის აკაკის, მიუცილებლად, უპირველესი ადგილი უჭირავს და დიდათ თავმოსაწონებელი მწერალი-მოღვაწის სახელიც აქვს გავარდნილი ქართულს, სომხურს, რუსულს და საზღვარგარეთელს ლიტერატურაშიაც.

აკაკი დაიბადა დაბა საჩხერეში „გიჟმაჟის ხევისწყლის ჩიხურას პირად მდებარე ორსართულიან ქვითკირის სახლში[1]) 1850 წელს, 9 ივნისს, განთიადისას. მგოსანი ამბობს, რომ ნათქვამია: ადამის შვილს გაჩდება თუ არა ქვეყნად, მისი ბედის ვარსკვლავიც მაშინვე ცაზე იჭედებაო, წინასწარისა ზედწარწერითო! თუ ეს მართალია, ეჭვი არ არის, რომ ჩემს ვარსკვლავზეც შემდეგი შაირი წერებულა:

ერთი რამ ცხოველი არის,
ხმას აწვდენს შორით შორსაო,
თავისთვის ჩოჩორს აკეთებს,
სხვისთვის-კი კაი ჯორსაო“

მამა მგოსანისა, თავ. როსტომ წერეთელი, შინა კაცად იყო გაზრდილი და მარტო ის იცოდა, რაც მის დედას ესწავლებინა. მთელ მის სიცოცხლეში თვითნებობა და ახირებულობა ზნედ ქონდა გადაქცეული. ძალიანა სძულდა ნადირობა, ეჯავრებოდა აქეთ-იქით სიარული და სულ სახლში იჯდა.

[1]) იხ. „ჩემი ცხოვრების“ აკაკისა.

ხშირად ამბობდა ხოლმე: „კაცი სიმშვიდისა და მოსვენებისათვის არის გაჩენილიო.“ არც თვითონ შრომობდა, არც სხვას აწუხებდა. უყვარდა ძილი. პირის გემო იცოდა, უყვარდა კარგად, ღონივრად ჭამა და იმას იძახოდა: „არიქა, მშიერი არავინ დარჩეს სახლში, დიდსა და პატარას, ყველას საყოფათ აჭამეთო.“ ბუნებით ნამეტანი გულკეთილი იყო, შური და ბოროტება, არ ესმოდა, რა იყო; მაგრამ უცბად გულის მოსვლა კი უბრალო რამეზე იცოდა.

თ. როსტომი ოჯახის საქმეში არ ერეოდა,-სულ აკაკის დედის ხელში იყო. მაგრამ ქმრის ხასიათის ახირებულობა ხელს უშლიდა კნეინას და ამ ორს, სრულიად ერთმანეთის წინააღმდეგ ბუნების მექონ ადამიანთ, ხშირად ქონდათ ერთმანეთში საყვედური. კნეინა ხშირად ეტყოდა ხოლმე ქმარს: „შენი ცოდვა მიეცეს, ვინც შენ აგრე გამოგზარდა.“ სასახლეში ვაჟბატონი მაინც ყველას უყვარდა, ვიდრე ქალბატონი. საკვირველიაო, ამბობს აკაკი, მრისხანე დედა-ჩემს არ უყვარდა არავის დასჯა, მხოლოდ სიტყვითა და შეხედულობით იყო საშიში. ხშირად იპატივებდა ხოლმე მამიჩემისგან გულმოსულობით გაწირულს, მაგრამ მაინც ყველა მრისხანედა თვლიდა. მგოსანს მოაქვს ამის ბევრი მაგალითი. მაგრამ ჩვენ აქ ამაზე არ შევჩერდებით.

არავინ იფიქროს, რომ ასე აჩქარებული გულის პატრონი თავ. როსტომ წერეთელი მჩატე ჭკუის ყოფილიყოს. იგი იყო ძლიერი, ღრმა გონების ადამიანი, მოსწრებული და დიდათ ენა-მჭევრი, თუმცა კი ხშირად ენა-მწარეც, დედა მგოსნისა ხშირად იტყოდა ხოლმე: „ამ ჩემ შვილებს მამამისის ენა გამოყვათ, დახურდავებულიო“. ჩვენ ხუთი და-ძმანი ვიყავითო, ამბობს აკაკი, ღვთის მადლით, არც ერთს სუსტი ენა არა გვქონია და აქედან შეგვიძლია ვიგულისხმოთ, თუ რა უნდა ყოფილიყო მამაჩემის დაუხურდავებელი ენა. თუ გუნებაზე იყო როსტომი, მის ნახვას არაფერი სჯობდა. „იმას

რომ სწავლა მიეღო და ცხოვრებაში განვითარება ჰქონოდა, შესანიშნავი ვინმე იქნებოდა“.

ძლიერი გონების და მეტად მოსწრებული ენის პატრონი რომ იყო მგოსნის შესანიშნავი მამა, ამის მაგალითი აკაკის ბევრი მოაქვს, მაგრამ მე აქ ერთს მოვიტან მხოლოდ. „ფოტოგრაფია რუსეთში ახალი შემოღებული იყო. ჩემს ძმას გადაეღო თვისი სახე და გამოეგზავნა. უწყება მოგვივიდა. მე გემნაზიაში მიმეჩქარებოდა და დავიბარე შინ: რომ დავბრუნდები, ფოსტიდან გამოვიტანთქო. მამაჩემს სულმა აღარ მოუთმინა და, თურმე, თითონ წავიდა ფოსტაში. შევიდა, ნახა, რომ ყურადღება არავინ მიაქცია, მიიხედ-მოიხედა, სკამიც ვერსად დაინახა, რომ დამჯდარიყო. დგას ფეხზე სხვებთან ერთად და ფიქრობს გუნებაში: ეს რას ნიშნავს! სადაც შევდივარ, ყველგან დაბძანდის მეუბნებიან და სკამს მიდგმენ, და ეს კი ვიღაც არის, ბუზადაც არ მაგდებსო! ფოსტის უფროსი ახალი დანიშნული იყო და მამაჩემს არ იცნობდა. მამაჩემმა ერთხანს იცადა და, ბოლოს, რომ მოთმინება დაჰკარგა, მივიდა და უთხრა:

— კიდევ დიდხანს გინდა, რომ მაცდევინო? მომეცი ჩემი ილიკოს გამოგზავნილი, თუ რამე იყოს, და გამისტუმრე.

— ილიკო ვინ არის? ეკითხება გაკვირვებული ფოსტის უფროსი.

— ილიკო ვინ არის? ვინ არის და ჩემი შვილი, ხემწიფე იმპერატორის მოსამსახურე — კანვლი.

— მე ვერ ვიცნობ.

— ოხ, შენ თუ არ იცნობ, მაშ პური ველარ უჭამია! იმ კაცს სასახლეში იცნობენ და შენ აქ, გინდ იცანი და გინდა არა.

— ყოველიფერი კარგი, მაგრამ თითონ თაქვენ ვინღა ბძანდებით?

— მე? თავადი როსტომ წერეთელი.

— ვერც თქვენ გიცნობთ.

— ახლა ხომ გეუბნები, ვინცა ვარ!

— ეგ არა კმარა.

— მაშ, ხატზე ხომ არ გინდა რომ შემოგფიცო?

— ფიცი რა საჭიროა, წადით და მოწმობა მომიტანეთ.

— მოწმობა?! რისი მოწმობა?

— მისი, რომ სწორედ თავადი როსტომ წერეთელი ხართ.

— მერე და ვის უნდა გამოვართვა ეგ მოწმობა?

— პოლიციაში, კვარტალს.

აქ მამაჩემმა მეტი შეურაცხყოფა ველარ აიტანა და სტაცა კისერში ხელი...

შეურაცხყოფილი ფოსტის უფროსი ჭაიქცა საჩივლელათ პირდაპირ გუბერნატორთან. დაიბარეს მამაჩემი. შევიდა თუ არა ზალაში, მაშინვე საყვედურით მიმართა გუბერნატორს: მთელი ხმელეთი ხელში გიჭირავთ და კაცებს ველარ შოულობთ, თუ როგორ არის თქვენი საქმე, რომ ვილაც გიჟებს და მასხარებს ნიშნავთ?

— როგორ! რა ამბავი იყო? რა ჩაგიდენიაო? ეკითხება გუბერნატორი.

— როგორ თუ რა ჩამიდენია! დიდმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დამამტკიცა თავად როსტომ წერეთლად, ნიკოლოზმა ხელი მოაწერა, ალექსანდრე მეორემ ბეჭედი დაუსვა, და ახლა, ეს ვილაც ოხერია, სამი დიდი ხელმწიფის მონიჭებულ წყალობას ისე მართმევს და მხდის, თითქო მაგის შეკერილი ჩოხა-ნაბადი იყოს! მეუბნება, რომ ეგ ყოლიფერი ჩალადაც არ ღირს, თუ პოლიციაში არ წახვედი და იქ ხელ- ახლა კვარტალმა, მაქსიმე მგალობლიშვილმა, არ დაგამტკიცაო.

— ეგ ყოველიფერი კარგი, მაგრამ თქვენ რაღა უპასუხეთ?

— საპასუხო რა მქონდა? რისიც ღირსი იყო, კიდევაც მივანიჭე.

— მაშ ალიარებ, რომ შეურაცყოფა მიაყენე?

— რას ამბობთ? როგორ თუ შეურაცხყოფა?! ჩემი საცინლად აგდება, რომ კიდეც ამეტანა, რა ნება მქონდა, რომ მთავრობის შეურაცხყოფა დამეთმო მაგისთვის?

— ხელი შეახეთ?

— არა, ისე, კისერში წავავლე.

— მეტი არაფერი?

— როგორ არაფერი. გადმოვლუნე და სამიოდე ჯოხი ვზუზღე, ერთი ჩემი გაკიცხვისთვის და ორიც—მთავრობის შეურაცხყოფისთვისო. ამას ისეთი გულ-მოსულობით ამბობდა, რომ ვერც თითონ გუბერნატორმა და ვერც მისმა ჩინოვნიკებმა სიცილი ველარ შეიკავეს. ბოლოს, როდესაც აუხსნეს მამაჩემს მისი შეცდომა, შეწუხდა, მიუბრუნდა იქვე მდგარ ფოსტის უფროსს და უთხრა: — „შე, კუდო კაცო, მე რა ვიცი ახალი რიგისა და წესებისა? რომ მნახე, შემოვედი ერთი უსწავლელი, ადამის ხნის კაცი, აგეხსნა ჩემთვის, რასაც ახალი კანონები გეუბნებიან, თვარა: მე შემოვდივარ ზრდილობიანად, შენ კი ისე მიბღვერ, თითქოს შენი მოსისხლე მტერი ვყოფილიყო! სხვა რომ ჯრა იყოს რა, ყმაწვილი ხარ, ჩემი ჭალარისათვის მაინც უნდა გეცა პატივი. „ეს საქმე ბოდიშითა და მორიგებით გათავდა“ ...

აქ უნდა შევწყვიტო შვენივრად დახატული ადგილების მოტანა, რომელნიც ძლიერად და საუცხოოდ ახასიათებენ როსტომ წერეთელს, როგორც ჩვენი ძველი ცხოვრების წარმომადგენელს. აკაკიმ ორი კალმის მოსმით, ძლიერის კურთხეული მარჯვენა ხელის ერთი გაქნევით დახატა მთელი ტიპი მაშინდელი თავადიშვილისა, რომლის ბაღალი ჩვენს ლიტერატურაში არ მოიძებნება. ეს არის ოქვენ წინ დახატული მთელი მაშინდელი სიცოცხლით სავსე, დიდათ გულკეთილი, თან ჭეშმარიტი, დაუშრეტელი, მჩქეფარე და მხიარული კილო

როსტომ წერეთლის იუმორისა. ჩვენი დიდი მგოსნის ეს პროზაული ნაწარმოები არის დიდი და ღრმა, ჭეშმარიტი და გულწრფელი შვენიერი დახატვა ჩვენი განვლილი ცხოვრებისა, რომელიც ასე გვენათესავება და ახლოა ჩვენზე, ყველა ქართველზე...

დედა მგოსანისა იყო დიდი ძველებური ოჯახის ასული. 1820 წელს, რუსის ექსარხოსის დროს, ქუთათელი და გენათელი რომ დააპატიმრეს და აჯანყება მოხდა, იმ აჯანყებულების მეთაურად ითვლებოდა დიდი ივანე აბაშიძე, ახალციხეს მოკლული. ეს ივანე აბაშიძე დიდი სოლომონ პირველის მეფის ასულის დარეჯანის შვილი იყო და მამა მგოსნის დედისა. აჯანყებულები რომ დაიმორჩილეს, ივანე აბაშიძის ოჯახი აიკლეს და მისი ცოლ-შვილიც სხვებთან ერთად ტყვეთ წაიყვანეს. გურიის უკანასკნელი მთავარი, მამია გურიელი, ღვიძლი ძმა იყო ივანე აბაშიძის ცოლის. მამია გურიელი გამოესარჩლა დასა და დისწულებს, მთავრობასთან იშვამდგომლა და ტყვეები, გარდა დარეჯან ბატონიშვილის ერთი უფროსი ვაჟისა, უკანვე დააბრუნეს გზიდან. ივანე აბაშიძის სახლობა დაბრუნდა, მაგრამ ყმა და მამული ჩამორთმეული დაუხვდა, ოჯახი აკლებული და განადგურებული. საზრდო რომ არა ჰქონდათ, გურიის მთავარმა—მამიამ გადაიყვანა და ცდილობდა იმათი უზომო მწუხარების გაქარვებას. ყველაზე უფრო, თურმე დასევდიანდა ჩვენი მგოსანის დედა, რომელიც იმ დროს 12—13 წლისა იქნებოდა. იმას, თურმე, სულ დარეჯან ბატონიშვილი აგონდებოდა, რომელიც შვილსავით ზრდიდა და ანებივრებდა, როგორც ყოველისფრად შესანიშნავ ბავშს. მამია გურიელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მგოსნის დიდათ ნიჭიერს დედას. იმ დროს, როგორც სხვა ყოველ ქართველ დიდ-ოჯახებში, მამია გურიელის სასახლეებშიაც თითქმის შინაკაცებად ითვლებოდენ ფრანგის პატრები და დიდი გავლენაც ქონდათ ოჯახებზე...

ამ განახლებულმა ფრანგის პატრებმა აკაკის დედაზე დიდი ზედმოქმედება და გავლენა იქონიეს. იმათი მეოხებით მას შესწავლილი ჰქონდა მკურნალობა ⁄ მეურნეობა. რაც კი იმ დროში ქართველ ქალს ხელიდგან გამოუვიდოდა, ყველაფერი იცოდა ზედ მიწევნით. იყო კარგი მწიგნობარი, მეოჯახე, მოხელ-საქნარე და მასთანაც კარგი აღმზრდელი. ცნობის-მოყვარეობასთან შრომის-მოყვარეობაც შეთვისებული ქონდა: დილას, მამლის ყივილზე რომ წამოდგებოდა, დაღამებამდე ფეხზე იდგა და უსაქმურად კაცი ვერ ნახავდა. „სიზარმაცე და უსაქმურობა დედა არის ყოველგვარ ბოროტებისო,"-იტყოდა ხოლმე იგი და კეთილი საქმე-კი იგივე ლოცვა, ვედრებაოო". მოსამსახურეს ყოველთვის თვალყურს ადევნებდა, რომ ცუდი არა ჩაედინა-რა. უსაქმოდ არავის ვააჩერებდა. ყოველგვარ ხელობას ასწავლიდა მათ და ზოგს წიგნსაც აკითხებდა. მაშინ, ბატონ-ყაობის დროს ამგვარი ქცევა საარაკო იყო და მგოსნის დედის მოქმედებაც ბევრს, რასაკვირველია, თვალში ეჩხირებოდა. მკაცრობისა და მრისხანეების სახელი ჰქონდა მას დავარდნილი, რადგან თავი მძიმეთ ეჭირა. „ბრბოს თუ თავი გაუყადრე, პირს შეგაჩვევს, აღარად ჩაგაგდებს და, რაც უნდა ურჩიო, აღარ დაიჯერებსო" — ამბობდა იგი. სასახლეში იმისი ყველას ეშინოდა და დიდი ხათრი და მორიდებაც ქონდათ. აკაკი წერს: მაშინ მეც ისე მეგონა, როგორც სხვებსო, რომ დედა-ჩემი ცივ-გული და მრისხანე იყო, მაგრამ გონებაში რომ ჩავხედე, მაშინ-კი გამოვიკვლიე სიმართლე: ის იყო ნამეტანი ჩვილი გულის მექონი და მოყვარული, მაგრამ დიდ ოჯახში ნამყოფი, დარეჯან ბატონიშვილის გაზდილი და პატრების ნამოწაფარი, განგებ პირ-ბადეს იფარებდა, მხოლოდ კეთილის განზრახვით. უნდა გენახათ მაშინ, როდესაც სასახლეში ავათ

ვინმე გახდებოდა, გინდ უკანასკნელთაგანიცა!.. დღე და ღამ მოსვენება აღარა ჰქონდა და თავის ხელით უვლიდა, როგორც შვილს. გაჭირვებულის დახმარება რჯულად ქონდა დადგენილი. სულ სხვებზე ფიქრობდა და სხვებისთვის, თითქოს თავის საკუთარ პირადობზე ხელ-აღებული ყოფილიყოს, მუდამ მწუხარებაში იყო და ყოველ ფერიცვალება-დღეს მტირალი ოჯდა ხოლმე. ამბობენ, ამ დღეს რაღაც ძველებური ამბავი ეგონდებოდაო...

აი, ვინ იყვენ მშობლები ჩვენი ეროვნული სიამაყისა და მისი დიდი ტალანტი, მაშასადამე, ჩვენთვის სანახევროდ მაინც გაგებულიო ახლა...

დაბადებისათანავე „კაკო“ (ბავშობისას აკაკის კაკოს ეძახდენ) ძიძას მიაბარეს, სოფელ სავანეში, რომელიც ერთი საუკეთოვო ადგილთაგანია ჰაერით და მდებარეობით მთელ საწყალეთლოში. საჩხერიდან ამ სოფლამდი ნახევარი საათის სავალი-რულო თუ იქნება. აბა, აქ აიდგა ფეხი, ამოიდგა ენა პატარა „კაკომ“ და აქედანვე იწყება იმისი მახსოვრობა. ყოველი საშუშაო და ხელსაქნარი სოფლელი გლეხისა, ვაცისა და ქალისაც მუდამ თვალწინ უდგა კაკოს, თვალყურს ადევნებდა იმათ მუშაობას, მალალუნებურად მონაწილე ხდებოდა და სწავლობდა იმათგან ყველაფერს. ხუთი-ექვსი წლის კაკომ კარგად იცოდა პირუტყვის ყურისგდება, ფრინველის მოვლა, საფილ-ვახშმის მზადება, გაცრა-გამტკიცვა, გამოცხობა, სხვა და სხვა გვარ შეჭამადის მომზადება და სხვანი. შესწავლილი ქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნა-თესვა, თოხნა, მკა, სხვლა და სხვა. საჩეჩელის და ლარის ხელიც ისე კარგად იცოდა კაკომ, რომ ქალებიც ვერ ჯობნიდენ. რაც შეეხება ათას-

ნაირ სათამაშოებს, ამაში ხომ მთელი დღე აღამებდა კაკო წმინდა ჰაერზე მიდვრად თავის ტოლ-ამხანაგებში. ბურთაობა, შვილდ-კოდალობა, რიკტაფელობა, გადახტომ-გადმოხტომა, ხურვა სახლების და ბეღელ-სასიმინდე - წისქვილების, ბოგირების აშენება, „ბატონობია“, ქოროობია, ქალაქობია და სხ. თამაშობა იზიდავდა, რა თქმა უნდა, 5—6 წლის ნამდვილ ბუნების შვენიერს შვილს, რომელიც იყო ტან-მთელი, ყველას მოსიყვარულე და თავისუფალი, როგორც სამოთხის შვილი.

პოეტის დიდათ ცოცხალი, მოუსვენარი ბუნება ყანაში მუშებთან დიდხანს ვერ ჩერდებოდა და სულ სამწყესურში წასვლა, მიდვრად და ტყეში თავის ტოლ-ამხანაგებში დარჩენა მისთვის ნამდვილი სამოთხე იყო. გათენდებოდა თუ არა, იგი, უქუდო, ფეხშიშველა მწყესებისკენ გარბოდა და დაღამებამდი-იმათთან რჩებოდა. სამართლიანად ამბობს ჩვენი მგოსანი, რომ „ყმაწვილი, რომელიც-კი სოფელში არ გაზრდილა, ბუნებაზე სრულიად მოსხლეტილიაო, ის არის მოკლებული უპირველესს ბედნიერებას მგოსანი ადარებს ქალაქში გაზდილსა და სოფელში აღზრდილს და პირდაპირ გენიოსურ აზრებს გამოსთქვამს ერთის კალმის წვერის გაქნევით... „სოფლელს თვალ წინ უდგას ყოველთვის ბუნება, მისის სხვადასხვა ფეროობით, გაცნობილი ყავს ყოველგვარი ოთხფეხი, ფრინველი, ქვემძრომი, მწერი, მცენარე და იცის მათი ზნე და ჩვეულება; მის თვალწინ იბადება, იზრდება, იშლება, იფურჩქნება, აჰყვავდება, მოაქვს ნაყოფი და კვდება,—ყველა მათგანის ჭირისა და ლხინის თანამოზიარეა და ამიტომაც ეთვისიანება მათ. რომელ მხატვრობას შეუძლია გადასცეს ბავშს ის, რასაც სოფელში მყოფი თავის თვალით ჰხედავს?“...

განთიადი.

რომ სიტყვა აღარ გავაგრძელოო, წერს მგოსანი, მოკლედ ვიტყვი, რომ სოფელში გაზდილ და ქალაქში მყოფ ბავშებს შუა ისეთი განსხვავებაა, როგორიც ნამდვილსა და მის აჩრდილს შუა. ეს უბედურება ბედმა თავიდან ამაცდინა მე და ექვსი-შვიდი წლის ნამდვილი ბუნების შვილი ვიყავიო.

ზომლელი.

(შემდეგი იქნება).

4. და შეჰკრიბნა ყოველნი მღვდელთმთავარნი და მწიგნობარნი ერისანი და იკითხვიდა მათგან: სადა უკვე შობად არს ქრისტე?

5. ხოლო მათ ჰრქუეს მას: ბეთლემს ჰურიასტანისასა; რამეთუ ესრეთ წერილარს წინასწარმეტყველისა მიერ.

6. და შენ ბეთლემ, ქვეყანა ეგე იუდასი, არასადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდასთა; რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღვარი, რომელმან დაჰმწყსოს ერი ჩემი ისრაილი.

სავლეთის რომელ ქვეყნიდან მოვედნენ ისინი; წმიდა მამათა აზრით ეს მოგვები სპარსეთიდან იყვნენ. მოგვნი მოვიდნენ ურიასტანის სატახტო ქალაქში, იერუსალიმში,

2. აქ ისინი კითხულობდნენ, **სად არს, რომელი იგი იშვა მეუფე ურიათა?** იმ დროს ყველანი მოელოდენ, რომ ურიასტანში დაიბადებოდა მესია, მაცხოვარი. ურიები მოელოდენ, დიდებულ მეუფეს, რომელიც გაათავისუფლებდა მათ რომაელთა უღლიდან და გაბატონებდა მთელს ქვეყანაზე. ეს მოლოდინი სხვა ერებშიც იყო გავრცელებული, რადგანაც ურიები მთელს ქვეყანაზე იყვნენ გაფანტულები.

მოგვნი ამბობდენ: ვიხილეთ ვარსკვლავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყვანისცემად მისსა. ცნობილი მეცნიერი ასტრონომი კეპლერი ამბობს, რომ სწორედ იმ წელიწადს, რომელშიც იშვა ქრისტე, ასტრონომიულ გამოკვლევათა მიხედვით, მოხდა შეერთება ორის მნათობისა—იუპიტერისა და სატურნისა. შემდეგ მათ მიემატათ მარეხიც. ეს შეერთება სამ დიდ მნათობისა უბრალო თვალით სჩანდა ერთ დიდ ვარსკვლავად, რომელიც ყველა ვარსკვლავებზე ბრწყინვალედ ანათებდა. ეს იყო ეს არაჩვეულებრივი ვარსკვლავი, რომელიც იხილეს აღმოსავლეთის მოგვებმა.

მიუხედავად ასეთის განმარტებისა, მოგვთა მოგზაურობა ახლად შობილის იესოს თაყვანის საცემლად მაინც სასწაულებრივია. ბრანე ოქროპირი მოგვთა მოგზაურობის შესახებ

7. მაშინ იროდი იდუმალ მოუწოდა მოგვთა მათ და გამოიკითხა მათგან ჟამი იგი გამოჩილებულისა მის ვარსკვლავისა.

8. და წარავლინნა იგინი ბეთლემად და ჰრქვა: მიეედით და გამოიკითხეთ ჭეშმარიტად ყრმისა მისთვის, და რა ჟამს ჰპოვოთ იგი, მითხართ მე, რათა მეცამივიდე და თაყვანი ვცე მას.

ამბობს: „რადგანაც ურიები, — მიუხედავად იმისა, რომ მათ მუდამ ესმოდათ წინასწარმეტყველთა ქადაგება ქრისტეს მოსვლის შესახებ, — არ აქცევდენ ამას დიდს ყურადღებას, ღმერთმა შეაგონა ბარბაროსებს მოსვლა შორის ქვეყნიდან, გამოკითხვა ურიათა შორის დაბადებულის მეუფის შესახებ; და ისინი პირველად სპარსელთაგან გებულობენ იმას, რის შეგნებაც არ უნდოდათ წინასწარმეტყველთაგან“.

3. იროდი იყო ტომით იდუმელი, არა კანონიერი მეფე ებრაელთა; ამიტომ ის ძალიან შესძრწუნდა, როცა გაიგო, რომ დაბადებულა ახალი, ნამდვილი მეფე ებრაელთა; მას ეშინოდა, ამ ახლად დაბადებულმა მეფემ ტახტი არ წამართვასო; იროდი მეფესთან შესძრწუნდენ ერთად მისი მომხრენი, შესძრწუნდენ იერუსალიმის მცხოვრებნიც, რადგანაც ეშინოდათ, რომ ფიცხს მეფეს ახალი რამ სისასტიკე არ გამოეჩინა.

4-5. იროდ მეფემ შეჰკრიბა მღვდელთმთავარები და მწიგნობრები, რომლებიც განსწავლული იყვენ ურიათა სჯულით და საღვთო წერილი ზედმიწევნით იცოდენ და ჰკითხა მათ: სადა შობად არს ქრისტე? მღვდელთმთავრებმა და მწიგნობრებმა კარგად იცოდნენ მიქიას წინასწარმეტყველება მესიის შესახებ და მოახსენეს მეფეს: ბეთლემს ურიასტანისასა.

6. წინასწარმეტყველება მიქიასი იკითხება ესრე: შენ, ბეთლემ, სახლი ეუფრათასი მცირე ხარ ყოფად ათასეულთა შორის იუდასთა, რათეთუ შენგან გამოვიდეს ჩემდად ყოფადი

9. ხოლო მათ, ვითარცა ესმა ესე მეფისა მისგან წარვიდენ, და აჰა, ვარსკვლავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავლით, წინა უძღოდა მათ, ვიდრემდე მოვიდა და დაადგრა ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმა იგი.

10 ხოლო მათ, ვითარცა იხილეს ვარსკვლავი იგი განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად.

მთავრად ისრაილსა ზედა და გამოსავალნი მისნი დასაბამით ღღეთაგან საუკუნოსათა.

ბეთლემი პატარა და უმნიშვნელო ქალაქი იყო, ამიტომ არ შეიძლებოდა მისი შედარება ურიასტანის დიდ ქალაქებთან; მაგრამ წინასწარმეტყველი სხვა უპირატესობას ხედავს ამ მცირე ბეთლემ ქალაქში ურიასტანის სხვა დიდებულ ქალაქებთან შედარებით. ეს უპირატესობა ის არის, რომ ამ ქალაქიდან გამოვა მეუფე, მთავარი ისრაილისა. საყურადღებო ამ წინასწარმეტყველებაში ის არის, რომ მეუფე მხოლოდ გამოვა ბეთლემიდან, დაიბადება ხორციელად ბეთლემში, მაგრამ, როგორც ღმერთი, ის საუკუნოა და დაუსაბამო. ეს მეუფე დამწყის ისრაილის ერს.

7. მღვდელთმთავართა და მწიგნობართაგან ირეოდმა გაიგო, ადგილი ქრისტეს შობისა, მოგვთაგან კი მოისურვა მისის შობის დროს გაგებაც, საიდუმლოდ მოიხმო იგინი და გამოჰკითხა. ეს ეროდ მეფეს სჭირდებოდა მისთვის, რომ უფრო ადვილად შეესრულებინა თავისი ბოროტი განზრახვა იესო ქრისტეს მოკვლის შესახებ.

8. გარდა იესოს დაბადების დროს და ადგილის ცოდნისა, მოსისხლე მეფეს უნდოდა კიდევ უფრო დაწვრილებითი ცნობები ჰქონოდა ახლად შობილის ყრმის შესახებ, ამიტომ მან დაავალა მოგვებს უფრო დაჭეშმარიტებით გაეგოთ ყრმის ყოველივე ამბავი და დაბრუნებისას, ეუწყებინათ მისთვის, რადგანაც მას სურდა ამ არა ჩვეულებრივის ყრმის თაყვანის ცემა..

11 და ვითარცა შევიდეს სახლსა მას, იხილეს ყრმა იგი მარიამისთანა, დედისა თვისისა და დავარდეს და თაყვანის-ჰცეს მას; და აღაღეს საუნჯეთა მათთა, და შეჰსწირეს მისსა ძღვენი: ოქრო გუნდრუკი და მური.

12. და მოიღეს ბრძანება ჩვენებით, რათა არა მიაქციონ იროდისა, არამედ სხვით გზით წარვიდენ სოფლად თვისსა.

9-12. მოგვნი გაემგზავრენ იერუსალიმიდან ბეთლემისა-კენ; ვარსკვლავი, რომელიც მათ იხილეს აღმოსავლეთში, ეხ-ლაც გამოსჩნდა და მათ განიხარეს მის დანახვაზე. ვარსკვლავი დადგა იმ ადგილზე, სადაც იყო ყრმა; მარიამ ქალწული, იო-სები და ყრმა იესო უკვე სახლში გადასულიყვენ, გამოქვაბუ-ლიდან და მოგვებმა ამ სახლში სცეს თაყვანი იესოს და, აღ-მოსავლეთის ჩვეულებისამებრ, მიართვეს მას ძღვნად ოქრო, როგორც მეფეს, გუნდრუკი, როგორც ღმერთს და მური, ე. ი. სუნნელი სითხე, როგორც კაცს. თაყვანისცემის შემ-დეგ, მოგვნი წავიდნენ თავისს ქვეყანაში, თანახმად ჩვენებით მიღებულის ბრძანებისა, სხვა გზით, და იროდისთან არ შე-უვლიათ.

13-15. მოგვთა წასვლის შემდეგ, ანგელოზი უფლისა გამოეცხადა იოსებს, როგორც მარიამ ქალწულს და ყრმა იე-სოს მცველს, და უბრძანა წასულიყო ეგვიპტეში, რადგანაც იროდის უნდოდა ახალშობილის მეუფის მოკვლა; ეგვიპტე კი იროდ მეფეს არ ემორჩილებოდა. იოსებმა აღასრულა ბრძა-ნება ანგელოზისა, წავიდა ეგვიპტეში და იმყოფებოდა იქ იროდ მეფის სიკვდილამდე. რა ადგილს, ან როგორ სცხოვ-რებდა იოსები ეგვიპტეში მახარებელი არ ამბობს. იესოს და-ბრუნებაში ეგვიპტიდან მახარებელი ხედავს აღსრულებას ოსეს წინასწარმეტყველებისას: „ეგვიპტით უწოდე ძესა ჩემსა“. ეს წინასწარმეტყველება ეხება ებრაელთა ერს, რომელიც ით-ვლებოდა ღვთის პირმშო ძედ, რჩეულ ერად, იმყოფებოდა ეგვიპტის მონობაში და ღვთის მიერ გამოხსნილ იქმნა ამ

13 და ვითარცა განეშორნეს მოგვნი სიგი, აჰა ანგელოზი უფლისა ჩჳენებით გამოუჩნდა იოსებს და ეტყვა: აღსდეგ და წარიყვანე ყრმა ესე და დედა მისი და იქმენ ეგვიპტედ და იყავ მუნ, ვიდრემდე გეტყჳ შენ; რამეთუ ეგულებოდეს ეძებად ყრმისა ესოდენ ეგე და წარწყმედად ეგე.

14. ხოლო ესე აღსდგა და წარიყვანა ყრმა ესე და დედა მისი ღამე და წარვიდა ეგვიპტედ და იყო მუნ ვიდრე აღსრულებადმდე ჟამისა.

ტყვეობისაგან, ეს ერი ემსგავსებოდა იესო ქრისტეს, რომელიც არის ძე ღვთისა, მხოლოდშობილი და ეგვიპტეში იყო ლტოლვილად.

10. ირაკლი მეფეს ამაოდ ელოდა მოგვთა დაბრუნებას; მათ მასთან არ გაუვლიათ. ამიტომ მან შეუერაცხყოფილად ჩასთვალა თავი. განრისხებულმა მეფემ ბრძანა მოეწყვიტნათ ყველა ყრმები, ორმლებიც კი იყვნენ ბეთლემში და მის მიდამოებში ორი წლითგანი და უდარეჯიც მას ეგონა, რომ ამ ყრმათა რიცხვში ესენი შეიტანა ჭირიაქუა მეუფეს. იესოც მოჰყვებოდა, ეროდ მეფე ძალიან მოსისხლე, ბოროტი და ეჭვიანი კაცი იყო. ის ეჭვით, რომ ტახტი არ წამართვანა, მან მოაკვლევინა თავისი ცოლი მარიამნა, დახოცა თავისი შვილები ალექსანდრე, არისტოკლე და ანტიპატრი და სხვა ახლონათესავები, ანუ რომ უდანაშაულო ბეთლემელ ყრმათა დახოცვა სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ეროდ მეფის ხასიათს და მოქმედებას.

17 18 მახარებელი ამაში ხედავს იერემიას წინასწარმეტყველების აღსრულებას: ხმა ჰრამათს ისმა გოდებისა და ტირილისა და ტყებისა მრავალი, რაქილ სტიროდა შვილთა თვისთა და არა უნდოდა ნუგეშინის ცემის, რამეთუ არა არნ. რამათში, პატარა ქალაქში ნაბუქოდონოსორ მეფის მთავარსარდალმა ნაბუზარდანმა შეკრიბა ბაბილონში ტყვედ წასაყვანი ურიები. ამის მოსმენა იერემია წინასწარმეტყველი

15. რათა აღესრულოს სიტყვა იგი უფლისა, თქმული წინასწარმეტყველისა მიერ: ეგვიპტით უწოდე ძესა ჩემსა.

16. მაშინ ვითარცა იხილა იროდი, რამეთუ მოიკიცხა მოგვთა მათგან, განრისხნა ფრიად, წარავლინნა და მოისწყვიდნა ყოველნი ყრმები, რომელნი იყვნეს ბეთლემს და ყ ველთა საზღვართა მისთა, ორით წლითგანი და უდარესი, მსგავსად მის ჟამისა, ვითარცა გამოიკითხა მოგვთა მათგან.

17. მაშინ აღესრულა თქმული ივი იერემია წინასწარმეტყველისა, რომელსა იტყვის:

18. ხმა ჰრამათს ისმა გოდებისა, ტირილისა და ტყებისა მრავალი, რახილ ჰსტიროდა შვილთა თვისთა და არა უნდა ნუგეშინის ცემის, რამეთუ არა არნნ.

19. ხოლო რაჟამს აღესრულა იროდი, აჰა ანგელოზი უფლისა გამოეცხადა ჩვენებით იოსებს ეგვიპტეს.

ასურათებს ამ შემთხვევას, როგორც რახელის ტირილ-გოდებას წარტყვევნილთა შესახებ. მახარებელი კი, ამ სამწუხარო შემთხვევაში ხედავს სახეს მეორე სამწუხარო ამბისას,— იროდეს მიერ ყრმების გაწყვეტისას ბეთლემში, სადაც დასაფლავებული იყო რახელი, საყვარელი ცოლი იაკობ მამათმთავრისა.

19-23. იროდ მეფე მოკვდა საშინელის სიკვდილით; ებრაელთა მეისტორიეს იოსებ ფლაბიოსის სიტყვით, ღმერთმა დასაჯა იროდი ყველა მის ბოროტმოქმედებისათვის. მას სიცოცხლითვე დაეხვა მატლი, იროდის სიკვდილს შემდეგ, ანგელოზი კვალად გამოეცხადა იოსებს ეგვიპტეში და უბრძანა დაბრუნებულიყო ისრაილის ქვეყანაში; იოსებს უნდოდა ეცხოვრა ურიასტანში, მაგრამ როდესაც გაიგო, რომ იქ მეფობდა არქელაოსი, იროდის შვილი, მამასავით ბოროტი და მოსისხლე კაცი, წავიდა და დაეშენა ნაზარეთში.

ამ ამბის მოთხრობის შემდეგ მახარებელი შენიშნავს: რათა აღესრულოს თქმული ივი წინასწარმეტყველისა მიერ, ვი-

20. და ჰრქვა: აღსდეგ და წრიყვანე ყრმა ეგე და დედა მაგისი, და წარვედ ქვეყანად ისრაილსა; რამეთუ მოჰსწყდეს, რომელნი ეძიებდეს სულსა მაგის ყრმისასა.

21. ხოლო იგი აღსდგა და წარმოიყვანა ყრმა იგი, და დედა მისი, და მოვიდა ქვეყანად ისრაილისა.

22. და ვითარცა ესმა, რამეთუ არხელაოს ჰმეფობს ურიასტანს იროდის—წილ მამისა თვისისა, შეეშინა მისვლად მუნ; და ბრძანება მოიღო ჩვენებით და წარვიდა კერძოთა გალილიასათა.

23. და მივიდა და დაეშენა ქალაქსა შინა, რომელსა ჰრქვიან ნაზარეთ; რათა აღესრულოს თქმული იგი წინასწარმეტყველისა მიერ, ვითარმედ ნაზარეველ ეწოდოს.

თარმედ ნაზარეველ ეწოდოს. არც ერთს ძველ აღთქმის წინასწარმეტყველებაში არ მოიპოვება მახარებლის მიერ მოყვანილი სიტყვები. მაგრამ ძველ აღთქმის წინასწარმეტყველნი ხშირად და დაწვრილებით აღწერენ იესოს შეურაცხყოფილს მდგომარეობას; ნაზარეთლები კი ყველა ურიათა შორის შეურაცხყოფილებად ითვლებოდენ; ნაზარეთლობა იყო ნიშანი დამდაბლებისა, დამცირებისა და შეურაცხყოფისა; ამიტომ ჰგონებენ, რომ მახარებელს აქ სახეში აქვს შეურაცხყოფილი მდგომარეობა იესო ქრისტესი, თქმული წინასწარმეტყველთა მიერ*).

---

*) ქართულ სახარებაში სწერია—წინასწარმეტყველისა მიერ; ბერძნულში, სლავიანურში, და რუსულში და სხვ.—წინასწარმეტყველთა მიერ, ე. ი. ნახმარია მრავლობითი რიცხვი და, ვგონებ, ეს უკანასკნელი უფრო სწორე უნდა იყოს.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე.

1. მათ დღეთა შინა, მოვიდა იოანე ნათლისმცემელი ქადაგებად უდაბნოსა მას ურიასტანისასა.

2. და იტყოდა: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა.

3. რამეთუ ესე არს, რომელი თქმულ არს ისაია წინასწარმეტყველისა მიერ და იტყვის: ხმა ღაღადებისა უდაბნოსა ზედა; განმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ჰყოფენით ალაგნი მისნი.

III.

გამოსვლა იოანე ნათლისმცემლისა საქადაგებლად, მისი გარეგანი სახე და ცხოვრება უდაბნოში (1-4). ნათლისცემა და მხილება იოანეს მიერ ფარისეველთა და სადუკეველთა (5-12). ნათლისღება იესო ქრისტესი (12-17).

1. მათ დღეთა შინა, ე. ი. იმ დროს, როცა იესო ქრისტე სცხოვრობდა ნაზარეთში, იოანე, ძე ზაქარიასი და ელისაბედისა, წოდებული ნათლისმცემლად, მიტომ რომ ნათელს სცემდა მასთან მომავლებს, გამოვიდა საქადაგებლად. სახარებაში დაცული ქადაგება იოანე ნათლის მცემლისა შესდგება რაოდენიმე მოკლე წარმონთქვამისგან. იოანე ნათლის მცემელი ჰქადაგებდა ურიასტანის უდაბნოში; ეს უდაბნო მდებარეობს მკვდარ ზღვიდან დასავლეთის მხარეს. საზოგადოდ, უდაბნო ეწოდება იმისთანა ადგილს, რომელშიც მცირედ სახლობს ხალხი, ნიადაგი მწირი და მძიმე შესამუშავებელია. ურიასტანის უდაბნოში იყო პატარპატარა სოფლები; ეხლაც უჩვენებენ ამ უდაბნოში ერთს გამოქვაბულს, რომელშიც სცხოვრობდა იოანე ნათლისმცემელი და წყაროს, რომლიდანაც ის წყალსა სვამდა.

2. იოანე ნათლისმცემელი ჰქადაგებდა: შეინანეთ რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა. შენანება ცოდვათა

4. ხოლო თავადსა იოანეს ემოსა სამოსლად მისა თმისაგან აქლემისა, და სარტყელი ტყავისა წელთა მისთა; ხოლო საზრდელად მისა იყო მკალი და თაფლი ველურითა.

5. მაშინ განვიდოდა მისა იერუსალიმი და ყოველი იურიასტანი და გარემო სოფლები იორდანისა.

6. და ნათელ-იღებდეს იორდანესა შინა მისგან და აღუარებდეს ცოდუათა მათთა.

7. და ვითარცა იხილნა მრავალნი ფარისეველნი და სადუკეველნი, მომავალნი ნათლის ღებად მისგან, ჰრქუა მათ: ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიჩვენა თქვენ სივლტოლვა მერმისა მისგან რისხვისა?

არის წრფელის გულით აღსარება ცოდვათა, რომელიც წარმოსდგება ცოდვითი მდგომარეობის შეგნებისგან და რომელსაც თან ახლავს მტკიცე სურვილი ცოდვიანის ცხოვრების დატოვებისა და ღვთის მცნებათა აღსრულებისა. იოანე ნათლისმცემელი სინანულის ქადაგებით იწვევდა ებრაელებს დაეტოვებინათ ცუდი ცხოვრება და შეეცვალათ იგი ახალი წმიდა ცხოვრებით, რომ ღირსნი გამხდარიყვნენ მესიის მიღებისა.

ცათა სასუფეველად იოანე ნათლისმცემელი გულისხმობს ღვთის სუფევას, რომელიც დიდად განირჩევა ქვეყნიურ მეფეთა სუფევისაგან და არაფერი საერთო არ აქვს მათთან. ებრაელებს, რომლებსაც უქადაგებდა იოანე, ეს სასუფეველი წარმოდგენილი ჰქონდათ ქვეყნიურ სამეფოდ, რომელშიც ისინი პირველნი იქნებოდნენ.

3. მახარებელი განმარტებს, ვინ არის იოანე ნათლისმცემელი იესო მაცხოვართან შედარებით, — ის არის ისაია წინასწარმეტყველის მიერ თქმული: ხმა მღაღადებელისა უდაბნოსა ზედა: განმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ჰყვენით ალაგნი მისნი. ეს სიტყვები მახარებელს მოჰყავს ისაიას წინასწარმეტყველებიდან. ისაია აღწერს ებრაელთა დაბრუნებას ბაბილონის ტყვეობიდან თვით ღვთის წინამძღოლობით; ღმერ-

8. ჰყავთ უკვე ნაყოფი, ღირსი სინანულისა.

9. და ნუ ჰგონებთ და იტყვით თავით თვისით: მამა გვივის ჩვენ აბრაამი; რამეთუ გეტყვი თქვენ, ვითარმედ შემძლებელ არს ღმერთი აღდგინებად ქვათა ამათგან შვილად აბრაამისა.

10. რამეთუ აწვე ესერა ცული ძირთათანა ხეთასა ჰსძეს; ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკვეთოს და ცეცხლსა დაედვას.

თი წარმოდგენილი ჰყავს წინასწარმეტყველს წინამძღოლ მეფედ. უწინ ჩვეულებად ჰქონდათ რომ, როცა მეფე წაბრძანდებოდა—სადმე,—მის წინ გზავნიდენ შიკრიკებს გზების გასასწორებლად, რომ არაფერს არ შეეშალა ხელი მეფის მოგზაურობისათვის; იესო მაცხოვარიც, ზეცათა მეუფე, განმათავისუფლებელი კაცთა ნათესავისა ცოდვის მონობისაგან მოდის ქვეყნად; მის წინ კი მოვლინებულია იოანე წინამორბედი. მოსამზადებლად ერისა ცათა მეუფის მისაღებად.

4. იოანე ნათლის მცემელს ტანთ ეცვა აქლემის თმის ქსოვილი და ერტყა ტყავის სარტყელი. საზრდოობდა მკალით და ველურის თაფლით. მკალი არის ერთნაირი ჯიშის კალია, რომელსაც ეხლაც სჭამს აღმოსავლეთში ღარიბი ხალხი; ამ კალიას ცოცხალს ხარშვენ მარილწყალში და ახმობენ მზეზე; მის ზეთშიც ხრაკავენ და სჭამენ თაფლთან ერთად. ველური თაფლი არის თაფლი გარეულის ფუტკრისა, რომელიც ძალიან ბევრი იყო ურიასტონის უდაბნოში.

ერმა რომ გაიგო უდაბნოში წინასწარმეტყველის გამოჩენა, იწყო მასთან სიარული; იოანესთან მიდიოდნენ ურიასტანიდან, იერუსალიმიდან და იორდანის გარშემო სოფელქალაქებიდან მოსასმენად ქადაგებისა **და ნათელს იღებდეს იორდანეს შინა მისგან.** ურიებს ჩვეულებად ჰქონდათ წყალში განბანვა, მაგრამ იოანეს ნათლისცემას არაფერი კავშირი არა ჰქონდა ამ განბანასთან. ეს იყო ნათლისღება **მისა-**

11. მე უკვე ნათელგცემ თქვენ წყლითა სინანულად; ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს, რომელსა ვერ შემძლებელ ვარ ხამლთა მისთა ტვირთვად; მან ნათელ გცეს თქვენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა

ტევებლად ცოდვათა, ე. ი. მონანულნი ჭეშმარიტად და აშკარად აღიარებდნენ ცოდვებს და წყალში ნათლისღებით მოწმობდნენ, რომ მსგავსად ხორციელის განბანისა, ისინი ეცდებიან თავისი სულიც განიწმიდონ ცოდვათაგან. უბრალო ხალხს შინაგანი გაწმენდა ცოდვათაგან წარმოდგენილი ჰქონდა ხორციელის განბანვის სახით და ამიტომ აზრი იოანეს ნათლისცემისა ყველასთვის მარტივი და ადვილად მისახვედრი იყო. მაგრამ იოანეს ნათლის ცემას არა ჰქონდა აზრი, მნიშვნელობა და ძალა იესოს ნათლისცემისა; იოანეს ნათლის ცემას არა ჰქონდა ძალი ცოდვათა მიტევებისა; ის მხოლოდ ამზადებდა ერს იესო ქრისტესა ნათლისცემისთვის, რომელიც მიუტევებს ცოდვათა. იოანე ნათელსცემდა ერს იორდანის მდინარეში. იორდანე არის უდიდესი მდინარე პალესტინაში, გამოდის ლიბანის მთიდან და ერთვის მკვდარ ზღვას.

7-8. სხვათა შორის, იოანესთან მრავლად მოდიოდენ ფარისეველნი და სადუკეველნი. ფარისეველნი და სადუკეველნი შეადგენდენ მაშინ გავლენიანს, მაგრამ ერთმანეთის მოქიშპე და მოწინააღმდეგე პარტიას. ფარისეველები სთვლიდენ თავიანთ თავს სჯულის მეცნიერებად და აღმასრულებელად; გარდა მოსეს მიერ დაწერილის სჯულისა, ისინი სავალდებულოდ რაცხდენ მოხუცებულთა გარდმოცემის აღსრულებასაც; ზოგჯერ ამ გარდმოცემას სჯულზე მაღლაც კი აყენებდენ ხოლმე; მათ უყვარდათ განგრძობილი ლოცვა და ჭარხულობა ხალხის საჩვენებლად, ნამდვილად კი ისინი იყვნენ ორგულნი, პირმოთნენი და მატყუარნი. მაგრამ ისიც კი სათქმელია, რომ მათ შორის იყვნენ მრავალნი მორწმუნენი და სჯულის ერთგულნი; როგორც, მაგალითად, გამალიელი და სავლე. სა-

12. რომლისა ნიჩაბი ხელთა მისთა, განჰსწმიდოს კალოთვისი და შეჰკრიბოს იფქლი საუნჯესა, ხოლო ბზე დასწვას ცეცხლითა მით უშრეტითა.

13. მაშინ მივიდა იესო გალილჰეთ იორდანედ იოანესა ნათლისღებად მისგან;

დუკეველები ფარისეველთა მოწინააღმდეგენი იყვენ; მათ არა სწამდათ საიქიოს ცხოვრება, მკვდრეთით აღდგომა, ღვთის განგება; ისინი უარჰყოფდენ ყველს იმ გარდმოცემასაც, რომლებიც სწამდათ ფარისეველებს. თუმცა სადუკეველნი არ იყვენ რიცხვით მრავალნი, როგორც ფარისეველნი, მაგრამ როგორც მდიდრებს მათ დიდი გავლენა ჰქონდათ ერზე და დიდი ადგილებიც ეჭირათ ხოლმე.

ეი ამ ფარისეველებსა და სადუკეველებს. რომლებისა ცნობაც გარეგან შეხედულობითაც კი შეიძლებოდა, რომენემ მიმართა მრისხანე სიტყვით: ნაშობნო ოქედნეთანო! (ოქედნე ერის ძლიერ შხამიანი გველი). ამ სიტყვებით რომენემ გამოხატა ზნეობრივი მდგომარეობა ფარისეველ-სადუკეველთა, რომელიც მათ შხამიან გველთა მსგავსებად ხდის; ვინ გითხრა თქვენ, განაგრძო იოანემ, რომ გაექცევით სასჯელს, რომელიც თქვენ მოგელით ცოდვათა გამო. იცოდეთ, რომ თქვენ შეგიძლიანთ გადარჩეთ ამ რისხვას და სასჯელს მხოლოდ სინანულით და სინანულის ღირსი ნაყოფით, ე. ი. საქმით და მოქმედებით უნდა დაამტკიცოთ, რომ თქვენ ნამდვილად მოწადინებულნი ხართ გამოიღოთ ნაყოფი სინანულისა, დასტოვოთ ძველი, ღვთის არა სათნო ცხოვრება, აზრები და ყოფაქცევა; წინააღმდეგს შემთხვევაში, თქვენ ვერაფერს ვერ გიშველით მარტო მოსვლა იორდანის ნაპირებზე.

9-10. ფარისეველები და სადუკეველები ამაყობდენ აბრაამისგან ჩამომავლობით,—მამა გვივის ჩვენ აბრაამი, ამბობდენ ისინი. მაგრამ ცხოვრებითა და ყოფაქცევით ისინი ემსგავსებოდენ იმ ქვებს, რომლებიც ბევრი ეყარა ურიასტანის უდაბ-

14. ხოლო იოანე აყენებდა მას და ეტყოდა: მე მიხმს შენგან ნათლისღება და შენ ჩემდა მოხვალ?

15. მიუგო იესომ და ჰრქვა მას: აცადე აწ, რამეთუ ეს რეთ ჰშვენის ჩვენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე; მაშინ მიუშვა მას.

ნოში. ისინი ჭეშმარიტად იყვნენ გულქვა, გულ ცივი, უსიცოცხლო და უგრძნობელნი კაცნი; ღმერთს შეუძლიან ურიასტანის უდაბნოს ქვების გაცოცხლებაც, შეიძლება, რომ ისინიც ამოძრავდენ და შეიქმნენ ძედ აბრაამისა, მაგრამ მარტო ხორციელი ჩამომავლობა აბრაამისგან არ არის საკმარი მის ძედ წოდებისათვის, აბრაამის ძედ იწოდებიან ისინი, რომლებიც ცხოვრებენ მისი სულით და აქვთ კეთილი ზნეობა და კეთილნი საქმენი. უნაყოფო ხესაც მოჰკვეთენ ხოლმე ცულით და ჩააგდებენ ცეცხლში დასაწველათ. ასეთივე სასჯელი მოელის ფარისევლებსაც, თუ ისინი არ გამოიღებენ კეთილს ნაყოფს საქმით.

11-12. იოანე ადარებს თავის თავს ქრისტესთან და აღნიშნავს მის უპირატესობას. იოანე ნათელ სცემს წყალითა სინანულად, ე. ი. სინანულით ამზადებს ერს მაცხოვრისგან ნათლისღების მისაღებად, რომლითაც ისინი მიიღებენ ცოდვათა მიტევებასაც, მაგრამ იოანეს შემდეგ მოდის თვით იესო ქრისტე, რომელიც უაღრესად დიდია იოანეზე; იოანე იმის ღირსიც კი არ არის, რომ იესო ქრისტეს ძულ უკანასკნელ მსახურადაც კი იყოს, მიართვას მას ფეხსაცმელი. იესო ნათელსცემს ერს სულითა წმიდითა და ცეცხლითა, ე. ი. განაახლებს ყოველს ნათელღებულს, მიუტევებს მას ცოდვებს და გასწმენდს. ასეთია ნათლისცემა იესოსი. იესო, მომავალი იოანე ნათლის მცემლის შემდეგ, გამოარჩევს ხორბალს (იფქლს) ბზისაგან, როგორც ყალოზე ნიჩბით გამოანიავებენ ხოლმე. ხორბლად (იფქლად) აქ იგულისხმებიან იესოს მორწმუნენი, ღირსნი სასუფეველისა, წმიდა ცხოვრების კაცნი, ხოლო უვარ-

16. და ნათელიღო იესომ და მეყვსეულად აღმოვიდა რა წყლისა მისგან, და აჰა განეხვნეს მას ცანი და იხილა სული ღვთისა გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მოვიდა და დაადგრა მას ზედა.

ვის ბზუდ-ცოდვილნი, ურწმუნონი, გამოუსადეგარნი. ეს განრჩევა ცოდვილთა და მართალთა იქნება ქვეყნის აღსასრულის დროს, როცა იესო მოვა დიდებითა თვისითა.

13-14. როდესაც იოანე ნათლისმცემელი ჰქადაგებდა იორდანის ნაპირებზე, მასთან გალილეიდან მოვიდა იესო ქრისტე ნათლისღებად მისგან, რასაკვირველია ნათლის ღებად არა იმ მიზეზით, რომლითაც მოდიოდენ სხვანი. მაგრამ იოანემ იცნო იესო, ძე ღვთისა, აყენებდა მას და უთხრა, მე უნდა ვიღო შენგან ნათელი და შენი ჩემთან მოდიხარო.

15. იესო ქრისტემ ამაზე უპასუხა: აცადე აწ, რამეთუ ესრედ შვენის ჩვენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე. იოანე ნათლის მცემელი თავის თავს იესოს უკანასკნელ მსასმსახურობის ღირსადაც კი არა სთვლიდა. მაგრამ იესომ ბაანახვა მას, რომ თუ იოანე არის მონა, იესოს სურს დაემორჩილოს ამ მონას და ნათელ იღოს მისგან; ეს არის აღსრულება ყოვლისა სიმართლისა. იესო მოვიდა კაცთა ნათესავისთვის სამსახურებლად და იწყო კიდეც ეს მსახურება მითი, რომ მიიღო ხატი მონისა და ნათელ იღო იოანესგან.

16. იესომ ნათელიღო იოანესგან და გამოვიდა წყლიდან: განეხვნეს ცანი და იხილა სული წმიდა, ვითარცა ტრედი გარდამომავალი იესოზე. ხერსონის არქიეპისკოპოზის ინოკენტის განმარტებით, იესო ქრისტეს თავზე ცის კამარა ისე იყო გახსნილი, როგორც არის ხოლმე დიდის და ხანგრძლივის ელვის დროს. სულის წმიდის გარდამოსვლა ტრედის სახით იყო ხილული და საგრძნობელი. ერთი წმიდა მამათაგანი შემდეგს ამბობს ამის შესახებ: „გარდამოვიდა მსგავსად ტრედისა, ტრედის უმანკოების და სიმშვიდის მიზე-

17. და ხმა იყო ზეცით და ჰსთქვა: ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავ.

ზით. ამასთანავე, ტრედი არის სუფთა, ფაქიზი ფრინველი, ასე რომ არა დროს არ ჯდება უსუფთაო ადგილზე. ასევეა სული წმიდაც. მეორე მხრივ, როგორც ნოეს დროს ტრედმა აუწყა გათავება წარღვნისა ზეთის ხილის რტოს მოტანით, ისე ეხლაც სულიწმიდა აუწყებს ცოდვათა განხსნას ტრედის სახით. იქ ზეთის ხილის რტო, აქ კი წყალობა ღვთისა ჩვენისა“.

17. ამავე დროს მოისმა ხმა მაღლით; ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავ. ამ სიტყვებით გამოცხადდა იესო მაცხოვარი მესია ქრისტედ.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე.

1. მაშინ იესო აღმოიყვანა უდაბნოდ სულისაგან გამოცდად ეშმაკისაგან.

2. და იმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე, და მერმე შეეშია.

IV.

იესოს გამოცდა ეშმაკისაგან უდაბნოში (1—11). დამკვიდრება კაპერნაუმში (12—17). მოწოდება მეთევზეთა (18—22). დიდება იესოსი (23—25).

1. (მარკ, 12—13). შემდეგ ნათლის დებისა, იესო ქრისტე სულიწმიდის მიერ აღყვანილ იქმნა უდაბნოში გამოსაცდელად ეშმაკისაგან. იესო ქრისტე იყო უცოდველი და არც შეეძლო შეცოდება. მაშ რაღა საჭირო იყო გამოცდა უცოდველისა და წმიდისა? განსამარტებელად ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ისეთ იყო არა მხოლოდ ღმერთი, არამედ კაციც. ის, როგორც კაცი, განიცდებოდა მრავალჯერ ქვეყნად ცხოერების ჟამს, მაგრამ ის განსაცდელისაგან არაოდეს

3. მოუხდა მას გამომცდელი იგი და ჰრქვა: უკეთუ შენ ხარ ძე ღვთისა, ჰსთქვი, რათა ქვანი ესე პურ იქმნენ.

არ ძლეულა და მუდამ მძლედ გამოდიოდა ხოლმე, მიტომ რომ ემორჩილებოდა ზეციერ მამის ნებას და სძულდა ბოროტი. იესო ქრისტე მორწმუნეთაგან თხოულობდა ბრძოლას ბოროტ სულთან, ამიტომ თვითონაც, როგორც კაცი, უნდა შებრძოლებოდა ამ სულს, დაეძლია იგი და დაემტკიცებინა ამით, რომ ძლევა ბოროტის სულისა შესაძლებელია.

მახარებელი არ იხსენებს იმ უდაბნოს, რომელშიაც გამოიცდებოდა იესო ქრისტე. გარდმოცემა კი გვეუბნება, რომ ეს უდაბნო მდებარეობდა იერიქონის დასავლეთის მხარეს და ეხლაც მას „ორმეოცის დღის უდაბნო“ ეწოდება.

2-3. უდაბნოში იესო ქრისტე მარხულობდა ორმოცი დღე-ღამის განმავლობაში და ლოცულობდა; შემდეგ შეემშია. ამ დროს მოვიდა მასთან გამომცდელი ეშმაკი და უთხრა: უკეთუ შენ ხარ ძე ღვთისა, სთქვი, რათა ქვანი ესე პურ იქმნენ. დაკმაყოფილება შიმშილისა არ არის უკანონო და უწესო საქმე; თვით მაცხოვარი სჭამდა და სმიდა და მშიერ ერსაც აძღობდა; მაგრამ ეშმაკი ურჩევდა იესოს პირველი ადგილი დაეთმო ხორციელის მოთხოვნილებისათვის, უკუეგდო მოთმინება, ყოველივე სხვა ზრუნვა და აჩქარებით შესდგომოდა თვისის სხეულის განძღობას. ეშმაკი ურჩევდა იესოს შიმშილის დასაკმაყოფილებლად მოეხმარა თვისი საღვთო ძალა სასწაულთ-მოქმედებისა, უმაღლესი მოთხოვნილებანი სულისა დაემორილებინა ხორციელ მოთხოვნილებათათვის. იესო ქრისტეს რომ აღესრულებინა ეშმაკის რჩევა, უეჭველია ამით შეირყვნებოდა ზნეობრივი ხასიათი ღმერთ-კაცისა და დაემხობოდა საქმე კაცთა ნათესავის გამოხსნისა, რადგანაც ძალი უფლისა ეშმაკის სურვილის დამაკმაყოფილებლად შეიქმნებოდა.

3 203
1913.